



საქსტაბის და
ხონსტაბის
ვეხნაი

№ 5 (23)

მაისი, 2015 წელი
ფასი 2,5 ლარი



13

1970
2015

საქსტაბი

ნომრის ავტორები
სალომე ბენიძე & სტან მერენი


პროზა

ლაშა ბულაძე
ბელა ჩეკურიშვილი
ირმა ტაველიძე
ეკატერინე ტოგონიძე
ზურა აბაშიძე
მიშა ბახსოლიანი

კრიტიკა

ნანა ტრაპანიძე
ლათო ბარბაქაძე
ლევან ბრეგვაძე
ლელა კოდლაშვილი
ზაზა ფირალიშვილი

ახალი



Stein Mehren

ახალი თარგმანები
გიუნტერ აიხი

ზღაპარი
ამრინდრა ჩაქრაპორტი

პრტი
ღვით ანდრიაძე
ზურაბ ნერეთელი

ინო
print STUDIO

ციფრული, ოფსეტური ბეჭდვა

- მაისურებზე, უნიფორმებზე ბეჭდვა
- სავიზიტო ბარათები
- ჩანთები, კალმები
- ჭიქებზე ბეჭდვა
- ვტიკეტები, სტიკერები
- ბლანკები, კონვერტები, ბლოკნოტები
- ავტომობილების გაფორმება
- პოსტერები, ბანერები
- წიგნების გამოცემა

სავიზიტო ბარათები; მოსაწვევები და მისალოცები; დიპლომები; სერთიფიკატები; ბროშურები; ფლაერები; ბუკლეტები; კატალოგები; მენიუები; კალენდრები; პოსტერები ბლანკები; კონვერტები; ბლოკნოტები; CD/DVD შეფუთვა ნებისმიერი სირთულის ყუთები; ასევე ყუთებზე ბეჭდვა; ყველა სირთულის კვეთები; ეტიკეტები და სხვა თვითნებადი პროდუქტები; ბილეთები; აფიშები, ბანერები, ვიტრინების და ავტომობილების გაფორმება; საათების ბრენდირება; ბეჭდვა ოქროს და ვერცხლის ფოლგაზე; ნატურალურ ტილოზე; პლასტიკური ბარათებზე ბეჭდვა; მაისურებზე, ჩანთებზე, კალმებზე ბეჭდვა

ქუთათელაძის 8. ტელ.: 597 39 55 87; 2 39 55 87; 2 14 12 14 innostd@gmail.com



საპარტეზო კულტურისა და კვლევის საინისტრუქტორი

ქართული გამოცემის საპარტეზო კულტურისა და კვლევის საინისტრუქტორი მხარდაჭერით



გენსაღთა
საწყე

ნომრის ავტორები

სალომე ბენიძე

- აკა ქავანიშვილი – კონტინენტებიანი ჩემოდნის
პატრონი – სალომე ბენიძე 3
- სალომე ბენიძე – ლექსები 9
- კრეპულა „ამბავი უძინართა“ (სოფო წულაია, დიანა ანფიმიადი) 12
- სალომე ბენიძე – ეფი (მოთხრობა) – 13

სტან მერანი

- მანანა მათიაშვილი – სტან მერენი: პოეზია სინათლის სამყაროდან 16
- ფრედრიკ ვანდრუჰი – სტან მერენს ოთხმოცი წელი შეუსრულდა
(ნორვეგიულიდან თარგმნა თამარ კვიციანიძემ) 19
- სტან მერანი – ლექსები (ნორვეგიულიდან თარგმნეს
მანანა მათიაშვილმა და თამარ კვიციანიძემ) 21
- ჰან კ. სპანი – დედამიწაც ვარსკვლავია
(ნორვეგიულიდან თარგმნა თამარ კვიციანიძემ) 24

პროზა

- ლაშა ბულაძე – ცხრაჯერ მეტი 25
- ბელა ჩეკურიშვილი – ტერეზა და ზიმონ 35
- ირმა ტაველიძე – ვერცხლი და მელქიორი 40
- ეკატერინე ტომონიძე – ცთომილების სიმფონია 43
- ზურა აბაშიძე – შეკურთხება 48
- მიზა ბახსოლიანი – ცხვარი 50

კრიტიკა

- ნანა ტრაპანიძე – „პოეზია“ „და“ „პოეტები“ 55
- ლევან ბრეგაძე – ერთი მეტატექსტის ისტორიისათვის 60
- ლელა კოდლაშვილი – სიცოცხლისა და გაღვიძების პრეცედენტები 62

1

2

3



პროექტის ავტორი: **ეკონომიკური ინფორმაცია**
ვაჟა წონაშელაშვილი

ახალი თარგმანები

გიუნტერ აიხი – ლექსები (გერმანულიდან თარგმნა დათო ბარბაქაძემ) 64

4

მთავარი რედაქტორი:
შოთა იათაშვილი

რედაქტორი-სტილისტი:
ლელა კოდალაშვილი

დიზაინი და დაკაბადონება:
ნიკა ხვედელიძე

ზღაპარი

ამარინდრა ჩაკრაპორტი – ჩემი თეთრი ცხენი (ინგლისურიდან თარგმნა მანანა დუმბაძემ) 71

5

სარედაქციო კოლეგია:
დავით ანდრიაძე
ბია ეძვარაძე
დათო ტურაშვილი
ეკა ქვეანიშვილი
ზაზა შათირიშვილი
დავით ჩიხლაძე
ბია ხაღური

ართი

დავით ანდრიაძე – კაპიტალისტური შრომის გმირი 77

6

ნომერზე მუშაობდნენ:
ეკა ქვეანიშვილი
სალომე ბენიძე
მანანა მათიაშვილი
თამარ კვიციანიძე
ლავა გულაძე
ბელა ჩიკურიშვილი
ირმა ტაველიძე
ეკატერინე ტოგონიძე
ზურა აბაშიძე
მიზა ბახსოლიანი
ნანა ტრაპანიძე
ლევან ბრეგვაძე
ლელა კოდალაშვილი
დათო ბარბაქაძე
მანანა დუმბაძე
დავით ანდრიაძე

გამომცემლობა – „საუნჯე“

მის.: ალ. ყაზბეგის 32/34

ტელ.: 2141214, 2395587, 2397188

Skype: saunje_saunje

ელ-ფოსტა: saungeo@gmail.com

Facebook: გამომცემლობა საუნჯე/Saunje publishing <http://www.facebook.com/saunjee>
www.saungeo.ge

1

ნომრის ავტორები

კონტინენტური ჩამოღნის პატრონი – სალომე ბენიძე

ეკა ქვენიშვილი

ეჭვი მაქვს, ახლა, როცა ამ ამბავს ვწერ, შუალაშე კი დიდი ხნის გადასულია, მაგრამ სალომე ბენიძეს მაინც არ სძინავს. ის უძინართა ლაშქრის წევრია. თავადაც უძინართა ამბების მთხრობელი. ამ დროს, როგორც წესი, ის სულ ფხიზლობს. შესაძლოა, პია ცოლას მუსიკის ქვეშ წერს. ან თარგმნის. ან კითხულობს. ან წერს. ან თარგმნის. ან. და ან. სამაგიეროდ, ზუსტად ვიცი ის, რომ ამჯერად თვითმფრინავში არ ზის და რომელიმე ქვეყნისაკენ არ მიფრინავს. ხვალ მისი ახალი თარგმანის პრეზენტაციაა, თბილისში უნდა იყოს.

დაიძინე, სალომე, დაიძინე, დროა. შენ დღეს ბევრი იმუშავე და ეს დაიმსახურე.

...

„ფეისბუკზე“ გამოქვეყნებული მისი ორმოცდაჩვიდმეტი ათასი ფოტოს მიხედვით შეგვიძლია ყველაფერი გავიგოთ. დავითვალთ მისი წიგნები, მისი ლექსები, მისი პოსტები, მისი მოთხრობები, მისი თარგმანები, მისი მეგობრები, მისი ქვეყნები, მისი კაბები და მისი სტატუსებიც. კი, აქტიურია და ცოცხალი. ღია და გამჭვირვალე და ღრმა და ყოვლისმომცველი. ბუნებრივად ქერა, მოწონებით ფემინისტის, განათლებით ჟურნალისტი, პიარის სპეციალისტი, პოლიტიკურ მეცნიერებათა მცოდნე, პოეტი, ბლოგერი, მთარგმნელი და რა ვიცი, სად გაჩერდება, ჯერ უცნობია. ბოლოს რომ ვნახე, პავიჩის ცოლთან, იასმინა მიხაილოვიჩთან ერთად იღებდა ფოტოს, ხელში კი თავისი ნათარგმნი პავიჩი ეჭირა. ხვალ, ალბათ, ქალთა უფლებების დამცველ რაიმე ღონისძიებაზე გადავეყრები, ზეგ პოეზიის საღამოზე, მერე შეიძლება პანკისიდან დარეკოს. ზაფხულში, თუ ყველაფერი კარგად იქნა, იმ თავის ამოჩემებულ ლიტვაში წავა. კი, ასეთი გოგოა სალომე, არასოდეს ჩერდება.



ქუთაისი ქალაქია

უფრო სწორად, ქუთაისი ის ქალაქია, სადაც სალომე ბენიძე დაიბადა და გაიზარდა. სწორედ იქ შეხვდნენ ერთმანეთს მისი დედა და მამა, როცა ერთ ჩვეულებრივ დღეს, სალომეს მამას მისმა ნათესავმა ბალიდან შვილის გამოყვანა სთხოვა. საბავშვო ბაღში მისულ სალომეს მომავალ მამას კი იქ სალომეს მომავალი დედა დახვდა.

3097X



„კარგი გოგოა, მაგრამ დედამისისნაირი ვერ არისო“. დღემდე არ დავიწყებია.

მამა აფხაზეთიდან იყო, ოჩამჩირიდან. ბენიძეების გვარის ისტორია ლეჩხუმში კი იწყება, თუმცა საუკუნის დასაწყისში აფხაზეთში გადასახლებული ბენიძეები თავს აფხაზეთის მკვიდრებად მიიჩნევდნენ. მითებით სავსე ლეჩხუმის რაიონის სოფელ ზუბიდან ოჩამჩირის სოფელ არადლში გადასახლებული ოჯახი იქ ომის დაწყებამდე ცხოვრობდა. როცა სალომეს ეკითხებიან, საიდან არის წარმოშობით, როგორც წესი, ამბის მოყოლას შორიდან იწყებს. მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისში გაიზარდა, ფიქრობს, რომ მაინც დევნილია.

აფხაზეთში, ჩაკეტილი საზღვრის მიღმაა დღეს სალომეს მამის საფლავიც. მამა მოულოდნელად, ძალიან ახალგაზრდა გარდაიცვალა. 37 წლისა. სალომე მაშინ ორი წლის იყო.

„აფხაზეთი თითქმის არ მახსოვს. მხოლოდ ბუნდოვნად ვიხსენებ ხოლმე ჩემი ნათლობის ცერემონიას. ილორის ეკლესიაში მომნათლეს, როცა მამაჩემი გარდაიცვალა. ორი წლის ვიყავი. მახსოვს ხეები და ილორის გუმბათი. მამაჩემის საფლავიც, ოღონდ ძალიან ბუნდოვნად. კიდევ მახსოვს ორი ხე – ჩემი ბებიისა და ბაბუის სახლის უკან. რატომღაც მგონია, რომ მსხლის ხეები იყო“.

მამის სიკვდილის შემდეგ მამის ნათესავებთან კავშირი განცდა. გზები ჩაიკეტა. ომის შემდეგ გავლებულმა საზღვარმა კი ყველანაირი მიმოსვლა შეწყვიტა. სალომე იქ აღარასოდეს მოხვედრილა.

„ყველაზე ხშირად ჩემს ცხოვრებაში მამაჩემის საფლავზე წასვლა მომდომებია ხოლმე. განსაკუთრებით აღდგომას, დიდი მოძრაობა რომ იწყება ხოლმე. აღდგომა სახლში დაბრუნების დღეა, წინაპრებთან დაბრუნების. მეც მივდივარ ხოლმე ქუთაისში, მაგრამ სულ მგონია, რომ არსაიდან არსად მივდივარ, ან იქ არ მივდივარ სადაც უნდა მივდიოდე“.

იცის, რომ რამდენიმე წლის წინ აფხაზეთში, მის მამისეულ სახლში აფხაზი მეზობლები ცხოვრობდნენ. მერე რა ბედი ეწია მამის სახლს, აღარაფერი გაუგია.

დარღვეული ბალანსი

თითქოს ყველაფერი კარგად იყო. დედა არაფერს აკლებდა. ბავშვობაში სალომეს არაფერი უკითხავს მამის შესახებ. ანდა, ძალიან იშვიათად. კითხვების დასმა უფრო მერე დაიწყო, როცა გაიზარდა. კითხვები კი საკმარისად დაგროვილიყო.

„როდესაც ორი წლის ხარ და უცებ ქრება ადამიანი, რომელიც ძალიან გიყვარდა, ვერც აცნობიერებ, რა ხდება. ფარულ ცუდ რამეებს იწვევს ეს და არც მე ვარ გამონაკლისი. მგონია, რომ ამ შედეგებს დღემდე ვიძიებ. მგონია, რომ როცა ერთი მშობელი აღარ გყავს, ცხოვრების წონასწორობა გერღვევა. რალაც ერთი მხარე გაკლია და შესაბამისიად, გაკლია იმ ყურადღების, სიყვარულის ნახევარი. ცოტა როცა გავიზარდე, მერე ვიგრძენი ეს აუტანლად, რომ თურმე, შეიძლებოდა, ბევრ რამეში დაგხმარებოდა მამა, ცოცხალი რომ გყოლოდა. უცებ აღმოაჩენ, რომ მარტო ხარ. კი, მისი საჭიროების შეგრძნება ხშირად მექონია. თუმცა დედაჩემი მართლა მაგარი ქალია და

ქუთაისის უცნაური ქალაქია, ამბობს სალომე ბენიძე დღეს, როცა იქ აღარ ცხოვრობს. სხვა ქალაქებს არ ჰგავს. ეს არის განსხვავებული წესების ქალაქი:

„უფრო ზუსტად კი, ქალაქი, სადაც ადამიანებს აქვთ განსხვავებული შეხედულებები და სხვანაირად ცხოვრობენ. ქუთაისი ცხოვრობს საზოგადოებრივი აზრით. ქუთაისს არ უყვარს, როცა ეტყობა, რომ უჭირს. გაპრანჭული ქალაქია. ეს არის ქალაქი, რომელსაც ჰყავს და უყვარს თავისი ელიტა, რომელიც წლების განმავლობაში არის უცვლელი. ჩემთვის ქუთაისი არის ქალაქი, რომელიც ძალიან მიყვარს, თუმცა იქ ცხოვრება არ შემიძლია“.

2003 წელს, როდესაც სკოლა დაამთავრა, უკვე იცოდა, რომ თუ რამის მიღწევა სურდა, თბილისში უნდა ესწავლა. ამიტომ, კითხვაც არ დასმულა, უნდა დარჩენილიყო თუ არა მშობლიურ ქალაქში. ხანგრძლივად იქ ყოფნა დღესაც არ უყვარს და ურჩევნია ასე შორიდან უყვარდეს.

საფლავი საზღვრის მიღმა

დედა და მამა მალევე, გაცნობიდან სამ თვეში დაქორწინდნენ. ხუთი წლის შემდეგ დაიბადა სალომე. დღემდე უკვირს, როგორ მიიღო დედამ ასეთი უცაბედი გადაწყვეტილება. მითუმეტეს მაშინ, როცა როგორც ამბობენ, თაყვანისმცემლები არ აკლდა. სალომეს ბავშვობას კი თურმე, სულ თან გასდევდა ფრაზა –



იმ საშინელ 90-იანე წლებში, როცა არავის ჰქონია მარტივი ცხოვრება, მოახერხა, რომ მესწავლა და არაფერი მომკლებოდა“.

ეზო – ფანჯრიდან

ეზოში ჩასვლა არ უყვარდა. არავითარი კლასობანა და ორდროშობანა და რეზინობანა. სახლში ჯდომა და კითხვა ყველაფერს ერჩინა. სოფელში ჩასულიც იგივეს აგრძელებდა, იჯდა ვერანდის ქვეშ წიგნით ხელში და ქვეყანა რომ დანგრეულიყო, კითხულობდა და კითხულობდა. წიგნებით აქეთ-იქით სიარული დიდხანს გაგრძელდა. ცხოვრების ასეთი წესის გამო ე.წ. ეზოს თუ უბნის მეგობრები არ ჰყოლია. მეგობრობები დაიწყო სკოლაში. იქიდან მოჰყვება სალომეს ცხრა ბარბის პატრონი ნინიკო კვარაცხელიაც, სალომეს ბავშვობის მეგობარი სალომესგან სრულიად განსხვავებული შეხედულებებით. ცხრა ბარბი რატომ და ამბავი ასე იყო – მისმა დამ, რომელიც როგორც წარჩინებული მოსწავლე, ამერიკაში გაუშვეს სასწავლებლად, ქუთაისში ერთბაშად ცხრა ბარბი და კასეტებით დისნეის მულტფილმები ჩამოიტანა. წარმოადგენიათ ეს რას ნიშნავს 1993 წელს? მთელი ქუთაისი ამ ბარბების სანახავად მოდიოდაო, იხსენებს სალომე. არც ხეზე ასვლები და ჩამოვარდნები ყოფილა, წიგნების სამყარო სრულიად საკმარისი იყო მისი ბედნიერებისათვის. სალომეს დედასთან ერთად დეიდა ზრდიდა. დეიდა არასოდეს გათხოვილა. ბევრს მოგზაურობდა და სულ კაბებს და წიგნებს ყიდულობდა... ჰგავს ხო, სალომეს?

სკოლა ძალიან უყვარდა. ქუთაისის მესამე სკოლაზე სალომე ბენიძეს ბევრი კარგი ამბის მოყოლა შეუძლია. თავიდან იმ წარმატებულ ქალებს ჩამოგივლით, ვინც ამავე სკოლაში სწავლობდა და შემდეგ მოგიყვებათ სკოლის გაზეთის რედაქტორობის თუ სხვა თავის სასკოლო თავგადასავლებს:

„ჩემი სკოლა ადრე ქალთა გიმნაზია იყო და ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი ქალი სწავლობდა – კატო მიქელაძე, მინადორა ტოროშელიძე, ქრისტინე შარაშიძე, ანა კალანდაძე, თამუნია წერეთელი, ვერიკო ანჯაფარიძე, სხვები და სხვები... დედაჩემს ეუბნებოდნენ, მაგ სკოლაში არ მიიყვანოთ, მანდ მარტო მდიდრების შვილები სწავლობენო. საბოლოოდ მაინც მესამე სკოლაში აღმოვჩნდი და დავამთავრე კიდეც. კლასში 48 მოსწავლე ვიყავით“. სწორედ სკოლის პერიოდში შეცვალა გადანწყვეტილება – ექიმი გამოსულიყო: „მივხვდი, რომ მუდმივად ცუდად მყოფი ადამიანების ყურება ჩემთვის ძალიან რთული იქნებოდა. და თუ დღეს ვინმესი მშურს და თუ ვინმე ზეადამიანად მიმაჩნია, ესენი ექიმები არიან“. ასე დაიხურა წელ-წელა სალომეს პირადი ნამდვილი ლაბორატორია, რომელიც სხვადასხვა ზომის კოლბებითა და სინჯარებით იყო სავსე და რომლითაც მას თავისი ნათლია ამარაგებდა.

მისი ცხოვრების ქვიშა

სასურველი, თეატრალური უნივერსიტეტის სარეჟისორო ფაკულტეტის ნაცვლად თსუ-ს ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე

ჩაირიცხა. გრძელი ამბავია როგორ და რატომ აღარ მოვყვები, რადგან აი, აქ იწყება სალომე ბენიძის მორიგი დიდი ისტორია, რომელსაც მისი უნივერსიტეტელი მეგობრები ჰქვია. აი, ისინიც: მაკა, ნინა, თამთა, ბელა და სალომე. რომ არ ჩამოვთვალო, ცოცხალი ვერ გადავურჩები.

„მარინა ვაშაყმაძე გვიკითხავდა ლექციებს. და მახსოვს, ერთხელ შემოვიდა აუდიტორიაში რომელიც იყო ცარიელი, მე, მაკა და ნინა კი ბოლო მერხზე, სამივე ერთად ვისხედით. ვსხედვართ. რომ დაგვინახა, გაეცინა და გვითხრა – ყველაზე მეტად რასაც გისურვებთ, ესაა, რომ მთელი ცხოვრება ასე ყოფნა გდომებოდეთო. ამ ზაფხულს ჩვენი შეხვედრიდან 12 წელი გადის და დღემდე სულ ერთად ვართ. სულ ვფიქრობ, რომ ცხოვრებაში გვხვდებიან ადამიანები, რომლებიც არიან ჩვენი ცხოვრების ქვიშა. წყალი რომ წავა და წამოვა და ქვიშა რჩება, მაგ ქვიშას ვგულისხმობ. ასეთები არიან ჩემი მეგობრები. მათ გარეშე ვერც სიხარული წარმომიდგენია და ვერც მწუხარება“.

რას ჰგავს ეგ ერთად ყოფნა მეთქი, ვეკითხები და დაუფიქრებლად მპასუხობს, ფაზლსო. როცა არავითარ შემთხვევაში არ იქნება სრულყოფილი ერთი ნაწილის გარეშე და თან ყველა ეს ნაწილი რომ ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება. თუმცა საერთოა ის პრინციპები და ღირებულებები, რასაც ცხოვრება ეფუძნება. ღერძი ერთია და ამ ღერძზე აგერ უკვე 12 წელია ტრიალებენ.

და რაც მთავარია, სრული შემადგენლობით დადიან სალომეს წიგნის პრეზენტაციებზე თუ პოეზიის საღამოებზე და წლიდან წლამდე იზრდებიან და მრავლდებიან. მგონი, მე შემაქვს ცოტა დისონანსი ამ მეგობრობაში, რადგან ოჯახი ჯერ არ შემიქმნია და შვილები არ მყავსო, ამბობს.

მოხსენებითი ბარათი

მოგახსენებთ, რომ ამა და ამ დროს, ამა და საათზე, ესა და ეს... ნეტა, ასე იწერება? სალომე ბენიძემ უკეთ იცის. თავის პირველ პოეტურ კრებულსაც ასე დაარქვა და თანაც, თვითონაც ხშირად წერდა. სახელმწიფო სამსახურში მუშაობას მოაქვს ალბათ მოხსენებითი ბარათები, თორემ პოეტები ასეთ ბარათებს არ წერენ. ვთქვი, ჟურნალისტიკაში არ დარჩა მეთქი, მაგრამ ძალიანაც არ ჩამოშორებია, პიარის სპეციალობა ისწავლა და დღესაც ამ სფეროში მუშაობს. მოსწონს ის დინამიკა, რაც



ამ პროფესიას ახასიათებს. კარგად დაგეგმილი ღონისძიებები. დღეს ქალთა უფლებების დამცველ ორგანიზაციაში მუშაობს, ცოტა ადრე სამინისტროს მთელი დეპარტამენტი ებარა. სახელმწიფო სამსახურის გადამკიდე ხუმრობდა, ამ მოხსენებითი ბარათების წერაში ლექსებს ვეღარ ვწერო. ხოდა, ადექი და წიგნსაც ეგრე დაარქვიო, მიანოდეს სამსახურში იდეა. ასე გაჩნდა მისი პირველი ყვირთელი პოეტური კრებული, რომელმაც ნომინაცია დებიუტში ლიტერატურული პრემია „საბაც“ დაიმსახურა. „მოხსენებითი ბარათი“, სხვანაირად რომ ვთქვა, ქალაქების ლექსების ციკლს აერთიანებს. ხან საიდან მოწერილი ბარათებია, ხან საიდან.

ბრენდისი. ტარანტატა ან ფლორენცია. სიზმარი.

ასეთ სათაურებს არქმევდა იმ ლექსებს. უცხო ქალაქებიდან ნაფრენ ბარათებს. მაგრამ ეს მერე იყო. მანამდე იყო სამი წლის სალომეს ეს ლექსი:

„ამოვარდა ქარბუქი, დიდხანს, დიდხანს ირბინა, მერე დაილაღა და, რა ტკბილად ჩაეძინა“.

დედა მალევე მიხვდა, რომ ეს ლექსი სალომეს არც სადმე ჰქონდა ნასწავლი და არც საბავშვო ბაღის სასწავლო პროგრამაში შედიოდა. თავისით იგონებდა. მერე როგორც ხდება ხოლმე, სახელგანთქმულობა სკოლაში, პოეტური სენტიმენტები უნივერსიტეტში, ჟურნალისტიკაზე სწავლობ, ესე იგი, წერ. ვის არ გაუვლია. მაგრამ ერთ დღესაც ეს ყველაფერი სერიოზულ ამბად იქცა, როცა სალომე ბენიძემ „დიოგენეს“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში მიიღო მონაწილეობა. ერთი ლექსი უნდა ეთარგმნათ – ბულატი ოკუჯავას „ლოცვა“. როცა სამი გამარჯვებული თარგმანის ავტორი გამოაცხადეს, ერთ-ერთი სალომეც იყო.

„მახსოვს, საზოგადოებრივ რადიოში მიგვიწვიეს. 18 წლის ვიყავი. მოვიდა შაკო ბაკურაძე, რომელიც მეკითხება, ჩემი თუ გაქვს რამე ნაკითხულიო. პირველად ვხედავდი და საზოგადოებრივი რადიოს დერეფანში გამოვტყედი, რომ აზრზე არ ვიყავი ვინ იყო შაკო ბაკურაძე. ბესო ხვედელიძე მაშინ იმ ჟურნალის რედაქტორი იყო, რომლისთვისაც ეს თარგმანები უნდოდათ, ჟურნალს „ახალი თარგმანები“ ერქვა... ასე ნელ-ნელა გავიცანი მაშინ უკვე ცნობილი მწერლები და პოეტები და როცა მერე ნელსაც გავიმარჯვე იმავე კონკურსში, ვილაცებს უკვე ვიცნობდი“.

პირველი ლექსები, როცა უფრო ინტენსიურად დაიწყო წერა, 2006 წელს, ლიტერატურულ პორტალ lit.ge-ზე გამოაქვეყნა და დაიწყო და დაიწყო. ამას მოჰყვა 2008 წლის ომის დროს დაწერილი ლექსი „ომის ბალადა ანუ ჩემი ჯარისკაცი ქმარი“, რომელიც მაშინ ბევრმა მოიწონა და სალომეს, როგორც ავტორის ცხოვრებაშიც ახალი ეტაპი დაიწყო.

მთვარე და ფანჯარა

ლექსი შეიძლება გააჩინოს სწორედ ფანჯარამ და მთვარემ. განსაკუთრებით თუ ფლორენციაში აღმოჩნდები. დიახ, სალომე ბენიძისათვის ინსპირაცია მოგზაურობა, პირადი ამბები

და დეტალებია. წერის წესი – მარტო ყოფნა არავინ უნდა უყურებდეს. განსაკუთრებით ლექსის წერის დროს. მეორე კრებული „ამბავი უძინართა“ თურმე მთლიანად პიაცოლას მუსიკის ქვეშ დაიწერა. გმირები. მისი გმირები მის გარშემო მყოფი ადამიანები არიან. და საკუთარი თავიც:

„მე მგონი, ფრიდა კალო ამბობდა, რომ ჩემს თავს ვხატავ სულ, რადგან ყველაზე უკეთ ჩემს თავს ვიცნობო. დაახლოებით ასეთი რამ მჭირს მეც. მე მგონია, რომ არც ერთი ადამიანი არ არის ისეთი განწყენებული სამყაროსგან, რომ ის, რასაც საკუთარი თავიდან გამომდინარე წერს, არ ეხებოდეს სხვებსაც“. სალომე ბენიძე ვერ წერს ლექსებს გამოგონილ ამბებზე. ამიტომ როცა ამბები ნაკლებია, ლექსებიც ცოტავედება. როცა პირიქით – წიგნადაც მალე იკვრება.

„წერა ჩემთვის არის ის, რასაც ყველაზე ძალიან ვინახავ ჩემთვის, დიდად არ მიყვარს ჩემს ლექსებზე ლაპარაკი, ყოველთვის მეუხერხულება. ვერ ვიტყვი, რომ წერა ჩემთვის ჭამასავით ჩვეულებრივი, ყოველდღიური რამეა. არა. ასე არ არის. წერა ჩემთვის ორგანულია, მაგრამ თუ არ იარსებებს, მის გარეშეც ვიცხოვრებ. ზუსტად ეს არის მიზეზი, რომ ლიტერატურა არც ყოფილა და არც იქნება ჩემი ძირითადი საქმიანობა. მირჩევნია, რომ ცხოვრება იყოს ჩემი ცხოვრება, ლიტერატურა კი იყოს ქარის შიგნითა მხარე, რომელიც რჩება მშრალი წვიმაში“.

წერაზე მეტად რა გიყვარს მეთქი, ვეკითხები. და ისევ ლიტვაში მიქრის სალომეს ფიქრები. კონკრეტულად კი ვილნიუსის ერთი უბნის ერთ პატარა კაფეში, მდინარის პირას. აი, იმ კაფეში ყავის დალევა – მეუბნება.

ეს ამოჩემებული ლიტვა

მეც მჯერა, რომ ადამიანებს და ქალაქებს ხშირად აერთებთ ხოლმე რაღაც მაგიური ძალა. და რომ დედამიწაზე შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ერთი ქალაქი, რომელიც სულ გენატრება. და რადგან მჯერა, არც სალომე ბენიძის სიყვარულის მიკვირს ლიტვისა და ვილნიუსის მიმართ. 19 წლის იყო, როდესაც სტუდენტთა გაცვლითი პროგრამით ვილნიუსის უნივერსიტეტში წავიდა სასწავლებლად. პოლიტიკური მეცნიერებები უნდა შეესწავლა. ეს მისი პირველი წასვლა იყო ქვეყნიდან. დამოუკიდებლობის პირველი ტალღა. მოგზაურობა, რომელიც ბალტიისპირეთის ამ ქვეყნის



შემდეგ იყო საბერძნეთი, სალონიკი, ერაზმუსის სტიპენდია. მაგისტრატურა – პიარის სპეციალობაზე. თუმცა იქ გატარებული წელიწადნახევარი ლიტვის ერთ სემესტრს ვერც შეედრება. არა, საბერძნეთი არ არის სალომე ბენიძის ქვეყანა. ტურისტად რომ წავსულიყავი, ალბათ, უფრო შემოიყვარებოდაო, ამბობს:

„შესაძლოა, იმის ბრალია, რომ ბერძნული ცხოვრების წესი, ხასიათი, ხალხის ცხოვრების სტილი ჩემი აზრით, ძალიან ჰგავს ქართულს, ძალიან ქოტურია, სულ გაფიცვაა, სულ დასვენება და ა.შ. კი, აკროპოლისზე ასვლა მართლაც ფანტასტიკური შეგრძნებებს უკავშირდება, ფორთოხლის სურნელი და ზღვის სანაპიროც გსიამოვნებს, მაგრამ როცა იქ წელიწადნახევარი ცხოვრობ და სალონიკის ზამთრის ქარიც შენი ცხოვრების ნაწილია, მაშინ... ეს უკვე ჩემთვის აღარ იყო კარგი“.

რჩეულები

მეც, როგორც ყველას – ასე იწყებს სალომე თავისი საყვარელი ავტორების ჩამოთვლას. უყვარდა გურამ დოჩანაშვილი და პაოლო იაშვილის დარიანული ციკლი. თუმცა ამ უკანასკნელის შემთხვევაში სჯეროდა, რომ ეს ლექსები ქალის დაწერილი იყო. თუ დღეს ჰკითხავთ, ვინ არის მისი საყვარელი ქალი პოეტი, ის გიპასუხებთ, რომ ელენე დარიანი.

ცოტა მოგვიანებით მის ცხოვრებაში სილვია პლათი შეიჭრა. ჯერ ძალიან დაუკითხავად და მძლავრად, შემდეგ ეს დამოკიდებულება ოდნავ შესუსტდა, ბოლოს კი, როდესაც სალომემ სილვიას ცნობილი პლაჟის ფოტოები ნახა, მიხვდა, რომ ისიც ჩვეულებრივი გოგო იყო და უბრალოდ დაუმეგობრდა. სხვა, დიდი ლიტერატურული სიყვარულებიც ჰყავს:

„მილორად პავიჩი. განსაკუთრებით კი მისი „უკანასკნელი სიყვარული კონსტანტინოპოლში“. ბედნიერი ვარ, რომ მისი წიგნი „უნიკალური ეგზემპლარი“ მე ვთარგმნე. ეს არის ჩემი შიშების წიგნი, წიგნი იმაზე, რომ ყველა ადამიანი შეიძლება გახდეს მკვლელი, თუკი მას სუსტ ადგილს მოუძებნი. და როცა დიდ სიყვარულებზე ვლაპარაკობ, აუცილებლად უნდა ვახსენო სალმან რუშიდი. რა აერთიანებთ ჩემთვის ამ მწერლებს? ალბათ, მისტიკა“.

პავიჩი რადგანაც ვახსენეთ, სწორედ მის სახელს უკავშირდება სალომეს ოცნების მოგზაურობაც – იმ ქალაქების გზის გავლა, რომლებიც პავიჩის წიგნებშია ნახსენები. ეს მოგზაურობა, ალბათ, სტამბოლიდან დაიწყება. ბოდიში, კონსტანტინოპოლიდან.

მისი „უნიკალური ეგზემპლარი“

ასეთს ჯერ არ შეხვედრია. თუმცა დღეს უკვე ზუსტად იცის, რა უნდა აერთიანდებდეს მასთან – თანამოაზრობა: „შესაძლოა ჩემსავით ლიტერატურა არ უყვარდეს, მაგრამ უნდა ესმოდეს, მე რას ვაკეთებ. არც იმას ვამბობ, რომ ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ადვოკატობით უნდა იყოს დაკავებული, მაგრამ ესმოდეს ამის მნიშვნელობა, ის ფუნდამენტური ღირებულებები, რაც მე მაქვს, მასაც უნდა ჰქონდეს.“

მიმართ მართლა მარადიული სიყვარულით დასრულდა:

„ლიტვა არის ძალიან მაგარი ქვეყანა, სადაც ადამიანები არ არიან ჭანჭიკები. ეს არის ქვეყანა, რომელიც არსებობს ადამიანებისთვის. ვსწავლობდი ბევრი სხვა ქვეყნიდან ჩასულ სტუდენტებთან ერთად, თუმცა ჩემი მეგობრები ძირითადად გერმანელები იყვნენ. რომ მკითხო, რა ქნა ასეთი ამ ქვეყანამ, გიპასუხებ – ლიტვამ მომცა საკუთარი თავი. მან შემქმნა ისეთი, როგორც ვარ. ასეთი სალომე, რომელმაც იცის, რა უნდა, შეუძლია ბევრი რამ გააკეთოს იმისთვის, რაც უნდა და რომელიც, ვფიქრობ, რომ დღეს არის თვითმყოფადი ადამიანი. ჩემი გოგოები ამბობენ ხოლმე, გვიყვარს ის დღე, როცა ლიტვაში წახვედი, რადგან გაცვილებით უკეთესი ადამიანი დაბრუნდიო. ლიტვამ მომცა მეგობრები, რომლებიც შეიძლება ვერ ვნახო წლიდან წლამდე, მაგრამ არიან ჩემი საიმედო ადამიანები, რომლებთან ერთადაც, როცა დავბერდები, შორტებით უნდა ვიმოგზაურო. პირველ რიგში ამიტომ მინდა საქართველოს ევროპასთან უფიზო მიმოსვლა ელეროს, რომ თავისუფლად ვიაროთ ერთმანეთთან. ლიტვა დღემდე რჩება ერთადერთ ქვეყნად, სადაც არასოდეს მანუხებს, როგორი ამინდი იქნება. შესაძლოა წინა ცხოვრებაში იქაური ვიყავი? არ ვიცი“.

ჰომოფობს, ქსენოფობს და სექსისტს ნამდვილად ვერ შევეგუები“.

ფემინისტი სალომე

„მე სულ მგონია, რომ ყოველთვის ფემინისტი ვიყავი. ჩემთვის ფემინიზმი არის თანასწორობა და თუ ჩემს მეგობარ ბიჭებს ოდესმე რაღაც აგდებულად უთქვამთ ფემინიზმზე, მე სულ ვუბრუნებ კითხვას – გვერა თუ არა, რომ არჩევნებზე ორივე უნდა წავიდეთ? ამბობენ, რომ კი, მაშინ მე ვპასუხობ, რომ სწორედ ეს არის ფემინისტი და გამოდის, შენც ფემინისტი ხარ მეთქი“.

სალომე – სალომეს

ბოლოს და ბოლოს, რა უნდა სალომეს? ესეც შეკითხვა საკუთარ თავთან. მაგრამ სალომეს სალომესთვის კითხვაზე მეტად ერთი სათქმელი აქვს, რაც ნელ-ნელა და წლების განმავლობაში დაგროვდა. ჩამოყალიბდა.

„ჩემს ცხოვრებაში იმდენი რთული პერიოდი ყოფილა, იმდენი... და როცა ადამიანებს ჰგონიათ, რომ მარტო კაბებზე ვფიქრობ და წინ და უკან დავდივარ და არაფერი მანაღვლებს, ალბათ ყველაზე დიდი ტყუილია, რაც კი შეიძლება ჩემ შესახებ ადამიანმა შეიძლება მოიფიქროს. დღეს მე ვეუბნები სალომეს, რომ ყველაფერი, რაც მაქვს, მარტო ჩემი დამსახურებაა, მარტივი არ ყოფილა. ჯერ მხოლოდ 28 წლის ვარ. ჩემი მეგობრები მეუბნებიან, შენ არაფერი მოგერევაო. ასეც მინდა იყოს, არაფერი მომერიოს მომავალშიც, დღემდე მგონია, რომ ყველაფრიდან შემოიძლია ადგომა და ეგ მგონია კიდევ ჩემი მთავარი თვისება. თუმცა, ალბათ, იმ რამდენიმე ადამიანის გარეშე, ვიზეც ბევრი ვილაპარაკე, ძალიან გამიჭირდებოდა ამის გაკეთება. მინდა, რომ ყოველთვის, როცა წამოსადგომად მექნება საქმე, ის რამდენიმე ადამიანი ყოველთვის ჩემ გვერდით იყოს“.

რამდენიმე დამატებითი შტრიხი

მისი ბოლო წიგნი „ამბავი უძინართა“ (რომელიც ისევე, როგორც პირველი კრებული, გამოცემლობა „ინტელექტმა“ გამოსცა) თითქმის მთლიანად პია ცოლას მუსიკის ფონზე დაინერა.

აკვირებულად უყვარს ყვითელი ფერი ბავშვობიდან და თუ ვინმე გაიხსენებს პატარა



გოგოს, რომელიც გაუჩერებლად ტირის იმის გამო, რომ მისი საყვარელი ატრაქციონის ყვითელ ცხენზე სხვა ბავშვი ზის, ეს სალომეა. სხვა საქანელაზე ის არ დაჯდება.

მისი მთავარი შიში მარტო დარჩენის შიშია. ამ შიშის ფონზე სიბნელის, ჩაკეტილი სივრცის, მანქანის მართვის, ფრენის თუ ცურვის შიშები არ ითვლება. მითუმეტეს, რომ ცურვაც ისწავლა, მანქანის ტარებაც, ფრენით ხომ სულ დაფრინავს და სიბნელეში ჯდომის ავტოტრენინგიც ჩაუტარა საკუთარ თავს. მარტო რომ არ დარჩება – ამაში ვერავინ გადამარწმუნებს.

და კიდევ კაბები. ერთი დღის, ერთი ამბის, ერთი ისტორიის კაბები, რომლებიც თავგადასავლებს იმახსოვრებენ – სალომესთვის ტანსაცმელი თვითგამოხატვის საშუალებაა და როგორც ამბობს, მასაც ზუსტად ისევე უხარია ყველა ახალი კაბა, როგორც პატარა ბავშვს დიდი ფერადი ნაყინი. მუზეუმები არ უყვარს. მოგზაურობისას მთავარია ქუჩები და ადამიანები.

P.S. „ბათუმის ამბავიც ჩამიკვებე სადმე, მეუბნება. ბათუმი არ უნდა გამომრჩეს. იქ სალომეს კიდევ ერთი მეგობარი ეგულება, შუალამით კარის გამლები მაიკო, სალომეს დარდების შემგროვებელი:

„იცი, ბათუმი როგორი ქალაქია ჩემთვის? ერთი პატარა ჩემოდანი მაქვს, რომელსაც კონტინენტები ახატია. როცა ძალიან ცუდ ხასიათზე ვარ, ამ კონტინენტებიან ჩემოდანში ვალაგებ ნივთებს და მივდივარ ბათუმში. მგონია ხოლმე, რომ ამ ჩემოდანში დედამინის სამყოფი სანერვიულო მაქვს ჩალაგებული. ამ ბარგით მივადგები ხოლმე მაიკოს შუალამით, ის კი კარს მიღებს. რამდენიმე დღეში კი უკან თითქოს ახალი ადამიანები ვბრუნდები“.

გამორიცხული არაფერია. ერთ დღეს სალომე ბენიძე შეიძლება ამ ქალაქში საცხოვრებლადაც გადაბარგდეს. იმედია, იმ თავის კონტინენტებიან ჩემოდანსაც თან წაიღებს.

P.P.S. მორჩა. წერას მოვრჩი და მგონი გათენდა. აღარასოდეს მოვუსმენ მე მგონი პია ცოლას. შენი იყოს, სალომე ბენიძე. ძილი ნებისა.

სალომე ბენიძე

ნოემბერი. კაფე „მარლიტა“

როცა ასეთი მარტოობაა,
მე შემიდლია,
უშენოდ ვიჯდე მყუდრო კაფეში,
უხმაუროდ დავყურებდე საკუთარ ხელებს
და ვიცოდე –
სანთლის უბრალო ნალენთებია ჩემი მხრები,
სხვა არაფერი.
მე შემიდლია,
ვიყო ყველაზე შეუმჩნეველი,
როცა ასეთი მარტოობაა.

როცა ასეთი მდუმარებაა,
მე შემიდლია,
არ მესმოდეს შენი ფეხის ხმა,
არ მესმოდეს შენი სიტყვები,
არც ქარის სუნთქვა გავიგო
და არც ზამთრის ფრთხილი ნაბიჯი,
ისე ვიცხოვრო.
მე შემიდლია,
დავიჯერო შენი არარსებობა,
როცა ასეთი მდუმარებაა.

როცა ასეთი ნოემბერია,
მე შემიდლია,
მეგონოს, რომ არ დავიბადე,
არც მახსოვდე, ისე მიყვარდე
და აღარაფერს არ ნიშნავდე
შენი ნასვლა,
შენი დარჩენა.
მე შემიდლია,
მეგონოს, რომ აღარ არსებობ,
როცა ასეთი ნოემბერია.

როცა ასეთი უშენობაა,
მე შემიდლია,
მარტო ვიჯდე მყუდრო კაფეში,
თვალდახუჭული დავყურებდე საკუთარ ხელებს –
სანთლის ნაყოფებს,
შენზე სიტყვას აღარ ვამბობდე,
ვფიქრობდე მხოლოდ ჩრდილოეთის ღამეებზე
და დღეებზე, რომლებიც არ დადგა.
მე შემიდლია,
გავიხსენო საკუთარი თავიც,
როცა ასეთი უშენობაა.



* * *

მომეცი შენი მკლავები,
ცოტა დავისვენო.
ჰაერში ვწევარ.
ჰაერი მაცვია.
ჰაერი არ მყოფნის.

მომეცი ერთი წვეთი წყალი,
ერთი ხელისგული გზა
და ერთი თვალის დახამხამება ძილი,
სიყვარულს ნუ მომცემ,
ჰაერი ისედაც არ მყოფნის,
ხომ გითხარი.

მომეცი ჩემი დარჩენილი ცხოვრება,
ისე ვატარებ, როგორც მე მინდა,
მინდა – ვათრევ,
მინდა – ვაფრენ,
მინდა – გადავადგებ,
მომეცი, თორემ საკუთარი თავიც არ მყოფნის,
ჰაერთან ერთად.

მომეცი შენკენ მომზირალი
ჩემი დაღლილი თვალები,
სხვა ყველაფერი შენთვის დაიტოვე,
რომ აღარასდროს მოგენატრო,
რადგან შენი მონატრება
ახლა ერთი დიდი სისასტიკეა,
მეტი არაფერი.

მომეცი შენი მკლავები,
ცოტა დავისვენო.
ჰაერში ვწევარ.
ჰაერი მაცვია.
ჰაერი არ მყოფნის.

* * *

ყოველ ღამით,
როცა ოთხად მოკეცილი საბანს ვიფარებ,
არ მაძინებს დარდი,
დარდი უსწორმასწოროდ გაფენილ სარეცხზე.

კიდევ კარგი, ვერ ხედავს დედაჩემი,
კიდევ კარგი, კილომეტრები გვაშორებს და ვერ ხედავს,
გული ეტკინებოდა –
ვერ გამოვადექი,
ვერ ვივარგე ოჯახისთვის,
ვინმეს გვერდით საცხოვრებლადაც ვერ ვივარგე.
არსებობს ასეთი სირცხვილები,
რომლებსაც მხოლოდ დედები ჭამენ,
დედები, რომლებმაც სათავისოდ ვერ გაზარდეს გოგოები,
დედები, რომლებმაც ქალის საქმე ვერ ასწავლეს გოგოებს,
ვერ მოამზადეს ცხოვრებისთვის,
ვერ მოამზადეს ქვეყნისთვის,
ქვეყნისთვის, რომელიც ცხელი კერძების სუნს დაყვება აღმა-დაღმა,
გამოგვიღ იატაკს ნერწყვით დასველებული თითით ამონმებს
და არაფერი აინტერესებს შენზე.

კიდევ კარგი, ვერ ხედავს ჩემი დედამთილი,
უფრო სწორად, კიდევ კარგი, დედამთილი საერთოდ არ მყავს.
მასაც გული ეტკინებოდა –
მეზობლებში ვერ მოინონებდა თავს
ვერც რძლის მომზადებული სადილით,
ვერც მისი გახამებული თეთრეულით,
ვერც მისი სიმაღლით, ტან-ფეხით და გავლა-გამოვლით,
ვერ იტყოდა, რომ ანგელოზივით გოგო ვარ,
ვერ იტყოდა, რომ გადასარევად ვუკრავ ფორტეპიანოზე,
ვერ იტყოდა, რომ საოცრად მიხდება პომადა და თვალის ფანქარი,
რადგან არც ერთი გამაჩნია და არც მეორე.
მსგავსს ვერაფერს იტყოდა.
დანარჩენს რა მნიშვნელობა აქვს,
დანარჩენს მეზობლები ვერ ხედავენ.

კიდევ კარგი, ჩემკენ საერთოდ აღარ იხედები,
კიდევ კარგი, ხან მთელი დედამინა გვაშორებს,
ხან კი მხოლოდ ჩემი სიყვარული და შენი უსიყვარულობა.
შენც გული გეტკინებოდა,
როცა გეტყოდი, რომ ვერ გაპატიებ,
როცა გეტყოდი, რომ აღარ შემიძლია,
როცა გეტყოდი, რომ ვნერდი და შარვალი ვერ დაგიუთოვე,
ვერც სადილი მოვამზადე,
მხოლოდ ყავა და შაქარია სამზარეულოში და შეგიძლია,
ჭიქაში თვითონ ჩაიყარო.
ყველაზე მეტად კი მაშინ გეტკინებოდა გული,
როცა მიხვდებოდი,
რომ ჩემსავით არავის უყვარხარ,
მაგრამ ცხელი ჩახოხბილი მაინც მთავარია.

კიდევ კარგი,
საერთოდ აღარ იხედები ჩემკენ.

* * *

არავინ მითხრა,
სად მთავრდება ჩემი ზღვა და სად იწყება შენი,
ომის შვილებს არ გვყოლია მასწავლებლები –
ისინი ოდესღაც, ომამადე დაიხოცნენ.
ჩვენ ცოტა ხანს გვეძინა მათი თბილი ცხედრების გვერდით
და როცა კანის სიცივე ვიგრძენით,
გამოვფხიზლდით,
თვალები მინით ავივსეთ,
ჯიბეები – წყლით.
ერთმანეთისთვის სიტყვაც არ გვითქვამს,
გზას დავადექით.
და როცა მინა ცრემლმა მკერდთან ჩამოიტანა,
და წყალიც წაგვსკდა დახვრეტილი ჯიბეებიდან,
მოვიხედეთ უკან და ველარაფერი ვიკითხეთ.
არავინ მითხრა,
რომელ სანაპიროზე გამოირიყა ზღვამ
ადამიანთა ლემით გამსკდარი
უფრო მეტი მკვდარი თევზი,
ჩემთან თუ შენთან,
სად ეძებდნენ უფრო დიდხანს სანგრებში ჩარჩენილ მიცვალებულებს,
ვისი სახლი უფრო დიდხანს იწვოდა,
ვისი ცრემლი უფრო მწარე იყო
და ვისი სისხლი – უფრო ნითელი.
არავინ არაფერი მითხრა,
მეც ასე, ჩუმად ვზივარ და გიყურებ.
იცი, შენ ჩემი ბავშვობის მეგობრის სახელი გქვია,
მე ის დავიწყებულ სანაპიროებზე მეტად მიყვარს,
მას აპრილივით მწვანე თვალები აქვს
და მზესავით თბილი ხელები.
გიყურებ და არ შემიძლია, მძულდე.
თქვი, რა ერქვა შენს ბავშვობის მეგობარს,
იქნებ ჩემი სახელი ერქვა,
იქნებ რალაცით ვგავარ კიდეც.
თქვი, როგორი სუნი აქვს ჩემი ეზოს ბალახს ნაწვიმარზე
და როგორ დადის მსხლების ჩრდილში ბებიჩემის ლანდი.
თქვი, როგორ გუგუნებს სახლის კედლებში ექოდ
ჩემი ბავშვობის სიცილი,
რომელიც არ მახსოვს.
თქვი, როგორ არის მამაჩემი,
ქვის საბანი ხომ არ გადასძვრა,
წვიმებმა ხომ არ დაუსველეს ხავსის საწოლი,
მომიყევი, როგორ დგება ყოველ დილით დანაოჭებული მინიდან
და ჰაერს მტვერით ეპოტინება –
იქნებ თვითონ მაინც მოაღწიოს ჩემამდე.
თქვი, როგორაა მამაჩემი,
თქვი და მოგისმენ,
მერე კი დაფლეთილი აფრებივით დავუშვებ ქუთუთოებს
და ცრემლს გავატან
თვალებში ჩარჩენილ უკანასკნელ მინას.

კრეპულზე „ამბავი უძინართა“

[...] წინა თაობამ ბევრი წერა საკუთარ თავზე, საკუთარ „90-იანებზე“, ჩვენ კი ჩვენს „90-იანებსა“ და რეალობაზე ვწერთ – მასზე არდაწერა წარმოუდგენელია. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენმა თაობამ ეს ათწლეული სულ სხვა კუთხიდან დაინახა და წარმოაჩინა, სხვაგვარად იმიტომ, რომ დაახლოებით იმ მდგომარეობაში აღმოჩნდა, გაგანია ომში შენდაუნებურად ზურგში რომ აღმოჩნდები, მაგრამ იმაზე ბევრად მეტი გხვდება, ვიდრე იმას, ვინც ფრონტის წინა ხაზზე დგას.

ყველაფრის მიუხედავად, მეორე მსოფლიო ომის მძიმე შედეგებითა და ფაშიზმით დამძიმებული გერმანელი 60-იანი წლების ე.წ. „უმაღო თაობისგან“ განსხვავებით, ჩვენს თაობას მამები არასდროს უმხელია, არც დაუდანაშაულებია...

[...] მამებს თანავუგრძნობლით, მივტიროდით, იმიტომ, რომ ზოგჯერ არაცნობიერ დონეზე, მაგრამ მაინც ვგრძნობდით – ერთი ტრაგედიის ორ განმტოებას, ვილაცის მიერ უნიჭოდ დანერვილი ერთი მოთხრობის ორ სხვადასხვა, მაგრამ თითქმის იდენტურ ფინალს წარმოავდგენდით.

ორი თაობის გამაერთიანებელმა ტრაგედიამ კულმინაციას მაშინ მიაღწია, როცა „წარუმატებელი“, პროფესიულ-ჩამორთმეული მშობლების „წარმატებულ შვილებად“ ვიქცით, რაც იმას ნიშნავდა, რომ ბედნიერების ძეგლი იქ დავიწყეთ, სადაც მისი პოვნის ყველაზე ნაკლები შანსი იყო.

სალომე ბენიძის მეორე პოეტურ კრებულში „ამბავი უძინართა“ შესული თითქმის ყველა ლირიკული ლექსი, მასში ჩართული პატარა სიუჟეტის, ან სიუჟეტური ჩანასახის დახმარებით, სწორედ ამ ტრაგიკულ ამბებს აცოცხლებს, ყველა „2000-იანელს“ რომ აერთიანებს, ამიტომაც, ცალმხრივი სიყვარულისთვის მიძღვნილი, ავტორის სუბიექტურ ტკივილსა და განცდებზე აგებული სტრიქონებისა და სტროფების მიღმა მთელი თაობის სატკივარი და სათქმელი იკითხება, თაობისა, რომელსაც ყველაზე ხშირად გულგრილობასა და ზედაპირულობაში ადანაშაულებენ, სინამდვილეში კი, მისი მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ზედმეტი გულწრფელობაა – „უაღრესად პირადულ და ტაბუებით სავსე თემებზე“ აქცენტირება.

[...] სალომე ბენიძის ლექსების ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი მამა – კონკრეტულიც და განზოგადებულიც, მითოსურსა და ვექტორულ დროში ერთდროულად რომ ცხოვრობს, არქტიპულიცაა და კონკრეტული სუბიექტიცაა ნაგულისხმევი და რაც ყველაზე საინტერესოა, ასე ძალიან ჰგავს ყველა ჩვენგანის მამას – მითოსური და რეალური სამყაროს გასაყარზე – ცხადსა და წარმოსახვას შორის სივრცეში რომ ცხოვრობს და ისეთი კი არ არის, როგორც სინამდვილეში შეიძლება ბოდა ყოფილიყო, ზუსტად ისეთია, როგორც გვინდა, რომ იყოს და როგორც ყველაზე მეტად გვჭირდება...

[...] მითოსური მამა შვილისგან ისეთ სიყვარულს ითხოვს, სიკვდილამდე რომ გასტანს, ამიტომაცაა თითქმის ყველა ლექსი სიყვარულზე და მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, მათ კონკრეტული ადრესატი ჰყავთ, მთავარი ის კი არის, ვისაც ლექსები ეძღვნება, მთავარი უშუალოდ გრძნობაა – ასე ხმამაღალი და ძლიერი, დამღვლილი და დაუნდობელი, მეტყველი და დამანგრეველი, ჯადოსნურ ზღაპრებში აღწერილი და რეალურად განცდილი გრძნობის

ერთგვარ სინთეზს რომ წარმოადგენს და, პირველ რიგში, სწორედ საკუთარი გულწრფელობით ახდენს ზემოქმედებას მკითხველზე... ან როგორ შეიძლება არ დაგამახსოვრდეს ფერად-ფერადი კაბებით სავსე გარდერობი, კუბოს რომ ჰგავს, რომელშიც ჩვენი თაობის ყველაზე დიდი და ფარული ოცნება – სიყვარულია გამომწყვდეული?!

თანამედროვე დესტრუქციულ ეპოქაში, როცა აქტუალური ყველაფრის დეკონსტრუქციაა, მამა-შვილის კონცეპტის ასეთი პოზიტიური გადაწყვეტა და გაახრება მისასაღებელია. ამ შემთხვევაში მთავარი ისაა, რომ შვილი მამის, ისევე, როგორც ანწყო წარსულის გარეშე არ არსებობს. ისინი ერთი მთლიანის ორ განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და უმთავრესი მათ ურთიერთობაში ერთ-ერთის მხრიდან მეორისთვის განვდილი ხელია, რომელშიც სიყვარული თავისთავად იგულისხმება...

სოფო წულაია

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ ბევრი რამ გააადვილა ლინგვისტური კვლევების პროცესისათვის. მაგალითად, თუ ადრე, რომელიმე მსცოვანი ენათმეცნიერი რომელიმე სიტყვის გამოყენების რომელიმე კონტექსტის სიხშირის გასარკვევად საათობით უჯდა რომელიმე ტექსტს და ითვლიდა და ითვლიდა სიტყვებს, დღეს ამას ჩვენი არსობის კომპიუტერისათვის მიცემული ერთი ბრძანებით მოვახერხებთ.

სალომე ბენიძის ლექსების კრებულში სიტყვები არ დამითვლია, თუმცა, ზუსტად ვიცი, რომ დავთვალო, ყველაზე მეტი პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელი გამოვა.

ხოდა, ამიტომ სხვაგვარ ლინგვისტიკაზე მინდა მოვიყვებ, სულ სხვა ენაზე, სადაც სულაც არაა საჭირო ათასობით სიტყვა, ზმნა, ზმნის დრო, გრამატიკული სტრუქტურა თუ სინტაქსური კონსტრუქცია, სადაც არც უღლებია საჭირო და არც ბრუნება, სადაც ენობრივი სისტემის ცენტრში ორი ნაცვალსახელია – შენ და მე – იშვიათი გაერთიანებისა და „ჩვენ“ ნაცვალსახელად წარმოადგენის პერსპექტივით.

ენა მრავალი არსებობს – მრავალგვარი ხედვითა და წარმოდგენით, მრავალგვარი მუსიკითა და ფონეტიკით – ისეთი, სადაც თანხმოვანი სულ ათამდეა, და ისეთიც, სადაც ოთხმოცზე მეტი თანხმოვანია, ისეთი, სადაც დიალექტები ფერებად იყოფა, ისეთიც, რომელიც მხოლოდ ორ ფერს განარჩევს, ისეთი არსებობს, რომელშიც ყველა ადამიანი – ცალკე დიალექტია.

[...] ამ ნიგნში თქვენ კიდევ ერთ ენას გაცნობთ – სალომე ბენიძის ნაცვალსახელოვან ენას, სადაც კომუნიკაციის მთავარი საშუალება უძილო ლამეთა დიალოგებია – შესანიშნავი, დახვეწილი, კარგი პოეზია.

ხოდა, შედით ამ ენის სამყაროში, ამეტყველდით ამ ენაზე, სწორედ თქვენ, მკითხველებს, შეგიძლიათ, მკვდარი ენები გააცოცხლოთ, ცოცხალი კი – თქვენი კომუნიკაციის საშუალებად გახადოთ, მით უმეტეს, რომ ამ ნიგნში ყველაზე ძვირფასი და უნიკალური – სიყვარულის ლინგვისტიკა დაგხვდებათ.

ეფი

სალომე ბენიძე

„ძვირფასო დედა,

ვერ იქნა და ვერ გამოიძარა. წლევანდელი გაზაფხული ისეთივე უმონყალოა, როგორიც ბაბუა იყო ბებიას მიმართ ქორწინების პირველ წლებში, სანამ მეზობლის ხელიდან გაქცეული ხერხი მუხლებში გადაჭრიდა და ლოგინად ჩავარდებოდა. სიყვარულის რა მოგახსენო, ბაბუაჩემი მათ რიცხვს განეკუთვნებოდა, ვისაც სხვა ადამიანები მხოლოდ საკუთარ თავთან მიმართებაში უყვარს, ან, უფრო მარტივად რომ ვთქვა, სჭირდება. ასე იყო თუ ისე, წვივების გარეშე დარჩენილ ბაბუას, როგორც ჩანს, აღარ ჰქონდა ცოლის ცემის თავი. მე რომ ბებიაჩემის ადგილას ვყოფილიყავი, სასტუმრო ოთახის განჯინიდან გადაპრანჭულ ჭიქებს გამოვალაგებდი და მეზობლის ხერხს გამოვდებდი მადლიერების ნიშნად, მაგრამ ბებიას თაობის ქალებს ჩვენს ქალაქში რალაც დაუნერვლი კოდექსით ეკრძალებოდათ საკუთარი გრძნობებისა და დამოკიდებულებების გამოაშკარავება. ვერც დალურჯებული ბებიაჩემი გაამხელდა, რომ ხერხმა მარადიული დამცირებისგან იხსნა.

რას ვამბობდი – გადაუღებლად წვიმს და ისე ცივა, რომ ქალაქმა ატმის ყვავილობა გამოტოვა და დასავლეთის კარიბჭის ტბაში მხოლოდ გულდახურულმა შროშანებმა წამოყვეს თავი, ჩვენი ბაღის ტირიფს შადრევანივით სდის წყალი ფოთლებიდან. სალამოობით ღუმელს ვანთებ და შალის წინდებს ვიცვამ. მარტოობა სასჯელია, რომელიც მუდამ გაყინული ფეხებით უნდა მოიხადო. არჩევანი არ არსებობს. ან არავინ გყავს და სასტიკი გაზაფხული გაშინებს, ან ამინდს სხვასთან ინანილებ და წელიწადის დროები არ გენაღვლებია.

საკუთარ თავს შინაპატიმრობა გამოვუწერე. სანამ წვიმა გადაივლის და დასავლეთიდან შროშანების სიმღერა გაისმება, ყოველ საღამოს დაეუკრავ „აპრილის ზღვის სონატას“, რომელსაც ბებია უკრავდა სალამოობით, როცა მაქმანების ქარგვას და ჩაის ჭიქების გაპრიანებას მორჩებოდა. ქმრის გარდაცვალებიდან

შვიდი წლის თავზე გაუბედავს პირველად ნოტების გახსენება მამას ძალიან უხაროდა, თურმე.

ნეტავ, შენ და ბებია როგორ იცხოვრებდით ერთად?“

* * *

ეფის გამხდარი ფეხები ჰქონდა, ისეთი გამხდარი, რომ ყოველთვის, როცა თავის დათბილულ ჩექმებს ნელი მოძრაობით იხდიდა, შიშველი ტერფებით იატაკს ეხებოდა და წელში იმართებოდა, თეოდორს ესმოდა ქალაქის ბოლოს, ტბის ნაპირას ამონვერილი, ქარის მიმართულებით გვირგვინებგადახრილი შროშანების სიმღერა.

სალამოობით ეფი ფანჯრის რაფაზე ჯდებოდა და ჰაერში მოქანავე ფეხებს ღუმელს უშვებდა. ამ დროს ის ჰგავდა ფარვანას, რომელიც გაპარტახებული სახლის ჭერში გამოკიდებულ ერთადერთ ნათურას ეთამაშება და თეოდორს არაფერი უნდოდა, გარდა იმისა, რომ ეს თავისი სანთელივით გამჭვირვალე ფეხები თავისი სხეულის სიმხურვალით დაედნო.

ეფის არასოდეს უფიქრია, რომ ოდესმე სიკეთის გამო შეუყვარდებოდა კაცი. მანამდე სხვანაირი კაცები ჰყავდა, ისეთები, სახლში შემოსულებს პატივმოყვარეობის და გაუმაძღრობის სუნი რომ მოჰყვებოდათ. თეოდორი არავის ჰგავდა. სიკეთის ხაზები გასდევდა თვალებს შორის და გავარვარებული საფეთქლებიდან ისე ისმოდა მისი გულის ხმაური, როცა თეოდორი ქუჩაში მიდიოდა, ეფი ფანჯრებს ხურავდა, რომ შემთხვევით ფეხი არ წასცდენოდა გარეთ და კისერზე არ ჩამოკიდებოდა პატარა ბავშვივით.

ერთხელ ეფის თეოდორი დაესიზმრა. მაშინ, თეოდორს, ამბობდნენ, რომ უყვარდა კატარინა, ცოლი, რომლის გამოც სამშობლო მიატოვა და ტბების ქალაქში გადმოსახლდა. ეფის ორჯერ ჰყავდა ნანახი ის, დაბალწვერიანი კაცი, ყველაზე კეთილი, ჭაობისფერი თვალებით, ორჯერ ჰყავდა ნანახი და ისე უყვარდა, ვერაფრით მოახერხებდა, თავის სიზმრებში არ გამოეკეტა. დაესიზმრა, როგორ ედო თავი თეოდორს მის მკერდზე და სახლში თბილოდა. ეფი იწვა და არაფერი ეფარა, თეოდორის სხეულის გარდა. ეს სიზმარიც შეუყვარდა, გაღვიძებულმა ხელის მტევენებს შორის მოიქცია და იქ დამალა, სადაც სიცოცხლის ხაზი მკრთალდებოდა და ქრებოდა. საღამოს ტბასთან მივიდა და სიზმარი ლელქაშში დათესა.

თეოდორი ზღვით მოვიდა. გემს მოჰყვა, რომელსაც ლურჯ იალქნებზე ყვითელი ნარცისები ჰქონდა ამოქარგული. არავინ იცოდა, რა ერქვა თეოდორის მშობლიურ ქალაქს, ან როგორი იყო მისი ცხოვრება, სანამ მდინარეზე ნავებით დაშვებისას კატარინას შეხვდებოდა, ტბების ქალაქის სიამაყესა და სილამაზეს, ნაოსნობის ჩემპიონსა და მიზანში სროლის დიდოსტატს, მუდამ მოხდენილსა და დიდებულად ჩაცმულს. როცა კატარინა თეოდორის ნავს გაუსწორდა და უზარმაზარი, მარტში გაფოთილი ხეებივით ჭრელი თვალები შეანათა, ყველას გასაოცრად, თეოდორმა ნიჩბები დაუშვა და ფეხზე წამოდგა. მერე კი სწორედ იმ ზღვით იმოგზაურა, რომელშიც მათი შეხვედრის მდინარე ჩაედინებოდა და ახალი სახლი იშოვა ტბებთან, ტბებთან, რომლებიც დგანან და არსაით მიდიან.

როცა თეოდორმა მათ მიწას პირველად დაადგა ფეხი, ეფი პორტის განაპირას თევზაობდა. გაშლილი ბადე შიშველ ტანზე



ჰქონდა შემოხვეული და ელოდებოდა, როდის მოვიდოდნენ თევზები. ჩუმად მღეროდა ეფი, უცნობ წყლებში დაკარგულ თევზებზე მღეროდა, მარჯნის რიფების საძებნელად რომ დაიძრნენ და აღარ დაბრუნებულან, დედა თევზებზე მღეროდა, რომლებმაც შვილები შეჭამეს, რათა წყლის სიბინძურისგან გადაერჩინათ, მღეროდა შეჭმულ შვილებზე, რომლებიც ხელახლა იშენენ და ცხრა ზღვას იქით განდევნეს მშობლები.

თევზები თანდათან გროვდებოდნენ მის გარშემო, მაგრამ ეფის მათთვის აღარ ეცალა. სანაპიროზე მიაბიჯებდა კაცი, რომელსაც სიკეთის ნათელი მიჰყვებოდა უკან. ის სხვასთან მიდიოდა, ქალაქის ყველაზე ლამაზ კატარინასთან.

„ძვირფასო დედა,

მინდოდა, მეკითხა, შენი აზრით, რა არის სიყვარული. როგორი სუნი აქვს შენთვის სიყვარულს? როგორი სუნთქვა? როგორი თითები? მამა გიყვარდა? როგორ გიყურებდა, როცა სანგარში იწექით და მთვარე დაგნათობდათ? როგორ ერკალებოდა მხრები, როცა შენკენ იხრებოდა? რას ჰგავდა მისი შეხება – აგვისტოს ღამით ბალახში ძილს თუ გახურებულ ასფალტზე ყვავილების ამოსვლას? მინდა, ვიცოდე. ყველას უნდა, იცოდეს, სიყვარული, რომელმაც ქვეყანას მოავლინა, გალაქტიკასავით უსაზღვრო იყო თუ ადამიანივით პატარა.

რას გააკეთებდი, მამა სხვა ქალის ქმარი რომ ყოფილიყო, როცა შეხვდი? შეძლებდი მის დავინყებას? თუ ყველა ღმერთს მოუხმობდი, რომ ეხეტილა, თავშესაფარი ეძებნა, ქვიშით გავსებოდა თვალები, ნესტოებში წყალმცენარეების სიმყარაღე ჩაბოდებოდა და ბოლოს მაინც შენთან მოსულიყო?

მგონი, უცნაურ კითხვებს ვსვამ. ჩემი მეგობრები არ უყვებიან დედებს ასეთ რამეებს, მაგრამ ისინი თავიანთ დედებს იცნობენ, მათთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ, მე და შენ კი ერთმანეთს არასოდეს შევხვედრივართ. საკუთარ დედას რომ არ იცნობ, ხანდახან ესეც კარგი ყოფილა.“

მეორედ ეფიმ თეოდორი ქალაქის ზეიმზე ნახა კატარინასთან ერთად. ეფი სცენაზე, ყვავილებით მორთულ როიალთან იჯდა და ვალსს უკრავდა, როცა ცოლ-ქმარი დარბაზში შემოვიდა. კატარინა როიალთან გაჩერდა და დაელოდა, როდის მორჩებოდა ეფი დაკვრას. ეფის ხელები უკანკალებდა, უნდოდა, კატარინა გამქრალიყო, ის კი თეოდორისთვის დაუკრავდა, ყველაფერს დაუკრავდა, რაც იცოდა, რაც არ იცოდა, გამოიგონებდა და მაინც დაუკრავდა, ოღონდ თეოდორს მისთვის მოესმინა.

ეფი დაკვრას რომ მორჩა, კატარინა მისკენ დაიხარა და გაუღიმა.

– ადრეც ვყოფილვარ თქვენს კონცერტებზე. თქვენით მოხიბლული ვარ.

ეფი გაშრა. იგრძნო, როგორ ჩაუტყდა უკან დასაბრუნებელი ხიდი. ენა ძლივს მოაბრუნა:

– დიდი მადლობა. მეც აღტაცებული ვარ თქვენით. ჩვენში იმდენად იშვიათია არქიტექტორი ქალები... თქვენ კი სასწაულებს ახდენთ.

– არც ისეთს, როგორსაც თქვენ – ისევ გაუღიმა კატარინამ

– სასწაული თქვენი მუსიკაა. მადლობა ამისთვის.

ეფიმაც შეარხია ბაგეები. სახეზე ღიმილის მსგავსი რალაც გამოესახა. იატაკი ფეხქვეშ ეცლებოდა, თითებს ველარ გრძნობდა, ყელში ბურთი გაეჩხირა. რატომ მოვიდა ეს ქალი, რატომ გადაწყვიტა, რომ მისთვის კეთილი სიტყვები ეთქვა? ან თეოდორმა რატომ არ შემოხედა? ნუთუ მისთვის არაფერს ნიშნავდა ეფის მუსიკა?

სათევზაოდ ღამით წავიდა, წავიდა და თან ვიოლინო წაიყოლა, ჩადგა წყალში შიშველი, ბადეშემოხვეული და დაკვრა დაიწყო. მთვარის შუქით ევსებოდა თვალები და ძილში იძირებოდა. ფეხზე მდგომმა, ისე, რომ დაკვრა არ შეუნწყვეტია, სიზმარში თეოდორი ნახა. გაღვიძებლმა ეფიმ ბადე მოზიდა. არცერთი თევზი არ ჩანდა, სამაგიეროდ, სიზმრის წვეთები მოჰყვებოდა ძაფებს. ეფიმ ფეხით გაიარა ქალაქი, ბადისამარამ, ნახევრად მძინარემ, ხელში – ვიოლინოთი, კანზე – წყალმცენარეების სუნით და ტბის პირას მივიდა. ბებია ამწავლა, სად უნდა ჩაემარხა სიზმრები, რომელთა აღმოცენებაც უნდოდა. შელოცვაც ბებია დაუტოვა, ყვითელ, გასანთლულ ფურცელზე გაკრული ხელით ნაწერილი.

ბადე იქვე, ტბაში გადაადგო, შრომანებთან ახლოს. შინ შიშველი დაბრუნდა. უკვე თენდებოდა.

„არ ვიცი, მოუყოლია თუ არა შენთვის მამას, რომ იმ დღეს, როცა ბებია თორმეტი წლის გახდა, ტბების ქალაქში ომი დაიწყო. წითელი მთებიდან მოსულები ყველას ხოცავდნენ. ბებიას მშობლები ცოცხლად დანვეს ქალაქის მთავარ მოედანზე. თავად ბებია სასწაულებრივად გადარჩა. სხვენში არსად გამავალი კარის უკან სიცარიელე აღმოაჩინა და იქ შეაფარა თავი. სახლიდან ვერ გამოდიოდა, სუნთქვასაც კი იკავებდა, მისი არსებობა რომ არ შეემჩნიათ ღობე-ყორეს მოდებულ ჯარისკაცებს. სიბნელეს თვალი რომ შეაჩვია, დაინახა, რომ ობობის ქსელში იყო გახვეული. ბებია ობობებმა შეიფარეს. გიკვირს, არა? მეც გამიკვირდა. თურმე ობობები კვებავდნენ იქამდე, სანამ წითელი მთებიდან მოსულთა ჯარებმა ქალაქი არ დატოვეს. რომ წარმოვიდგენ, როგორ დგას ჩემი პატარა ბებია ორ კედელს შორის, შემინებული, გალუული და ელოდება, როდის იპოვიან, მოედნიდან კი მისი ოჯახის წევრების განწირული კივილი აღწევს, თმა ყალყზე მიდგება. ამ დროს ობობები მოდიან, დიდი და პატარა ობობები, მოაქვთ საჭმელი, ფოთლებით სუფთა წყალი,



რომ გოგო შიმშილით არ მოკვდეს... აი, გიყვები და თვითონაც არ მჯერა.

იცო, რა მითხარი, დედა – შენ რას ფიქრობდი, ბებიაჩემის მოქარგულ თავშალში რომ გამახვიე, როცა მამაჩემის გვამი შენს ტყისპირა ქოხში მოასვენეს, მტრის ტყვიით კეფავახვრეტილი და რაზმის მეთაურს ჩემი თავი გამოატანე. შენ არ იცნობდი ბებიას. რა იცოდი, მიმიღებდა თუ არა, ან როგორ გამზრდიდა?

ის სხვენი, სადაც ბებია შეიფარეს ობობებმა, ახლაც დაკეტილია. არ ვალაგებ, ქსელებისგან არ ვწმენდ. მან ასე დამიბარა.“

თეოდორი რომ პირველად მოვიდა, შუალაძე უკვე გადასული იყო. მოვიდა და ფანჯარასთან დადგა. ეფის არაფერზე უფიქრია, კარი გააღო და მის შემოსვლას დაელოდა.

მას შემდეგ კვირაში ორჯერ მოდიოდა თეოდორი, ოთხშაბათს და პარასკევს. თან უცხო მინების სურნელი მოჰქონდა და კატარინას ეჭვების გემო, რომელიც ეფის ჯერ ენას უმწარებდა, მერე კი წვეთნვეთად ავსებდა შხამით. თეოდორის კანში მზე ცხოვრობდა, დიდი და მწველი, ისეთი, ბებია რომ ასხენებდა წითელ მთებზე მოყოლისას. ეფის არასოდეს უკითხავს, სად იყო მისი სამშობლო, ან ვინ დატოვა ზღურბლთან, როცა კარი გამოიხურა და იალქნებმოქარგულ გემს გამოჰყვა, ან ვინ ცხოვრობდა მის მოგონებებში. კატარინაზე ფიქრიც ყოფნიდა ძილის გასატყვად.

ეფი დროდადრო მიდიოდა ტბის პირას, იქ, სადაც სიზმარი ჩარგო და მთის ბალახების ნაყენი მიჰქონდა. სიზმრის ფესვებთან ერთმანეთს ხვდებოდნენ მთა და ტბა. ეფი ხის ამონვერას ელოდებოდა, მაგრამ ამაოდ. სამი თვე, სამი კვირა და სამი დღე ისე გავიდა, მიწის საფარი არც შეტოკებულა.

თეოდორი ახლა უკვე კვირაში ერთხელ მოდიოდა – ოთხშაბათობით. პარასკევობით კატარინა მართავდა საზეიმო ვახშმებს და სამაგიდო თამაშებს მეგობრებისთვის და ეფის სხვა არჩევანი არ ჰქონდა, სახლში უნდა მჯდარიყო და მხოლოდ საკუთარი თავისთვის დაეკრა. ყოველ პარასკევს, ცხრას რომ თხუთმეტი წუთი დააკლდებოდა, ეფი როიალს ხდიდა თავს, დაკვრას იწყებდა და ხვდებოდა, რომ კაცი, რომელიც თვალეშში ჩამდგარი სიკეთის გამო შეუყვარდა, მისი ცხოვრების ყველაზე დიდ ბოროტებად იქცა.

იმ ოთხშაბათს თეოდორი ჩვეულებრივზე გვიან გამოჩნდა. ეფი დაღლილი იყო და ფერმკრთალი. ტანზე თეთრი ზენარი შემოეხვია და

კიბეზე მოჩვენებასავით იდგა. თეოდორი ზენარს მიწვდა. ეფის არაფერი უთქვამს, შებრუნდა და კიბეს აუყვა. ხელში გასალე-ბების აცმა ეჭირა. თეოდორი აქამდე არასოდეს ყოფილა ეფის სახლის სხვენში, არც ამდენი აბლაბუდა უნახავს ოდესმე, მსხვილი და წვრილი, ძველი და ცინცხალი, მტკიცე და გაცრეცილი.

– ხელები გაშალე! – უთხრა ეფიმ.

თეოდორი დაემორჩილა. ეფი თითქოს არ იყო საკუთარი თავი, უფრო გამოფიტულ არსებას ჰგავდა, რომელსაც ობობებმა სასიცოცხლო ენერგია გამოაცალეს.

– ფეხებიც! – განაგრძო ეფიმ და აბლაბუდა მოზიდა. ჯერ მაჯებზე შემოახვია სქელ ფენად, მერე კოჭებზე.

– რას აკეთებ? – თეოდორმა თავის გათავისუფლება სცადა.

– მშვიდად იყავი! – ცივად თქვა ეფიმ და ზენარი ჩუმი შრი-ალით დაეცა იატაკს – ოდესმე შეიღს ვეტყვი, რომ სიყვარული, რომლის გამოც ის მოევლინა ქვეყანას, უფრო მშვენიერი იყო, ვიდრე გალაქტიკა, უფრო მტანჯველი, ვიდრე იანვრის ყინვა ჩრდილოეთის ზღვაზე და უფრო ღრმა, ვიდრე მამამისის თვალები.

„ძვირფასო დედა,


ამბობენ, რომ ყველა იხდის შეცდომების საფასურს. მითხარი, შენ როგორ გადაიხადე? ვერ დავიჯერებ, რომ არასოდეს ჩაგესმოდა ჩემი ტირილი, არც მაშინ, როცა ტყე იძინებდა, არც მაშინ, როცა წყაროდან მომავალ ბავშვებს ხედავდი, არც მაშინ, როცა სხვა კაცები გიყვარდებოდა, ჰო, გიყვარდებოდა – ერთი ღამით შეეყვარებაც სიყვარულია. მითუმეტეს, სიყვარულია სამი თვით, სამი კვირითა და სამი დღით შეეყვარება. ასე გადავწყვიტე. სხვა გზა არა მაქვს. თეოდორს ვუყვარდი.“

თებერვლის ოცდამეცხრე დღეს თეოდორი იგივე გემს გაჰყვა, რომლითაც ოდესლაც ჩამოვიდა. ახალ უბანს, რომელსაც კატარინა ამენებდა ქალაქის განაპირა მხარეს, იმ ღამით კედლები დაებზარა.

კედლები დაებზარა ეფის სახლსაც, როცა ექიმმა მისი საშოდან გამომავალი შავი სითხის დანახვისას სიმწრით მოიკვნითა ტუჩი. არა, სისხლს ვერ ექნებოდა ასეთი ფერი. ეფი არ ტიროდა, არ კიოდა, ხმას საერთოდ არ იღებდა. ცემენტისგან გაქვავებულს ხელები მოემუშტა, ფეხები გადაეშალა და ინგრეოდა, ინგრეოდა ისე, როგორც კატარინას ნაშენი სახლები პროშანებიანი ტბის გადაღმა.

ექიმი მანამდე დაჰყურებდა გაშეშებულ სხეულს, სანამ სითხე კიდევ უფრო არ გაბლანტდა. ეფის საშოდან ჯერ ერთი ობობა გამოძვრა, მერე მეორე, მერე მესამე და ასე, დაუსრულებლად. ჭლარამერეული გინეკოლოგი, რომელმაც ქალაქს ეფის გარდაცვალების ამბავი ამცნო, იფიცებოდა, რომ მანამდე მსგავსი არაფერი უნახავს და არც წიგნებში ამოუკითხავს.

ეფის სხეული ტბის პირას დანვეს, დასავლეთის კარიბჭესთან, იქ, სადაც ადრე მისი ნაბიჯების გადადგმისას მღეროდნენ ქარის მიმართულებით გვირგვინებგადახრილი, თეთრი პროშანები.



Stein Mehren

სტაინ მერენი:

პოეზია სინათლის სამყაროდან

მანანა მათიაშვილი

წერის საგანი: „უჩინარი ცისარტყელა“

სტაინ მერენი ერთ-ერთი ყველაზე დიდი და გამორჩეული ხმის მქონე ლირიკოსია მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის ნორვეგიულ ლიტერატურაში.

თავისი პოეზიის, რომანების, ესეების, სტატიების, ფერწერული ნამუშევრებისა და მუსიკალური კომპოზიციების გამო ის დღემდე ნორვეგიის კულტურული საზოგადოების მეტრად რჩება.

მერენმა სიახლე შეიტანა ნორვეგიულ ლირიკაში მოულოდნელი მხატვრული სახეებით, ენობრივი ნიუანსებისა და უღერადობის განსხვავებული წედომის კუთხით. მერენი პოეტია, რომლის ლექსებიც სიყვარულს განადიდებს, რომელიც არ ერიდება კაცობრიობის ნამდვილი და მარადიული მტრების – უგულობისა და არაადამიანობის – გამოაშკარავებას.

კრიტიკოსები შენიშნავენ, რომ: „მერენს შეუძლია განად-

გურებული და გატეხილი ადამიანების პორტრეტების დახატვა ისე, რომ არ დაგიკარგოთ ინტერესი ადამიანის, როგორც ერთი დიდი საიდუმლოს, მიმართ“... „მერენის ნაწერებში ჭეშმარიტების ნაპერწკლებია გაბნეული. მას ის თანდაყოლილი ავტორიტეტულობა ახასიათებს, რაც მხოლოდ ტალანტისა და ნიჭის მიუკერძოებელი ტერმინებით შეიძლება გადმოიცეს“... „მხოლოდ ბრწყინვალე მომენტები... ისეთ ლექსებს წერს, რომელთაც გონებიდან ვერ ამოშლით, რომლებიც გვაგრძნობინებს, როგორ ღრუნის გულს სევდა და როგორ აფორიაქებს სიხარული“...

მისი, როგორც შემოქმედის, ფიქრის საგანი, მსხვილი პლანით თუ შევხედავთ, ფილოსოფია და კაცობრიობაა. ამ ორი სფეროდან მისთვის საინტერესო, უფრო კონკრეტული საკითხების, გამოყოფაც შეიძლება. ესენია: ქოთურ



დასავლურ თანამედროვეობაში იდენტობის ძიება; ამაღლებელი ცხოვრებისული გამოცდილებები, როგორც სამყაროს ნაწილი; საორჭოფო კითხვები იმის შესახებ, შეუძლია თუ არა ადამიანს, სინამდვილეში ჩანვდეს საკუთარ თავს, საკუთარი მდგომარეობის არსს; შესაძლებელია თუ არა, მოიძებნოს ადამიანის გამოცდილების ალსანერად და გადმოსაცემად ადეკვატური სიტყვები. მიაჩნია, რომ ხელოვანის მოვალეობაა საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვა და, ასევე, ხელოვნების ფუნქციის გადასინჯვა. პოეტის თვალსაზრისით, ხელოვნება ის სამყაროა, სადაც ყველაფრის მოხდენის შესაძლებლობა არსებობს.

**ბიოგრაფია და შემოქმედება მოკლედ:
„თავდაპირველი პეიზაჟი“**

სტაინ მერენი 1935 წლის 16 მაისს დაიბადა. მიმდინარე წლის მაისში ნორვეგიის ლიტერატურულ წრეებში მისი დაბადების 80 წლისთავი აღინიშნა. პოეტი ამჟამად ოსლოში ცხოვრობს. გამოქვეყნებული აქვს 50-ზე მეტი წიგნი და არის უამრავი პრესტიჟული პრემიის (მათ შორის, ნორვეგიული აკადემიის ლიტერატურის პრემიის) მფლობელი.

მერენი 1950-იან წლებში სწავლობდა ბუნებისმეტყველებას ოსლოსა და მიუნხენის უნივერსიტეტებში, ხოლო შემდეგ – ფილოსოფიას, ენასა და რელიგიათმცოდნეობას – ოსლოში. პირველი პოეტური კრებული „ერთი ღამის სიჩუმეში“ 1960 წელს გამოსცა, რამაც მაშინვე მოუპოვა 25 წლის ავტორს „მომავლის პოეტის“ სახელი. დღეს სტაინ მერენი 30-ზე მეტი პოეტური კრებულის ავტორია.

1972 წელს შედგა მერენის, როგორც რომანისტის, დებიუტი ნაწარმოებით „გაურკვეველი: ევროპული რომანი“. მას მოჰყვა 1974 წელს რომანი „ტიტანები“, რომელიც ხელოვნებისა და ხელოვანების პრობლემას ახლებურად უდგება.

რომანთან ერთად გამოდის ესეების კრებული „ხელოვანის ძალისხმევა და ახალი პურიტანობა“ (1974), რომელიც პოეტის ერთგვარი პასუხია ანგაჟირებული ლიტერატორების მიმართ, რომლებსაც პოლიტიკური პერიპეტეიების მიღმა სულ დავინწყობდათ, რას ნიშნავს, სინამდვილეში, წერა.

1980-დან 1990 წლამდე გამოცემული კრებულები ავტობიოგრაფიული ხასიათისაა.

უწინდელი სიყვარულისა და ბავშვობის თემები ადგილს მოხსნის ავადმყოფობის, სიკვდილისა და მწუხარების გამოსატყვევებლად. ამ პერიოდების კრებულებში პოეტი განამტკიცებს წარმოდგენას იმის შესახებ, რომ გრძნობა და ფიქრი ერთმანეთისგან განუყოფელი მოვლენებია.

დანიში 1 წლის გატარების შემდეგ სტაინ მერენმა ხატვა დაიწყო: 1993 წელს შედგა მისი ფერწერული ნამუშევრების პირველი კოლექტიური გამოფენა ოსლოში. მას შემდეგ ხშირად მონაწილეობს სამხატვრო გამოფენებში და გამოსცემს საკუთარი ნახატებით ილუსტრირებულ პოეზიას (1993 წელს გამოიცა „ლექსები ნახატებში“, 1997 წელს – „სასიყვარულო ლექსების რჩეული“, ხოლო 2005 წელს – „ახალი ნახატები და ძველი ლექსები“). აღსანიშნავია, რომ პროფესიონალთა წრეში ის თანასწორად მიიღო და არა – მოყვარულ მხატვრად.

გარდა ფერწერისა და პოეზიისა, სტაინ მერენი პროდუქტიული ესეისტიცაა. მისი ესეები იკითხება, როგორც კომენტარები საკუთარი ლექსებისათვის, თუმცა მათში ის აქტუალურ კულტურულ და საზოგადოებრივ საკითხებზე მსჯელობს. როგორც ესეისტი, თავისი ეპოქის დიდი კრიტიკოსია და ცდილობს, ჩანვდეს დროის მითოლოგიასა და მისი ინტელექტუალური ფენომენის რაობას.

სტაინ მერენს არც დრამატურგიის სფერო დაუტოვებია უყურადღებოდ. პიესა „ნარენი და მისი ჰერცოგი“, რომელიც ოსლოს ნაციონალურმა თეატრმა 1968 წელს დადგა, ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ექსპერიმენტს წარმოადგენს თანამედროვე ნორვეგიულ დრამატურგიაში.

მიუხედავად უამრავ ფრონტზე მოღვაწეობისა, მერენი სხვების შემოქმედებასაც უთმობს დროს: მონაწილეობს ანთოლოგიების გამოცემაში, ჩანერილი აქვს 2 ფირფიტა და კონცერტები მუსიკოსებთან ერთად; შექმნა ტექსტები ეისტთან სომერფილდისა და არნე ნურჰეიმის სიმღერებისთვის, წერს სტატიებს გაზეთებისთვის.

სტაინ მერენი – ლირიკოსი: „მარტო ცასთან“

პირველივე პოეტურ კრებულში შეინიშნება ყველა ის თავისებურება, რაც მერენის პოეტიკას ახასიათებს. ყველაზე თვალშისაცემია შეგნებულად შეზღუდული ლექსიკონი, რომელშიც მუდმივად ერთი და იგივე, თუმცა საკმაოდ ტევადი სიტყვები ტრიალებს, ესენია: სინათლე, სიბნელე, ცვლილება, ბავშვობა, სიკვდილი; დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს სინტაქსური გამეორებებიც, რომლებიც მერენისეულ „გრამატიკულ ფორმებს“ წარმოქმნის, ხშირია ასევე მითოლოგიური არქეტიპების გამოყენება. მერენის მთელი შემოქმედების განმსაზღვრელი თემაა დამოკიდებულება გარემომცველ ბუნებასა და ადამიანის ცნობიერებას შორის.

მერენის დებიუტი იმ ხანაში შედგა, როდესაც ნორვეგიელი ავტორები, ის-ის იყო, ეცნობოდნენ მოდერნიზმის ინგლისურენოვან ლიტერატურას. ფოლკნერი, ჯოისი და ელიოტი ნორვეგიელი ლიტერატორებისთვის იმ ათვლის

30577

წერტილს წარმოადგენდნენ, საიდანაც ისინი საკუთარი სისტემების აგებას ცდილობდნენ. სკანდინავიურ ქვეყნებში ეს სახელები საკმაოდ გვიან გახდა ცნობილი, რადგანაც მეორე მსოფლიო ომამდე სკანდინავია გერმანიისკენ უფრო იწვედა, – ამაზე გავლენას ახდენდა ენების სიახლოვეც და ძველი სავაჭრო კავშირებიც; კიდევ ერთი კულტურული ორიენტირი ნორვეგიისთვის იყო საფრანგეთი, მაგრამ ომმა ბევრი რამ შეცვალა ევროპაში, მათ შორის, „კულტურული კარტოგრაფიაც“.


ნორვეგიელი მწერლებისთვის ინგლისურენოვან ლიტერატურასთან შეხვედრა ერთგვარ მაცოცხლებელ წყაროდ იქცა, რადგან თან მოიტანა მანამდე უამრავი სიახლე. ამიტომაც, რომ მერენის ადრეულ ლექსებში აშკარად იგრძნობა ელიოტის გავლენა. ეს იმდენად უცხო და ახალი იყო ნორვეგიული პოეზიისთვის, რომ დასაწყისში კრიტიკოსები მერენს ლექსების ბუნდოვანებაში, მხატვრული სახეების გართულებაში, კულტურული ალუზიების სიჭარბეში ადანაშაულებდნენ. მეორე მხრივ, ის, რასაც სტაინ მერენი თავის ლექსებში აკეთებდა, ძალიან ახლოს დგას ჰერმან ჰესეს „ტრამალის მგელთან“ და „რიოში მარგალიტებით თამაშთან“ – ეს ტექსტები ერთნაირადაა დატვირთული კულტურული გზავნილებით, მითებით, დამლელი თამაშებითა და გამახვილებული რეფლექსიებით... მაგალითად, ლექსში „ზეცა“ ყურადღებიანი მკითხველი ადვილად დაიჭერს ალუზიას „აპოკალიპსზე“ „ტრისტან და იზოლდაში“ კი – მინიშნებებს არა მარტო შუა საუკუნეების ლეგენდაზე, არამედ ასევე „მკვდარი შეყვარებულების ცეკვასთან“ ვაგნერის ამავე სახელწოდების ოპერიდან.

60-იანი წლების დასაწყისში ნორვეგიულ პოეზიაში სტაინ მერენი უცხოთნობით გრძნობდა თავს, რადგან მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს მხოლოდ წიგნებიდან იხედებოდა და ნამდვილ ცხოვრებას არ იცნობდა.

70-იანი წლებში, როცა კულტურას ტონს აძლევდნენ უნივერსიტეტებიდან გამოსული „გაბრაზებული“ ახალგაზრდები, მერენს საყვედურობდნენ, რომ ის სოციალურ ბრძოლასა და არეულობას მითოლოგიაში გაურბოდა.

80-იანი წლებში ახალმა თაობამ სტაინ მერენს ბრალი დასდო მრავალსიტყვაობაში, ძველმოდურობასა და „ქედმაღლობაში“, თუმცა, ის მაღალი მოდერნიზმის ერთგული დარჩა იმ ეპოქაშიც, როცა მოდაში შემოდოდა პოსტმოდერნიზმი და განყენებული თამაშის სულისკვეთება ყველაფერში, რითაც თამაში შეიძლება. ბრალდებების მთელი ეს სპექტრი ნათლად მოწმობს იმას, რომ უამრავი ადამიანის შემოერთება და გალიზიანება მხოლოდ უმაღლესი კატეგორიის, განუმეორებელი ხმის მქონე პოეტს შეეძლო, რომელიც ყველასა და ყველაფრის მიუხედავად, საკუთარი თავის ერთგული რჩებოდა.

სინამდვილეში, სტაინ მერენისთვის „წიგნიერება“ და „მითოლოგიურობა“ მხოლოდ საშუალებაა, ჭეშმარიტებას მარადისობის პრიზმიდან შეხედოს; ესაა ლტოლვა – დროის



მდინარების გამჭვირვალობასა და, ზოგჯერ, ბუნდოვანებაში ფსკერს მიანვდინოს თვალი.

70-იანი წლებში მერენმა თავი მოსინჯა პროზაში. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მრავალმხრივობა, პრინციპში, საკმაოდ დამახასიათებელია ნორვეგიელი მწერლებისთვის. აქ მკაცრად არ ჰყოფენ მწერლებს პოეტებად და პროზაიკოსებად. საერთო ჯამში, ნორვეგიელი მწერლისთვის, ალბათ, უფრო უპრიანი იქნება სიტყვა „ლიტერატორის“ მისადაგება, ვიდრე პროზაიკოსისა.

მერენის გვიანდელ კრებულებში უფრო და უფრო ხშირად გვხვდება გამოძახილი მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე, იქნება ეს ბალკანეთის ომი, 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენები თუ სხვა.

2008 წელს გამოქვეყნებული „ბრძანება“ სტაინ მერენის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პოეტურ კრებულად მიიჩნევა.

2010 წელს პოეტის 75 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოვიდა რჩეული ლექსების კრებული, სახელწოდებით „დროის მხედარი“.

ბოლო დროს 80 წლის პოეტი ალცჰაიმერის დაავადებას ებრძვის.

სტაინ მერენს ოთხმოცი წელი შეუსრულდა

ფრედრიკ ვანდრუპი

მისი დებიუტი 55 წლის წინ შედგა.

სტაინ მერენი 1960-იან წლებში მოღვაწე ნორვეგიელ ლირიკოსთა თაობის ის წარმომადგენელია, რომელიც ჯერაც ჩვენ გვერდითაა. დღეს პოეტი 80 წლის გახდა.

რამდენიმე წლის წინ მერენმა გამომცემლობა Ashcehoug-ის საშობაო წვეულებაზე თავისი ახალი ლექსები წაიკითხა. სხვადასხვა ასაკის კოლეგებით გარემოცული პოეტი დიდ სავარძელში იჯდა. მისი ხმა სიჩუმეს ტალღასავით ეხეთქებოდა, სიტყვები ოთახში იზნეოდა. პოეტი დროდადრო ტყავისთასმებიანი საქალაქიდან ახალ-ახალი ლექსებით აჭრელებულ ფურცლებს იღებდა.

დღესასწაული. როცა სტაინ მერენი ლექსებს კითხულობს, მის გარშემო ისეთივე განწყობა სუფევს, როგორც ღვთისმსახურებისას. თავს არასდროს ზოგავს, ყოველთვის ბოლომდე იხარჯება. ბოლოს 2009 წელს ვნახე. დრამენსვავიენზე მდებარე Aschehoug-ის ვილაში გამართული საღამოდან ერთი წელი იქნებოდა გასული. ბრაგერნეს ტაძარში ტრიზტან ვინდთორნის¹ დაკრძალვას ესწრებოდა. დარბაზი ხალხს ვერ იტევდა. შთამბეჭდავი ცერემონია იყო.

საეკლესიო მერხების ერთ-ერთი ბოლო რიგიდან მოულოდნელად მამაკაცის ხმა გაისმა. ეს სიტყვა პროგრამით გათვალისწინებული არ იყო. კაცი ფეხზე წამოდგა. როდესაც გარდაცვლილი კოლეგისადმი მიძღვნილი ლექსის კითხვა დაიწყო, დარბაზს მღელვარების ტალღამ გადაუარა. „მერენი... ეს სტაინ მერენია“, – ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ სტუმრები. ერთადერთი და განუმეორებელი მერენი.

მას შემდეგ, რაც 1960 წელს სადებიუტო კრებული „ერთი ლამის სიჩუმეში“ გამოსცა, ლექსებს უწყვეტ ნაკადად გვავდის. თავისებური სტილისა და განსხვავებული ხედვის გამო მკითხველის ყურადღება თავიდანვე მიიქცია. მერენი ემიჯნება ყოველგვარ მიმდინარეობასა თუ დაჯგუფებას.

მაგალითად, ის არასდროს ყოფილა გაიგივებული პროფილის გუნდთა², რომელმაც 1960-იანი წლების ნორვეგიულ ლიტერატურაში ერთგვარი გადატრიალება მოახდინა. მერენი საკუთარი თავის ბატონ-პატრონია. მას დანერილი აქვს რამდენიმე რომანი, პიესები, გამოსცა ესეების ექვსი კრებული. ნები-სმიერ შემთხვევაში ავტორი იმდროინდელ ლიტერატურაში გაბატონებულ ტენდენციათა მიღმა რჩება. ყველაფერთან ერთად, მერენი ცნობილია, როგორც საკმაოდ წარმატებული მხატვარიც. თუმცა იგი, უპირველეს ყოვლისა, ლირიკოსია. გამომცემული აქვს ლექსების 30-ზე მეტი კრებული.

ჩრდილოეთის საბჭოს³ ლიტერატურულ პრემიაზე შვიდგზის იყო წარდგენილი, მაგრამ ვერც ერთხელ გაუმართლა. მე რომ მკითხოთ, ამდენი განხილვის შემდეგ ღირსების ორდენსაც კი იმსახურებს.

მისი კრებულების სათაურები მოგვითხრობს რაღაც დიდსა და შთამბეჭდავზე, რაც სტაინ მერენის პოეზიას თითქმის კოსმიურ განზომილებას სძენს. „მარტო ცასთან“, „ადამიანო, გამოავლინე შენი ხატება“, „უჩინარი ცისარტყელა“, „სხვა სინათლე“, „მარადიულობა, ჩვენი ყველაზე აქროლადი მატერია“. ეს ყოველივე დროს ეხება, მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს? ლექსში „ერთადერთხელ“ ავტორი წერს:

„ქოთქოთითა და წუნუნით
სამყაროს მატერიის მიღმა ვმოძრაობთ
და კითხვას ვსვამთ: რამდენ ხანს გრძელდება დრო
ნუთუ წამი და მარადიულობა
ერთსა და იმავე დროს მიეკუთვნება. რას ნიშნავს
„მუდამ“
და რას ნიშნავს სიტყვა „არასდროს“. რისი საზომი
უნდა იყოს?“

² პროფილის გუნდი – „პროფილი“ ცნობილი ლიტერატურული ჟურნალი იყო, რომელიც ნორვეგიაში 1960-იან წლებში გამოდიოდა. მწერლები და ლიტერატორები, რომლებიც ამ ჟურნალზე მუშაობდნენ, ხშირად მიმართავდნენ მოდერნისტულ ექსპერიმენტებს, რაც იმდროინდელი საზოგადოებისთვის სრულიად უცხო და ახალი იყო. ამ გუნდის ერთ-ერთი წევრი იყო იან ერიკ ვოლდიც.

³ ჩრდილოეთის საბჭო (ინგლ. Nordic Council) – ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების პარლამენტთა შორის თანამშრომლობის საკოორდინაციო ორგანიზაცია.

¹ ტრიზტან ვინდთორნი (შელ ერიკ ლარსენი 1942-2009) – ნორვეგიელი პოეტი და ხელოვანი. იგი ცნობილია, როგორც ნორვეგიის ერთადერთი სიურრეალისტი ავტორი.

მოკლე ლექსი, გრძელი ლექსი. აფორიზმები, სიმფონიები. დამაფიქრებელი, შემეცნებითი ლექსები, ეროტიკული პოეზია და წყურვილი სიყვარულისა. ლექსები იმ შემოქმედებით სწეულებაზე, რომლითაც მერენი უკვე მრავალი წლის განმავლობაშია შეპყრობილი:

„მაისის სილურჯე“

ავად ვარ ისე მსურს ჩემ აგარაკზე წასვლა
ო, როგორ მენატრება
ხის კენწეროთა მშვიდ შრიალზე ჩაძინება
და ნაჭუჭის ტკაცუნის ხმაზე გამოღვიძება.
ახლაც ზუსტად ასეთი განწყობაა. გაზაფხულია. ფერთა ფოიერვერკია.
უბრალოდ გავიხსენოთ ლექსი „ყვავილი“:

ყვავილი გადაშლილი ვნებაა
მისი ყოველი ფურცელი ოცნებასთან
გრძნობასთან არის ნაზიარები და
ზეციური ნათელმხილველის – მზის – იდუმალებას
შეფარებული. გაიღვიძებს
პირს მოუხსნის თავისი სიყვარულის იარაღს
ათრთოლდება. განაყოფიერდება. გაიფურჩქნება.
მერე ქარი მოწყვეტს და შორს გაიტაცებს.
დაბადების დღეს გილოცავთ!

გაზეთი „დაგბლადე“, 16.05.15

ნორვეგიულიდან თარგმნა თამარ კვიციანიძემ



ევროპა, რომორც გობელენი

ეს ევროპაა, მთვარის შუქით განათებული. ევროპა, სავსე ნანგრევებით, ძეგლებით და დრომოჭმული თაღებ-სვეტებით, ეს პეიზაჟი, მთვარის შუქით განათებული, ღამეები – სინათლის წელი ნაკადები თითქოს მტვერში და ვარსკვლავების შუქის ქსელი იმ ნანგრევებზე, ქსოვს წარსულის მბჟუტავ მიწისგან ბაც გობელენებს. მისი ძაფები ცოცხლებიან თანდათანობით, ეს ხდება ღამით, როცა მთვარე ზღვიდან ამოდის, როგორც წითელი მღულარება წამიერად გაჩენილი ზედ ბუმტულებით. ზღვა წითლდება,

მიწისფერი კი თვით ცოცხალი ბრძოლის ველია; ველური და წარმართული პეიზაჟი კლასიციკლური პრიალის მიღმა, სადაც ნაშალი ქვის ხალიჩაზე აალებული გირჩები ხსნიან თავის ქერქლებს და სიბნელეს უშვებენ გარეთ; სადაც ასკილის კვირტები წვეთავს ღამის ეკლებზე, სამწინვა ფიჭვის

ჩრდილები კი საცეცხბივით იკლავნიან. აქ დავაბიჯებ. გუბურასთან მის იდუმალ სიმწვანეს ვხვდები, – ამ მობუყბუყე სარკეს, რომელიც შავი ჭირის საპარპაშოა; ჰგავს იგი ნაყენს, მოჯადოებულს, საიდანაც წყლის შროშანები ისრუტავენ სინორჩის სუსტ და მყიფე სინათლეს გაშავებული, შხამიანი გობელენის

ნაგლეჯებისას; შენს დაბნელებულ ნათელში ვცხოვრობ, შენს ნათელ ბნელში. ბრჭყვიალა ღამის შენს შავ მზეში. შენი წარსული ლეგენდაზე მეტი რომ არის, ეს არის ჩემი ღვინო და პური. ჩემი ფრთებია, შენს წიაღში რომ გამეზარდა. დაბნელებული შენი რწმენა და შენი ეჭვი, მოელვარე. რაც მეტს გაბრალებ მით მეტად ვხდები დამნაშავე შენ მიმართ, შენში. შენს ფერებში გაბნეულია ჩემი ლექსები; ყველა ეს ომი, ხოცვა-ჟლეტა, რევოლუცია, ჯვაროსნული ლაშქრობები და წმინდანები, ჯადოქრები და სამარხები, ძალადობა, ინკვიზიცია თუ შავი ჭირი; მეცნიერება, ცრურწმენები, სარწმუნოება

– ვიგემე შენი წარმართობის ბინძური წყალი, შუქის წვეთებთან ერთად ცრემლად მდის ყველაფერი, რაც გინატრია, ზომიერების მორჩილი რწმენა, სილამაზე პირველყოფილის, შენი წარსული გამოფიტული უეცრად რომ აელვარდა ახლა ჩემში, ჩემს ფიქრებში, მხატვრულ სიტყვაში, ტაძრებსა თუ იარაღებში, ყველაფერში, რასაც ვუყურებ. ეს მკვდრის მზერაა მიმართული საკუთარ თავზე; ისაა, რითაც ცხოვრება ხდება ახალ იდეებს, აღმოჩენებს, სიტყვებს, რომელიც დროს თან მოაქვს; ევროპა, როგორც გობელენი, ხელახლა იქსოვება ბრწყინვალე წარსულის მრავალი ფერით!

დიდი შეკითხვაები

დიდ შეკითხვებს არ გააჩნიათ გადაჭრის გზები, არანაირი პასუხები, ეს შეკითხვები არ დასმულა იმისთვის, რომ პასუხი გავცეთ. ჩვენ შეკითხვებით უნდა ვიცხოვროთ.



ამოუხსნელი გამოცანები რჩება
 ასევე. მაგრამ ისინი გვეხმარებიან
 სამყაროში გზის გასაკვალად, საკუთარი
 ხმის საპოვნელად. ამ გზით, მგონია, ის უმონყალო
 შესაფერის ადგილს გვითითებს.

შეყვარებულო, რის შესახებ ჩაფიქრებულხარ?

შეყვარებულო, რის შესახებ ჩაფიქრებულხარ?
 არაფერზეო. (ანდა, გეტყვის) შენზე ვფიქრობო. გეტყვით,
 ბევრს ვფიქრობ სიყვარულის სიმარტოვეზე, რომელსაც
 მუდამ თან დავატარებთ და გადავცემთ ჩახუტებებით.
 ვფიქრობ, ტკივილი მოაქვს სიყვარულს,
 თუმცა ხმამაღლა არაფერს ვამბობ.
 განუზომელი სიყვარული როცა კვდება,
 თითქოს ჩაყლაპა ზღვის მიქცევამო, ანდა მდინარის კალაპოტი,
 თვინიერი, წყლისგან რომ შრება – ამაზე ვფიქრობ,
 მაგრამ არ ვამბობ: თუ მიმატოვებ ახლა, ამწუთას,
 მაშინ მე ველარ მიგატოვებ. იმაზე ვფიქრობ,
 დიდი ტკივილი რომ ჩასულა ამ სიყვარულის გულისგულში..
 მეტად აღარ მომიახლოვდე. ოლონდ გიყვარდე. ჩემგან
 მიილე სამაგიეროც. გაუჩინარდი. არასოდეს ნახვიდე ჩემგან. ასეთებს ვფიქრობ,
 როცა დიდი სიყვარული თანდათან კვდება. ის იქცევა შიშის მთვარედ და შეყვარებულებს,
 მომავალი სიყვარულის მატარებლებს, დასცქერს ზემოდან.

ამაზე ვფიქრობ. შენ რას ფიქრობ?
 შენზე ვფიქრობ. არაფერზე. ამ ქალაქის ფსკერზე
 ვხედავ სახეს, თვალბდავსებულს, შემფოთებულს,
 მარტოობის დარდით მოცელილს. მწუხარება.

საკუთარი თავის ტყვეება

ვართ საკუთარი თავის ტყვეები,
 თუმცა დატყვევების შემდეგ ვილაცამ სიყვარული ჩათესა ჩვენში
 და მერე ჩვენი მარტოობა დავინახეთ
 სხვისი თვალბებით: „აუუუ“... – ვიძახით,
 აქ ვარ, მომხედე. დავიბადე, ჩემი ჯვარი მაქვს. მზად ვარ ვიცხოვრო.
 დამინახე, დამიმახსოვრე, შემიყვარე ამომწურავად.

სიცოცხლე მეტად ვრცელი არის, მარტომ რომ ზიდო,
 ვინმეს უნდა გაუნანილო. მონატრებებით,
 დრო რომ რეცხავს დღითა და ღამით,
 ჩვენ კი ერთმანეთს ვეჭიდებით,
 თითქოს მართლაც შეიძლებოდეს მისი გაყოფა.
 სიცოცხლე არის სიკვდილივით განუყოფელი.

ნორვეგიულიდან თარგმნა მანანა მათიაშვილმა

შეხვედრა

ისე ახლოს ხარ და ისე შორს ხარ
უფრო მარტივად მეჩვენება დაჭერა
წამის როცა ჭუპრი პეპელა ხდება
ვიდრე შეხება შენს გაყინულ აჩრდილთან ისევ
ნაუცბათევეად მისი გათბობა და ჩემად ქცევა.

ჰო, იქნებოდა უფრო მარტივი დამეჭირა
მოპყრობილი ჩემკენ მზერა იდუმალი მეფის ასულის
იმ წამს სანამ უჩინმაჩინის მოსასხამში გაეხვეოდა
უფრო მარტივი იქნებოდა ვიდრე ის რომ მაგ ლოყაზე მოგეალერსო...

დიდი სიყვარული არასდროს კვდება

დიდი სიყვარული არასდროს კვდება. მაშინაც კი როცა სატრფონი
შორდებიან. წილად რომ გხვდა, ის ალერსი მერე თავისით იფურჩქნება
და დავიწყების შემდეგაც კი იფანტება უთვალავ თესლად.
ფოთლები, ხილი თუ მარცვლეული შენი ალერსის ნაკვალევზე ისე იბნევა
როგორც შემოდგომაშეპარულ პეიზაჟზე... როგორც დღეები, რომლებიც ივსება
ბნელ და ბრიალა ღამეთა ელვარებით... მარადიულია სიყვარული,
იმაზე უფრო ტევადია ვიდრე თვითონ გული მიჯნურის.
და წამიერი მზერის სხივი შესაძლოა კარგა ხანს გვდევდა მანამ
სანამ თვალს აგვიხელდა, ალბათ რამდენი ვიხეტიალეთ თაობებს შორის
იქამდე, ვიდრე შევხვდებოდით და ერთმანეთს ამოვიცნობდით.

ახლა კი შენი მონატრება გამუდმებით მიბორგებს სხეულს
შენი სახე ყოველთვის შეძლებს ჩემს ნაკვებებში საიდუმლო გზების გაკვალვას
რასაც არ უნდა აკეთებდე მე ყოველთვის იქვე ვიქნები, ჩუმიად მოვყვები
ქარსა და მთიებს, შევარხევ სიმებს, ჯერ რომ არავინ შეხებია და
წლების დინებას აყოლილი ახალ განთიადს შევეყრები.

სხივი, რომელიც კრთის სატრფოთა ნათელ სახეზე სამარადეამოდ აცისკროვნებს
მთელ დედამიწას, რადგან სხივი რომელიც კრთის სატრფოს სახეზე
არასდროს ქრება, მუდამ თან გვდევს, ყველგან დაგვყვება,
გზადაგზა გვხვდება სხვადასხვა სახით, სხვა სატრფოებში და ყველა დროში.

გულის სიღრმეში

გულის სიღრმეში
იქ სადაც ჩვენი სიყვარული მარტოსულია
სიტყვებისა და სიტყვიერი ხიბლის გარეშე

უსაზღვრო ძალას
მუდამ ერთად ვართ
პირობისა და დაპირების მარცხის გარეშე
გულის სიღრმეში
მუდამ ერთად ვართ
უმწეოდ
მაგრამ ყველაფერზე უფრო უსაფრთხოდ

გულის სიღრმეში
იქ სადაც ჩვენი სისუსტე შობს ამ სისუსტის

ნორვეგიულიდან თარგმნა თამარ კვიციანიძემ

მერენის ბოლო კრებულში, რწმენა და ნუგეში ებრძვის ავად-მყოფობისა და სიკვდილის შესახებ უსიამოვნო ფიქრებს. გარდა ამისა, პოეტი დავინყებასა და მონატრებაზე, სიბნელის ოკეანეში გამობრწყინებულ პანანინა სხივზეც წერს.

„ბრძანება“

კრებულის სათაური იმაზე მიგვანიშნებს, რომ ყოველი ადამიანის სული კონკრეტული მისიითაა მოვლენილი და შემოქმედისგან გარკვეულ ბრძანებებს იღებს, თუმცა, გამუდმებით ვენინალმდეგებით ჩარჩობს, რომლებშიც ჩვენი ცხოვრებაა მოქცეული – სწორედ ესაა ადამიანური ყოფის მარადიული და საპატიო არსი. გამუდმებით ისმის კითხვა, თუ სიკვდილის ჩაკეტილ კარს იქით რა იმალება: „რა არის იმ შორეულს მიღმა და იმ მიღმ-იერს მიღმა“. პოეტი არ ცდილობს, შევება „ლაბირინთებში სულის ხეტიალით“ ჰპოვოს, მაგრამ არც ის უნდა, რომ მისი სული „ფუჭ ნირვანაში“ ჩაიკარგოს.

ზღვისპირა ქვეყანა

მას სიცოცხლე სწყურია. სიცოცხლე არასდროს მობეზრდება. ტკივილი მოთმინებით უნდა აიტანო. ექიმ პარკინსონს ვერაფრით მოატყუებ, ამიტომ ცხოვრება მასთან ერთად უნდა განაგრძო. გულმავინყობა ადამსტუნენზე¹ მდებარე დავრდომილთა თავშესაფარია, რომელიც წყალქვეშა ქვეყანას ჰგავს... ერთ-ერთ ლექსში სანოლის რაში რთულ პაციენტებს ერთგულად დარაჯობს, მედდა ვარსკვლავი კი შიშით სავსე ღამეულ წუთებს ასხივოსნებს... თუმცა, დავინყების, უკუნეთისა და ტკივილებს მიღმა წარსული დროის სურათ-ხატები, მოგონებები და უდრეკი სული ცოცხლობს. საბოლოო სიტყვის ძიებაში სიტყვები ერთმანეთს ექიშებინან და ეს ჭიდილი ირეკლება უამრავ ლექსში, რომელიც პოეტმა სიტყვებს, ენას და ზოგადად, პოეზიას მიუძღვნა. აქ შიში და ტკივილი ითრგუნება, რწმენა ჩვეულ სადარაჯოზე დგას, მისი სიტყვა ისევ ახლის ძიებამია და ისეთივე მედგარი და საოცარია, როგორიც მანამდე იყო. რას წარმოადგენს ჩემი სიტყვები? რას ნიშნავს ლექსის სტრიქონები ამ მარტივი სიმართლითა და წამიერი დიდებით გაჯერებულ სამყაროში, სადაც ყვითელი ჟურნალების ბოდვა მავანთა მიძიმე ხვედრს აბათილებს და ტკივილს „შემთხვევით გამვლელთა საცირკო არენად აქცევს?!“

შორისა და თემის ვარიაციები

კრებულში შესული ლექსების უმეტესობა დავინყებაზე, სნეულებასა და იმ შიშზეა, რომელსაც დროისა და სივრცის ჯერაც უცნობი მიღმიერი სამყაროს მიმართ განვიცდიით. ავტორის საინტერესო აზრებითა და იდეებით გაჯერებული ლექსების გვერდით მოკლე მოთხრობები და პოეტური ესეებიცაა. ზოგიერთი ლექსი მსუბუქი იუმორითაა შეფერილი. ასეთი ლექსია, მაგალითად, „მარტა ლუიზა“, სადაც პოეტი კავიის ჟანრისთვის დამახასიათებ-

¹ ადამსტუნენი – ოსლოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარე უბანი.

ბელ რითმასა და რიტმს იყენებს (ხშირ შემთხვევაში სიტყვებსა და სტრიქონებს გადატანითი მნიშვნელობა და ორმაგი დატვირთვა აქვს, რაც მართლა საინტერესო და სახალისოა. მთარგმნ.)

სხვა შემთხვევაში მერენი რითმას ნაკლებად იყენებს, მაგრამ ცალკეული სტრიქონების გართმევას პოეტი უდაოდ საოცარი ოსტატობით ახერხებს. ტრადიციული რითმის ნაცვლად აქაც შიდა რითმებს ამჯობინებს.

ლექსები სიყვარულზე

კრებულში შესული ლექსებიდან რამდენიმე ერთ გვერდს აღემატება. მათ შორის ყველაზე გრძელი ტექსტი, რომელიც რუსეთის დედოფალს, იდუმალებით მოცულ ქალსა და მონარქს, ეკატერინეს ეძღვნება, ათგვერდიანია. ასეთივე მოცულობის სხვა ლექსში პოეტი მუშათა კომუნისტური პარტიის იმ წევრზე საუბრობს, რომელიც საკუთარ შეცდომებს არასოდეს აღიარებს და „მხნე და გაბედული ნაბიჯით წინ, კაბინეტისკენ“ მიემართება. მსგავსი შინაარსის ლექსები მერენთან გამონაკლისს წარმოადგენს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ავტორისთვის მისტერია და მარადიულობის აქროლადობა პრიორიტეტად რჩება. ასევეა მის ლექსებში სიყვარულზე.

ბევრი წერენ, რომ სიყვარული უცნობი და უხილავი ძალების მიერ იმართება, მერენი კი ამ ძალას „ღმერთს“ უწოდებს. იქნებ, სწორედ ეს არის გამოსავალი მაშინ, როცა უკუნეთის კარს მიმდგარი სიტყვებით გაუჩერებლად ვაკაკუნებთ. რამხელა სივრცე დაგვრჩება რწმენისა და ნუგეშისთვის, თუ მხოლოდ „ცელანის სიგიჟეს ავიტაცებთ?!“ მისი ცხოვრება „ყოველი ჩვენგანის წერის მანერად“ რატომ ქცეულა?

თუ ავტორთა უმეტესობა სასიყვარულო ლექსებში მგზნებარე ვნებებს აღწერს, მერენს აქაც თავისებური ხედვა აქვს. მის ერთ-ერთ ცნობილ ლექსს „უკანასკნელი სიყვარული“ ჰქვია. სხვა ლექსის სათაურია „სიყვარული მეოცე საუკუნეში“. იგივე სახელი აქვს იალმარ გულბერგის ლექსების ერთ-ერთ კრებულს, სადაც ავტორი დროის წარმავლობაზე საუბრობს და ცხოვრების განსხვავებულად აღქმას ცდილობს.

„ბრძანება“ (2008) მართლაც საოცარი კრებულია, თუმცა ბევრი მკითხველი აღნიშნავს, რომ მისი წინა გამოცემები, მაგალითად „მდუმარების სახლი“ (2007), გაცილებით უფრო ძლიერი და შთამბეჭდავია.

გაზეთი „აფტენპოსტენ“; 21. 10. 2011

ნორვეგიულიდან თარგმნა თამარ კვიციანიძემ

2 პროზა

ცხრაჯერ მეტი

ლაშა ბულაძე

ისეთ დროს ვცხოვრობდი, რომ შეუძლებელი იყო გაუთხოვრად დარჩენა. ვთამაშობდით თუ ვლაპარაკობდით, პირზე სულ გათხოვება გვეკერა

დრო იყო ასეთი. გუშინდელივით მახსოვს, როგორ ვიგონებდით ჩვენს მომავალ ქმრებს..... ყველას ერთნაირი ქმარი გვინდოდა: მაღალი, დაკუნთული, ღია ფერის..... შავგვრემანი - არა. შავგვრემანები ისედაც ბლომად გვყავდა.

ასე ვამბობდით, რომ უბინო უნდა ყოფილიყო, ჩვენამდე არავინ უნდა ჰყოლოდა ნანახი. თავდაჯერებული ბავშვები ვიყავით.თუმცა ჩემი ქმარი არ იყო მაღალი. და და არც უბინო.

.....უფროსი იყო ჩემზე.

..... როცა გავიცანი, ნაბლისფერი თმა ჰქონდა, როცა ოცი წლის მერე დაბრუნდა - ჭალარა.

ჭკვიანი იყო, მამასავით მყავდა. სანამ გავიცნობდი, უკვე მიყვარდა. ყველა მასზე მაფიქრებდა და ყველა მასზე მელაპარაკებოდა.

თუმცა ორი დღე ვერ მივიკარე, რადგან რალაც უზომოდ დიდს და შეუხედავს მჩრიდა.

ვფიქრობდი, ნეტა ამას როგორ იტანენ! ეს რა უშნო ყოფილა.

მერე კართან ველოდი ოლონდ. ოლონდ მოსულიყო, ოლონდ მალე მოსულიყო.

არ მახსოვს, რამდენი ხანი ვიყავით ერთად..... ორი წელი? ხუთი წელი? დროები მერევა..... მალევე წაიყვანეს.

..... ყველას

ეგონა, რომ ეს ომი უცებ დამთავრდებოდა, მაგრამ ათ წელიწადს გაგრძელდა.

მე მოვესწარი ყველაზე გრძელ ომს. მეთქი, ნუ ნახვალ, სისულელეა ეს ომი, კაცს და ქალს ერთად ყოფნა უნდათ, თქვენ რა შუაში ხართ.

ამბობდა: მარტო ამ ქალის და კაცის გამო არ მივდივარ.

ვეკითხებოდი: აბა, რის გამო? ვილაც ბოზის გამო. ასე ვფიქრობდი.

.....რამდენი წლის ვიყავი, როცა ჩემი ქმარი ომში წავიდა? ჩვიდმეტი წლის? ოცდაერთის? არ მახსოვს.

მახსოვს, რომ ქალაქი უკაცო ქალებმა აიღეს.

.....ჯანმრთელი ქმრები გახიკეს, ინვალიდები დატოვეს. მაგრამ ქმარი, თუნდაც ინვალიდი, იყო დიდი ეგზოტიკა.

.....ვწერვიულობდი, როგორც სხვა..... მენატრებოდა, თუმცა არ ვგლოვობდი.

რატომ უნდა მეგლოვა ცოცხალ კაცზე? ვისაც არ ეზარებოდა, ზოგი სიტყვით, ზოგიც თვალებით მსაყვედურობდა.

.....თურმე როგორ ვებდავდი ზღვაზე გასვლას და გარუჯვას მაშინ, როცა ყოველწამს შეეძლოთ ჩემი ქმრის მოკვლა. ამის გამო თვლიდნენ, რომ ჩემი ქმარი არ მიყვარს.

..... რახან ჩემი ქმარი ომში იყო, სიცოცხლე უნდა გადავჩვეოდი, ჩემი ბავშვობის მეგობრები არ მენახა, არ მევლო სტუმრად და არ მიმელო სტუმრები, უნდა ვყოფილიყავი შეუხედავი, გვიან არ უნდა დამეძინა, ადრე უნდა დავწოლილიყავი და თვალი არ უნდა მომეხუჭა - დაძინება არ უნდა შემძლებოდა ქმარზე ფიქრის გამო, ლოგინში მწოლს ტურების კვენტასა და ნერვულ ხუთვებში უნდა მეთენებინა ღამე.....

..... რახან ჩემი ქმარი ომში იყო, საჭმელი არ უნდა მეჭამა, თვალეები ბუდედან უნდა გადმომცვენოდა, ტანსაცმელი ტომარასავით მკიდებოდა და მწვანე ფერი მდებოდა სახეზე..... რახან ჩემი ქმარი ომში იყო, თითები თავისით უნდა შემძვრალიყვნენ ფეხებს

შორის და პირმოძუნულს მელრუტუნა, ჩემი ხმა რომ ვერ გაეგონათ მაგის ნათესავებს.....

.....ვინმე იტყვის, რომ სხვანაირად ვიყავი?

..... ყოფილა დღეები, როცა მის ხმას ვერ ვიხსენებდი და სახის ნაკვთები მავინყდებოდა..... მაგრამ მაინც ველოდი..... ამ დროს, თავისუფლად შემეძლო წასვლა, ვინმეს შეყვარება, გათხოვება. მოძებნა არ გამიჭირდებოდა, ორმოცი კაცი მეჯდა სახლში!

ჩემი მეგობრები ყოველთვის ითვლიდნენ, მე კი არასდროს დამითვლია ის კაცები, ვინც თურმე ჩემგან ელოდა რაღაცას.

..... მე შემეძლო გავთხოვილიყავი ომის მეხუთე წლისთავზე (სხვა აუცილებლად გათხოვდებოდა), შემეძლო გავთხოვილიყავი ომის მეთათე წლისთავზე (სხვა ნებისმიერ შემთხვევაში გათხოვდებოდა). და შემეძლო არც დავლოდებოდი რაიმენაირ წლისთავს...

მე ველოდე ჯერ ათი წელიწადი...
მერე კიდევ სამი.
კიდევ ხუთი.
და კიდევ სამი...

ბავშვი თითქმის იმხელა გახდა, რამდენი წლისაც მამამისი იყო, როცა ომში წავიდა.

ჩემი მეგობრები მეუბნებოდნენ: „შეგიძლია ადამიანურად ცხოვრების უფლება მისცე შენს თავს, ადამიანი ხარ“, რაც ნიშნავდა: თუ არ გათხოვდები, ვინმესთან დაწევი მაინც.

მე ვეკითხებოდი: „ვისთან?“, „რომელთან?“, „უსიყვარულოდ?“

ასე ვფიქრობდი: თუკი ხუთი წელიწადი ველოდე, კიდევ რამდენიმე დღე როგორ ვერ დაველოდები, თუკი რვა წელიწადი ველოდე, კიდევ რამდენიმე დღე როგორ ვერ დაველოდები, თუკი ათი წელი ველოდე, კიდევ რამდენიმე დღე როგორ ვერ დაველოდები, თუკი თერთმეტი წელი ველოდე, კიდევ რამდენიმე დღე როგორ ვერ დაველოდები, თუკი ჩვიდმეტი წელი ველოდე, კიდევ რამდენიმე დღე როგორ ვერ დაველოდები, თუკი ოცი წელი ველოდე, კიდევ რამდენიმე დღე როგორ ვერ დაველოდები.

.....არ ვიცი, როგორ მოხდა, რომ ვერ დამავინყდა.

ვიცი, ჩემზე ამბობდნენ: ეს ავადმყოფია, სინამდვილეში მკურნალობა სჭირდება და არა ამ კაცის დაბრუნება.

მეხუმრებოდნენ: „გახსოვს მაინც, ვის ელოდები?“

..... მე მახსოვდა, რომ უნდა დავლოდებოდი.

..... ამ დროს, ვერ ვიცანი, როცა ჩამოვიდა..... შეუძლებელიც იყო, გეცნო ამდენი ხნის შემდეგ. ბებერი დაბრუნდა. მოულოდნელად..... ისინიც სახლში დახვდნენ. ეზოში, შიგნით, ყველგან.....

კიდევ კარგი, ვერ ვიცანი..... თვალწინ მომიკლავდნენ და წყალში ჩაიყრებოდა ოცი წელიწადი.

ქორწილებში ყველას კლავდნენ. მაგრამ გადარჩა..... დამიბრუნდა.

..... ბევრჯერ გადარჩა და ბევრჯერ დამიბრუნდა.

..... ბევრჯერ გადარჩა და ერთხელ დამიბრუნდა.....

მერელა მითხრეს, რომ ორმოცივე მოუკლავს.

..... არ მინდა იმ დღის გახსენება.

..... ველოდი, მაგრამ ბოლოს აღარც მინდოდა, რომ ჩამოსულიყო.

გამარჯვებული და გაბოროტებული დაბრუნდა. შენიშვნებით, გაუთავებელი

საყვედურებით.....
ჭირვეული და გაავეებული კაცი!
მუტრუკი!.....

ერთხელ ვილაც მეუბნება: იცი, შენს ქმარს ვინ ჩამოჰყვავა?

ვინ ჩამოჰყვავა? თურმე ვილაც გაუჩენია ამ ბებერს!..... აქეთ მონა-ცოლი, იქით მონა-საყვარელი

..... წლები ვისმენდი ამათ თქმულ თუ არ თქმულ შენიშვნებს, მაგრამ ეს მაშინ, როცა ბავშვი ვიყავი და ესენი რაღაცად მიმაჩნდნენ.....
ან ეს მეგონა ვილაც.

ამ დროს, ვინ იყო?..... მკითხა ვინმემ, მინდოდა თუ არა, როცა მათხოვებდნენ? ვიცნობდი საერთოდ? მაცალა ვინმემ, გამეცნო? მოეცათ თუნდაც ოთხი-ხუთი თვე ჩემთვის და ვიტყოდი, მინდოდა თუ არა. ძალით მიმანებეს

მსხვერპლად შეწირვისთვის!..... ეს შენი
 ცოცხლად დაბრუნებისთვის!..... ეს
 ჩემი გაუპატიურებისათვის!..... ეს შენი
 გადარჩენისთვის!.....
 შენი ბანაობებისთვის ჩემს
 სააბაზანოში!..... შენი ძირს
 დაგდებული ნიფხვისთვის!.....
 შენი მუზარადისთვის! ეს შენი
 ხვრინვისთვის..... ეს შენი
 ძმრიანი პირსახოცებისთვის!.....
 მეთქი, ეს ჩემი ტყუილებისთვის!..... ჩემი
 სინდისის ქენჯნისთვის!.....
 ჩემი შიშისთვის, რომ ვინმეს რამე არ
 წამოსცდენოდა!..... ეს შენი ჯანმრთელობისთვის!
 შენი სქელი კანისთვის!..... შენი
 დაკვლისთვის!..... შენი ომისთვის!..... არ მინდა
 იმ დღის გახსენება.

..... რადგან არავინ
 მყვარებია ისე, როგორც ჩემი ქმარი.
იმასთან ხელიც მქონდა
 მონერილი და დიდი ქორწილიც გვექონდა, მაგრამ
 ჩემი ქმარი თუ იყო ოდესმე, არც მახსოვს, რადგან
 ქმრად არასდროს ჩამითვლია. და ეს, ვისთანაც არც
 ხელი მქონდა მონერილი და არც ქორწილი გვექონია,
 ყველასთვის „ჩემი ქმარი“ იყო.
 ყველას ასე ვაცნობდი: „ჩემი ქმარი“.
 ამბობდნენ, რომ გარეგნობით ვგავდით
 ერთმანეთს..... რომ და-ძმასავით ვიყავით.
ამ დროს, მე არ
 ვგავარ ჩემს დას.
 ამას ვგავარ.
 ჩემს ქორწილში გავიცანი (იმ
 ქორწილში თუ მანამდე?) და მეორე დღესვე
 გავიპარეთ..... ღამე შევედით
 ზღვაში
 მიყვარს იმ დღის გახსენება

.....

 ხმამალა ამას არავინ იტყვის და შეიძლება
 საკუთარ თავსაც არ გაუმხილონ, მაგრამ
 დარწმუნებული ვარ, ჩემი ბავშვობის მეგობრები,
 რომელთა მიზეზითაც სისხლი დაღვრილა, გულში
 ამაყოფენ, რომ ისინი, ვინც დაიხოცნენ, მათ გამო
 დაიხოცნენ.....
 გულში ითვლიდნენ, რამდენი მოკლეს მათ
 გამო..... ვის გამო მეტი, ვის
 გამო ნაკლები..... სად
 ვისი მიზეზით მოკლეს და როგორ მოკლეს? თავის
 სახლში? სხვა ქალაქში?
 ზოგი
 ისეთი უზრდელია, თავხედურად უკუთხავს: როგორ



გძინავს, როცა იცი, რომ შენს გამო დაიხოცნენ?
 მე არავის
 გავუტაცებია, უჭკუო არ ვარ, ვიცოდი, რა
 მინდოდა.
 აქ კიდევ ვინმე ფიქრობს, რომ ჩემ გამო
 მოკვდნენ? რომ ჩემთვის იომეს?
 იქნებ თავიანთი მომავალი ცოლების გამო
 იომეს? იქნებ შეეშინდათ, რომ ათასკაციანი
 ქორწილებიდან გაექცეოდნენ. ზოგიერთს პირველ
 დღესვე უნდა გაექცე, თორემ მერე გვიან იქნება,
 შეგიჩვევს და წასვლას დაუსრულებლად გადადებ.

 ან
 დაგასწრებს და თვითონ წავა.

 ქალები არასდროს დაინყებდნენ დიდ ომს
 ქორწილიდან გაქცეული კაცების გამო. ვინ უნდა
 გაგექცეს ქორწილიდან, რომ მის გამო იომო.....

 ვინ უნდა იყოს, რომ მის გამო ქალი მოკლა.
 ან კაცი.
 მე რომ რომელიმე ჩემი ბავშვობის მეგობარი
 ყყოფილიყავი, ხმამალა არ ვიტყოდი, მაგრამ
 გულში აუცილებლად დავითვლიდი იმ მოკლულებს,
 ვისზეც მეუბნებოდნენ, რომ თურმე ჩემ გამო მოკვდნენ.
 მაგრამ მე ვერ დავითვლი.....
 რამდენი დავთვალო! მათემატიკა არასდროს
 მიყვარდა.
 ეს მკვდარი კაცები მე არ მეხება.

 ყველა ჩვენს ლოგინში ცდილობდა
 შემოძრომას.
 ყველა ჩვენ გვითვალთვალებდა.....

ყველგან მოწმეები გვყავდა, დამალვას ვერ ვახერხებდით.

ქალები, კაცები, ბავშვები!.....
 მოხუცი კაცები, მოხუცი ქალები!.....
 ამათ უნდა დავენახეთ, ამათ უნდა ეყურებინათ ჩვენთვის..... დღის ნებისმიერ მონაკვეთში.

.....

მგონი, ყვირილმა გამაღვიძა.
 შენ ადექი და
 გახვედი.....
 მე გკითხე: სად მიდიხარ?.....

.....

..... მეთქი, საით?..... კუნძულზე უნდა ვმჯდარიყავი..... ჩემ გამო არავინ მოუკლავთ..... აჩრდილის გამო კვდებოდნენ!

..... არ მახსოვს ის დღე.

.....

..... მე შენთან ერთად მიხდოდა ყოფნა, ფეხებზე მეკიდა ეს სანყალი ხალხი, ეს ხმაური, ეს ქალაქი, ეს გაუთავებელი გოდება, შენი ძმა, მისი უბედური ცოლ-შვილი.....

საძინებლიდან არ უნდა გასულიყავი.....
 მეზიზღებიან ისეთი კაცები, რომლებიც კაცებივით იქცევიან: შენ მშიშარა და ცოცხალი უნდა ყოფილიყავი!.....

..... უნდა დაგვეყარა ეს გვაგები და გავცეუულიყავით.

.....

თავი უნდა გადაგვეჩინა.

..... მაგრამ ჩემს ძმას დაუმარხავს ვერ დავტოვებდი.

არავის გამო არ დავტოვებდი ჩემს ძმას!.....

.....

..... და არც შენ გამო!
 არ არსებობს კანონი, რომელიც პანაშვიდებს და დაკრძალვებს აუქმებს.

ჭირისუფლებს უყვართ აღნიშვნა, ვინ მოვიდა მათი მკვდრის პანაშვიდზე და ვინ არ მოვიდა.
 ყველა სახეზე ახსოვთ.....

..... აქ ნურავინ მოვიდოდა. მე არ მჭირდებოდა. მარტო ვიჯდებოდი.

არმოსვლის გამო არავის ვუსაყვედურებდი.
 ზოგი მასზე მეტად სძულდათ, მაგრამ პანაშვიდზე მაინც მიდიოდნენ. თვლიდნენ, რომ დაკრძალვა აუცილებელია.
 პანაშვიდზე არმისვლა დანაშაულია.

..... ბავშვი ვიყავი,
 როცა პირველად ვნახე მიცვალებული. და სად? დაკრძალვაზე. ბავშვები მიგვიყვანეს და მიცვალებულის თავთან დაგვაყენეს.

მე მითხრეს: „ეს აუცილებელია, აქ უნდა იყოთ“
 ამ დროს, ვერ ვცნობდი მიცვალებულს. მკვდარს არ ვიცნობდი.

.....

ოლონდ წლები მესიზმრებოდა მისი სახე.....
 წლები მეშინოდა იმ კედლის, სადაც კუბოს სახურავი ჰქონდათ აყუდებული.

..... და ახლა ამის სახე.
 იმ მიცვალებულს ამის სახე დაემატა!..... თუმცა მისგან განსხვავებით, ამას თავისი საფლავი არ ჰქონდა.

..... ამ დროს, ამ სანყალ ბიჭს თავისი საფლავი უნდა ჰქონოდა!

ეს უნდა მცოდნოდა.
 თუ არა და, მშვიდად ვერ ვიჯდებოდი შენ გვერდით.

რა უნდა მეთქვა ჩემი მომავალი შვილებისთვის: რომ სათანადოდ ვერ დავკრძალე მათი ბიძა?.....
 რომ დამავინყდა?
 რომ კანონი იყო ასეთი?
 არ მკითხავდნენ: ისეთი რა კანონი გქონდათ, რომ თუნდაც ერთკაციანი პანაშვიდი ვერ ჩაატარებ?.....

..... ვგრძნობდი, ყველა ჩემს მხარეს იყო, ბევრს უნდოდა დაკრძალვაზე მოსვლა, რადგან ყველა მშვიდადაა, როცა დაკრძალვაზე დადის (განსაკუთრებით ბებრები, როცა ხედავენ, რომ ახალგაზრდები მათზე ადრე მოკვდნენ). მაგრამ ეშინოდათ..... ხალხის მტერი არ იმსახურებდა დაკრძალვას!

.....

არავის უნდოდა სხვების გაღიზიანება.
 დას უნდა დავეინყებინა ძმა, ცოლს ქმარი, შვილს მამა, დედას შვილი.....

დრო იყო ასეთი.

..... ზოგი ამბობდა:
 „ნუ ფიქრობ ამაზე, გათხოვდები, შვილები გეყოლება, რალაც შეიცვლება“.

რა შეიცვლება? როდის?

.....

არაფერი შეცვლილა.

..... ბედნიერი არც მანამდე ვყოფილვარ და არც მერე.

..... არ მახსოვს, როდის ვიგრძენი თავი ბოლოს ბედნიერად!.....

..... შენ კარგი ადამიანი ხარ, ჩემს მხარეს დგახარ, შენც გინდა, როგორც ნათესავს, პანაშვიდზე დგომა, მაგრამ ძალა არა გაქვს

.....

..... და მე ვერ გეხები, ვერ

გეფერები, რადგან თვალწინ იმ სანყალი ბიჭის სახე
 მიდგას..... ყოველთვის პატარა
 იყო და ახლა უკვე მკვდარია.
 ამას ვერ ვივინყებ.
 ეს ვერ დავივინყე და მათი
 კანონი დავარღვიე.
 ამას
 მხოლოდ ოცი წლის ასაკში თუ იზამ. ახლა – ვეღარ.

 ოღონდ ღრმად ვერ გავთხარე,
 ძალა არ მეყო.....
 არ მინდა იმ
 დღის გახსენება.
 იქვე დამიჭირეს,
 თუმცა ყველამ იცოდა, რომ უდანაშაულო ვიყავი.
 ვერავინ ვერაფერს წამომამძახებდა.....
 ვის რა უნდა ეთქვა!..... ყველა ჩუმად
 იყო..... ეშინოდათ.
 დრო იყო ასეთი.
 ყველა ჩუმად უნდა ყოფილიყო.
 ამ დროს, თუკი ვინმე იყო
 უცოდველი ამ ქალაქში, ეს მე ვიყავი.
 და მაინცდამაინც მე
 დამიჭირეს!.....
 ერდადერთი
 უდანაშაულო!.....
 დედის მკვლელობაზე ფიქრი
 დანაშაულია?..... და როცა ყველას
 სძულხარ?
 როცა დედას
 აუტანლად ალიზინებ?.....
 როცა ყველა ჩუმადაა. როცა დედას
 ეზიზღები.....
 ვაჭარბებ?
 მისთვის ყოველთვის
 ის კაცი იყო ყველაზე და ყველაფერზე
 მნიშვნელოვანი:
 რას შეჭამს?
 როდის გაიღვიძებს?
 როდის დაიძინებს? სად მიდის?
 ვის ნახულობს?
 ხომ არ დაავინყდა წამლის დაღვევა?.....
 რა აცვია?.....
 ხოლო აქეთ მუდმივი საყვედურები: „როგორ
 ელაპარები? თავი ანეე და ისე უპასუხე!.....“
 „ჩვენ ყველაზე მეტად ვუყვარვართ.....“
 „თქვენ ყველაზე მეტად
 უყვარხართ..... ისე, როგორც
 საკუთარი შვილები“.
არ ჰყავდა არანაირი

საკუთარი შვილები! რაც უნდა გვექნა მე და ჩემს
 ძმას, ყველაფერი ალიზინებდა.
 ასე ნუ ჭამ (მერე: „აქ ნუ ჭამ“!).
 კარს ნუ კეტავ შიგნიდან (მერე: „ოთახში იჯექი,
 როცა დაგიძახებ, მაშინ გამოხვალ“).
 როგორ ელაპარაკები?..... რა ტონით
 ელაპარაკები?
 როგორ უბედავ ასე ლაპარაკს
 (მერე: „როგორ უბედავ მამამენს ასე ლაპარაკს)?
მამამენს.
 რომელ მამაჩემს? მამაჩემი ომშია.
 მამა მკვდარი მყავს.
 საშინელი წლები იყო.
 „მამაშენივით
 გესლიანი ენა გაქვს!“..... „მამაშენივით
 უზრდელი ხარ!“..... „მამაშენივით დაუნახავი ხარ!“

 „დაგრეხილი ფეხები აქვს, მამამისივით“.....
 „ისეთივე ბოლმაა, როგორც
 მამამისი“.....
 „მამამისივითაა, სანამ თვითონ არ ნაიმტვრევს
 რქებს, მანამდე არ დამშვიდდება“.....
 თურმე წლები უნდა
 მეცხოვრა ამ კაცთან ერთად.
 დედაჩემის კაცთან. მის მთავარ სიყვარულთან.
 ერთხელ მთვრალმა მიყვირა: „ეს კაცი მიყვარს,
 არც შენ, არც შენი ძმა, ეს კაცი!“

 მთელი დღეები უსაქმოდ იყო, მაგრამ
 ჩვენთვის არასდროს ეცალა. იმას ელოდა, როდის
 მოვიდოდა.
 ისიც ყოველთვის
 მოდიოდა. სხვაგან არც ერთხელ არ დარჩენილა.
 არასდროს გასულა სახლიდან ორ საათზე
 მეტხანს, მე კიდევ ვლოცულობდი, რომ არასდროს
 მობრუნებულიყო.
 ჯერ ჩემი ძმა
 გაუშვეს: „უკეთესია, სხვაგან იყოს, იქ უკეთ იქნება,
 უკეთ ისწავლის“.
 მე რაღას მიპირებდნენ?
 მარტო უნდოდათ დარჩენა და ჩვენ ხელს
 ვუშლიდით.
 ეს მათ იცოდნენ და არა
 მე, სად უნდა მესწავლა, რა უნდა მცმოდა, ვისთან
 მეურთიერთა (არავისთან არ უნდა მეურთიერთა),
 როდის დამეძინა და სად დამეძინა..... ვინ
 შემყვარებოდა (არავინ არ უნდა შემყვარებოდა), ვის
 უნდა ვენახე.....
 ფული არ ჰქონდა იმ
 კაცს, იმას სახლი არც ერქვა, ქოხში ცხოვრობდა,

მაგრამ დედაჩემს მოწონდა.

ტვინი მბურღა: „ასე ჯობია, შენთვის უკეთესია, შენთვის ასე ჯობია“.

ჩემთვის თუ მისთვის ჯობდა ასე?.....
ეშინოდა, რომ ძალით არ ვეხმარე მის ქმარს?

ჩემი ნება რომ იყოს, კანონით ავკრძალავდი ისეთი ქალის ხელახლა გათხოვებას, ვისაც შვილები მოჰყვება პირველი ქორნილებიდან.

ეს იყო დედაჩემის გეგმა.....
მოშორების გეგმა.

..... მე წინააღმდეგობის განწევის ძალა არ მქონდა. ვფიქრობდი, იქნებ მართლა ასე სჯობდა? იქნებ სჯობდა, სხვაგან მეცხოვრა?.....

„ერთმანეთ შეეჩვევით“.

რატომ უნდა შეეჩვეოდით? ისეთი მახინჯი ვიყავი (მამაჩემივით დაგრეხილი ფეხებით), რომ აუცილებლად უნდა შემჩვეოდა ვინმე?

შეუჩვევლად არავის მოვუნდებოდი?

მე მომიშორეს, ჩემი ძმა მოიშორეს, მამა მკვდარია.....

..... მერე თქვეს, რომ ჩემი ძმა მამაჩემს ჰგავდა.

..... ან ადრე უფრო მობრუნებულყო, ან უფრო გვიან..... რთულ ასაკში მობრუნდა. ყველა ამბობს, რომ ამ ასაკში



ბიჭები მამინაცვლებს ვერ ეგუებიან, მშობლებზე ეჭვიანობენ.

ის დედას უნდა ედევნა, ეთვალთვალა მისთვის, მაგრამ დედაჩემს არ ალღევებდა, შვილს მოუკლავდა ვინმე თუ მისი შვილი მოკლავდა სხვის შვილს, ათობით ბიჭი კვდებოდა ასე..... ერთით მეტი იქნებოდა, ერთით ნაკლები.

დრო იყო ასეთი..... ჩემი შეჩვეული ქმარი ამბობდა: „მიაქციეთ ამ ბავშვს ყურადღება, ეს რაღაც უბედურებას ჩაიდენს, მერე გვიან იქნება“.

მისთვის დედას უნდა მიექცია ყურადღება და მამა უნდა ჰყოლოდა ცოცხალი, მე რა შემეძლო! დას რა შეუძლია.

..... ჰოდა, ის დღეც დადგა, ასე რომ ეშინოდა დედაჩემს..... იმან დაუყვირა და ხელი დაარტყა (ამ დროს, დედაჩემს უნდა დაერტყა, იმ კაცისთვის უნდა დაესწრო).

მე არაფერი მითქვამს.....

არაფერი დაგვიგეგმავს.

დანა ჰქონია. სისხლმა ალაგზნო. დედაჩემს უნდოდა, გამოეგლიჯა..... მათ შორის ჩადგა. ქმარს და შვილს შორის.

..... დანა მკერდში ჩაურტყამს დედაჩემისთვის.... ასე ჰყვებიან.

..... მკვდრები ცოცხლების ხელით კლავდნენ მკვლელებს.

..... ცოცხლებს მკვდრები კლავდნენ.

..... რაც არ მინახავს, როგორ გავიხსენო.

..... არ ვიცი, როგორ მოხდა.

..... არ მესმის, როგორ ვერ მოერია ორი ზრდასრული ერთ არასრულწლოვანს!

..... რა ოჯახია!

..... მამას ვუერთგულეთ.

..... ისე გამოვიდა, რომ მამას ვუღალატეთ.

... ჩემს ძმას.

..... ჩემი ძმაც გავწირე.

..... ქვეყნიდან გავიქეცი.

..... ისევ ახალი თავსატეხი.

..... რადგან შეუძლებელი იყო ჩემი გაჩერება.

..... ჯერ შენ იყავი, ყველაზე მთავარი..... ყველაზე წინ..... შვილებზე წინ.

..... ჩემს შვილებზე წინ.

.....მეთქი, ხელი არ

შეგიშალონ. გამოგაძინონ, რათა დასვენება შეძლო.

სად მიდიხარ? როდის მოხვალ? თუ გინდა, ნუ მეტყვი. როგორც შენ გინდა.

..... სულ იყო „როგორც შენ

გინდა“. არ მახსოვს, სხვანაირად ყოფილიყო.
შენ გახსოვს?

ჩემზე ამბობდნენ, ქმარზე უფროსია, ქმარს თავზე
აზის, აბრუებს, მართავს.

ასე იყო? შენ უნდა გაგეცა მათთვის პასუხი!
შეგაშინეს? შენს ნათესავებს ვერ გაუძელი?

სანამ მატყუებდი, ყველაფერს ვხვდებოდი, ოღონდ
თვალეებს ვხუჭავდი, მეთქი, მატყუოს, არა უშავს,
გადავიტან, გადავყლაპავ.

..... მაგრამ ვფიქრობდი, ვინ გაიჩინა?
..... რა აკლდა, მეტი რა უნდოდა!
შენ ამბობდი: „არა, არავინ“.

შენს გარეგნობაში ვეძებდი ლალატის დასტურს:
აი, პირგაპარსული გადის სახლიდან.....
აი, სუნამოს ისხამს..... აი, წვერს
იპარსავს..... აი, მონყენილია. აი,
ვითომ იწყენს.....

..... ვფიქრობდი, აღარ მეკარება. ვფიქრობდი,
კვითხავ: ვის უნახავ ერთგულებას? თუ თავი აღარ
გაქვს?..... ჩემზე და მასზე ძალა აღარ
გყოფნის?.....

.....ვიცოდი, ყველა შენს მხარეს დადგებოდა.



იტყოდნენ, რა ექნა, აბრუებდა, თავზე აჯდა,
მართავდა...

..... ყველა შეაძულა (დედაც, მამაც).
ერთმანეთი ახოცინა კაცებს
..... ძმა არ დამარხა.....
საკუთარი ძმა მოაკვლევინა...

..... მაგრამ ეს ხომ შენ გინდოდა,
მე არა!..... შენ მთხოვდი, შენ მეხვეწებოდი, შენ
მაიძულე.

ეს ყველაფერი შენთვის იყო.
..... ეს სულ შენთვისაა!

.....არ გინდოდა
ჩემგან შვილები? თუკი წასვლას აპირებდი,
რატომ გამაჩენინე მეორე შვილი? თუკი
მიდიოდი, რატომ არ მითხარი, რომ
მუცელი მომეშალა?.....
მე არ ვაპირებდი „მეორე შვილით ოჯახის
შენარჩუნებას“, ასეთი უსუსურიც არ
ვყოფილვარ!.....

..... მთხლე აღმოვჩნდი!
არ მეგონა, თუკი ერთ დღეს წახვიდოდი და
უკან აღარ მობრუნდებოდი.

..... მახსოვს, იმ დილით
გკითხე: ესე იგი, მეც მაქვს ამის უფლება?
შენ მითხარი: „შენც მაქვს“.
მეთქი, სახეში შეგაფურთხებ..... უკვე სულ
ერთია შენთვის, ვისთან წავალ?
ვის მივცეცი ჩემი ორი შვილით?

..... რა უცებ
შემეშვი, რა უცებ მომაგვარე, რა უცებ დაასრულე.
რა ადვილი ყოფილა წასვლა.....
როგორ გეგონა, რომ ადვილი იქნებოდა.
..... თუმცა შენ არ მიდიოდი,
თურმე მე უნდა წავსულიყავი.
ასე გადანყვიტეთ.

..... უჩემოდ გადაგინყვიტიათ
ასე.
სახლი უნდა დამეცარიელებინა, არ მევლო იქ,
სადაც შენც შეგეძლო მისვლა, იქ არ დაგხვედროდი,
სადაც შენ შეჩვეოდი ყოფნას.....

..... ქალაქი უნდა გამომეცვალა!
..... იქნებ ქვეყანაც?..... არც ის
ხალხი უნდა მენახა, ვისი ნახვაც შენც შეგეძლო.
..... შენს ახალ მშობელს ხომ ასე ეშინოდა
ჩემი!.....

მაგრამ არც ძველს ვყვარებივარ.
..... დედებს გამოცვლი, ცოლებს ვერა.
..... „ნუ მელაპარაკები, ნუ მხვდები!“
თუ არა შენ, ვის ველაპარაკო?

მაშინ რად გინდოდა მეორე შვილი?

..... ან მე რად მინდოდა?..... თუ

ასეა, მაშინ ეტიკინოს.....

კი არ ენწყინოს, კი არ გაბრაზდეს, კი არ

განწინმატდეს, კი არ დაიბოლმოს – ეტიკინოს!

ისევე ეტიკინოს, როგორც მე.

..... თითქმის ისევე, როგორც მე.

თითქმის.

სხვა რა უნდა მექნა?

..... მეთქი, ველარასდროს

ნახავს თავის შვილებს. მოუნდება და ვერ ნახავს.

შენს საკუთარ შვილებს ველარ

ნახავს!.....

..... მეთქი, შვილებს აღარ

ვაჩვენებ!..... მათ ველარც შორიდან ნახავს და

ვერც ახლოდან..... მოუნდება შვილების

ნახვა (ოღონდ თუკი მოუნდება, რადგან ამ

ლორებს არც უნდებათ) და ვერ ნახავს.....

ვერასდროს!.....

..... შვილები აღარ

იქნებიან!..... მისთვის შვილები აღარ

იქნებიან.

შვილები აღარ ეყოლება.....

.....

ისე აღარ გეყოლება, რომ ველარც შემეხვეწებო,

განახო.

ისე აღარ გეყოლება, რომ ვერც მეტყვი,

შორიდან მაინც დაგანახო.

ისე აღარ გეყოლება, ხვეწნას დაეკარგება აზრი.

..... ბავშვებს კაბა

გამოვატანე საჩუქრად, რადგან ჯერ იმ ქალს უნდა

ტყენოდა.

გახსოვს?

ჯერ იმათ.....

ბოლოს – შენ.

მთავარი ტკივილი შენთვის.

ჩემს მერე მთავარი.

..... ბავშვებმა კაბა წამოიღეს.

..... ამის მერე აღარაფერი მახსოვს.

..... ან რა უნდა მახსოვდეს!

ამაზე მეტი რაღა უნდა მახსოვდეს!

რა უნდა ყოფილიყო ამაზე მეტი!.....

ამის მერე არაფერია.

..... უნდა დამესვენა.

..... ყველა მეუბნებოდა, რომ

დასვენება მჭირდებოდა.

..... არავის აღელვებდა, მჭირდებოდა

თუ არა დასვენება.

..... არავის არაფერი აღელვებდა.

..... სადმე როგორმე უნდა დამესვენა.

მიზეზი უნდა გამეგო.

..... უნდა მცოდნოდა,

ვისთვის და რისთვის ხდებოდა.....

როგორ ხდებოდა.

..... შეუძლებელია, ახსნა.

..... უნდა გამეგო. ეს უნდა გამომეცადა.

შეკითხვები მქონდა.

..... ჭარბი თმიანობა

ჰორმონალური ცვლილებების შედეგი ყოფილა.

..... დაჩუტული ძუძუები,

ერთი ღარით ნაკლები ტანი, ამობერილი

ხორხი.....

ესე იგი, ამისთვის?.....

..... არ უჭირთ ამით სიარული?

ფეხების გადგმა მეშინოდა.

..... დაუჯერებელია, ეს ქაოსი ამის

გამო ყოფილიყო!.....

..... ტანი თმით დამეფარა,

მკერდი ხშირი თმით.

მეუბნებოდნენ: „სუნი აგივიდა“.

როგორი სუნი? მომჟავო?

მოტკობო?.....

..... ახლა მკლავებს უნდა

ჩამოვყრდნობოდი და მისთვის ზევიდან მესუნთქა.

..... როგორ უნდა მექნა? მეთქი,

დამეხმარე, ამას პირველად ვშვრები.

შენთან ვერ ვპუულობ.

მეკითხება: „არ იცი, სადაა?“

ვპასუხობ: შენთან არა.

..... ამ დროს, რამდენი ვიომე!

..... უნდა დამეხმარო!

.....

..... უცებ ვერ ვიპოვე.

..... ამ დროს, რამდენი ვითმინე

.....

..... იმ ბავშვების ხმა უნდა

დამევიწყებინა.

იმ ქალის ყვირილი!.....

იმ დაკლული კაცის ხროტინი!.....

..... შენი გასვლა.

ჩემი საწყალი მკვდარი ძმის სახე.....

..... იმის დანაოჭებული სახე,

ოცნლიანი ლოდინი!.....

სისხლი!..... ამდენი

სისხლი!.....

..... სისხლი აღარ უნდა გამომსვლოდა

..... სისხლი აღარ უნდა გამოსულიყო!.....

სისხლი უნდა ჩამომერეცხა.

..... პირველი შეგრძნებები

არასდროს დამავიწყდება: მხურვალეობა, ნებო.



ნებოა!.....
 მეტეი, შენ? შენთვის საკმარისი იყო?
 მეუბნება: „იჩქარე. არ იცოდნი, რომ არ უნდა გეჩქარა?“
 ვპასუხობ: შენზე არ ვიცოდი.
 მეკითხება: კარგი მაინც იყო?
 მეტეი, კარგი იყო.
 კარგი იყო, თუკი მარტო ეს ყოფილა.
 ეს აღმოჩნდა.
 მეტეი, კარგი იყო.
 კარგი იყო..... მაგრამ ცხრაჯერ უფრო ნაკლები.
 ცხრაჯერ ნაკლებია.
 ზუსტად ვიცი, ცხრაჯერ ნაკლებია!.....
 უცებ მომინდა ადგომა, რადგან აღარ მინდოდა ამასთან ერთად წოლა. გამიშვას, ან თვითონ წავიდეს. აღარ მინდოდა ამის დანახვა.
 ამ დროს, ადრე არ იყო ასე. ადრე ვამბობდი: არ ნახვიდე, ასე იყავი. ახლოს იყავი.
 „თუ არ ნავალ, გავვიყუდები“.
 მეუბნება: „მოითავე და მიდიხარ?“
 გავიფიქრე: რა უზრდელია.
 რა მოვითავე?
 არ უნდა მომეთავებინა?
 კიდევ უფრო მეტად მომინდა წასვლა! იმაზე უფრო ჩქარა, ვიდრე ცოტა ხნის წინ მინდოდა.
 ვიფიქრე, ამას აღარ ვნახავ. ეს ერთიც შეცდომა იყო.
 თუმცა სამ დღეში ისევ მივბრუნდი, მე თვითონ მოვძებნე.
 და ისევ იგივე.
 შიგნით ვარდნა.
 რამდენი ვიომე!
 მეუბნება: „ნუ ჩქარობ“.
 ვპასუხობ: არ ვიჩქარო, შეუძლებელია.
 როგორ შეიძლება, არ იჩქარო?

 არ მახსოვს, კიდევ რამდენჯერ ვნახე.
 კარგი იყო.
 ყოველთვის წინა ჯერზე უკეთესი.....
 მაგრამ ყოველთვის ცხრაჯერ ნაკლები.

 იქაც ასე ვთქვი, არ დამიმაღლავს, რადგან ტყუილის თქმას აზრი არ ჰქონდა.
 ან ასე უნდა მეთქვა, ან ისე. ოღონდ ვიცოდი, რომ ერთს აუცილებლად გავალიზიანებდი.

..... პირდაპირ მკითხეს: შენ ეს იცი, რომელს უფრო სიამოვნებს, ქალს თუ კაცს?
 ქალს თუ კაცს? ქალს თუ კაცს?.....
 იცოდნენ, რომ პასუხი ვიცოდი?
 პასუხი ვიცოდი, მაგრამ თქმის შემეშინდა. მეტეი, ან ერთს გავაბრაზებ, ან მეორეს. მათგან ერთი აუცილებლად დამსჯიდა.
 ამიტომ მიკიბულ-მოკიბულად დავინწყე. მეტეი, ყველაფრის მიუხედავად.....
 ყველაფრის მიუხედავად.
 ესე იგი, მიუხედავად ყველაფრისა!..... ყველაფრის მიუხედავად!
 (გგულისხმობდი ყველაფერს!)
 ყველაფრის მიუხედავად!.....
 მათ იცოდნენ, რასაც გგულისხმობდი.....
 გაუთავებელ ლოდინს. მოკლულ ქმარს. გაქცევას. დაუმარხავ ძმას. მოკლულ დედას. მკვდარ შვილებს.
 მაგრამ მაინც ყველაფრის მიუხედავად.....
 (ჩემი ომების მიუხედავად). ყველაფრის მიუხედავად.....
 მახსოვს, მიყვირეს: მიკიბულ-მოკიბულად ნუ ლაპარაკობ, რომელს სიამოვნებს?

 ქალს.
 ცხრაჯერ მეტად!
 მაინც.
 ცხრაჯერ მეტია!.....
 მეტი არაფერი მახსოვს.
 დავბრმავდი.
 ქალმერთმა შეურაცხყოფილად იგრძნო თავი.
 არ ვიცი, რატომ.
 ახლაც არ ვიცი, რადგან არ მახსოვს, იმ დღეს რა ეწყინა.
 წარსული ბუნდოვნად მახსოვს.
 მავინყდება.
 მე აღარ მეხება.
 მომავალზე მკითხეთ.

2014, ოქტომბერი.

ტერეზა და ზიმონ

ბელა ჩეკურიძე

სამხარეულოში მოტრიალე ტერეზა თმააკეცილია და სათვალისანი. კომპიუტერის წინ ნანსავით ზის, გორგოლაჭებით სასეირნოდ რომ მიდის, ცხენის კუდს იკრავს, უნივერსიტეტში, ძირითადად, გაშლილი თმით დადის, რომელიც ოქროსფერ ჩანჩქერად ეფინება მხრებსა და ზურგზე. ტერეზას თმა ზუსტად ის ზღაპრული ფენომენია, გერმანელი პოეტები რომ უმღეროდნენ შუასაუკუნეებიდან და ხან მზის ჩასვლას ადარებდნენ, ხანაც – ამოსვლას.

ახლა კი, ლოგინში თავჩარგული და ბალიშში მოქვითინე ტერეზას თმა ალბათ უფრო ხორბლის ძნას ჰგავდა, ივლისის თაკარა მზის ქვეშ გასაფიცებლად დატოვებულს.

– ასეთი რამ მხოლოდ მე შეიძლება შემემთხვეს, პირდაპირ ამისთვის ვარ გაჩენილი, სხვანაირად ვერც ვიარსებებდი, – მოთქვამდა ტერეზა და მიუხედავად იმისა, რომ სიტყვები სევდიანი იყო, ხმა კი – სასონარკვეთილი, მაინც რალაცნაირად გავმხიარულდი. სათითაოდ გამახსენდნენ ჩემი ქართველი მეგობრები, მსგავსი ტექსტებით. გერმანელ ტერეზას რალაც ძალიან ქართულად გამოსდიოდა ბედის სამღურავი.

და რაზე შეიძლება ემდუროდეს ბედს 20 წლის გერმანელი სტუდენტი გოგო, რომელსაც დედაცა ჰყავს, მამაც, დებიც, მრავალნი მონათესავენიც და არც მარტოსულია ამ სავესე და ვრცელ სოფელში? რასაკვირველია, სიყვარულზე. და თუ კიდევ უფრო დავკონკრეტდებით – პირველ სიყვარულზე, რაც, როგორც წესი, არასწორ არჩევანს, ცრემლთა ფრქვევას, გულის ფრიალსა და დაქალებში ოხვრა-წუნუნს ნიშნავს.

„შენ ეგ ბიჭი არ შეგეფერება!“, „ეგ გოგო რა შენი შესაფერისია?“ „რა შეუფერებელი წყვილია!“ – ფრაზები, რომლებსაც გვიმეორებენ, ვიმეორებთ და ვუმეორებთ სხვებსაც, ვიდრე ერთ დღესაც ეს ჩვენი წარმოდგენები თავზე არ ჩამოგვეშობა. მაგრამ არსებობს ქვეყნები, სადაც წყვილების შესაფერისობაზე აზრის გამოთქმა, სულ მცირე, არჩევანის თავისუფლების შეზღუდვად და ადამიანთა უფლებების დარღვევად აღიქმება. ამიტომ ჩვენც რა ძალა გვადგას, ნუ გამოვთქვამთ, თან ხომ არც ვიცით, გერმანელი დედამთილები და მულები როგორ უყურებენ რძლებს და მომავალ სარძლოებს.

მაგრამ ახლა, მოქვითინე ტერეზას შემხედვარეს, ერთადერთი ფრაზა, რაც ენაზე მომადგა, ზუსტადაც ბავშვობიდან ჩავიხსენებულ-აკვიატებული, შეფერება-შეუფერებლობაზე

დაფუძნებული დიაგნოზი იყო, რაც კინალამ ხმამალლაც კი წამომცდა. არადა, სიტუაცია ცხადი იყო და ფაქტიც ჯიუტი: ტერეზა ზიმონს არ შეეფერებოდა!

ზიმონის ოცნება იყო დიდი და ნათელი: გამხდარიყო კათოლიკე მღვდელი და ესხნა აფრიკის კონტინენტი შიმშილისაგან. ეს კი სანყისიდანვე გამორიცხავდა ცოლსაც და ყოველგვარ სასიყვარულო ურთიერთობასაც. ტერეზას ოცნება კი აბა, რა იყო? სექსი და შვილები? ჰოდა, სად ზიმონი და სად ტერეზა? ანდა, სად ტერეზა და სად ზიმონი?

„რა დროს გამრავლებაზე ფიქრია, როცა ნახევარი მსოფლიო შიმშილით კვდება?!“ – დაასკვნა 16 წლის ზიმონმა აფრიკაში მოგზაურობის შემდეგ და აგერ, უკვე ოთხი წელია, მღვდლარე ნაბიჯებით მიიწევდა მიზნისკენ: გახდა ბონის უნივერსიტეტის რელიგიათმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტი, ცხოვრობდა კათოლიკურ საერთო საცხოვრებელში და სამომავლოდ მღვდლის საყელოსაც მოირგებდა. თუმცა კი, კონკრეტულად რით უშველიდა კათოლიკე მღვდელი აფრიკის კონტინენტს, ეს ტერეზამ ჯერ არ იცოდა, ზიმონმა ხომ თავისი გეგმის მხოლოდ პირველი პუნქტი გააცნო, აკი, ბოლომდე არც გადაუშლია გული!

აბა, ვინ განჭვრეტდა, რამდენად შეინარჩუნებდა ზიმონი ამ სულისკვეთებას თუნდაც 30 წლამდე, მაგრამ ჯერჯერობით მისი გული უჭკნობად ეკუთვნოდა რომის ეკლესიას, სული – ღმერთს, ხოლო სხეული ამ ორთა სამსახურში სჭირდებოდა და მას ტერეზას ვერ გაუყოფდა.

– ეს არის ბოროტება! ხომ არის ნამდვილი ბოროტება, არა? – აგრძელებდა ტერეზა მოთქმას, – მძულს ეკლესია და რელიგია, მძულს ყოველგვარი ძალადობა ადამიანზე!

კათოლიკური ეკლესიის მოთხოვნა, მღვდელს მარადიული უმნიკვლობის აღთქმა დაედო, ტერეზასთვის ადამიანურ ბუნებაზე

ძალადობას ნიშნავდა და საპირისპიროში ვერავინ დაარწმუნებდა. მე ხომ საერთოდ ცეცხლზე ნავთი დავუსხი:

- მართლმადიდებელ მღვდლებს ცოლის მოყვანა არ ეკრძალებათ, უბრალოდ, ეს კურთხევამდე უნდა მოასწრონ, როგორც ვიცი...

ამის გაგონებაზე ტერეზამ ერთი ჯიგრი-ანად ამოიქვითინა და კაცთა მოდგმის მთელი სასონარკვეთა ამოაყოლა, რადგან არსებულ-მა უიმედობამ ბოლომდე შეძრა:

- რელიგია მუდამ იწირავდა ადამიანებს მსხვერპლად! და ისევ აგრძელებს ამას, დაუსრულებლად!

შემდეგ მოჰყვა თავის ქნევას და მისი თმა ახლა უკვე სულაც ხორბლის ყანას დაემსგავსა, გალენვის წინ ქარში აღელვებულს, რომელსაც თან ახლდა სიტყვების მარტივი, მაგრამ მკვეთრი რიტმი: „არ ვიცი, არ ვიცი, არ ვიცი, არ ვიცი“...

არც მე ვიცოდი, რა უნდა ექნა ტერეზას და არც იქვე, ჩემ გვერდით, იატაკზე ფეხმოკეცილმა მარიელმა. ვიცოდით მხოლოდ ის, რომ სიყვარული ჰგავდა აღმოსავლური ბაზრის დახლებზე გამოფენილ ფერად-ფერად წინაკეებს, საიდანაც ზოგს უმართლებდა და არომატული და გემრიელი ხვდებოდა, ზოგს, უიღბლოს კი - ცეცხლივით მწარე... ტერეზაც უიღბლო იყო - მიადგა ნითლად მოლაპლაპე დახლს და სამყაროში არსებული წინაკების შვიდასი სახეობიდან მაინცდამაინც ინდური ჩილი ამოირჩია. არადა, მთლად ბრმაც კი არ იყო ეს ლურჯად თვალებკამკამა ტერეზა, მართლა არ უმართლებდა. სწავლის დაწყებიდან ორიოდ კვირაში ჩვენი საერთო საცხოვრებლის კარი მარკუსმა შემოაღო, რომელიც ტერეზამ უნივერსიტეტის მეჯლისზე გაიცნო. მარკუსს თან მოჰყვა ბანანებით და ფორთოხლებით სავსე პარკი და თუმცა მას პირადად არ შეეხვედრივარ, ხილის მოტანა დადებით შესტად ჩავუთვალე და ხმამაღლა შევაქე.

- არაა, - დაიჯღანა ტერეზა, - სულელია. რატომ იყო მარკუსი სულელი, აღარ ჩავძიებდვარ, ჯერ ტერეზასაც არ ვიცნობდი ხეირიანად.

სწავლა ოქტომბერში დავიწყეთ და თვის ბოლოს კიდევ დადგა ჰელოუინის დღესასწაული, რომელიც მე სახლში დარჩენით და ქუჩაში მოთარეშე ბავშვების მოგერიებით აღვნიშნე, რომლებიც წარამარა მიწკარუნებდნენ ზარს



და „ტკბილი გინდა თუ მჟავო“? - დამძახოდნენ. ტკბილი - ეს მათთვის იყო ტკბილი - კანფეტები უნდა მიმეცა და თუ არ მიეცემდი, ჩემთვის გახდებოდა მჟავე, აკი, ფანჯარას კიდევ ესროლეს კვერცხები და სამარცხვინოდ ჩამოგვითხუშნეს. არადა, რაც მე იმ დღეს კანფეტები ვარიგე!

არ გამიგია, კაროლი და მარიელი როგორ წავიდნენ, მაგრამ აი, ტერეზა კი დიდის ამბით გაემზადა: თვალები საგანგებოდ ამოიშავა, ლოყებზე ბრჭყვიალები მიიწება, თავზე მწვანე შლაპა ჩამოიმხო და სახლიდან გაშლილი თმის ფრიალ-ფრიალით გავიდა. წელზე დაფენილი ოქროსფერი ტევრით ტერეზა წყლის იმ ნიმფას ჰგავდა, რაინისპირა კლდეზე რომ იჯდა და ჯადოსნური სიმღერით მენავებებს ხიბლავდა, იმ განსხვავებით, რომ გულში არავის დალუპვა არ ედო, თავისთვის მღეროდა, ხმამაღლა და ინგლისურად. მამილო რაინს მისთვის ოქროს დალალთან ერთად წკრიალა ხმაც მოემადღებინა. სიმღერას გათენებისთანავე იწყებდა. ტერეზას გაღვიძებას ამით ვხვდებოდით. მღეროდა სააბაზანოში, მღეროდა, ბლინებს რომ აცხობდა, მღეროდა, სემინარის მასალებს რომ აკონსპექტებდა. უწყვეტად ჰქონდა ჩართული თავისი საყვარელი პოპ-ჯგუფი და ხმას აყოლებდა მათ სიმღერას.

ჰელოუინის ღამემ ბევრი ცეკვით და კიდევ უფრო მეტი სასმელით ჩაიარა, ტერეზა სახლში მეორე დღესღა დაბრუნდა, უკვე უქუდოდ და უკვე შეკრული თმით, მაგრამ ტობიასთან ერთად. მისი ოთახიდან საღამომდე ისმოდა გერმანული პოპ-მუსიკა და სიცილი. ტობიასის ნასვლაც გავიგეთ. ორი დღის შემდეგ კი ტერეზამ გამოაცხადა: „ტობიასს თავში არაფერი უყრია, სრულიად ცარიელი აქვს“. „სამაგიეროდ, ხომ კარგად კოცნაობს?“ - შეაშველა მარიელმა. „სულელია,“ - მოცელა ბალახივით ტერეზამ და ცეცხლიც წაუკიდა.

ტერეზა ინგლისურ ლიტერატურას სწავლობდა. მარიელს ინგლისურად ელაპარაკებოდა, წიგნებს კითხულობდა კინდლში, საღამოობით უფასო საიტებიდან ფილმებს ინერდა და მერე მარიელთან ერთად უყურებდა, ლოგინში ჩამჯდარი. და ოცნებობდა. ოცნებობდა საკუთარ ბიჭზე. აი, ასე, ლოგინში ჩამჯდარი რომ უყურებდა მასთან ერთად ფილმებს, გორგოლაჭებით რომ ისრიალებდნენ რაინის პირას, ნვეულე-ბებზე რომ ივლიდნენ და გულის ნასვლამდე იცეკვებდნენ,

მშობლებს რომ ესტუმრებოდნენ დღესას-
ნაულებზე... ტერეზას ოცნებები მარტივი
იყო, ჰეროიკულობას მოკლებული, ერთ ადა-
მიანზე ორიენტირებული, მოკვდავთა ენაზე
რომ სიყვარული ჰქვია და იმ საძირკველს ქმ-
ნის, რაზეც უკვდავები საკუთარ უკვდავობასა
და ამბიციებს აშენებენ...

ტერეზას უკვდავობა არ ენადა, მხოლოდ
ერთი ბიჭი სჭირდებოდა ჩასახუტებლად და
მთელი სამყარო მისი იქნებოდა.

რამდენი დრო გადის ამგვარ ოცნებებში,
ღმერთო, ძლიერო, თვითონაც ხომ ხედავ,
რამდენი გოგო ზის საწოლში, ბაღში, ლექ-
ციაზე, ოფისში, პულტთან, დახლთან და ოც-
ნებობენ ერთადერთ, ჩასახუტებელ ბიჭზე! არ
შეგიძლია, ხანდახან მაინც რამე იღონო?

შემოდგომაც გავიდა და ზამთარიც.
გაზაფხულზე კი კაროლმა გადაწყვიტა,
სარეკლამო ვიდეორგოლი გადაეღო, სადაც
მისი ძელზე ცეკვა იქნებოდა ასახული ურ-
ბანულ გარემოში (ვინმეს რომ არ ეფიქრა,
კაროლი სტრიპტიზ-ბარში ცეკვავდა), ხოლო
იმის საჩვენებლად, რომ მსგავსი მოძრაობებ-
ის დაუფლება ყველას შეუძლია, რეჟისორმა
ფილმში რამდენიმე პერსონაჟიც შემოიყვანა:
გორგოლაჭებზე მოსრიალე მარიელი კლასი-
კური კოსტიუმით „გედის ტბიდან“, ტერეზა –
მათრახით და მხედრის სამოსით, და ბეისბო-
ლის კეპითა და დახეული ჯინსებით – ზიმონი.

ვიდეორჩანაწერი დამონტაჟებამდე მაჩვენა
კაროლმა. რადგან გადაღებას არ ვესწრე-
ბოდი, ყველა დეტალი მაინტერესებდა: ის
ფაბრიკის მიტოვებული შენობაც, რეჟისორი
ანაც, ოპერატორი დავიდიც, კლიპის სავა-
რაუდო ქრონომეტრაჟიც და დახეულჯინ-
სებიანი ბიჭიც, რომელსაც კეპი ისე ჰქონდა
სახეზე ჩამოფხატული, რომ ნიკაპის გარდა,
არაფერი უჩანდა. აბა, ნიკაპით როგორ უნდა
შეიქმნა ადამიანზე შთაბეჭდილება? მაგრამ ეს
მე ვერ წარმომიდგენია, თორემ ტერეზამ იმ
ბეისბოლის კეპის ქვეშაც შეძლო მისი შეთ-
ვალეერება და თანაც, ისე საფუძვლიანად,
რომ ზიმონი იძულებული გამხდარა, მისთვის
ტელეფონის ნომერი გამოერთმია. თუმცა კი,
ამის შემდეგ არც დარეკა, არც მოინერა და
ტერეზა დიდად დადარდიანებული დადიოდა.
სწორედ ამ დროს გაუჩნდა კაროლს ახალი
იდეა: სურვილების რუკის შედგენა. როგორც
მერე ახსენა, ესეც რაღაც ფენგ-შუის მეთოდი
თუ ამ ცოდნის შემადგენელი ნაწილი იყო და


თუ სწორად გავიგე, მიზნად ისახავდა მომავლის სივრცის და-
ლაგებას (ბოდიში, რომ ეს ყველაფერი ჩემთვის ძალიან ბუნ-
დოვანია და მისი ზუსტი ახსნა არ შემიძლია).

კაროლმა სურვილების რუკა შეუდგინა ტერეზას. ეს იყო
ფურცელზე, წრიულად, მზის სხივთა მსგავსად, ირიბად
დანერილი სურვილები. სადაც სასურველ ადამიანად ეწერა
ერთადერთი სახელი – „ზიმონი“. ტერეზას იმ ბეისბოლისქუ-
დიანი ზიმონის ჯავრი არ ასვენებდა.

მეორე დღეს (ესეც კაროლისგან ვიცი) ტერეზა ლექციე-
ბიდან დაბრუნდა თუ არა, კაროლთან შეაჭრა: „იცო, ვინ
გავიცანი? ზიმონი!“ – ტერეზამ ზიმონი გაიცნო, – მითხრა
კაროლმა დილის ყავაზე.

– რას ამბობ, დარეკა როგორც იქნა? – გავიბადრე.

– ახალი ზიმონი გაიცნო, ახალი! – კაროლს ხმაში გამარ-
ჯვებული მხედართმთავრის სიამაყე ჰქონდა. სულ იმ თავისი
ფენგ-შუის დამსახურებად მიაჩნდა და ეჭვიც არ ეპარებოდა
მის ძალაში. „როცა რაღაცაზე დაჟინებით ვფიქრობთ, უნი-
ვერსუმი აუცილებლად გამოგვიგზავნის პასუხს, მთავარია,
როგორია ჩვენი სურვილი. თუ შენ ზამთარში დადისარ ქუ-
ჩაში და ნატრობ, ნეტაც პეპელა დავინახო სადმეო, უნივერ-
სუმი დაიწყებს ამაზე ზრუნვას და ეს პეპელა აუცილებლად
შემოგვხვდება სადმე, თუნდაც გოგოს ჯემპრზე, ან სარეკლამო
დაფაზე. სურვილი სწორად უნდა ჩამოაყალიბო, თუ გინდა,
რომ სწორად აგისდეს,“ – ასეთი იყო კაროლის თეორია. წარ-
მოიდგინეთ, გუგლის საძიებო სისტემაში ჩანერილი სიტყვა,
რომელიც ტრიალებს, ტრიალებს და ამოაქვს და ამოაქვს ვარ-
იანტები. დაახლოებით ასე ამოაგდო უნივერსუმმა ტერეზას
ნანატრი ბიჭი – ზიმონი, რომელიც ტერეზასთან ერთად რე-
ლიგიათმცოდნეობის სემინარს ესწრებოდა. რელიგიათმცოდ-
ნეობა ტერეზას არამც და არამც არ აინტერესებდა, მაგრამ
გაზაფხულის სემესტრისთვის დამატებითი სემინარებიდან



ერთადერთ იოლ საგნად ეს მიიჩნია და ჯანდაბას, მოვის-
მენო, დარეგისტრირდა. აუდიტორიაში შედგა თუ არა ფეხი,
პირმშვენიერი ყმანვილი მაშინვე შეამჩნია, რომელიც შუა-
საუკუნეების ეპოქის პაჟს ჰგავდა, პირდაპირ მისკენ გაემართა
და გვერდით მიუჯდა. დანარჩენი უკვე თავისთავად მოხდა,
ტერეზას დიალოგის გაბმა არ უჭირდა, ჰქონდა მახვილი ენა,
მეტყველებდა რბილი ბგერებით და კეკლუცობდა დახვეწილ-
ად. თევზის თანავარსკვლავედზე იყო გაჩენილი და რაინის
ტალღებში გაზრდილი. და პირველსავე დღეს ის შეძლო, რომ
სწორედაც რაინზე გაასეირნებინა თავი ნანატრ ბიჭს – ზი-
მონს. ზიმონმა ტერეზას ფენგ-შუის რუკისა არაფერი უწყო-
და, სამარიტელის გულმაც ალბათ ვერაფერი უგრძნო, თანაც
აპრილი იყო ძალაში, რაინილანდურად თბილოდა და მამილო
რაინიც ნელად მოღვლავდა.

აპრილმა სითბოს უმატა, რაინმა – დუდუნს, ტერეზამ და
ზიმონმა – მდინარის პირას ლაღობა-წოლას და ერთხელაც
ტერეზა წითლად აალებული დაბრუნდა სახლში, თითქოსდა
აი, სააღდგომო კოცონზე მოინდომა გადახტომა, ვერ მოზომა
და შიგ ჩავარდაო.

ქობულეთსა თუ ბათუმში მზეზე დამწვრების მეტი რა მი-
ნახავს, მაგრამ ტერეზა რომ თმის ძირებიანად ვარვარებდა,
მსგავსი ცეცხლნაკიდება მართლა პირველად ვიხილე. იმ დღეს
ისე ცხელოდა, პროფესორმა შტოკმანმა სულ ცხვირსახოც-
ით იწმინდა სახეზე ხვითქად გადმომსკარი ოფლი. ბოლოს
გვითხრა, ეს გაზაფხულის სითბო არ არის, გლობალური დათ-
ბობის შედეგიაო, მაგრამ დასკვნა რას უშველიდა, შეყვარებუ-
ლი ბიჭივით ჰქონდა პერანგი მიწებებული ტანზე. ტერეზას და
ზიმონს კი ლექცია გაუცდათ და დილიდან გავიდნენ რაინზე.

– ხვალ ზიმონი აქ მოვა, – კივილით იმეორებდა ტერეზა,
ვიდრე კაროლი დამწვრობის ქაფს ასხამდა აალებულ გულ-
მკერდზე, მკლავებსა და ბეჭებზე. რა ტკივილს ითმენდა, ამას
მხოლოდ ის კუდიანი თუ გაიგებდა, კოცონზე რომ ცოცხლად
წვავდნენ ტერეზას კათოლიკე წინაპრები.

– ასეთი როგორ დახვდები? – მიკვირდა მე. ხანდახან ხომ
საერთოდ მავინყდება, ეს ჩემი მეზობლები ოცი წლისები რომ
არიან და არა ჩემსავით, ნუ, რამდენისაც ვარ...

ზიმონი მეორედაც მოვიდა, მესამედაც. ერთხელ მეც შეეხ-
ვდი, შემთხვევით, ბიჭის ხმა გავიგე, ვერ მივხვდი, ვინ იყო და
კიბიდან დავიძახე, ვინ ხართ-მეთქი და ტერეზას ოთახიდან
ორივემ ერთად გამოყო თავი. ეს იყო ორი ოქროსფერი თავი,
თითქოს მზის სხივები შეგროვდნენ და ზედ ჩამოისვენესო.
ლამაზი ადამიანების ცქერა ხომ ისეთივე სასიამოვნოა, რო-
გორც ფერადი მინდვრების, ჩანჩქერების, ანდა თოვლიანი
მწვერვალების. მაშინ გავიფიქრე, რომ ამგვარ, წყვილად
დანახულ მშვენიერებას რალაცნაირი, მაგიური ძალა აქვს,
თითქოს ბუნების სრულყოფილებაში ვრწმუნდებით.

– ტერეზა თავდავიწყებამდე შეყვარებულია, – მეჩურ-
ჩულეობდა კაროლი ძალიან ამაყად, აკი საკუთარ დამსახ-
ურებად მიაჩნდა მთელი ეს ისტორია. დღეები გრძელი იყო,
დილით მზის სხივებზე გაღვიძება არ გვიჭირდა და ტელ-

ევიზორის წინ გვიანობამდე ვრჩებოდით. საზოგადოებრივი
ჭორაოდ. თემა არ ძველდებოდა, ახალ-ახალი
დეტალებით ივსებოდა და ჩვენს ფანტაზიასაც
ნოყიერად კვებავდა. ტერეზა ზიმონს ხელს
ჰკიდებდა და ისიც ჰკიდებდა. ტერეზა თავზე
მხარს ადებდა და ისიც ადებდა. ტერეზა ტელ-
ეფონში ჩანერილ მუსიკებს ასმენინებდა და
ისიც ისმენდა. ტერეზას შეეძლო, ზიმონთან
ყველაფერზე ელაპარაკა და ზიმონსაც შეეძ-
ლო მისთვის აფრიკაზე მოეყოლა, სადაც ადა-
მიანები წარმოუდგენლად ლატაკები, მაგრამ
წარმოუდგენლად ხალისიანები არიან. ტერეზა
ელოდა, რომ ზიმონი ერთხელაც განსხვავე-
ბულად ჩაეხუტებოდა, ისე კი არა, დამშვი-
დობებისას რომ ეხუტებიან ზურგზე ხელის
გადასმით, არამედ უფრო ინტენსიურად (ეს
ტერეზას სიტყვა იყო – ინტენსიურად), უფრო
ცეცხლით და გზნებით და ტერეზას ოცნე-
ბაც ახდებოდა, ცაში შუშუნა აიჭრებოდა და
ათასფერებად გამსკდარი ფოიერვერკად დაე-
ფრქვეოდა თავზე.

ერთხელაც ზიმონმა თეატრში დაპატი-
უა. სპექტაკლს ერქვა „ცხოველების ფერმა“,
იყო ორუელის ნაწარმოების ინტერპრეტაცია
და ერთ-ერთი როლი, კერძოდ, კატის, – იქ
ზიმონსაც ჰქონდა. ტერეზა თავის ჯგუფელ-
ებთან ერთად წავიდა. ამის შემდეგ ჩვენ უკვე
ვიცოდით, რომ ზიმონს შეეძლო ცეკვა, იყო
საოცრად პლასტიკური და გარდასახვის ნი-
ჭიც გააჩნდა. ტერეზამ გაამხილა: მას სწორედ
ამ ბიჭ-კატასთან უნდოდა პირველი სექსი. და
აქ მარიელმა ლოგიკური შეკითხვა დასვა: აქ
რომ მოდის ხოლმე, იმ შენს ოთახში, ნუთუ
არაფერი მოსვლია თავში აზრადო? მარიელი
ჩუმ-ჩუმად ყველა ჯგუფელთან კოცნაობდა,
მასთან სამეცადინოდ რომ მოდიოდნენ.

აქამდე ხომ ტერეზას ყოველ ფრაზას უპ-
ირობო სიმართლედ ვიღებდით, ეჭვს რო-
გორ შევიტანდით, გოგო წერტილ-მძიმეს
არ ტოვებდა, ისე გვიკოპირებდა ყოველ
დიალოგს, მაგრამ ახლა სამი წყვილი შავად
მოელვარე თვალი გამჭოლად მიაცქერდა და
ტერეზამაც ის ლურჯი კამკამა თვალები დახ-
არა:

- ზიმონი ამბობს, რომ მღვდელი უნდა
გახდეს, ამიტომ მისთვის სექსი არ შეიძლება.
- რაა? – ერთხმად ამოთქვა სამმა პირმა.
- და დაინყო:
- ეგ როდის გითხრა?
- თვითონ გითხრა?

- მერე რაღას გატყუებს?
 - არ ატყუებს, მაგრამ ეს თავს რატო იტყუებს?
 - თუკი ეგ იცი, რატომღა ხვდები?
 - ყველა ბიჭი სულელია, ჭკვიანი ბიჭი გინახავთ სადმე?
 - მისმა მშობლებმა ეს იციან?
 - არ არსებობს, ყველა ბიჭს უნდა სექსი!
 - ფაქტია, რომ გხვდება, ჰოდა, აბა რაღას თეატრალობს?
 - შენც რას ელოდები, გადაეხვიე და ჩაეხუტე! ნახავ, მერე მის რეაქციას!

- როდის უნდა მოვიდეს კიდეც?
 ზიმონი კიდეც მოვიდა. არავინ არ ვიყავით სახლში. ტერეზამ, სავარაუდოდ, მთელ თავის ვარსკვლავურ ძალებს მოუხმო, გამოიძახა რაინის სული, ალბათ ოდინისაც და ზიმონმაც ის თავისი მისიონერული ფარ-ხმალი დაყარა.

ახალი ამბავი სუნთქვაშეკრულებმა მოვისმინეთ. მარიელმა ტელეფონით იცოდა უკვე და მის კომენტარებს ახალი ამბის ელდა აღარ ახლდა:

- ხომ ვამბობდი, არ არსებობს 20 წლის ბიჭი, რომელსაც სექსი არ უნდოდა, ყველა ბიჭი ერთნაირია, - კისკისებდა და დამაჯერებლობისათვის ხელებსაც იქნევდა.
 - ამის შემდეგ რა მოხდება? - ეს შეკითხვა საერთო მხიარულებას თითქოს არ შეეფერებოდა, მაგრამ წამოძვდა.

რა მოხდა და ესემესების წერა დაიწყო.
 ზიმონი ბოდიშობდა - ტერეზა ამშვიდებდა.
 ზიმონი ნანობდა თავხედურ საქციელს - ტერეზა ამხნევებდა.
 ზიმონი იფიცებოდა, რომ მსგავსი მეტად აღარ განმეორდებოდა - ტერეზა არჩევანს მას უტოვებდა.

ზიმონი მოძღვართან იყო და დასკვნებს ტერეზას უზიარებდა - ტერეზა იზიარებდა.

ტერეზამ სიმღერა შეწყვიტა. გამუდმებით ზიმონის ესემესებს იყო მიყურადებული და დაინკარუნებდა თუ არა ტელეფონი, მის ერთ წინადადებას ეს სამეცნიერო ნაშრომს აგებებდა პასუხად, რომელიც ფსიქოლოგიური ხასიათის იყო და რელიგიათმცოდნეობას არსობრივად ემიჯნებოდა. ტერეზას დაძაბულობა ყველას გადმოგვედო და რაღაცნაირად, ფეხაკრფით დავიარებოდით. უცებ ვიგრძენით, რომ განსაკუთრებულ აურას ამ სახლში თურმე ტერეზას სიმღერა ქმნიდა. ახლა კი, როგორც თხუნელები მიწაში, ისე ვიმალებოდით საკუთარ ოთახებში.

სულთმოფენობის კვირა დადგა, რაინლანდში ერთკვირიანი არდადეგები დაიწყო და ტერეზა თავის ოჯახში გაემგზავრა, ზიმონი კი, როგორც აგვისხნა, მოძღვრის თანხლებით, საბერძნეთის რომელიღაც მონასტერში წავიდა ხელნაწერების შესასწავლად.

„მოინერა? დარეკა? როდის ჩამოდის? არ ჩამოსულა? შეხვედრაზე არაფერს ამბობს? არ გინდა, რომ შეხვდე და დაელაპარაკო? არ აპირებს, რამე აგისხნას?“ - ველარ იგერიებდა ტერეზა ჩვენს შეკითხვებს, რომ ერთ დღესაც მე და მარიელს მეორე სართულიდან წარმოუდგენელი ქვითინის ხმა მოგვესმა, თითქოს კამხალს ჯებირები მოერღვა და წლობით

ნაგუბები წყალი სოფელ-ქვეყანას თქრიალით ტობრავდა.

ისინი ტერეზას დაჟინებული თხოვნით შეხვდნენ ერთმანეთს. საბერძნეთმოვლილმა და ძველი ფოლიანტების სიბრძნით განწმენდილმა ზიმონმა ტერეზას საბოლოო ვერდიქტი ამცნო: მინიერ სიამეთა გამო ზეციურ მოწოდებას ვერ უღალატებდა.

რამდენიმე დღე ვიფიქრე, ვიდრე ტერეზას ვეტყოდი: ხომ ძალიან მაგარი ამბავია, რომ ბიჭს 21-ე საუკუნეში ამგვარი რომანტიკა შერჩა-მეთქი. და ბევრი-ბევრი წლის მერე, რაც უამრავ პრაგმატულ და ტვინგარეცხილ ადამიანს შეხვდები, ხომ შენც სიამაყით გაგახსენდება, ასეთ რომანტიკულ ბიჭს რომ იცნობდი და გიყვარდა-მეთქი?

- რომანტიკულს არა, ეგოისტს და რელიგიურ ზომბს! - მიპასუხა ტერეზამ ალალი და მწუხარე პათეტიკით. ოცი წლის იყო და რა ექნა, ერთადერთი, რაც სჭირდებოდა, ჩახუტება იყო.

ზაფხულში ყველა აქეთ-იქით გავიფანტეთ, საქართველოდან დაბრუნების შემდეგ კი ტერეზას ვთხოვე, თუ შეიძლება, შენს ამბავს დავწერ-მეთქი. არა და არ მასვენებდა ზიმონის რელიგიური რომანტიკა და საკუთარ თავს გამუდმებით ვეკითხებოდი: შევძლებთ, გადავარჩინოთ სხვათა სიცოცხლე, თუკი ჩვენ თვითონ, საკუთარი ნებით ვიტყვი თუარს ახალი სიცოცხლის შექმნაზე? რა უნდა ზიმონს, რეალურად რისკენ მიისწრაფის? რომანტიკაა ეს მართლა, თუ კიდეც რაღაც კვებავს მის გეგმებს? ის სექსუალური ენერგია, რომელიც მასში დაგუბდება, რეალურად რამი დაიხარჯება? მართლა წავა აფრიკაში? ტერეზა რომ შეჰყვარებოდა, კიდეც გაახსენდებოდა აფრიკა? და რატომ ვერ შეიყვარა ტერეზა?

- მაინც, რა უცნაური იყო ტერეზასა და ზიმონის ამბავი, არა? - უკვე გადასული იყო კაროლი ჩვენგან, ეს ძველი ამბავი რომ გავიხსენე, - რატომ გვახვედრებს ბედი ისეთ ადამიანებს, რომლებმაც ტკივილი უნდა მოგვაყენონ? ეს რა, სასტიკი კანონზომიერებაა?

- უცნაური? - შემომხედა კაროლმა, - არ დაგავნიყდეს, რომ ეს ურთიერთობა თავიდანვე თამაში იყო - ზიმონთან შეხვედრა ხომ ჩემი შედგენილი სურვილების რუკის მიხედვით მოხდა, მაგრამ როცა ვადგენდი, დამავინყდა ზედ დამენერა, რომ ამ რუკით არავინ დაზარალებულიყო.

პერსონალი და მელხიორი

ირმა ტაველიძე

1.

უკვე ყველამ იცის. გამომეტყველებაზე ეტყობათ, რომ იციან. სიტყვასაც არ გადამიკრავენ, საწოლში მარტო წოლას ყველაფერი სჯობიაო. არადა, სულაც არ მანუხებდა ეს მარტო წოლა. ეს ასაკიც რა არის – პირობითობაა და მეტი არაფერი. ვუყვარვარ. ყოველთვის ისე მიყურებს და მაკვირდება, თითქოს ჩემი თითოეული მოძრაობის დამახსოვრებას ცდილობდეს. ალბათ მეც ასე ვუყურებ ხოლმე. რასაც აქამდე სულ მცირე მნიშვნელობა მაინც ჰქონდა, ახლა სრულიად უმნიშვნელო გახდა. მხოლოდ ის მახსოვს. მისი ხელები. მისი სიტყვები, უცებ ძვირფასი ქვებით რომ ინყებენ ბრწყინვას. მიყვარს. დანარჩენზე ფიქრი ამ სიყვარულის უარყოფა იქნებოდა. ადამიანები ბედნიერებას იქ არ ეძებენ, სადაც უნდა ეძებონ. არადა, ისეთი იოლია, როცა მკლავები გაქვს გაშლილი და მდინარის ნელ დინებას მიჰყვები, თან სულ არ გადარდებს, როგორ ხედავენ ამ ყველაფერს ისინი, ვინც გაღმა და გამოღმა ნაპირებზე დგანან. ალბათ გულში გამამართლებენ. სიყვარულს მონატრებული გულების სიღრმეში. ბედნიერების მდინარე – დავიფიცებ, რომ არსებობს. ჩვენი სურვილების დიდი მდინარე... კიდევ დავლიო თუ გავჩერდე?.. საიდან მეცნობა ეს ვერცხლისფერთმიანი ქალი?.. არა, საწოლში მარტო წოლას არ შევუნუხებვარ. მასზე თერთმეტი წლით უმცროსი რომ ვიყო, მაინც ასე მეყვარებოდა! და მასაც ასე ვეყვარებოდი.

2.

ყველაზე სასაცილო ის იყო, რომ მე და ჩემს ქმარს ბილ და ჰილარი კლინტონებს გვადარებდნენ. ეს პირშიც ხშირად უთქვამთ და ზურგს უკანაც. ამაზე მართლა ვიცინოდით – სხვა რა უნდა გვექნა?! მერე ჩემი ქმარი პოლიტიკიდან საბოლოოდ წავიდა – ისევ სასტუმროების ბიზნესს დაუბრუნდა. მე კი იქ ვარ, სადაც ვარ. არა, არ მომწონს. სხვანაირად უნდა ვთქვა... დღეს რატომ ვფიქრობ ამაზე? თავისუფალი საღამო მაქვს და სავარაუდო შეკითხვების სავარაუდო პასუხებზე არ უნდა ვფიქრობდე. ჭირსაც წაუღია ყველა ანალიტიკური თოკ-შოუ... ისეთი ღვინო მინდა, მუსკატის გემო რომ დაკრავდეს. ოჰ, ალიარე, რომ ღვინის ბევრი არაფერი გაგეგება და ამ საღამოს ყველანაირ სასმელზე თანახმა იქნები. თეთრი ღვინო. უბრალოდ, თეთრი და ნახევრად-მშრალი. ყველაზე სასაცილო ის არის, რომ შეგიძლია ღვინოზეც და სხვა ყველაფერზეც წარბმუხრელად ილაპარაკო. ნაკლსა და ღირსებებზე, დასაგმობ ტენდენციებსა და მისასალმებელ

პერსპექტივებზე. ეს არავის გაუკვირდება. შენგან ყველა სწორედ ამას ელის. შენს მეგობარს თერთმეტი წლით უმცროსი საყვარელი ჰყავს და ბედნიერია. მეორე მეგობარი ხვალ შრი-ლანკაზე მიფრინავს და იქიდან ჩამოსული ენას არ გააჩერებს – ყველა ლეგენდას მოგიყვება... და რა არის შენი ბედნიერება, ჰილარი? საკუთარ თავთან მარტო დარჩენა, სიჩუმე და მუსკატის გემო?


3.

ყოველდღე შევდიოდი წიგნის მაღაზიაში და ვამონწმედი, იდო თუ არა თაროზე ჩემი წიგნი. მერე გამიარა. ვერ ვიტყვი, გავიზარდეთქი. ასე უცებ არ იზრდებიან. უცნაური განცდა იყო – ყველა ამ წიგნზე ლაპარაკობდა და აუცილებლად აღნიშნავდა, რომ ავტორი ასეთი ახალგაზრდაა. ვილაცებმა გამაკრიტიკეს კიდევ, მაგრამ დავიკიდე. ბოლოს და ბოლოს, ახალგაზრდა ვარ და ამის უფლება მაქვს. ზედაპირულიაო. ვინ და რა არ არის ზედაპირული ჩვენს კულტურულ სივრცეში? სიტყვა „კულტურას“ რომ ვამბობ, მეცინება. არ შემიძლია, სერიოზულად ვილაპარაკო ამ თემაზე. წამყვანი არ მომეშვა – უნდა მითხრათ, რა აფერხებს ლიტერატურულ პროცესს ჩვენს ქვეყანაშიო. რამე აფერხებს-მეთქი? – გავიკვირვე. მაშინ ის მაინც მითხარით, საით მიდის ეს პროცესიო. ვცდილობდი, სერიოზულად მეპასუხა მის კითხვებზე, მაგრამ არ გამომდიოდა. გადაცემის ჩანერა რომ დასრულდა, ცივად დამემშვიდობა, მაგრამ აქ, ამ საღამოს ხელები გაშალა და გულში ძველი ნაცნობივით ჩამიკრა. ვაჩუქო წიგნი? დემონსტრაციულად წავანერო რამე? რალაც ძალიან სასაცილო... გულისამაჩუყებელი... უპასუხოდ დატოვებულ მის ბოლო შეკითხვას ხომ არ ვუპასუხო? დიახ, მეტისმეტად ბევრს ვფიქრობ სექსზე – ჯერ კიდევ ვერ გავრკვეულვარ, მეხმარება თუ ხელს მიშლის.

4.

რა გოგოა – ვუყურებ და თვალს ვერ ვწყვეტ. კაბა რომელიმე ნაკლებად ცნობილი

დიზაინერის იქნება. იცის, რა უნდა ჩაიცვას, რომ უგემოვნობა არ დასწამონ. ერთი ეგაა, მაგის ნიგნს გული ვერაფრით დავუდე. დავინყებ და მესამე გვერდზე მეძინება. გადაცემის ჩანერამდე ჩემს ქმარს ვთხოვე, მოკლედ მომიყვიე-მეთქი - ეგ ხომ ყველაფერს კითხულობს! ჩანვება ლოგინში, წრიალებს, წრიალებს, ბოლომდე ფხიზლდება და ნიგნის კითხვას იწყებს. ამ გოგოს სექსი გართობა ჰგონიაო, ასე მითხრა. ამისხენი-მეთქი და ამისხნა. რა კარგია, როცა გვერდით ჭკვიანი კაცი გყავს - განსაკუთრებით ისეთი, რომელსაც ქრონიკული უძილობა აწუხებს და ფიქრისთვის ძალიან ბევრი დრო აქვს. ზოგიერთივით თერთმეტი წლით უმცროსი საყვარელი ვერ მეყოლებოდა - არა იმიტომ, რომ ბუნებით კონსერვატორი ვარ და ამის დაშვება არ შემიძლია. უბრალოდ, არჩევანს ყოველთვის სიცხადის, განსაზღვრულობის სასარგებლოდ ვაკეთებ. სამსახურშიც სულ ვცდილობ, ყველა დეტალი ზუსტად თავის ადგილას იყოს, ყველა სიტყვა მკაფიოდ განსაზღვრულ მიზანს ემსახურებოდეს. მგონი, დღესაც სწორი გადაწყვეტილება მივიღე, ეს კაბა და ფეხსაცმელი რომ შევარჩიე. ამ საღამოს ჩემი თითოეული ნაბიჯი ისეთივე ზუსტი და გამოზომილი უნდა იყოს, როგორც არის ხოლმე. თუმცა, ისიც შემიძლია, რომ თავს მხიარულების უფლება მივცე და საკუთარ თავზე შეყვარებულ ამ გოგოს ჩაეჩურჩულო: ბოლოს და ბოლოს, გქონდა სექსი, პატარა?




5.

საიდან დავინყო? ჯერ ვის ვუთხრა? თუ ხელსაყრელ დროს დაველოდო და ყველას ერთად გამოვუცხადო? ცხადია, ამათ ჯერ არაფერი იციან. მარტო მე და ალექსანდრემ ვიცით. და ექიმებმა. თხუთმეტი წელია, ალექსანდრე ჩემი ქმარია და ვიბრძვით. უფრო სწორად, აქამდე ვიბრძოდით. აქ ყველა ჩვენი გულშემატკივარია. თუმცა, მწარე-მწარე შეკითხვებიც ხშირად მომისმენია ისე ჩვენიანებისგან: „ძალი რომ იყიდოთ, არ გინდათ?“, „ამხელა მემკვიდრეობას ავლანელ ბავშვებს უტოვებთ?“, „იქნებ ცალ-ცალკე გეცადათ ბედი?“ ისევ ერთად ვცადეთ და თხუთმეტწლიანი ბრძოლის შემდეგ ყველაფერი ისე დასრულდა, როგორც უნდა დასრულებულიყო. ორსულად ვარ! ვცდილობ, ენას კბილი დავაჭირო და ეს ამბავი შეუფერებელ დროს არ გავამჟღავნო. ისე, წელში გაზნექილი კი დავდივარ უკვე. ალექსანდრე შემომხედავს და ჩუმად ჩაიცინებს ხოლმე. საიდან დავინყო? ამ ქალს ხომ არ ვუთხრა, კვირა საღამოს გადაცემა რომ მიჰყავს მე-10 არხზე? მერე რა, რომ არ ვიცნობ. იმდენ გადაცემაში მყავს ნანახი, მთლად უცნობადაც არ ჩაითვლება. მივალ და ვეტყვი: იცით, მე ინსემინაცია გავიკეთე და მართალია, ჩემი შვილის ბიოლოგიური მამა ალექსანდრე კი არა, ვილაც კოპენჰაგენელი სტუდენტია, მაგრამ ამ საღამოს მე და ჩემი ქმარი გულში სიხარულს ვერ ვიტყვით! მოგვილოცეთ! ჩვენი სიხარულის მოზიარე გახდით!

6.

როცა მეკითხებიან, რომელია ყველაზე ლამაზი ქალაქი, სადაც ყოფილხარო, მაშინვე ვისბიუს ვასახელებ. ვისბიუ კუნძულ გოტლანდზე, ბალტიის ზღვაში. ლეგენდის თანახმად, უძველეს დროში ეს კუნძული ღამით ზღვაში იძირებოდა და მზის ამოსვლისთანავე წყლიდან ამოდებოდა. ახლაც ამ ქალაქზე ვყვებოდი - მის ზღაპრულ ქუჩებსა და პატარა სახლებზე, სადაც ყოველ კუთხეში იმალებიან გნომები, ელფები, უსახელო ციცქნა არსებები... არ მბეზრდება ამ ამბების მოყოლა. აქ ვარ, მაგრამ თან ისევ გოტლანდზეც ვარ, მისი ტაძრების შავ გუმბათებს შევცქერი. თვითმფრინავში იმ ნიგნს ვკითხულობდი, რომელზეც ბოლო დროს ყველა ლაპარაკობს. ჰოდა, რას წარმოვიდგენდი, რომ მის ავტორს ასე მალე გავიცნობდი. ვერც იმას წარმოვიდგენდი, რომ ასეთი ჩვეულებრივი აღმოჩნდებოდა - არაფრით გამოჩრეული, თითქმის ჩემნაირი. თუმცა მე ამბების კარგად მოყოლა შემიძლია და მოსაყოლიც ბევრი მაქვს. ვისბიუს ერთ-ერთი მაღაზიის ვიტრინაში გნომი იყო წამოწოლილი - სიმაღლით ერთი მეტრი, ჩასუქებულ-ჩამრგვალებული, წითელი ქუდითა და წითელი წინდებით. დავაკვირდი და სუნთქავდა! თავიდან გადაცმული მსახიობი მეგონა, მერე - მექანიკურად მსუნთქავი თოჯინა, მერე ისევ - მსახიობი, მერე ისევ - თოჯინა... დღესაც არ ვიცი, რა იყო. რატომ არ მოგზაურობს ხალხი ასეთ ადგილებში? ისევ დროისა და ფულის ძველი ამბავია? არა მგონია. დროც აქვთ და ფულიც, მაგრამ ზღაპრების აღარ სჯერათ!



7.

საბალეტო სტუდიაში ერთად დავედიოდით, მაგრამ ალბათ ველარ გამიხსენებს. სულ ოთხი თვე იარა, თანაც, მაშინ ისეთი პატარები ვიყავით, რომ არც კი ვიცოდით, საიდან ჩნდებოდნენ ჩვენნაირი პატარა გოგოები. რა ვარაუდი აღარ გამოგვითქვამს ამის შესახებ – რა ფანტასტიკურ შესაძლებლობას აღარ ჩავჭიდებოვართ. მერე სულ დამეკარგა თვალთახედვიდან. ამ ორი თვის წინ კი ყველა ერთხმად ალაპარაკდა ძალიან ნიჭიერ მსახიობზე. ის ფილმიც ვნახე, სადაც მთავარ როლს ასრულებს – მართლა შეუდარებელია! ვიტყვით კიდევ. მე ხომ ყველაფერზე მეტირება... გამიხსენებს? ნეტა სულ ოდნავ მაინც არ სწყდება გული იმის გამო, რომ მის ცხოვრებაში ბალეტის ადგილი აღარ დარჩა? ჩემზე ყოველთვის ამბობდნენ, ამბიციურიო და ალბათ მართლებიც იყვნენ. თუმცა, ბევრს ვპრომოვობდი და ასე მივალნიე იმას, რასაც მივალნიე. დარწმუნებული ვარ, ისიც ბევრს პრომოვობდა. ფილმი მეორედაც ვნახე – ახლა თითოეულ მოძრაობას უფრო მეტი ყურადღებით ვაკვირდებოდი. თითოეული ჟესტი შესაშური გულმოდგინებით ჰქონდა დამუშავებული. ჰო, თმა ისევ ისეთი აქვს, როგორიც ექვსი წლისას – წმინდა, სრიალა, რაღაც არამინიერი შუქით განათებული. ცდუნებას ვერ ვუძლებდი და ყოველ წუთს ხელს ვუსვამდი ხოლმე. შეუძლებელია, არ ვახსოვდე. ღრმად ჩავისუნთქავ და მივალ. ალბათ სიტყვის თქმა არც დამჭირდება – სახეზე მენერება სიხარულიც და სხვა დანარჩენიც.

8.


სამშენებლო კომპანიას რომ ვაფუძნებდით, ჩემი მეგობრები გადაირივნენ, ბებიაშენის სახელი არ დაარქვაო. მე კი გადაწყვეტილება დიდი ხნის წინ მივიღე. კომპანიის სახელის

შერჩევა ჩემი პრეროგატივა იყო და როცა საბალეტო ბიუროში სპეციალურ ბლანკს ვავსებდი, მტკიცე ხელით ჩავწერე: „ალექსანდრა“. დღეს ყველა კმაყოფილია – ენაც მიაჩვიეს და ყურიც. მაგარი ქალი იყო ალექსანდრა – იმის პირიდან ჩივილი და ბუზღუნა არ გამიგია. ათი კაცის საქმეს აკეთებდა და მეც სულ იმას მასწავლიდა, რომ ხელი არ გამეჩერებინა. მისი მაგალითი რომ არ მქონოდა, ამ საქმის წამოწყებას ვერ გავბედავდი და ვერც მეგობრებს ავიყოლიებდი. ხანდახან კომპანიის სახელი ჩემს სახელში ერევათ ხოლმე – ოფიციალურ მიღებებზეც კი. ამ დროს ისე მიჭირს სიცოცხლის შეკავება... თუმცა, ეტიკეტს ბოლომდე ვიცავ. სინამდვილეში სულაც არ არის ძალიან ძნელი საკუთარი ემოციების მართვა. გამოცდილება თავის საქმეს ყოველთვის აკეთებს. სხვათა შორის, ინტუიციაც. შეხვედრებზე ყოველთვის უშეცდომოდ ვხვდები, ვისთან ღირს საუბრის გაბმა და ვისთან – არა. ათი წუთის წინ იმ მსახიობს ვესაუბრე, ყველა რომ ერთიანად მოხიბდა – ქალიც და კაციც. მანაც ალექსანდრა მიწოდა. სულ ცოტა ხანში ჩვენი კომპანიის სარეკლამო რგოლში გადაიღებენ – დარწმუნებული ვარ, არც ამ გადაწყვეტილებას ვინანებ. ორი კვირის შემდეგ კი უკვე ორივეს ალექსანდრას გვინოდებენ.

9.

საკმარისია. არ გამომდის ამ ვერცხლისა და მელხიორის დანა-ჩანგლის წარმოდგენა. ამ ჩემს წარმოსახულ ქალებსაც ისე ვაცემე, ნებისმიერი გამვლელი რომ დამცინებს. წარმატებული, შეძლებული ქალები – როგორ უნდა აღვწერო, თუ არც ერთი თვალითაც არ მინახავს? არადა, ჩვენს ბაზარზე შემოსული ახალი სიგარეტის რეკლამისთვის სწორედ ამას ითხოვენ – სავარაუდო მომხმარებლებად ამ წრის წარმომადგენლებს მოიაზრებენ, მათი უზრუნველობისა და ხელგამლილობის იმედი აქვთ. ყველა ქალი ჩემი ენით მეტყველებს, ჩემს შიშებსა და სურვილებს ამხელს. ძალიან ბევრი ვილაპარაკე საკუთარ თავზე და ახლა დროა, თითოეულ ორეულს გავუსწორდე: გადავხაზო, დავამახინჯო, ტუჩები წაგუშალო. ნუთუ სარეკლამო ბიზნესის ურჩხულის დამარცხება განვიზრახე? რა გულუბრყვილობა და წინდაუხედაობა! ისლა დამრჩენია, ფეხაკრეფით გავეცალო საკუთარ თავს – სალამოსკაბიანს, მოკისკისეს.

ცთოვილავის სივრცონია



ეკატერინე ტოგონიძე

აქ არავინ ტყუის. არავინ არაფერს ნანობს, არ ბრაზობს, არ სწყინს, არ უხარია და არც ენატრება... აქ არავის ეჩქარება – დრო არ არის დაყოფილი მონაკვეთებად, არ არსებობს ათვლის წერტილი. აქ სიჩუმეა.

ყალბი ყოფილა ნასას აუდიოჩანაწერები... ისევე, როგორც ბევრი სხვა რამ დედამიწაზე.

ის ქალი, ასიდა, თავის ამბავს ჰყვება... განა ისე, როგორც ადამიანები ლაპარაკობენ, ხმას უწვენენ, სიტყვებს არჩვენენ, ზოგჯერ ცრუობენ, აზრს წყვეტენ-აგრძელებენ, მსმენელის რეაქციას ამონებენ, კითხვებს პასუხობენ... არა, აქ ასე არაა. აქ ლაპარაკი სულაც არ სჭირდება მოყოლას. ასიდას არსებობაც კმარა – ამბავი თავისით ითხრობა. ეს ქალი არის ამბავი სახელად „ასიდა“.

ჩვეულებრივ, ადამიანები მოყოლას იწყებენ და ამთავრებენ – დროის რაღაც მონაკვეთში მომხდარ ფაქტებს აჯგუფებენ, კავშირებს ეძებენ და ბოლომდე ვერ ხსნიან, რადგან ამბავს ზღუდავენ პერიოდით. აქ უსასრულობაა და უსასრულობა პასუხობს ყველაფერს. აქ ყველანი ჩვენ სხვა არაფერი ვართ, თუ არა მუდმივი, მუდმივარსებული ჩვენი ამბები, დასაწყისისა და დასასრულის გარეშე.

მამ ასე, მე ვარ ამბავი „21“.

„ასიდა“ მე არასდროს გადამხდენია ანუ ეს ამბავი არასდროს ვყოფილვარ და სანამ ყველა სხვა შეგრძნებასთან ერთად, სირცხვილსაც დავეკარგავდი, მრცხვენოდა ამის. სინდისი მანუხებდა, რომ მე არასდროს გამოვქცეულვარ საცხოვრებელი ადგილიდან, არასდროს დავრჩენილვარ ზაფხულის კაბისა და სანძღების ამარა, არასდროს გავკიდებივარ დაძრულ ავტობუსს, რომელსაც ხალხი უსაფრთხო ადგილას გადაჰყავდა,

ჩემ გვერდით არ მჯდარა სასონარკვეთილი ქალი ორი ბავშვით ხელში, ოთხი თვის ტყუპებით, და შესაბამისად ავტობუსის „ბოლო გაჩერებაზე“ ამ ქალს ჩემთვის არ უკითხავს, ახლა სად წავიდეო...

ჰო, მამს ჰყვება „ასიდა“. ომის დაწყება, როგორც უმრავლესობამ, მანაც ტელევიზორიდან გაიგო. დეიდასთან და ბებიასთან იყო სტუმრად, სადილობდა. რამდენიმე წუთში კარზე ბრახუნი გაისმა და მისი ავტომატიანი ქმარი გამოჩნდა. ასიდას ქმარი მხატვარი იყო და იარაღი ხელში პირველად ეჭირა. ყველაფერი სწრაფად ხდებოდა, დაუფიქრებლად. შიშმა ქუჩაში ავტომატის ხმასთან ერთად გაიღვიძა, მანამდე იყო მხოლოდ დაბნეულობა და გახიზვნის ან ბრძოლის აუცილებლობა, სქესისა და ასაკის მიხედვით... ღირსების მიხედვითაც... ასიდას და მის ქმარს შვილი არ ჰყავდათ. ქუჩაში გამოსული დედები მიკრული ბავშვებითა და ჩაბლუჯული ნივთებით ასიდას მტკივნეულად მოხვდა თვალში და იფიქრა, რომ კორპუსებთან გაჩერებულ ავტობუსში მისი ადგილი არ იყო – გადარჩენა უფრო ბავშვიანებს ეკუთვნოდათ. წლების განმავლობაში რამდენიმე ორსულობა გაურკვეველი მიზეზებით შეუწყდა. ნეტა სად არიან ახლა ის ბავშვები, ეტყობა ყველანი ბიჭები იყვნენ...

ნასას აუდიოჩანაწერი, რომელიც პლანეტების ხმებს ასახავდა, ინტერნეტით მოვისმინე, გადმოვწერე და ყურსასმენებში გავუშვი.



გიორგიმ თავიდან ყურადღება არ მომაქცია, მაგრამ როგორც კი იგრძნო კოსმოსის იდუმალი ხმებით ჩემი გატაცება, სასწრაფოდ და კატეგორიულად ამიკრძალა. გიორგის ეჩვენებოდა, რომ რალაც მისთვის განკუთვნილი ერთმეოდა, დრო, ყურადღება, ფანტაზია... მისით აღფრთოვანებას აკლდებოდა გარკვეული ნაწილი. არადა პირიქით... მე მჭირდებოდა პაუზა, მუსიკა, კინო, ან არ ვიცო... გასეირნება თუ მეგობრების თავისუფლად ნახვა, უბრალოდ სხვა ხალხი გარშემო, რომ ჩემი ქმრით ხელახლა მოვხიბლულიყავი.

რაც უფრო ღიზიანდებოდა ამ ახალი აკვიატებით, მით უფრო მინდებოდა პლანეტების მოსმენა. გიორგი სიმფონიის წარმომავლობითაც დაეჭვდა, დაინტერესდა, კონკრეტულად ვინ გამიზიარა ჩანანერი... აკი ვთქვი, ინტერნეტში წავაწყდით... ან რა იყო იქ ასეთი განსაკუთრებული? უბრალოდ ბავშვობიდან მიყვარდა ნიჟარის მიყურადება, წყალში ყვინთვისას ზღვის მოსმენა, ფანჯრებზე მომწყდარი ქარისა და გვალვის მერე ჩამოქცეული ცის ხმაური, გამოქვაბულის დაგუდული, საიდუმლო ღუმელი... აი, ამ ხმებს მაგონებდა ცთომილთა სიმფონია. რას ვაშავებდი? ვიჯექი ჩემთვის ფეხმორთხმით სავარძელში, გიორგის ნაჩუქარი ჟაკეტის ჯიბეში გიორგის ნაყიდი მობილური მედო, მისივე მოცემული ყურსასმენები მეკეთა. სახლში სადილიც მზად იყო და ოთახიც – დალაგებული. თავზე ჩემი ნაცრისფერი პანამა მეხურა, ცხვირამდე ვიფხატავდი სრული სიმყუდროვისთვის ან გასახედად ცოტა ადგილს ვიტოვებდი და ფანჯარაში ყველაზე შორ წერტილს ვირჩევდი... გავყურებდი კორპუსების უკან ალაგ-ალაგ ამონვერილ მთის ფრაგმენტებს და ძალიან მომწონდა სატურნის ფრთხილი, დაძაბული ჩურჩული. მომწონდა ურანის ხმადაბალი ზუზუნი, რომლის სიღრმიდან ამჟარად გამოდიოდა განგაშისა და ამბოხის შეფარული სიგნალი. გიორგისაც მოეწონებოდა ეს ხმები, თვითონ რომ მიეგნო. პლანეტების აუდიოჩანანერი რალაცით მის საყვარელ ანჯელო ბადალამენტის მუსიკასაც წააგავდა. აუცილებლად მოეწონებოდა, მე რომ არ მომწონებოდა პირველს, მისგან დამოუკიდებლად რომ არ მეპოვა. ამ ხმებში ხომ ყველაფერი იყო, შიში, სიყვარული, დიდი აფეთქება, ომიც და მშვიდობაც.

მშვიდობა აღარ იყო ჩვენში. ომიდან დაბრუნებულმა გიორგიმ თავი ვეღარ დაიბრუნა, ომგამოვლილმა ომი ვეღარ დაასრულა. ვერ დაივიწყა დიდი, გარდაუვალი სიკვდილი, რომელიც ჯარისკაცებთან ერთად ქალებს და ბავშვებს გადასწვდა, ვინც გაასწრო, იმთა ჩრდილად აეკიდა ყველაზე მზიან დღეებშიც კი... ვერ დაივიწყა ამ სიკვდილში საკუთარი უნებლიე თუ მიზანმიმართული მონაწილეობა.

გიორგიმ ომი გამოიციხა. დამადანაშაულა, რომ ვერ ვუგებდი... ომის გაგება ხომ მხოლოდ ომშია შესაძლებელი.

მე, ამბავი „21“, „ასიდასავით“ არ გაქცეულვარ ოჩამჩირის სამხრეთით ქმრის ნათესაებთან, მე არ შემიშველებია ტყუპების დედისთვის ხელი ავტობუსიდან ჩამოსვლისას და მაზლისთვის არ მითხოვია, ისინიც ჩვენთან შეგვეფარებინა. „ასიდა“ კეთილი ამბავია. მან ოთხი თვე გაატარა სოფლის

სახლში ჭურვების გრუხუნსა და ქმრისგან ცნობის მიღების მოლოდინში. შეფარებული ქალის შვილებზე ისე ზრუნავდა, ერთადერთი იყო დედის გარდა, ვინც ტყუპების გარჩევა ისწავლა.

იმ თვეებში ასიდამ ქმარი ერთხელ ნახა. კაცმა სოფელში ჩააკითხა. სარდაფში ცოლთან რამდენიმე წუთით განმარტოებულმა ასიდას უთხრა, რომ არავის მოკლავდა და მის სკამთან ჩამუხლულმა ხელები კალთაზე ბავშვივით შემოხვია.

სარდაფში ასიდამ მოგვიანებით დაჭრილი კაცი შეიფარა. ღამე ისე გაათეინა, ტყუპების დედის გარდა, ვერავინ გაიგო. ქართველი იყო ის ჯარისკაცი. გადარჩა. იქნებ გიორგი შეიფარა ასიდამ?! მაგრამ აქ შეკითხვები არ არსებობს, არავინ აწყვეტინებს ერთმანეთს ამბავს, მხოლოდ ვყვებით – ჩვენივე თავს ვყვებით გაუჩერებლად.

სანამ გიორგი კომპიუტერთან მუშაობდა, მეც შორიასლოს უნდა ვყოფილიყავი. სახლიდან გასვლა მხოლოდ მაშინ შემეძლო, როცა თვითონ მიდიოდა ბიჭებთან. დაბრუნების ზუსტი დრო არასდროს ვიცოდი, თუმცა მთვრალს აუცილებლად შინ უნდა დავხვედროდი.

ნეპტუნის შიშინი არაფრისმთქმელი მეჩვენებოდა, სანამ ტუალეტში შეეკეტილმა ბოლომდე არ შევისწავლე თითოეული ხმაური და ჩანანერი სრულიად ჩამოყალიბებულ მელოდიად არ აღვიქვი. ნელ-ნელა ნეპტუნის სიმშვიდეში აღმოვაჩინე სიზმრისეული ილუზია და ყოველ ჯერზე სხვადასხვა ფანტაზიის აღმძვრელი განწყობა. თავიდან თვალდახუჭული ვერ ვცნობდი ვენერას. მერე ნელ-ნელა გავარჩიე, რამდენად გამოკვეთილი და ჰარმონიული იყო საეკლესიო ზარებივით მყდერი ცთომილი. იმდენი ვატრიალე პლანეტების აუდიოვიბრაციები, სანამ ზეპირად არ ვისწავლე და მუსიკასავით არ ავიკვიატე. გიორგიმ ვერ დამიშალა მათი მოსმენა, მე უკვე ყურსასმენების გარეშეც ჩამესმოდა მარსი, ვენერა, ურანი, ნეპტუნი და მთელი კოსმოსი.

როდესაც სახლში ჩემი ქმრის გინება, მაგიდაზე ხელის დარტყმა, მაუსის ბრაზხუნი ან მტვრევის ხმა ისმოდა, მუცელში რალაც მეკუმშებოდა. ყოველ ჯერზე მეგონა, რომ მე მაგინებდა. მაშინაც კი, როცა გიორგის, მხრებში მოხრილსა და კომპიუტერის ეკრანს მიშტერებულს, სამუშაოში რალაც არ გამოსდიოდა, კბილებში გამოცრილი უმისამართო

უხამსი სიტყვები დანასავით მსერავდა. ძალას მაცლიდა თავდასხმის მოლოდინი, მთანგავდა ის რამდენიმე წამი, სანამ გაირკვეოდა, მე მე-კუთვნიოდა თუ არა გიორგის რისხვა.

თავიდან ასე არ იყო. თავიდან არათუ ვი-კუმშებოდი, ერთიანად მიჯანყდებოდა მთელი სხეული, სისხლი სწრაფად მიმოძრავებდა ძარღვებში და საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად თუ ღირსების დასაცავად მზად ვიყავი ბოლომდე მებრძოლა, დამელენა ჭურ-ჭელი და კედლებიდან ჩამომეგლიჯა ჩვენი რომანტიკული ფოტოები, დავმუქრებოდი სახლიდან წასვლით... მაგრამ ჩემგან შე-ბრუნებული სილა რამდენჯერმე ისე დაუნდობ-ლად დამიბრუნა, რომ უბრალოდ დამიკარგა წინააღმდეგობის უნარი. თანდათან მივხვდი, თანდათან ვისწავლე, შევიკუმშე, დავპატარა-ვდი და თითქოს შემცირებული თუ უბრალოდ შეჩვეული დარტყმები უფრო იოლად ავიტანე. ვარცხნისას ახლა ნაკლები თმა მოჰყვებოდა სავარცხელს, თმით თრევას შეძლებისდაგ-ვარად ვირიდებდი. ტუჩის კუთხეც მოვიშუშე. ბოლო თვეებში თავით კედელზეც აღარ მივუ-ნარცხებოვარ. დალურჯებულ მკლავებსა თუ ბარძაყებს ტანსაცმლით იოლად ვფარავდი. გადავგრეხილ ხელებსა და თითებზე კი კვალი საერთოდ არ მრჩებოდა. მოკლედ ყველაფერი არც ისე საშინლად იყო... მე უკვე მესმოდა ცთომილთა ხმა – მარტო აღარ ვიყავი. მესმო-და მარსის ზრიალი, როცა ჩემკენ მოქნიული ხელით თითქოს ამ „წითელი უდაბნოს“ ცხ-ელი ქარი მეხლებოდა სახეზე. გიორგისგან და ასიდასგან განსხვავებით მე არ ვყოფილვარ აფხაზეთში და არ გამიგია ტყვიების ზუზუ-ნი, ჭურვების გრუხუნი, მაგრამ მე მესმოდა ნგრევის გამაფრთხილებელი ბგერები მარსის საშიშ და დამთრგუნველ გუგუნში... ყელში ხელნაჭერილს, როცა სახე უჰაერობისგან თითქმის მილურჯდებოდა, მე უკვე მკაფიოდ ვგრძნობდი ურანის სუნთქვას. მისი აულერე-ბისას, ჩნდებოდა სიკვდილი. თუმცა ურანი, რომელიც სიკვდილთან ერთად სექსისა და რეგენერაციის წარმმართველი პლანეტაა, ორ გზას ტოვებდა: გიორგი ან მომკლავდა ან მთელი სხეულით დამაცხრებოდა საკუთარი ენების მოსაკლავად.

ასიდას ომმა შვილი დაუტოვა. სარდაფში რამდენიმეწუთიანი ეპიზოდები გადამწყვეტი აღმოჩნდა მის ცხოვრებაში. ზუსტად არ იცო-და, რომელი ვერნატჰეამი უარის შედეგად

გაჩნდა ბავშვი – უცნობი, დაჭრილი ჯარისკაცისა თუ შემ-ინებული, გაუცხოებული ქმრისთვის. სოხუმში რომ დაბრუნ-და, მუცელი არ ეტყობოდა, მაგრამ უკვე ზუსტად იცოდა – ბავშვი დაიბადებოდა. ომის შემდეგ გაპარტახებულ ქალაქში ქმარი ელოდა. შეჰპირდა, ყველაფერს მოვავარებო. სიტყვე-ბი ნაწყვეტ-ნაწყვეტ, სრულიად უმწეოდ მაშინ წარმოთქვა, როცა სახლში, სახურავახდილი კორპუსის მეთორმეტე სარ-თულზე დაბრუნდნენ და მთელი მხოლოდ ერთი კედელი დახ-ვდათ. ქმარმა ვერა, მაგრამ მაზლმა ნელ-ნელა გადახურა ბინა.

ასიდას მშობიარობა ცამეტი იანვარის ღამეს დაენ-ყო, როცა აფხაზეთში ტრადიციულ, ნამდვილ ახალ წელს აღნიშნავენ. წეს-ჩვეულების მიხედვით, მინიდან წინა წელს დაფლულ ღვინოს იღებენ და იმდენ მამალს კლავენ, რამ-დენი კაციც ჰყავთ გვარში. განადგურებული ფერმებიდან შე-კონინებული მამლები თავისუფლად ეყო თემში შემორჩენილ კაცთა რაოდენობას. იმ დღიას კიდევ ერთ მამალს წააცალეს თავი ასიდას პირმშოს დაბადების აღსანიშნავად.

ჩემი პანამა თურქეთშიც წავიდა. სასტუმროს ნომერში დაბრუნებულმა თავზე ჩამოვიფხატი. ხელები მიცახცახებდა. გვიანი იყო. მე და გიორგიმ რესტორანში ვივახშმეთ. მანამდე მზიარულად ჩამოვიარეთ ტოპ კაპის მიმდებარე ტერიტორია, შევიარეთ გვიანობამდე შემორჩენილ მალაზიებში, სახლისთ-ვის ყავის ჭიქები და პატარა საშაქრე ვიყიდეთ მეტალის ლან-გარსა და მოჩუქურთმებულ ჩასადებში. გიორგის ყავა არ უყ-ვირდა, მაგრამ ხანდახან ჩემი ხათრით სვამდა. რესტორანში სიცილით შევედით. მიმტანი ბიჭი გამორჩეული ყურადღებით მომიპყრო. ტურისტულ უბნებში თურქები ლამის ძალით მიგ-ვათრევდნენ თავიანთ დანესებულუბებში, კაფეებსა თუ მალა-ზიებში... გიორგიმ კარგად ვერ გაიგო, მიმტანი ინგლისურად რას მეხუშრებოდა. გვერდითა სუფრიდან კიდევ ერთმა კაცმა შეაჩერა ჩემზე მზერა. დავიძაბე. რა სახე გაქვსო, შემომილ-რინა გიორგიმ და პაუზის მერე შენიშვნა წითელ პომადაზე მომცა. პირზე ხელსახოცი ავიფარე. თეთრ ფონზე წითლად დარჩა ჩემი ტუჩები. ამ დროს მიმტანი დაბრუნდა, კერძები და ჰაერით გაბერილი, თბილი პური – პიტა მოგვიტანა. უცებ ჯიბიდან „მარსი“ ამოიღო, ჩემს პომადიან ხელსახოცს მიუდო და ღიმილით თქვა: „შოკოლადი ქალბატონისთვის!“ ყურებში მარსის გუგუნე ჩამესმა. გიორგის შევხედე, საეჭვოდ იღიმე-ბოდა. წამით იმედი მომეცა, იქნებ არ გაბრაზებულა-მეთქი, საზღვარგარეთ პირველად ვიყავით ერთად და ისეთი მზი-არული დღეები გავატარეთ, კინაღამ დავიჯერე ჩვენი ბედ-ნიერება. გიორგიმ ჩაიცინა და თქვა: „ტელეფონის ნომერიც მიგვენრა ხელსახოცზე კოცნის ქვეშ...“ და ჰაერით გაბერილ პიტას დანა გაჰკრა. პური ჩვენი ბედნიერებასავით სწრაფად ჩაიფუშა და ოპტიკური ტყუილივით ბრტყელ ლავაშად გა-დაიქცა. მარსს პლუტონის სიმფონია ჩაენაცვლა. აღარ მახსოვს, როგორ დავასრულეთ ვახშამი. გაჭირვებით ვყლაპავდი ლუკმებს. განვითარება წინასწარ ვიცოდი, უბრალოდ ძალიან მლღი-





და ეს ყველაფერი, სასიცოცხლო ძალას მაცლიდა მარსის, პლუტონის, ნეპტუნის, ურანის ფაზები... ვენერას ჯერის დადგომამდე უკვე განადგურებული ვიყავი.

ჩემს ქმარს ყველაზე ლამაზად და სასურველად მივაჩნდი. ამაზე იმდენს და ისე ლაპარაკობდა, მაშინაც კი, როცა მახრჩობდა, მე საკუთარ თავს მისი თვალით ვხედავდი და მრცხვენოდა, რომ ინსტინქტურად ხელებს ვასავსავებდი და სიმწრისგან თვალები მექაჩებოდა. ტკივილის ღირსეულად ატანა ორი მიზეზით ვისწავლე: არ დამტკბარიყო ჩემი სისუსტით ანუ არ მეღიარებინა დამარცხება და არ ვენახე სახედამანჭული – მე ყოველთვის ყველაზე ლამაზი და სასურველი უნდა ვყოფილიყავი. თავით ფეხამდე მის ომში ჩაბმული ვიყენებდი ყველა შესაძლო იარაღს, რის საშუალებასაც ჩემი სქესი და გიორგის წარმოდგენები მაძლევდა. ყველაზე დიდი თავდაცვა მაინც სისუსტე იყო – ცრემლი, – ასე ნაკლები მომხვედებოდა. დაღურჯებული ადგილები გიორგის სულაც არ მიაჩნდა ჩემი სრულყოფილი სხეულის ხარვეზებად. ზოგჯერ პირიქით, სისხლჩაქცევა თემოზე მისთვის ისეთივე ვნებისაღმძვრელი შეიძლებოდა ყოფილიყო, როგორც ერთ-ერთ ფავორიტ პოზაში გაჭიანურებული სექსის შედეგად გადახეხილი და დაწითლებული მუხლები.

გიორგი გულმოდგინედ მიამებდა იარებს სიტყვით და ალერსით. პანამას ისე ფრთხილად მხდიდა, როგორც შიშისგან მაგიდის ქვეშ შემძვრალი ბავშვი გამოჰყავთ გარეთ. გიორგი თავს დამნაშავედ გრძნობდა, მე – დაზარალებულად... ის კომპენსაციას მიხდიდა და მეც დამსახურებულად ვიღებდი.

ცხოვრებაში პირიქით იყო. ომის მერე გიორგის მიმართ დანაშაულის შეგრძნებას მე ველარ ვიმორებდი. ომის ტრავმის პასუხისმგებლობას განუწყვეტლივ ვგრძნობდი. ალერსის დროს მსურვალედ უუკოცნიდი ხილულ დაღს – მარჯვენა ფერდზე გრძელ მუქ ნაწიბურს. იარებს მარტო გიორგი კი არ მიშუშებდა, მეც ვუამებდი მთელი ჩემი არსებობითა და თვითშენიშვნით.

სინდისი ასიდას და საერთოდ ყველა იმ ადამიანის წინაშეც მქენჯნოდა, ვისაც ომი შეეხო. არეულობის პერიოდში ბიძაჩემმა თბილისს გამარიდა და საზღვარგარეთ წამიყვანა. ჩემი ოჯახი რას აღარ აკეთებდა, რომ გიორგის გავმორებოდი. საქართველოში ბევრი ადამიანისთვის ყველაზე მძიმე პერიოდი მე ყველაზე არხეინად გავატარე. გიორგი ომში ჩემი საქციელით გამწარებული წავიდა (ახალგაზრდებს ხშირად პირადი მოტივაცია ამოძრავებდათ). ეს გვიან გავიგე... ომიდან დაბრუნებულ ქმარს უკვე თბილისში დავხვდი და მზად ვიყავი მეზლო მისი მიტოვებისთვის. დავივინყე გიორგის ხასიათი, წარსული, დაუძლეველი სირთულეები და ყველაფერი ომს დავაბრალე. დავივინყე ევროპული სიმშვიდე და სტაბილურობა, ადამიანის შეუღლებავი უფლებები და განონასწორებული ურთიერთობები... ერთადერთი, რაც იქიდან შემომრჩა, ნაცრისფერი პანამა იყო და ისიც გიორგიმ სტამბოლში ევროპისა და აზიის შემაკავშირებელი ხიდიდან ვითომ შემთხვევით გადამიგდო...

ომი გიორგის დიდი და სამუდამო გამართლება გახდა.

ომი ამბავ „ასიდაშიც“ გადამწყვეტი აღმოჩნდა. ასიდას ქმარმა ვეღარ დახატა. ბავშვის დაბადებისა და ახალი წლის აღსანიშნავად დაწყებული ქეიფი ყოველდღიურ სმაში გადაეზარდა. რამდენჯერმე შეჩერდა, ორგანიზმმა უმტყუნა, მაგრამ მომჯობინებისთანავე ისევ დალია. ფხიზელიცა და მთვრალიც ერთსა და იმავეს იმეორებდა, „მე არავინ მომიკლავს... მე არავინ მომიკლავს“. ასიდამ ქმარს ვერაფერი უშველა, ნანატრი დედაშვილობით ისე ტკებოდა, მასაც ბავშვივით უვლიდა.

პლანეტებიდან ერთადერთი, რის მოსმენაზეც თავიდანვე უარი ვთქვი, დედამიწა იყო. ჩვენს ცთომილს ყველაზე უცნაური სიმფონია ჰქონია. ნასას ჩანანერებიდან ალბათ ეს ერთადერთი აღმოჩნდა ნამდვილი. ახლა, როცა მე, ამბავი „21“ აქ ვიმყოფები, შემიძლია ზუსტად ვთქვა – კოსმოსში სიჩუმეა. ცთომილები ანუ პლანეტები, რომლებზეც ჩვენ, ქალები, ვნანილდებით, ხმებს არ გამოსცემენ. არიან მოხეტიალე ვარსკვლავები, რომლებიც კვალს ტოვებენ ხოლმე და არა ხმას. მე ყველა ვიცი, მე თვითონა ვარ მოხეტიალე, თავად ცთომილი, შეცთომილი და ცხოვრებას აცდენილი. როგორც უკვე აღვნიშნე, აქ დროც არაა დაყოფილი წარსულად, აწმყოდ და მომავლად...

დედამიწის მიყურადება მხოლოდ მასთან მიახლოებით შეიძლება. ვცდილობ ავირიდო... ადამიანის ხმა ყველა სხვა ხმაზე გამჭოლი ყოფილა. ნებისმიერი მანქანისა თუ ტექნიკური გამოგონების, ბუნებრივი კატაკლიზმის, ცხოველების, ჭურვების, ქვემეხების თუ ატომური აფეთქების ხმაზე ძლიერი ადამიანის სხეულიდან ამოშვებული ტალღებია, ძახილი, ტირილი, კენესა, სიცილი, ყვირილი. დედამიწის ხმაც სწორედ ამ ხმათა ნაკრებია, ერთი დიდი პოლიფონია, რომელიც შველას ძირითადად ქალებისა და ბავშვების პირით ითხოვს. შემზარავია.

გიორგისგან თავის დაღწევაზე ფიქრი უაზრო იყო. ჩემი ქმარი ამას არ დაუშვებდა. ომის მიტოვება არც მე მინდოდა და სარეცევის ოდესმე სხვასთან გაყოფაზე ფიქრიც არ შემეძლო. დარწმუნებული ვიყავი, რომ ვერასდროს ვერავინ ისე ვერ მომეფერებოდა, როგორც გიორგი. ვნების ასეთი ხარისხი მხო-


ლოდ ასეთი წრედით დგება: სასიკვდილოდ გამეტება-გონს მოგება-დაკარგვის შიში-მონანიება-მობოდიშება-ვედრება-სიყვარულის ხელახლა ახსნა-კონფლიქტისას გაუცხოებული სხეულის ახლიდან დაუფლება-ვნება-გზნება-ვნება... ეს გაურღვეველი წრედია, ტკივილიდან სიამოვნებამდე მავალი უმძაფრესი გზა, ყველაზე სახიფათო ბენვის ხიდი.

დედამინაზე ამას ვერასდროს ავუხსნიდი ვერცერთ მეგობარს, ან რა საჭირო იყო... მათი ერთფეროვანი და უკიდურესად მოსაწყენი ცხოვრების შემყურემ ზუსტად ვიცოდი, რაც მქონდა. მე და გიორგის მოსაწყენად არ გვეცალა. ჩემი მეგობრების მოლაღატე ქმრების მაგალითზე, გულწრფელად ვაფასებდი ქმრის ერთგულებას. თუ ოდესმე რამე მომხდარა, ალბათ მხოლოდ იქ, სადაც ვითარება საკუთარ კანონებს გახვევს თავს და გარემოება საკუთარ ტყვეობაში გამყოფებს. ისევ და ისევ ომში...

სინამდვილეში კი გიორგის ყველაფერი ჩემთან უნდოდა, ჩემთან, ჩემგან, ჩემთვის, ჩემით... სიყვარულიც, ომიც და სიკვდილიც.

ასიდას ქმარი სმისგან ისე შეიცვალა, დიდი ხნის უნახავი ადამიანი ვეღარც იცნობდა. უცვლელი მხოლოდ აკვიატებული ფრაზა დარჩა და ბოლო მომენტშიც სწორედ ამას უმეორებდა მის ხელებში ჩავარდნილ ასიდას, რომელიც ცდილობდა იარაღი წაერთმია გონებაარეული ქმრისთვის. კაცის ალკოჰოლით გაჟღენთილი, დამპალი სხეული კი საიდანაც მოკრებილი ბოლო ძალებით შეკრულიყო, აკანკალებული, მოდუნებული თითების ნაცვლად მარყუჟები გამოესხა და ისე ჩაფრენოდა რევოლვერის ჩახმახს. გავარდა... ცის კაბადონს ტყვიის კი არა, ასიდას ამოხვრა მისწვდა და დედამინის მრავალხმიანობას კანონზომიერად შეუერთდა. აკი ვთქვი, ყველაზე გამჭოლი ადამიანის ხმა-მეთქი. ასიდამ და მისმა ქმარმა წამით ერთმანეთს შეხედეს, ერთმანეთს პირველად გაუსწორეს თვალი ომის შემდეგ... დასაკლავი მამლების რაოდენობას არაფერი დაკლებია, ახალი წლის დილას იმდენივეს წააცალეს თავი - ეს ტრადიცია ხომ სქესის მიხედვით ითვლიდა ადამიანებს - ტყვია ასიდას მოხვდა და ადგილზე გარდაიცვალა.

ჩემი ყურსასმენები გიორგიმ ტუალეტში იპოვა. მე იმ დროისთვის უკვე პლანეტების სიმფონიის დავიწყებას ვცდილობდი, მათგან გათავისუფლება მინდოდა... და იქნებ არა მხოლოდ მათგან... გიორგი შემოიღო შემო-



ვარდა სამზარეულოში, ყურსასმენები სახეში მესროლა. გეგონებოდა, უპატიებელ ღალატში მამხილა. პლანეტებისთვის აღარ მომისმენია-მეთქი, ამოვილულულე, მაგრამ გიორგის ჩემი აღარ ესმოდა. მატყუებო, კიდევ რას მატყუებ - ყველაფერს მატყუებო, ღრიალებდა გახელებული.

დედამინის ხმოვან ვიბრაციას, მარტო მისი კი არა, ჩემი ხმაც შეერია - ბოლო ამოხრიალება. როგორ მომკლა გიორგიმ, ამ დეტალებს აღარ მოვყვები, რადგან მე სინამდვილეში ბევრად ადრე მომკლეს. ჯერ სახელიც კი არ მერქვა. სულ 21 გრამი ვიყავი, მაგრამ უკვე მქონდა ზედა და ქვედა კიდურები, რა თქმა უნდა, მიცემდა გული, მქონდა ნერვული სისტემა, მათ შორს ცთომილი ნერვი... მე მსხვერპლი ვარ, განაჩენი ექოსკოპიაზე გამხელილმა სქესმა გამომიტანა - გოგოა. მამა ქალიშვილის დაბადებას არც განიხილავდა, დედამ კიდევ რამდენიმე დღე მატარა და მე კიდევ რამდენიმე მილიმეტრით გავიზარდე... მადლობელი ვიყავი იმ დღეებისაც, მე ყოველი დღის მადლობელი ვიყავი.

ჩვენ დაუბადებლად მკვდარი გოგოები მატყუარები არა ვართ, უბრალოდ, მუდმივად ვცდილობთ გავიგოთ, რა იქნებოდა, დედას რომ აბორტი არ გაეკეთებინა, რა იქნებოდა, ორსულობა რომ გამოპარვოდა ან ექიმებს შეცდომით ეთქვათ სქესი და გადავრჩენილიყავით, დავეშვით დედამინაზე. იმ პატარა კოსმოსიდან ნამდვილ კოსმოსში ადამიანთა პლანეტის გავლით მოვხვედრილიყავით. ჩვენც მოგვეცემოდა ყველა ტკივილისა და სიხარულის გამოვლის შესაძლებლობა, რომელსაც თითქმის არასდროს აფასებენ ისინი, ვისაც ეს აქვთ. ჩვენც გვექონოდა ჩვენი ამბავი. გვექონოდა დრამატურგია და ამ დრამატურგიის შეცვლის შანსი.

დაუბადებელი გოგოები თავს ვირწმუნებთ, რომ დაბადება არდაბადებაზე უარესი იქნებოდა და დედა-მამა თუ არა, სხვა მოგვეკლავდა მოგვიანებით... ჩვენ, გოგოებს, აუცილებლად მოგვეკლავდნენ... ცთომილებს, სიცოცხლეს აცდენილებს, შეცდენილებს, კოსმოსში მოხეტიალე დაუბადებელ სულებს, უამბობისთვის განწირულებს...

შეკურობა

ზურა აბაშიძე

მამაჩემმა ლამის სამ საათზე დამირეკა, მითხრა, შეყვარებული ვარო, ოღონდ სახელს ვერ გეტყვი, დამცინებო. წამის მეთასედეში ყველა შესაძლო ვარიანტი განვიხილე, გამახსენდა კაცობრიობის ისტორიაში არსებული ყველა სამარცხვინო, გავიხსენე ყველა ის დონარა, ლამარა და ცინარა, ვინც კი ოდესმე შემხვედრია ჩემი მოკლე ცხოვრების განმავლობაში. მაგრამ პასუხმა სახტად დამტოვა, მამაჩემის ახალ ქალს, არც მეტი, არც ნაკლები, დედაჩემის სახელი ერქვა.

თავიდან ჩემთვის ვიცინე, მერე ტელეფონში მაგრად დავცინე, სულ უჭკუო და სულელი ვეძახე, რაღას შორდებოდი, თუ ისევ დედაჩემი უნდა გეძებნა-მეთქი, მაგრამ აქ იკაცა, შენ რა იცი, შე ასაკნაკულულო, ჩემი ნანა შენს ნანას არ ჰგავსო, გემრიელ საქმელებს აკეთებსო, გიტარაზე უკრავსო, ძალიან თბილი და მოსიყვარულეაო, შუალამემდე არ ფხიზლობს და არც შუადღეს დგება სანოლიდანო, ფეხების გაპარსვაც არ ეზარება და ძალიან თუ გაინტერესებს, უფრო მაგრადაც კვნესისო.

ცოტა კი ვინყინე, მაგრამ არ შევიმჩნიე.

* * *

მამაჩემის თქმით, დედაჩემმა სკოლა ფრიადებზე სულ დედამისის ნივილ-კივილით დაამთავრა, ინსტიტუტშიც მამამისის ფულეობით ჩააბარა, წითელი დიპლომიც ნაცნობობით იყიდა და მსოფლიოც ოჯახური რელიკვიების გაყიდვით მოიარა, თორემ ვის რად უნდოდა ეგ ფალსიფკა ქერა ავსტრიაშიო.

მამაჩემის თქმით, პრუსტიც სულ ნახტომებით და გამოტოვებით აქვს ნაკითხული დედაჩემს, გოდარის ფილმებიც მთქნარებით აქვს ნანახი, მუნჯი კინოს აზრზე არ არის და ერთი შეხედვით შეიძლება არ ჩანს, მაგრამ მაგარი სოფლელია.

მამაჩემის თქმით, გათხოვებამდე განყვეტილი ჰქონდა წელი საქმისგან, დედამისი სულ იატაკს ალოკინებდა, გათხოვდა თუ არა, გაბლატავდა, აღარც სარეცხს რეცხავდა, დედამთილის როყებიც ფეხზე ეკიდა და შვილებიც სულ ქმარს დაუყარა.

მამაჩემი კი მატყუებდა, მაგრამ თუ დავეჯერებო, დედაჩემი ქერა არ იყო, თმას იღებავდა, ძუძუებიც ჩამონელოდა, ხელებიც და

სახეც დაუსკდა ნაოჭებითო, ერთი ფეხები აქვს ასვეტებული თერთმეტ სექტემბერს აფეთქებული ტყუპებივით, მარა მაგისი გრძელი ფეხები ვის რა ჩემ ყლედ უნდა, შეულავსო დედამისს და მამამისს ტრაკშიო.

ძაან თუ გაინტერესებსო, დაქალებისაც მაგრად შემურდებო, მე ყველა მაგისი დაქალი მეპადხოდებოდა, მაგ სწერვა ქალმა კიდეც ისე დამაყენა ადვოკატები და ამბები, ხმაც ვეღარ ამოვიღეო.

ერთი ეგაა, ენებს ფლობს კარგად, ვერ დაუკარგავო აგერ გერმანულიო, იგერ ჩეხურიო, მარა ეგ არაფერი, არ ტყდებოდა კაცი, გველია, გველი კიდეც ყველა ენას ფლობს, იცის როგორ უნდა დაგესლოს ადამიანებითო.

ადამიანები რა, მე როგორ დამგესლოს, ეგ იცისო.

კაროჩე, დედაშენი კი არისო, მაგრამ მაგას, გეხვეწები, არ დაემსგავსო, თორემ ჩამოუფუჯდები ჩვენს მეზობელ მყრალ გივის და ვეტყვი, რომ ამის გაკეთებას, ჯორკო გამეკეთებინა თავის დროზე, მირჩევნია-თქო, რა.

აგერ – მე, აგერ – შენ.

მამაჩემის ბრალდებები იქით იყოს და, ვერც შეედავები, ერთი ეგაა, მრავალ კომუნალურში ნაცხოვრებ დედაჩემს, ათას მოდგმასთან შეამხანაგებულ ქალს, სტუდენტობაში ქაშუეთის წინ ფრიალა კაბით ნაქროლს და ოთხმოცდაათიანებში სანთლის შუქზე კარტით და ყავით წვრილ ფულზე მოვაჭრეს, აბა რომელ სენტიმენტებს და ჩახობილების თუხთუხს მოსთხოვდი, იყო ჯიგრულად თავისთვის, კითხულობდა ინასტრანნი ლიტერატურას, დაქალებთან მობლატავე ბებიარჩემისა არ იყოს, და ხანდახან ერთ-ორ ფილმსაც უყურებდა გადაბმულად.

მარა რად გინდა, ვინ დაუფასა თბილისი-ბათუმის მატარებლით ტონობით ნათრევი წიგნი, ვინ დაუფასა სხვადასხვა მხრიდან ჩამოტანილი მაცივრის მაგნიტური მისაკრავები, ვინ დაუფასა, ერთი თუ ორი წითელი დიპლომი. ბებიარჩემმა სიკვდილამდე რამდენიმე წუთით ადრე სთხოვა დედაჩემს, გადი, გეხვეწები, ოთახიდან, სიკვდილის წინ მაინც დამასვენე და ნუ მიყურებ მაგ მშვიდი და აუღელვებელი სახითო.

ერთი შენი დედაც მოვტყანო, შეუკურთხა დედაჩემმა და განდევნა სახლიდან ავი სულები.

სამ თვეში ბაბუარჩემიც მიჰყვა.

15 წელში – მამაჩემიც.

* * *

ჩვენ მაგარი ბიჭები ვართ. გული გვიჩყვდება სევდიან რუსულ სერიალებზე, წიგნებსაც სათავგადასავლოებს ვკითხულობთ, ბებიებსაც და ბაბუებსაც ვეხმარებით მძიმე პარკების თრევაში, მაგ გველს კი არ ვგავართ, უგულოდ რომ აკეთებს ყველაფერს და ერთ ტკბილ სიტყვას არ დააყოლებს ისედაც უგემურ წვნიანებს. ასე გვითხრა მამაჩემმა, სანამ ჩემოდანს ჩაალაგებდა: ახლა მე წავალ და დაგტოვებთ ამასთან, მარა იცოდეთ, ერთ დღეს ისევ ჩამოვალ, სამ ბილეთს ავიღებთ კრუიზით და ვიმოგზაურებთ გემით, მოვივლით მსოფლიოში ყველა სანაპიროს

და ძალიან ბევრის დალევასაც გასწავლითო, ოღონდაც სიგარეტის მოწევა არ დაინყოთ უჩემოდო, წვერიც არ გაიპარსოთ, პირველი ბრიტ-ვა მე უნდა დაგისვათ მაგ მამით ხონხრო და დედით დანაწყევარ სახეებზეო.

უჰ, რა ცრემლები ვყარეთ მე და ჩემმა ძმამ, ნეტა იცოდეთ, ვის გაუგია, არა, კაცების ტირილი? მაგრამ ჩვენ მაინც ვტიროდით, არა ისე, როგორც ფილმებში დისტროფიკი ან ინვალიდი კაცები, არა, ნამდვილი კაცებივით ვტიროდით.

* * *

მამაჩემი რომ წავიდა, წუხილი არ დასტყო-ბია სახეზე, არც უტირია, სიგარეტსაც არ მოუკიდა, ერთადერთი, სახლში დაბრუნებულმა კარი მკაცრი სახით მიკეტა, რამდენიმე წამი უაზროდ იდგა კართან, ბოლოს სახელური ჩამონია, შეამონმა, ღია ხომ არ იყო, და სავარძელში ჩაემვა, ფეხები გაშალა, თავი დახარა და ღრმად ამოისუნთქა. აქამდე მსგავს პოზაში მჯდარი არ მენახა.

ჯერ ერთი ფეხსაცმელი გაიძრო და ძირს მი-აგდო, მერე – მეორე, ქურთუკიც შეიხსნა და საზურგეზე გადაკიდა, წინდებისგანაც განთავისუფლა ფეხები და მთხოვა, რამე დამეფარებინა.

იმ ღამეს სავარძელში დაიძინა, მოკუნტული იყო და დაუცველი.

არც არაფერი დაგვტყობია დიდად, აქამდეც ჩვეული ვიყავით, მაგრამ ვგრძნობდით, ეს წასვლა სხვა წასვლებს არ გავდა, ახლა სხვანაირად წავიდა, აღარ დაბრუნდებოდა, ორივემ ვიცოდით, მაგრამ მაინც დიდად არ გვინერგო-ილია. ორი დღე ჩავეშვით ჩვენს სამყაროში მთელი არსებით, წიგნებს მივეციით თავი, ვუყურებდით მოსაწყენ, ევროპულ ფილმებს ცხოვრებაზე და ვხვდებოდით, რომ ჩვენი წილი სასწავლი ცხოვრება უკვე ვისწავლეთ და ვე-ლარაფერს მოგვცემდა ეს გაცვეთილი, პრეტენ-ზიული ფილმები.

ვხვდებოდით რა, მე რას მივხვდებოდი? ხვდებოდა.

ორშაბათს ჩვეულებრივ ცხოვრებასაც შევე-ფარეთ, დედაჩემი სამსახურს დაუბრუნდა, მე სწავლას, არ ვტყდებოდით, არაფრის დიდებით არ ვლაპარაკობდით ბოლოდროინდელ ცვლი-ლებებზე, არც ერთმანეთს ვანახებდით ჩვენს შიშებს.

ერთი კვირა ვცხოვრობდით ასე, მერე მივხ-ვდით, რომ უცნაურმა სევდებმა თავისთავად წამოჰყო თავი.

ჯერ სააბაზანოში მამაჩემის კბილის ჯაგ-რისი გვეჩვენა ზედმეტად და მალევე მოვიშო-

რეთ, მეორე დღეს კი სამის მაგივრად ორი ჯაგრისის ხილვამ დიდი სევდა მოგვგვარა, ასე მივხვდით, რომ მამა სხვა სახლში ცხოვრობდა, სხვა სახლში იხეხავდა კბილებს და სხვა სახლში ფიქრობდა ჩემზე, მასზე და ჩვენზე.

მერე სამზარეულოში წყალმა ამოხეთქა, ჩვენზე ყოჩაღი აღ-მოჩნდა ონკანი და ტირილის და ცრემლების ამოფრქვევის ძალა ეყო, პირსახოცებით მივვარდით ონკანთან, შევეცადეთ წყლის უწყვეტი ნაკადი შეგვეჩერებინა, მაგრამ ვერაფერს გავხდით. ბოლოს დავენდით, სველ იატაკზე გავწექით, სიგარეტს სინ-ქრონულად მოვუკიდეთ და მივხვდით, რომ არავინ ითავებდა გაფუჭებული ონკანის გაკეთებას.

თითქოს, ეს საკმარისი არ იყო: მამაჩემის წასვლიდან ერთ კვირაში სინათლე გადაგვიჭრეს გადაუხდელობის გამო. აქამდე მამაჩემი აკონტროლებდა კომუნალურების გადასახადებს და ჩვენ არასდროს დაგვჭირვებია მსგავსი უმნიშვნელო თარიღე-ბით თავის შეწუხება, ვისხედით სიბნელეში, ერთმანეთს არ ვუტყდებოდით, არ ვიმჩნევდით უმისობას, სევდის ქალღმერ-თი, თუ ასეთი არსებობს, გავანაწყენეთ, ნვეთი ცრემლი არ დაღვრილა სამოთახიან ბინაში.

შუქი მოვიდა, ონკანიც გავაკეთეთ, მაგრამ დედაჩემის უმე-ტყველო სახეს, აკანკალებულ ხელებს და მწუხარებას ვერაფერი ვუშველე.

მე კი ვიცი, რომ დედაჩემი სოფლელი არ არის, არც პრუსტი ნაუკითხავს ნახტომებით, არც დიპლომები აქვს ნაყიდი, მაგრამ არასოდეს ვენინააღმდეგები მამაჩემს.

ვიცი, ერთ დღეს დედაჩემიც იტყვის ერთ ან ორ ავ და უგვან სიტყვას ყოფილ ქმარზე.

სრულიად სამართლიანად. ერთი-ორჯერ იხავლებს, დედის ტრაკსაც მიაგინებს, დედა-ბუდიანად დაწყველის და დაუბრუნდება შამანობას.

თქვენ არ იცით, როგორ მინდა ერთხელ კიდევე შეუკურთხოს, ერთხელ კიდევე აიმყარალოს პირი, ერთხელ კიდევე მიაფურთხოს კედელს და ავი სულივით გამდევნოს თავისი ცხოვრებიდან, სამოთახიანი დაბალჭერიანი ბინიდან, პერსონაჟების გარეშე დარჩენილი რომანიდან.

განდევნოს უკეთეს მხარეს, სადაც გოგოები და ბიჭები ახალ მინებს ეძებენ, სადაც ქაშუეთის ტაძრის წინ ისევ დააფრიალე-ბენ კაბებს პირში სიგარეტგაჩრილი გოგოები, სადაც ქერა, ხუ-ჭუჭა ბიჭები კულულებს წინიდან უკან და მარცხნიდან მარ-ჯვნივ იყრიან.

ოოო, თქვენ არ იცით როგორ მინდა, მთვარიანი ღამე დამენიოს ბორჯომის მიკარგულ ტყეში, როგორ მინდა, აფრებ-აშლილ გემზე მეზღვაურების დათვლა და სახელების შერქმევა დაინყო, როგორ მინდა, სანაპიროზე უზარმაზარი კოცონო და-ვანთო და ზედ გადავახტე სხვა გოგო-ბიჭებთან ერთად, რო-გორ მინდა, უცხო ქალაქების კაფეებს შევაფარო თავი, როგორ მინდა ორლანს მოვუსმინო კათოლიკურ ტაძარში.

ნეტა იცოდეთ. ოღონდაც შეუკურთხებდეს ერთ დღეს.

ოღონდაც ის ახვარი კაცი დაბრუნდებოდეს. ოღონდაც გამიშვებდეს.

შორს, ძალიან შორს, ზღვების და მთების იქით, სულ სხვა მხარეში, სულ სხვა ამბავში, სულ სხვა კარტებით.

ცხპარი

მიშა ბახსლოანი

გინახავთ, როგორ კლავენ ცხვარს? ალბათ კი, ჩვენთან ხომ ეს წმინდა საქმეა. მეც ცხვარივით დამკლეს. ქმარმა თმაში ხელი ჩამავლო, თავი მალლა ამანეინა და დანა ყელში ძლიერად გამომისვა. მგონი, ზედმეტად ძლიერადაც, ცოტა ღრმად ნაილო, ცოტა მალლა გაექცა ხელი და დანა ხორხს გამოედო. რკინა ცივი იყო, მაგრამ სისხლმა უცბად გაათბო. გაიჭყადა და აღარც მანუხებს. თითქოს აქაა მაგის ადგილი... ცუდია იმაზე ფიქრი, რომ ბოლოს რასაც გავათბობ, რკინის ნაგლეჯი იქნება, ჟანგიანი რკინის ნაგლეჯი, რომელიც 1000 წერილმანის მალაზიაში ლურსმნებთან და ქლიბთან ერთად ვიყიდე...

მგონი ქმარი დამიბერდა, ხელი უქანკალებს... უკვე ტირილსაც აპირებს, კი აქვს ისე სატირლად საქმე, ადვილი არ არის მაგის ასაკში ციხეში წასვლა, თავის თავს ტირის, მე კი არა... ჯანდაბამდე გზა გქონია, ბერიკაცო... ეჰ, მგონი, ველარ ვლაპარაკობ, პირიდან ხმა არ ამომდის. პირს ნაპირზე ამოგდებულნი თევზივით ვალებ და ჰაერი სანამლავივით ჩამდის ყელში.

ისე, მართალი ყოფილა, რომ ამბობდნენ, სიკვდილის წინ მთელი ცხოვრება თვალწინ ჩაგივლისო. მეც ასე მომდის ახლა. თუმცა, ასარჩევად რომ მქონდეს საქმე, ამ ფილმის ყურებას არ ვისურვებდი...

მიდი, ბერიკაცო დაასრულე, რაც დაიწყე... მიდი, თორემ ყველაფერი თავიდან იწყება. მიდი, თორემ წავედი მეორე წრეზე.

მე ნელი ვარ. სოფელში დავიბადე და გაჭირვებულ ოჯახში ვიზრდებოდი. მამაჩემს მინა არ უყვარდა, არც თვითონ ამუშავებდა და არც ჩვენ გვაძალებდა. მერე სოფლის ავტობუსის მძღოლი გახდა, ერთ წელში ნასვამი ავარიაში დაიღუპა. ბედად, არავინ უმსხვერპლია. უმამოდ დარჩენილი, მალევე მეზობელ სოფელში გამათხოვეს. სკოლიდან გამოსვლამაც მომიწია, არადა კარგად ვსწავლობდი. განსაკუთრებით მათემატიკა მიყვარდა. 14 წლის ვიყავი, ქმარი ისეთი ბიჭი იყო, აი, არც წყალი და არც ღვინო. ჩემზე 5 წლით იყო უფროსი, მაგრამ ჭკუას მე მეკითხებოდა. ნეტა იმ დროს. სანამ მშობლები ცოცხლები ჰყავდა, არა უშავდა, კარგად მექცეოდა, მერე ისინი რომ დაიხოცნენ, ცოტა მეტი მუშაობა უნევდა და სმა დაიწყო. სმა ადრეც უყვარდა, მაგრამ უგონოდ არასოდეს თვრებოდა. პირველად რომ მცემა, ზამთარი იყო. მახსოვს, საიდანღაც მთვრალი მოვიდა. გვიას ქორწილიდან მგონი. ძალიან დააგვიანდა. სახლში რომ შემოვიდა, სკამზე ვიჯექი და ზეზეულად მეძინა. კარის მიჯახუნების ხმა რომ გავიგონე, ფეხზე წამოვვარდი.

ის კიდევ კბილებდაკრეჭილი მიყურებდა, თან დამიყვირა:

– ქმარი სახლში არ გყავს და რამ დაგაძინა, შე პატრონმოტყუნულო. თან ეს კარი რომ ღიად დაგიგდია, იქნებ ვინ შემოდის?!

არადა, ისეთი კარი გვაქვს, გარედან თუ დაადებ ბოქლომს, თორემ ისე არ იკეტება. ან ვის უნდა დაუუკეტოთ, სოფელში ვცხოვრობთ, ახლომახლო სულ შინაურები სახლობენ. რომ შემაგინა, ძალიან გამიკვირდა. იმ წუთამდე მაგისგან გინება კი არა, ბილწი სიტყვაც არ გამიგონია, მაგრამ გინებას ვინ ჩივის, გამომიქანა ხელი და ისეთი ჩამცხო, აი, ისეთი, ძალიან მწარე, რალაცნაირად ზემოდან ჩამარტყა, ეგრევე თვალეში გამიშავდა და ძირს დავევარდი. დაყვირება ვერ გავზედე, მეზობლების მომერიდა, ყველას მოსდებდნენ ჩვენს ამბავს. მე კიდევ ასე მქონდა დედისგან ნასწავლი, რომ ოჯახის ამბები გარეთ არ უნდა გამეტანა, ყველაფერი მომეთმინა. ჰოდა, მოვითმინე. თან იმ დღეს ბევრი არაფერი მომხდარა, ტუჩი გამისკდა და თვალი ცოტა დამისივდა, მეტი არაფერი. მერე წავიდა და საძინებელში დაიძინა, მე კიდევ შესვლა ვერ გავზედე და მთელი ღამე თეთრად გავათენე. დილით, ოთახიდან რომ გამოვიდა, ისე შემხედა, მივხვდი, არაფერი ახსოვდა. ტუჩზე რა მოგივიდაო, მკითხა და თავზე ხელი გადამისვა, აი ძალს რომ მოეფერები, ისე. თავისი ნამოქმედარი რომ მოვუყევი და წყნარად წაყვედურიც შეეკადრე, ერთი შეიგინა და მერე, ბოდიშო, კბილებს შორის გამოცრა. სახეზე ეტყობოდა, მართლა ნანობდა. შეშინებულზე ერთი-ორი თვე აღარ დაუღლეია, მერე გავიგეთ, რომ ფეხმძიმედ ვიყავი და ისევ აქეიფდა. გახარებულს ის ამბავი აღარც მახსოვდა, მაგრამ სიხარული არ მაცალა და ერთ დღესაც ისევ ცემა დამიპირა.

დილა იყო. ნაბახუსევს მეგობრები მოადგნენ და 7 საათზე უკვე სმა დაიწყეს. სახლში არაფერი მქონდა მზად. წინა დღის ლობიო გავაცხელე, ყველი და პური მივუტანე, ცოტა კარტოფილიც მქონდა და გათლა დავიწყე.



ქათმის დაჭერა დაეზარათ, მე კიდევ სირბილის თავი არ მქონდა. სტუმრებმა ლობიო არ ინებეს და ცარიელ პურზე სვეს. ის იყო კარტოფილი შევნი და ხაჭაპურიც გამოვაცხვე, რომ ქმარი დამადგა თავზე. შევხედე და გულმა რეჩხი მიყო. სახეზე ისეთი ბოროტი იყო და თვალებში ისეთი სიძულვილი ედგა, ვიფიქრე, ამას თუ არ გავასწარი, წინილასავით მომიგრეს კისერს-მეთქი. თან ჩემი თავი არ მედარდებოდა, ბავშვი მყავდა მუცელში და მაგიტომ უფრო მეშინოდა.

- ასე უნდა დახვდე ხო, ჩემს ძმაკაცებს. პურით ხო, ყველით ხო, ლობიოთი ხო. ამისთვის ვმუშაობ ვირივით ყოველდღე. საქმელს ვერ გააკეთებ, შე დედამოცნეულო?! არ გასწავლა ხო, დედაშენმა. მარტო ლობიო მოხარშეო, გითხრა?! - ყვიროდა და არ ჩერდებოდა - კარტოფილს ახლა მიკეთებ, არა, ბიჭები რომ წავიდნენ... რას იტყვიან სახლში მისულეები, დათიკას ცოლი საქმელს არ უკეთებსო. მოდებენ სოფელ-ქვეყანას და ვილა მოვა მერე აქ პურის საქმელად? მაგრამ შენც ეგ გინდა, არა?! სტუმარი შენ არ გიყვარს, შე უფმურო, და ნათესავი, ისეთი უფმური და უცხვირპირო ხარ, შენებიც კი არ მოდიან შენთან... სტუმარი როგორ არ უნდა გიყვარდეს, ქალო... შენ მოგიტყან სუყველაფერი...

უცებ ადგილიდან მოწყდა და ჩემკენ გამოვარდა, ბედად, სკამს გამოედო, წაიფორხილა და სახით დაასკდა იატაკს. ეგრევე გავიქეცი. ეზოში გავვარდი და გარეთ გასვლა დავაპირე, მაგრამ მერე ისევ შემრცხვა მეზობლების, სახლს შემოვუარე და ბოსელში დავიშალე. ჩვენი ძროხა საძოვრად გყავდა გადენილი, დაჯვრევი მაგის ბაგაზე და ავტირდი. თან გული ამოვარდნაზე მქონდა და ჩემთვის ვლოცულობდი, ღმერთო, აქ არ შემოვიდეს, ღმერთო, ოღონდ დღეს არა, ოღონდ ბავშვს არაფერი დაუშავოს და მერე, თუ გინდა, ყოველ დღე მცემოს-მეთქი. ისე ავიხდეთ ყველაფერი. იმ დღეს მართლა ვერ მიპოვა, ისევ დაიძინა და გაღვიძებულზე ისევ არაფერი ახსოვდა. რომ ვუყვებოდი, თან მუხლებში ჩავუვარდი და ტირილით ვთხოვე, აღარ დაელია. ვებენებოდი, ბავშვი არ მომიკლა-თქო და ამან მართლა დააფიქრა, შვილი უნდოდა, ბიჭი. მანქანა უნდა ვუყიდოო, იძახოდა, ჰოდა, სმას შეეშვა ისევ. მეზობლებთან თქვა, კუჭი მტკიავო და იმათაც თავი დაანებეს.

ექვსი თვის შემდეგ ჯანმრთელი გოგონა გვეყოლა. ისეთი ლამაზი იყო, თვალს ვერ ვწყ-

ვეტიდი. თეთრი, ფუნჯულა, დახვეული, ოქროსფერი თმით დაბადა. პატარა თოჯინა იყო, თავიდან, ვითომ ჩემს ქმარსაც მოეწონა და ეთამაშებოდა, მაგრამ მერე და მერე აგდებით დაიწყო ლაპარაკი, მეუბნებოდა, გენები არ გივარგა, თორემ ჩემებს გვარში ერთი გოგოც არ ურევიათ, სულ ბიჭებს ვაჩენთო. მერე იყო და მოვნათლეთ. მაშინ ბავშვის მონათვლას ბევრი ვერ ბედავდა, მაგრამ ამან აჩემა, უნდა მოვნათლოთ და დავეთანხმე მეც, მაგრამ, რად გინდა, ის ბედნიერი დღე ერთი დიდი ღრეობით დასრულდა. ესეც გამოთვრა ძველებურად და ღამე ისეთი მყუჟა, კინალამ წერილი წავილე. არადა, ბავშვი ძუძუზე მყავდა და ძლივს ვაჭმევდი. ისე, მაგ დღეს რატომ მცემა, ვერც ვიხსენებ. მგონი, არც არაფერი ყოფილა. უბრალოდ, მოვიდა და ისევ ხელი ჩამცხო თავში, დაყვირებაც ვერ გავბედე, ბავშვი არ გავალვიძო-მეთქი, ამან კიდევ ძირს დაგდებული რომ დამინახა, მომვარდა და წიხლები მირტყა. ხმას რომ არ ვიღებდი, სულ გაგიჟდა. ეჰ, მწარე ხელი ჰქონდა, მაგრამ ფეხი უარესი. სანამ არ დაილალა, არ გაჩერდა, მერე თვითონ დაეცა ძირს და ლოგინამდე ძლივს მივართიე. მის გაღვიძებას აღარც დაველოდე, მოვკიდე ხელი ბავშვს და წამოვედი. დედაჩემის სახლამდე 9 კილომეტრი იყო და სულ ფეხით ვიარე, ან ვინ შემხვებოდა იმ შუალამით, მაშინაც ესე კი არ დადიოდნენ მანქანები. თან ყველაფერი მტკიოდა და ცხვირიდან სისხლი მომდიოდა. ბავშვი ისე მყავდა შეფუთული, დიდ მუთაქას ჰგავდა. თბილი ღამე იყო, მაგრამ მეშინოდა, არ გამციებოდა. ხან ძაღლების მეშინოდა, ხან ნათლობიდან გამოსული მთვრალი კაცები არ დამხედნენ-მეთქი, ვდარდობი, ან ვინმე მეზობელმა არ დამინახოს ასე ღამით რომ მივიპარე-ბი-მეთქი. ბედად, ყველაფერმა კარგად ჩაიარა და სამ საათში სახლში ვიყავი. დედაჩემმა რომ დამინახა, გულზე შემოეყარა, ჯერ შვილიშვილს ეფერა, მერე მე მომიარა, მაგრამ ჩემს ძმას ჩემი უკან დაბრუნება რომ არ გაუხარდა, ეგრევე მივხვდი, ისე ჩაილაპარაკა, დილამდე მაინც მოგეცადაო, რომ მივხვდი, დილის ეშინოდა ყველაზე მეტად, დილისა და ჩემი ქმრისა. მერე დედაჩემს ელაპარაკა ცალკე და ძილის წინ იმანაც მითხრა, ხვალ ალბათ ქმარი მოგაკითხავს და მშვიდად დაელაპარაკე, ეგრევე ჩხუბს ნუ დაუწყებო, გაიხსენე, რაც გასწავლე, ოჯახი თუ გინდა, ბევრი უნდა მოითმინოო. ამათმა რა იცოდნენ, რამდენი მქონდა მოთმენილი, მაგრამ თან გათენებისაც მეც მაგრად მეშინოდა.

დათიკა დილით არ გამოჩენილა, არც მეორე დილით და არც მერე კარგა ხანს. მეზობლებთან უთქვამს, ცოლი დედამისთან წავიყვანე, ბავშვს ბებიაზე კარგად ვინ მიხედავსო, თვითონ კიდევ სმა გადააბა და, მე რომ არ ვყავდი, ნახევარ სამეზობლოსთან იჩხუბა. ერთმა ვერ მოუთმინა და თავი გაუტეხა, ფეხიც ნაღრძობი ჰქონდა და, საერთოდ, კარგი ნაბეგვი იყო. მე მეზობლის ქალმა მომაკითხა და ამბები მომიყვა, ლოგინში წევს და მიხედვა უნდაო. წასვლას არ ვაპირებდი, მაგრამ ჩემმა ძმამ, კაცს გასაჭირში ხომ არ მიატოვებო, ერთი შეცდომის უფლება ყველას აქვსო, ესაო, ისაო და წამიყვანა. ვერაფერი ვუთხარი, თან ვგრძნობდი, დედაჩემიც ჩემი წასვლის მომხრე იყო. ჩემმა ძმამ მეზობლისგან ნივა ითხოვა და იმით წავე-



დით. მუხლებზე კალათა მედო, შიგნით ბავშვი იწვა. ერთი ციდა ნათია. ჩემს ძმას მთელი გზა ხმა არ ამოუღია. ჩასვლის დროს მითხრა, კიდევ თუ წამოხვალ, სახლში მოსული არ განახო, სოფელში არ შემარცხვინო და ხალხის სალაპარაკო არ გამხადო. თურმე, ცოლის მოყვანას აპირებდა, მერე გავიგე. ძალიან მეწყინა. ის კი არა, სახლშიც არ შემომყვა. არადა, ვფიქრობდი, იქნებ კაცურად დაელაპარაკოს დათიკას და ცოტა დააშინოს-მეთქი. ეზო მოვლილი დამხვდა, ეტყობოდა, ჩემს არ ყოფნაში მეზობლის ქალებს დაელაგებინათ. სახლში რომ შევედი, ჩემი ქმარი ლოგინზე იწვა, თავთან ექიმბაში მარო ეჯდა და ძვლების ნახარშს ასმევდა. დათიკამ დამინახა თუ არა სახე გაეზადრა. მარო მალევე წავიდა. მე დათიკას ბავშვი მივუყვანე, დათიკა მოეფერა და შევერიგდით. ისეთი შეშინებული იყო და ჩვენი ნახვა ისე გულწრფელად გაუხარდა, რომ კიდევ თუ ოდესმე ვიჩხუბებდით, მართლა არ მეგონა. გამოჯანმრთელდა თუ არა, თბილისში წაგვიყვანა. ახალი ტანსაცმელი გვიყიდა. ჩემებსაც ვესტუმრეთ და იმათაც საჩუქრები მივუტანეთ, მეზობლებიც შემოირიგა. სამი ცხვარი დაკლა და მთელი კუთხე დაპატიჟა. თვითონ წვეთიც არ დაუღევია. ერთხელ ეკლესიაშიც წამიყვანა. სოფლის მინგრეული ეკლესია იყო, კომუნისტების დროს დიდად არავინ უვლიდა. იქ ერთი ნახატი იყო კედელზე დარჩენილი, ქრისტე ჯვორზე იჯდა და ხალხი ფეხებთან ბზას ულაგებდა. იერუსალიმში შესვლა! აი, ამ ნახატთან დადგა და დაიფიცა, ოდესმე თუ ხელი დაგარტყა, ღმერთმა ხელი გამიხმოს და დამინახშიროსო. მაშინაც ისეთი სახე ჰქონდა, რომ რავი, წმინდანით ლოცულობდა.

ოთხი წელი მშვიდად გავატარეთ. ცემა კი არა, ხმამალალი სიტყვაც არ გასულა ჩვენი სახლიდან. თითქოს შევერიგდით, მაგრამ რალაცნაირად მაინც დაძაბულები ვიყავით, გაუცხოებულები, ერთმანეთის გვერიდებოდა და იშვიათად ვლაპარაკობდით. დანოლითაც ცალ-ცალკე ვინეკით. თუმცა, მეზობლების დასანახად სამაგალითო ცოლ-ქმარი ვიყავით და, როცა სტუმრები მოდიოდნენ, მაშინაც კარგი მსახიობებივით ვთამაშობდით. ერთადერთი ბავშვი ახერხებდა ჩვენ შორის ყინულის გაღობას და ნელ-ნელა თითქოს ძველებურად ახლობლები ვხდებოდით. ნათია დღითიდღე იზრდებოდა და ჩვენს ცხოვრებას აზრს აძლევდა. ალბათ ყველაზე ლამაზი და კარგი, რაც ახლა მახსენდება, მისი პირველი ნაბიჯე-

ბია. მოღრუბლული დღე იყო. კიბეზე ჩავიყვანე, ერთი წამით ხელი გავუშვი. ის კიდევ, პატარა მაიმუნი, ეგრევე ადგილიდან მოწყდა, ეზო გადაირბინა და მამის ფეხს მოეჭიდა. დათიკა ეზოს მეორე ბოლოში იდგა და ნაჯახით შეშას ჩეხავდა. თავზე ხელი გადაუსვა, თმა აუჩქრა და დედისკენ გაიქეცო, უთხრა. ვერც კი მიხვდა, ბავშვმა პირველი ნაბიჯები რომ გადადგა. ნათია მამის ფეხს მოშორდა და ჩემკენ გამოიქცა, სახე განათებული ჰქონდა, უხაროდა, დამოუკიდებლად რომ მობოდა, მაგრამ ნაბორძიკდა, შეშინდა და კარალიოკის პატარა ნერგს შემოხვია ხელები. კარგა ხანს იდგა შეშინებული, ხეს ვერაფრით მოვაშორეთ. ბოლოს დათიკამ ნერგი ამოთხარა და ორივე ერთად წაიყვანეთ სახლში. ცოტა ხანში ლაპარაკიც დაიწყო. მერე ცეკვაც ისწავლა. გამოიტანდა მამამისი სკამს, დაატრიალებდა და დაუშვებდა ფართო ხელისგულებს. ესეც გაშლიდა ხელებს და დაბაჯბაჯებდა წრეზე. არა, იყო რალაც კარგიც, რის გამოც ღირდა ეს ცხოვრება და ჩვენი ერთად ყოფნა, მაგრამ მერე ისეც სმა დაიწყო და ისევე აურია. პირველად რომ დალია, სახლში არ მოვიდა და სხვაგან დარჩა. ეტყობა, გრძნობდა, რომ უბედურება ახლოვდებოდა და ცოტას ფრთხილობდა, მაგრამ მეორე ჯერზე მოვიდა და მოვიდა. ოთხი წელი სექსი არ გვექონია, რალაცნაირად ვერ ვებედავდით ერთმანეთთან მიკარებას, უბრალო შეხებისაც კი გვეშინოდა. სასმელმა გამბედაობა და ვნება ერთბაშად მოუმატა და უბედურებაც მაშინ მოხდა.

იმ ღამეს ბავშვის ოთახში ვინეკი. ნათიას სიცხე ჰქონდა და ძილში ბორგავდა. მე გვერდით ვენეკი და თმაზე ვეფერებოდი. უცებ ვიგრძენი, რომ დათიკა კართან იდგა. გავხედე და მანიშნა, გარეთ გავსულიყავი. გავედი თუ არა, ხელში ამიყვანა და თავისი ოთახისკენ წამიღო. ლოგინზე დამაგდო და გახდა დამიწყო. უხეშად მექცეოდა, მაგრამ წინააღმდეგობის განევა არ მიცდია. საუბედუროდ, მთვრალს ნერვებმა უმტყუნა და არ აუდგა. ამან გააცოფა, ჯერ კედელს ურტყა თავი, მერე დასამშვიდებლად რომ მივედი, მე მიმახეთქა კედელს და გარეთ გავარდა. ცოტა ხანში უკან დაბრუნდა, სახე არეული ჰქონდა და მოგკლავო, მიყვიროდა. შენ მე კაცობა დამაკარგინეო, შენ მე კაცობა წამართვიო, ცხოვრება დამინგრეო, რაც შენ შემოდგი ამ სახლში ფეხი, იმის მერე უკულმა წავიდა ჩემი საქმეო. მოკლედ. ყველაფერი მე დამბრალდა, მაგის მშობლების სიკვდილი, ცუდი მოსავალი, ქვეყანა რომ ინგრეოდა – ისიც, რომ მცემდა – ისიც. თან დაბრალებას ვინ ჩივის, თმით დამითრია და ძირს დამაგდო, წიხლებს მირტყამდა და მთელი ხმით ყვიროდა. მოგკლავ, მოგკლავ და თავსაც მოვიკლავო. ამასობაში ბავშვს გაეღვიძა და ოთახში შემოვიდა. მოვიდა, გადამეფარა, დედიკოს თავი დაანებო, სლუკუნებდა. დათიკამ ბავშვს ხელი მოჰკიდა და კნუტივით გადააგდო გვერდზე. ამან გაამაცოფა, ფეხზე ხელი მოვიკიდე და მთელი ძალით მოვექაჩე, დათიკამ წონასწორობა დაკარგა, აბარბაცდა და ძირს დაეცა. ეტყობა, თავი ცუდად დაარტყა და გაითიშა. ბავშვს ხელი დავავლე და გარეთ გამოვვარდი. პირველივე მეზობელთან მივედი და ვთხოვე, ღამით დავეტოვებინე. თან მოვუყევი, რაც მოხდა და ვთხოვე, მილიცია გამოეძახა. მე-

ზობელმა მილიცია იუკადრისა, მაგრამ დატოვებით დამტოვა და დაცვასაც დამპირდა. ის ღამე ყველაზე სამარცხვინო იყო ჩემს ცხოვრებაში. ნახევრად შემოხეული ტანსაცმლით სასტუმრო ოთახში ვიჯექი, სადაც უზნის მამაკაცებს მოეყარათ თავი, ერთ-ორს ცოლიც მოჰყოლოდა და ისეთი ამრეზით მიყურებდნენ, თითქოს სახეზე ენერათ, ცემა როგორ ვერ მოითმინე, შე ქალო, შენი ოჯახის ამბავი სოფლის სალაყბო როგორ გახადეო. თუმცა, ხანდახან მოდიოდნენ და თითქოს მანყნარებდნენ. ტანსაცმელი მაინც შემოეთავაზებინათ, მაგრამ, არა, მარტო იმას მეუბნებოდნენ, არა უშავს, გათენდება, დათიკა გამოფხიზლდება და აზრზე მოვაო. არაა ცუდი ბიჭი და ცოტა კი უნდა აპატიოო.

დათიკამ დილაზე ვერ მოითმინა, ერთ საათში მოვარდა და გინება დამიწყო. ქუჩიდან მაგინებდა, მთელი სოფლის გასაგონად ყვიროდა:

– გარეთ გამოათრიეთ ეგ ბოზი, ღორივით უნდა დავკლა, გამოდი გარეთ, შე დედამოტყუნულო, შე ბოზო...

მასპინძელი, სხვა კაცებთან ერთად ჭიპკართან გავიდა და სცადა, დაენყარებინა, მაგრამ დათიკამ ყვირილი გააგრძელა, მთელი სოფლის გასაგონად მაგინა და კიდევ ათასი სალაძღავი სიტყვა მიძახა. გაბოროტებულმა ეზოში შემოვარდნაც დააპირა, მაგრამ არ გამოუშვეს და სახლში გააგდეს. მეორე დილით მეზობლებმა ცოტა ფული მომიგროვეს, ბავშვის ტანსაცმელი და ცოტაოდენი საჭმელი გამატანეს, ავტობუსში ჩამსვეს და ქალაქში გამიშვეს. იქ ჩვენი სოფლელი ცხოვრობდა, ელენე, და ცოტა ხნით იმასთან შევაფარე თავი, მაგრამ დიდხანს ვერ გავჩერდი, ქმარს დაუბრუნდიო, მიჩიჩინებდა ყოველდღე. ერთხელ დედაჩემი და ჩემი ძმაც ჩამოვიდნენ. ჩემმა ძმამ მაგინა და სოფელში დაბრუნებული არ გნახო, თორემ ძაღლებს მოგისევო, დამემუქრა. დედაჩემი ჩუმად იჯდა და იცრემლებოდა. ჩემი ძმა რომ გარეთ გავიდა, დედამ 100 მანეთი დამიტოვა ისე, რომ ერთ სიტყვაც არ უთქვამს და წავიდა. ერთი თვის შემდეგ მარტო ვცხოვრობდი უკვე. პატარა ოთახი ვიქირავე ვაგზლის მოედანთან, მოხუც, კეთილ ქალბატონთან, ზინაიდა ზახაროვნასთან, რომელსაც ჩემ გარდა კიდევ ორი გოგო ჰყავდა მდგმურად. კერვა ვისწავლე და დიდუბეში, ბამბეულისა და მაუდის ქარხანაში მოვეწყე. ბავშვი ბაღში შევიყვანე. იქვე სამსახურთან ახლოს და, როგორც იტყვიან, ცხოვრე-

ბა დავალაგე. ყველა ძველ ნაცნობთან კავშირი გავწყვიტე და მიუხედავად იმისა, რომ ახალი მეგობრები მრავლად არ მყავდა, მაინც ნორმალურად, შეიძლება ითქვას, ბედნიერადაც ვცხოვრობდი. ერთი ეგ იყო, კაცების შიში დამჩემდა და ცოტა სიძულვილიც. ამიტომ აღარ გავთხოვილვარ და არც ურთერთობა მქონია ვინმესთან. ის კი არა, ოფიციალურად ქმარს არც გავცილებივარ. არადა, ზინაიდა ვილაც კაცს მირიგებდა, მაგრამ აღარ გავრისკე, ვეღარ გავრისკე.

90-იანი წლების დასწყისში, დრო რომ აირია და ქვეყანამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ქარხნების უმეტესობა დაიხურა. მაუდის ქარხანაც მალევე დაკეტეს და უცებ უმუშევარი დავრჩი. ზინაიდას შვილივით ვუყვარდი და მიუხედავად იმისა, რომ ქირას ვერ ვუხდიდი, სახლიდან არ გამაგდო, სხვა გოგოები უკვე წასულები იყვნენ. ზინაიდამ ახალი მდგმურები ვერ აიყვანა და მასაც ძალიან გაუჭირდა. იძულებული გავხდით, ერთად მოგვეძებნა გამოსავალი. მე კარგი ცხოვა ვიცოდი, ზინაიდას ცოტა ფული ჰქონდა და კარტოფილი და ფქვილი მოიმარაგა. მეც ავდექი და კარტოფილის ღვეზელების ცხოვა დავინყე, ჩემი გოგოც სკოლაში სწავლობდა უკვე, მაგრამ გაკვეთილების სწავლას რომ მორჩებოდა, ისიც გვეხმარებოდა ხოლმე. კარგი დრო იყო. ღამით განათებულ სამზარეულოში სამნი ვისხედით, ქუჩიდან სროლის ხმა ისმოდა, მაგრამ ჩვენ არავისი გვემინოდა. ჩვენს მეზობლად უკვე პოლიციელად ქცეული მილიციელის ოჯახი ცხოვრობდა და რაღაცნაირად სხვებზე მეტად დაცულები ვიყავით თითქოს. დიდ თასში ფქვილს ვყრიდი, ნათია წყალს მისხამდა, ცოტა საფუარს ვამატებდი და ვზელდი და ვზელდი და ეს ზელვა რაღაცნაირად მსიამოვნებდა, თითქოს კუნთებში ძალა მემატებოდა, თითქოს ამ მომატებული ძალით ვილაცის ბოროტ სახეს ვურტყამდი, მერე ამ ვილაცის სახე ცომში გარკვევით გაიელვებდა და კიდევ უფრო მონდომებით ვზელდი და კიდევ უფრო მონდომებით ვურტყამდი და დილით ჩემი სიძულვილით გაფუებული ცომით უგემრიელეს ღვეზელებს ვაცხობდი. ზინაიდას კი ქუჩაში ჩაჰქონდა და რუსული აქცენტით ყვიროდა:

– „პერაშკი“... „პერაშკიი“...

და ხანდახან მეც ვყვიროდი, განსაკუთრებით, როცა ზინაიდა ავად ხდებოდა და მაშინაც, ვინმე ნაცნობი თუ შეხვედებოდა და სირცხვილისგან გაფუჭებულს ვაჭრობა აღარ შეეძლო. მერე ცოტა ფული მოვაგროვეთ, პატარა „ბუტკა“ გავაკეთეთ და იქ ვისხედით. ერთხელ დათიკაც დავინახე ჩემი „ბუტკიდან“. ეტყობა ხილი ჰქონდა ბაზარში გასაყიდად ჩამოტანილი. ორ დიდ ჩანთას მიათრევდა და ზუსტად ჩვენი „ბუტკის“ გვერდით ჩაიარა. არ გავნძრეულვარ, არც შემშინებია. ცოტა შემეცოდა და ეგ იყო. მოუვლელი ჩანდა, ბინძურად ეცვა. ალბათ მარტო ცხოვრობდა და მიმხედავი არავინ ჰყავდა. ერთი მოიხედა და სახეზეც შეცვლილიყო თითქოს, სულაც არ ჰგავდა იმ კაცს, საღამოობით ცომის გუნდაში რომ ვტენიდი.

იმ დღის მერე ძალიან ავირიე. რაღაცნაირად დათიკაზე ფიქრი ამეკიდა და მანანალა ძალივით ყველგან დამყვებოდა. სახლში ვიჯექი და ვფიქრობდი, ვაითუ ზის ახლა დათიკა



და შარვალს კემსავს მოუხერხებელი თითები, ან სულაც აღარ კემსავს და უბეგამორღვეული სოფლის ორღობებში მიბოდილობს და წყაროსთან შეკრებილი ქალები დამცინავად აყოლებენ თვალს. ქუჩაში მივდიოდი და ისევ დათიკაზე ვფიქრობდი. ნეტა ძროხის მონველა თუ ისწავლა, ან ლობოს მოხარშვა, ან მზესუმზირის ზეთის გაკეთება. ეს მაინც ძალიან სძულდა, ვერ მიაკარებდი. ან ქათამი თუ ჰყავს. „ბუტკაში“ გადავდიოდი და ახლა იმაზე ვფიქრობდი, ლოგინებს გაუსწორებელს ხომ არ ტოვებს, ან გასწორებას ვინ ჩივის, თუ რეცხავს საერთოდ?! არადა, რა გაკარახმალე-ბული თეთრეული მქონდა სულ. მერე რალაც ჭირად ბავშვსაც გაახსენდა, გაახსენდა კი არა, სკოლაში ცნობა უნდა მიეტანა. მამასა და დედას ერთად უნდა მოენერათ ხელი. ჰოდა, ავდექი და ნავედი სოფელში. აი, ეგრევე პირდაპირ შევედი სახლში და დათიკა მთვრალი დამხვდა. უცბად დავალაგე ყველაფერი. რაც შეეძელი, გავხეხე, გავრეცხე, დავკემსე, მტვრები ავიღე, ამას კიდევ ისევ ეძინა. იდო ლოგინზე, ავადმყოფივით და გაუპარსავ წვერებში სახე აღარც მოუჩანდა. ცხვირი სადღაც დაერთყა და გადაეტყავებინა, ბოლოს იატაკები მოვწმინდე და ისე წამოვედი, რომ არც ხელი მომიწერიწებია და არც არაფერი. მაგიდაზე ცოტა ფული და ერთი გორა ღვეზელები დავტოვე. გარეთ გამოსულს აქა-იქ მეზობლებიც შემხვდნენ, ჯერ გაიკვირვეს ჩემი ნახვა, მერე მომიკითხეს, მეც მოვიკითხე და ვითომც არაფერი, უკან წამოვედი. ხელი ცნობაზე თვითონ მოვანერე და შვილს ისე გავატანე.

ამან ცოტა დამანყნარა, მაგრამ დათიკაზე ფიქრს მაინც ვერ შევეშვი. ის უკვე ვიცოდი, რომ აღარც ძროხა ჰყავდა და აღარც ქათამი, მაგრამ საფიქრალს რა დაღეეს. ათას რალაცას ვიგონებდი და რაც უფრო მეტს ვფიქრობდი, მით უფრო მეტად მინდოდა ნახვა და დალაპარაკება. სათქმელს ტვინში ვხარშავდი. ხან მინდოდა, მივსულიყავი და ეგრევე ყვირილი დამენყო, ხან მინდოდა, დამერტყა, ხან პირიქით, შერიგებაზეც ვფიქრობდი, ხან მინდოდა, შვილი ენახა. მოკლედ, ერთი წელი გავძელი და ისევ ჩავედი. ახლა ფხიზელი დამხვდა, მაგრამ ლაპარაკი მაინც არ გამოგვივიდა. ერთი იმან შეიგინა ჩემს დანახვაზე, ერთი მე მივანყევლე, რას დავმსგავსე-თქო, იმან ხელი ჩაიქნია, პატრონი მოვტყანო, ჩაილაპარაკა და უკანა ეზოში გავიდა. ისე დავალაგე ყველაფერი, არ მოსულა და არ მომხმარებია. არც მაღლობის სათქმელად

ამოსულა. ბოლოს მე თვითონ გადავედი უკანა ეზოში და არ დამხვდა, წასულა, ცოტა ხანს ველოდე, მერე კი წამოვედი.

შემდეგ წლებში დათიკასთვის ველარ მოვიცალე, რალაცნაირად დავიფიქრე კიდევ. საქმეები კარგად ამენყო და ცოტა ფული ვიშოვე. საწყალი ზინაიდა უცბად მოკვდა, ფილტვის კიბო აღმოაჩნდა. ნათესავები არ ჰყავდა და ბინა მე დამიტოვა. მე კიდევ ფულის შეგროვება დავიწყე და როცა ჩემმა გოგამ სკოლა დამთავრა, სასწავლებლად ინგლისში გავუშვი. წასვლამდე მინდოდა, მამა ენახა და ერთი-ორჯერ გადაკვრით ვუთხარი კიდევ, მაგრამ ძალიან გაბრაზდა და შევეშვი. მისი წასვლის შემდეგ ფიქრები ისევ დაბრუნდნენ. ახლა ხან დათიკა მესტუმრებოდა ცარიელ სამზარეულოში, ხან ნათია. ერთი-ანად სევდამ დამრია ხელი. შვილის წერილებით ვცხოვრობდი, მაგრამ ისინიც ძალიან ერთნაირები გახდნენ.

– კარგად ვარ, დე. აქ ყველაფერი რიგზეა. კარგად ვსწავლობ. მალე სტიპენდიას დამინიშნავენ, მანამდე ცოტა ფული გამომიგზავნენ. აქ ისე ძვირია ცხოვრება, გაგიჟდები. პური 10 დოლარი ღირს. წყალი 5 დოლარი. წყალი, დე. წარმოგიდგინა, სხვა რა იქნება, სტიპენდიას რომ დამინიშნავენ, ფეხსაცმელი უნდა გამოგიგზავნო. აქ ისეთი ტუფლები იყიდება, მთელი ცხოვრება რომ იხმარო, ვერ დახვე...

ლამით სიზმარი ვნახე. ვითომ დილა იყო. მამლის ყვირილმა გამომალღიძა. დათიკას სახლში ვიყავი. ლოგინიდან ფეხშიშველი ავდექი, აივანზე გავედი და დათიკა დავინახე. კაკლის ხეზე კიბე მიედგა და ქვედა ტოტზე თოქს ამაგრებდა.

– რას შვრები, ბიჭო, თავს იკლავ? – გავძახე და გამიკვირდა, რომ არ მიკვირდა იმის ყურება, რასაც ვუყურებდი. – ადრევე უნდა გექნა ეგ, ახლა კაი დროსია.

ხელი ჩავიქნიე და აივნის მოაჯირს მივეყუდე. შილიფად მეცვა, შემცივდა.

დათიკამ ყურადღება არ მომაქცია, ყულფი მარჯვედ გამონასკვა, თავი გაჰყო, კიბეს ფეხი მიჰკრა და მიუხედავად იმისა, რომ მის აფართხალებას ველოდი, რალაცნაირად იმედი გამიცრუა და მშვიდად მოკვდა. ერთი ეგ იყო, თვალები გადმოეკარკლა.

გამელვიდა თუ არა, ჩავიცვი და სოფელში გავვარდი. დათიკა მთვრალი დამხვდა, რომ შევხედე, ნერვები მომეშალა. მაგიდასთან მარტო იჯდა. ღვინოს მარტო სვამდა, პურსაც მარტო აყოლებდა, პამიდორსაც.

– ნუ იკლავ, ბიჭო, თავს ამ სასმლით, – მგონი ეს ვუთხარი. მეტი არ დამცალდა.

ჩემი ხმა რომ გაიგონა, მოგუდული ზმუილით შემობრუნდა. თან მხრები უცახცახებდა, თან მუხლებში ოდნავ იკეცებოდა, ცოტაც და დაეცემა-მეთქი, ვიფიქრე. მივუახლოვედი. იმან კიდევ:

– რალას დამსდევ შე დედამოტყნულო – დამიყვირა და უცბად თმაში ხელი ჩამავლო, თავი მაღლა ამაწეინა და დანა ყელში ძლიერად გამომისვა. მგონი ზედმეტად ძლიერადაც, ცოტა ღრმად წაიღო, ცოტა მაღლა გაექცა და ხორხს გამოედო. მერე ისევ დაანვა, დანა ჯერ წინ გასწია, მერე უკან, მერე ისევ წინ, დანა ხორხისგან გაათავისუფლა და ბოლომდე გავიდა.

3 ხრიბიხა

„პოეზია“ „და“ „პოეტიკი“

(ერთი, მეტად დროული პოეტური ანთოლოგიის გამო)

ნანა ტრაპაიძე

„ხელოვნების ურჩეულებსი ქმნილებანი, ხაზების დახვეწილობა, სრულქმნილი ენის სინატიფისა და ჰარმონიულობის გემოს ხილვით მონიჭებული სიამოვნება, ზოგიერთი მათემატიკური ორაზროვნების სიტკბოება, სიზუსტე, რომელსაც სულის იდუმალ სიღრმეთა ჩხრეკით შეიძლება მიაღწიოს კაცმა, – ყველაფერი ეს რამდენიმე პირის კერძო საქმეა. ნაართვით მათ ისინი, – ვინ წარმოიდგენს უფრო დიდ დანაკარგს?“

პოლ ვალერი,
აზრები

„თუ აუცილებლად უნდა ითქვას ის, რაც უნდა ითქვას, როგორ უნდა ითქვას ის, რაც უნდა ითქვას?“

დათო ბარბაქაძე,
ლოგიკის მონატრება

„იმის გასაგებად, ჭეშმარიტია ხატი თუ მცდარი, ის უნდა შევადართო სინამდვილეს.“

ვიტგენშტაინი,
ლოგიკურ-ფილოსოფიური ტრაქტატი

სინამდვილე დრო-სივრცული მოცემულობაა. დროს, რომელიც ისტორიას ქმნის, ენა ინახავს. პოეტური ხატი სინამდვილის დრო-სივრცული კორელატივა, რომელიც ვიბრირებს ენის სიხშირეებს, კოდებს, მასში არსებულს. პოეზია სინამდვილის შესახებ სიმბოლურ უწყებებში ისტორიას, დროს რეპრეზენტირებს – არა მხოლოდ იმის, რაც შეიძლება რომ იყოს, არამედ იმისაც, რაც არის. აქედან პოეტიკის მთელი კატაფატიკური დისკურსი: პოეტური ხატი არის ფაქტი, რომელიც საგანთა ბუნებიდან ენის საშუალებით ამოიჭიმება. პოეზია განკარგავს დროს. [მაგრამ] მისთვის დროის კაუზალობა არ არსებობს. არსებობს მხოლოდ აწმყოს ზედაპირი, რომელსაც აქვს პერსპექტიული და რეტრო-

სპექტიული სიღრმეები. ამიტომ მას დროის წინაუკმო მოძრაობებში ამოჭრილი სივრცული მყარის – ემპირიული „ნერტილები“ ხილვაც შეუძლია. პოეზია არაა მხოლოდ საგნების ენისმიერი კონსტატაცია; პოეზია ასახვის მათემატიკაა, რომელიც კრებს საგანთა ფაქტებს და აჯამებს მათ დაფარულ გვერდიგვერდმდებარეობას. პოეზია, როგორც დროის მფლობელი, მის დასასრულსაც ფლობს. ამიტომ იგი აპოკალიპტიკური მაუნყებელიცაა, – მხოლოდ მან იცის, სად მთავრდება ისტორია. მეტიც, იცის, როგორ მთავრდება იგი. პოეზია ღმერთია, რომელსაც შეუძლია აპოკალიფსი გადადოს. რეალურად, ის მხოლოდ ამით დაკავებული ღმერთია. მისი უცვლელი სათნოება ესაა.

პოეზიის [მორალური] საქმე სიზუსტეა, რომელიც დაესმის დაფანტულ კოდეზს, სიხშირეებს, კულტურულ რელიეფს, რომლებიც სინამდვილეს ატარებენ.

შეუძლებელია, სიზუსტე არ იყოს კრიტიკული.

სიზუსტის ესთეტიკური ხატი აუცილებლად ლოგიკურია.

[ამდენად] მხატვრული ფაქტი ლოგიკურია.

მხატვრული ლოგიკა სიმბოლურია.

პოეტური ფაქტი სხვადასხვაგვარია. მთლიანობაში, ის აღნიშნავს იმას, რასაც აღნიშნავს.

მხატვრული წინადადება, ეს არის მისი ფორმა; [რადგან] „მშვენიერი ქმნილებანი მათივე ფორმის ასულნი არიან; ფორმისა, რომელიც მათზე ადრე იბადება“ (პოლ ვალერი). ფორმა, ეს არის შინაარსობრივი სიმართლის ლოგიკა თქმაში. თუ პოეტურ ტაეპს შინაარსის ლოგიკიდან ამოვრთავთ, მივიღებთ დეკონსტრუირებულ სხეულს, ერთგვარ აპოფატეკურ პოეტიკას, რომელიც არ არის ფორმა, რაც ნიშნავს – არ არის პოეზია. მაგალთად, ასეთს:

„მე თოვლი მიყვარს ისე, როგორც –
ერთ დროს შენს ხმაში გამჟღავნებული
ფარული სევდა“

გალაკტიონი,
„თოვლი“

ან

„ანგელოზს გრძელი პერგამენტი ეჭირა და
მინას მწუხარე თვალებით დაჰყურებდა.
ნახვამდის, ნახვამდის! ამოდ დაგიჯერე,
ალმასის საყურეების ელვარე საღამოვ“

გალაკტიონი,
„ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“

ასეთიც:

„ლაბავ, მე და შენ ერთ ბედში ჩავვარდნილვართ,
ჩენი წილი შავი მინა გამხდარა.
ჩენი ჭაპანი ერთგულად უნდა ვჭიმოთ,
დღეები უსიხარულოდ დავლიოთ,
ბელტი ბელტზე წავანვინოთ“

ილია,
„გუთნისდედა“

„მშობელ ქვეყანას სავსე მთვარის
მკრთალი ნათელი გადმოჰყურებდა,
ხოლო მთებს შორის, სივრცის ლაჟვარდში,
თეთრი ზოლი იკარგებოდა.

არსაიდან არ ისმოდა ხმა ან ძახილი.
გამჩენი გაჩენილს არაფერს მეუბნებოდა.
ზოგჯერ კი ქართველის ძილში
ტანჯვით ამოძახებული კვნესა გაისმოდა“.

ილია,
ელეგია

შესაძლებელია უცხო ფორმებისა და მშობლიური შინაარსების ამგვარი უსულო (მი)ბმაც:

ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრა წლის
ჩვიდმეტი მარტის
სალამო იყო

(ჰაიკუ)

რა მონინებით შემინახავს მადლობები და სიგელები
და ჩემი ფიქრით, პატიოსანი, და ერთგული
შრომისთვის
დამსახურებული.

(ჰაიკუ)

შინაარსობრივი ძირის გამოცლით პოეტური სტრუქტურა შეიძლება ფონოლოგიურ დონემდე დეკონსტრუირდეს:

აი ოო ააუო ოო
აი ოო იიეა ოი
აიიი ოი აიოო
აიეი აი იი ოი

გალაკტიონი
„ატმის რტოო“

ასე შეიძლება დაშალო მთელი ისტორიული და ნორმატიული პოეტიკა და დაშლის უტრირებულ ინტენსივობაში გაამჟღავნო პოეტური ტალანტი, რამაც ენის ესთეტიკური კოდები პოეტურ ლოგიკად (შე)ქმნა:

„მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის
ქალწულებივით ხიდიდან ფენა“

ან:

ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი,
მწუხარე თვალებით მინას დაჰყურებდა.
მშვიდობით, მშვიდობით! ამოდ დაგენდე,
ელვარე საღამოვ ალმას საყურეთა!

ან:

„ერთ ბედს ქვეშა ვართ ლაბავ მე და შენ
ნილად გვარგუნეს შავი მინა ჩვენ,
ერთგულად ვჭიმოთ ჭაპანი ჩვენი,
უსიხარულოდ გავლით დღენი“.

[თუ] არ არსებობს პოეტური ლოგიკა, როგორც
გამომსახველობითი სიზუსტე, არ არსებობს პოეტური
სინტაქსი, არ არსებობს პოეზია, როგორც ფორმა, რო-
გორც თვალი, როგორც გამოცდილება.

მხატვრულობისა და სიზუსტის მიმართება ცხადყ-
ოფს, რომ არ შეიძლება ორიგინალი ქმნიდეს ასლს.
„სინტაქსი სულის უნარია“ (პოლ ვალერი). და როგორც
სულის უნარი, სიზუსტე, გადმოცემული პოეზიის გრამა-
ტიკით, განმეორებადი არ არის. ეს ენიწაღმდეგება მის-
სავე ბუნებას – ორიგინალს შეუძლია შვას არა ასლი, არ-
ამედ – სხვა. ორიგინალისმიერი სიზუსტე ატომატურია.
ატომს ასლი ვერ აისახავს – მას არ შეუძლია ჩანვდეს
ორიგინალის ატომატური სიღრმის სიმორეს.

ასეთი ასლებით სავსეა ლიტერატურა.

ლიტერატურას კი, როგორც პროცესს, სახეთა მხ-
ატვრულ პოტენციათა შორის ავთენტურ სიღრმეთა
თვითძიების ბრძოლა ქმნის. ამ აზრით, ლიტერატურა
სახეთა ომია მნიშვნელობითი პოზიციებისათვის.

ამიტომ, მხატვრული სახეები მოძრავნი არიან. ისინი
მოძრაობენ მეტი/ახალი მნიშვნელობების, ახალი აზრო-
ბრივი ველების მიმართულებით. მეტაფიქციურად სახეს
შეუძლია, მოხსნას/გამო(ი)ცვალოს კონტექსტური ველი
და ფიქციურად აღადგინოს/გაათამაშოს ესთეტიკური
ავთენტურობა. მაგალითად, „მუშა ბოქულაძე“, როგორც
მხატვრული ფაქტი, თავის „იურიდიულ მისამართზე“,
მკვდარია, მაგრამ მეტაფიქციურ სივრცეში იგი შეიძლე-
ბა გაცოცხლდეს. თუ კონტექსტური ველი გაუქმდება,
თუ ყველა კლასიკური დეტერმინანტი გამოირიცხება,
მუშა ბოქულაძე იპოვის წარმოთქმის ახალ ავთენტობას,
ადრესატს, როგორც პირს და როგორც იდეას. და ეს
შეიძლება მოხდეს აქ და ასე:

მშობლიური ელეგია

*განცხრომის ძვე, ნებიერად გაზრდილო,
ეს ქვეყანა შენთვის არის შექმნილი!*

.....
*დილითვე ვგვი ქუჩის უწმინდურებას,
რომ მის სუნი არ ეწყინოს შენს ცხვირსა...
გრიგოლ ორბელიანი, მუშა ბოქულაძე (1877)*

*(ენერგია ჭიის, როცა მას ფეხს აჭირებენ).
ნიკოლო მინიშვილი, ფიქრები საქართველოზე (1926)*

ჩვენს ყოველდღიურ სიღამაზეს და სიამაყეს
და მათხოვრულ სულს და მონობის ზეშთაგონებას,
მრავლად ბოძებულს, საარაკოს, საყოველთაოს,
მშობელი მხარის მთვარე მშვიდად ემშვიდობება.

და არც ხმა ისმის, არც ბოყინი და არც ყროყინი,
შობილი მშობელს არას ეტყვის, მშობელი შობილს,
და რადგან შენი იმედებიც უიმედოა
და მადლიც იცი სახედრულად მხედრული შრომის,
ნულარ აყოვნებ, მამულის ხმებს ყური ათხოვე
და როცა სწორედ შენ გელიან ყველა ტაძარში,
ცრემლი შეიშრე, მწარე ფიქრებს დაეთხოვე და
ბადე ჩააგდე, მეზადურო, სამშობლოს წყალში.
შენს ნაწყალობევ, ნავიანევ ძილს მონყვეტილო,
როცა ტოროლა თავის სატრფოს სათუთად პროშნის,
ბადე ჩააგდე, მეზადურო, ამ წმინდა წყალში,
და ამოზიდე კიდევ ერთი განწვილის კომპტი,
რომელსაც თვალი, როგორც ლოცვა, როგორც ანდერძი,
ლურჯი ზეცისკენ აღუყურია ალალი, ნაღდი;
რომელიც მყრალ პირს ფართოდ განხვინს და როგორც ასი,
ასიათასი, მილიონი და მილიარდი,
უფრო ზორბა და უფრო მძიმე განაწვილის კომპტი,
მშობელი ზეცის მზის სხივებში ამოვლებული,
შველას ითხოვს და მშობლიური წყლებისკენ ილტვის
და შიშით მოცულს განწირული უფეთქავს გული.
ო, მეზადურო, ჯარისკაცო ჩამოკონკილო,
შენი ობოლი პანწურეთის ყველა კუთხეში
ბადე ჩააგდე დამშეული ყველა ბავშვისთვის
და არ უჩვენო მაღალ მიზნებს უხეში ზურგი.
დე, ღმერთს შესთხოვე, წარმატება თან სდევდეს მუდამ
ამ წმინდა წყალში შენი მტკიცე, მჭიდროდ ნაქსოვი
ბადის ჩაგდებას, ჩაძირვას და მარჯვედ მოზიდვას,
არ გააცუდოს შენმა შრომამ არც ერთი ფსონი.
ნადავლი იყოს ნოყიერი, რათა დანაყრდეს
შენი ობოლი ჩანწურეთის ჩვილთა თაობა,
რათა დანაყრდეს ყველა ბავშვი, რომელსაც შია,
ნადავლი იყოს ამჯერადაც უხვი და ზორბა.
ბადე ჩააგდე ჩვენთა სასიხარულოდ,
რათა განაგრძოს ჩვენს ხორცზე და ჩვენს ძვლებზე ლოცვა
ან გარდასული, ცად ნასული ბავშვების ხსოვნამ,
და შეწყდეს ჯერაც ვერმოკლულთა ჟღერა და ხოცვა.
ბადეებმა კი უბედური მშობლების ყოფა
მედგრად მიმართონ ჯერ ცოცხალი სულ სხვა ბავშვების
მომავლისკენ და შიმშილისკენ, სადაც როკვაა
გმირული სულით შევსებული სულ სხვა ფაშვების.
ბადე ჩააგდე, მეზადურო, წმინდა ღორების
წმინდა განაწვლით ადუღებულ უწმინდეს წყალში
და მოგვიბოძე ჩვენ საკვები ჩვენი არსობის,
რათა გაგრძელდეს, გახანგრძლივდეს მონების მარში.
ო, მოგვიბოძე სალაფავი ჩვენი არსობის,
შეზავებული კრისტალური ტალახით, ფურთხით,
რომელიც, როგორც კაცის გული ფიქრით, ოცნებით,
გაჯერებულა ამ ღორების ღორული სუნ(თქვ)ით.
წმინდა წყლებისკენ საცოდავად აჩქარებულო,
ბადე ჩააგდე, მეზადურო, ჭადრის გამზმარი,
გამოფიტული ფოთოლივით მონყვეტილი და
ფრთებდაკეცილი საქართველოს ყველა კუთხეში
ყოველდღიური შენი ხორცის, შენი სახლაკის,
დედიშენის და მამიშენის, შენი ცოლ-შვილის
დაღლილი ხორცის კიდევ ერთხელ გადასარჩენად
დაიადი აწმყოს მადლით მოცულ ამ სირუხეში.



და გიხაროდეს, გიხაროდეს, რომ სამუდამოდ დანგრეულია ყველა ხიდი, რომელიც ჩვენს სულს სიცოცხლესთან და სიყვარულთან აკავშირებდა; ერთ დროს ოფლით და სიმღერებით მყარად ნაგები, მეცხრე ცასთან და ცის ფერებთან აკავშირებდა; რომ, როგორც იქნა, ეს დღეც დადგა და, როგორც იქნა, დაპყრობილია ყველა ტვინი, ყველა შეგნება, რომ, როგორც იქნა, გამარჯვების უამმა ჩამოკრა და გონის ძახილს აღარავინ წამოეგება; რომ უკვე ყველა ის სიმაღლე დაპყრობილია, რომელიც იმედს და ყველაფერს, რაც გამოინებდა, ნარწყევს, ნალვინარს, ნალებინებს, სპერმის ნარჩენებს, შენი მამულის ობოლ გულთან აკავშირებდა. ო, მეზადურო, გიხაროდეს, რომ დრო გაქრა და ყველა სიმაღლე სამუდამოდ დაპყრობილია.

პოეტურ თქმას ისევე აქვს მოძრაობის ადგილი, როგორც დაბადების. მოძრაობას ალუზიის სპირიტუალის ვუნოდებდი. პოეტური თქმის მოძრაობა ენობრივი სტრუქტურის ღრმა ნიალიდან გამოიხმობა და მის მოვლინებას კვლავდაბადების ლოგიკური გარდაუვალობა წყვეტს. ავტორის, უფრო ზუსტად, ავტორისეული ინტენციის საკითხიც იურიდიული სივრციდან ლოგიკური/ავთენტური კუთვნილების სფეროში ინაცვლებს – იგი ინკარნირდება. ასე ინკარნირდება ამ ლექსის ეპიგრაფის ინტენცია ილიასეულ ინტენციად, ლექსის პოეტიკაც თავს აქედან შლის. პოეტურ მოძრაობათა მიერ მიკვლეული ლექსის მთელი ინტენციური უნისონი არაზუსტი რითმების კლასიკური მობილიზებით აჩქარებით მიემართება იდეური და რიტმული კონტრაპუნქტისაკენ, რომლის ფუნქციაა სიმძაფრის სიცხადით გვაუნყოს – „გამარჯვების ზარმა ჩამოჰკრა და გონის ძახილს აღარავინ წამოეგება... რომ დრო გაქრა და ყველა სიმაღლე სამუდამოდ დაპყრობილია... ეს სიტყვები დურმიშხან ტაბატაძეს ეკუთვნის, მაგრამ მათი შინაარსი „ლოთიანი-დარდიანის“ ავტორის დისკურსში ველარ ეტევა და ნახტომს უფრო ავთენტური დისკურსული „ადგილისკენ“ – კლასიკურის და პოსტ-კლასიკურის შემხვედრ ინტენციათა მიმართულებით ერთდროულად აკეთებს.

ორიგინალის გამომხმობას ალუზიური სპირიტუალის გზით ასეთი ჩვენებაც შეუძლია:

„სად არიან მამები, მამები სად არიან, გავალ გავიხედები, არ არიან ქარია, სად არიან მამები, მე რომ მოგაბარეა, გავალ ავეძრახები, არ არიან ქარია“ და ა. შ.

„სად არიან მამები“ ორიგინალი

პოეზიის [=სიმართლის] ლოგიკა ითხოვს, ჯერ დაისვას (შე)კითხვა, – სად არიან მამები. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ჰქონდეს დასმის უფლება (შე)კითხვას, – სად არიან შვილები. ორიგინალის სავანე მხოლოდ პირველადი (შე)კითხვებია, მომდევნონი, როგორც კითხვითი

შეპასუხება, გამეორებაა. იდეებისა და სახეების ფილაცია ლოგიკურია. ლოგიკის სიმკაცრე მისი სიზუსტეა.

პოეტურმა სიზუსტემ სოციალური ველის სულიერი პოლიტიკის ყველა მოქმედი „საკრალური“ კოდიც შეიძლება შეკრიბოს. აი, ასეთი: „ბიჭოვ, შენ მამა არა გყავს?“, „ვინ არის შენი დეიდა?“, „ვინ არის შენი პაპი-და?“, „არც ცოლის მამა არა გყავს?“ და ასე, უსასრულოდ. ამ აზიზი სოციალური სათნოების მთელი სიკეთე შეიძლება ასე კრისტალიზდეს: უპატრონო ბიჭს, ფუჰ! და (არ)ახალ სოციალურ პათოსადაც იგივეობრივად, ამგვარადვე გაფორმდეს – „უპატრონო ბიჭს, ფუჰ“:

„ბიჭოვ, რაინდი არა ხარ?
ბიჭოვ, ბიჭბუჭი არა ხარ?
ბიჭოვ, ნაგავი არ გიყვარს?
ბიჭოვ, ვაჟკაცი არა ხარ?“

ივერთა ადათს არ მისდევ?
პანჩურეთელებს ლალატობ?
ბიჭოვ, პატრონი არა გყავს?
ბიჭოვ, ქართველი არა ხარ?“
„უპატრონი ბიჭს, ფუჰ“

დურმიშხან ტაბატაძე

პერსონალური კულტურული მოცემულობის ამ ყველაზე გავრცელებული პათოსისა და სულისკვეთების კრიტიკული შეჯამებისთვის პოეტი მიმართავს აკაკის „ჩონგურს“, რომელშიც ინფანტილური და კეთილი სპეციფიკურად ქართული მოულოდნელობით ერწყმინა ერთმანეთს, ხოლო შერწყმის პარადოქსი განვრცობისა და განწყობის ისეთ სიხშირეს ქმნის, რომელიც შეიძლება იყოს საყოველთაო და მხოლოდ იმღერებოდეს. მაგრამ რა ხდება ლირიკული პატრიოტიზმის მიღმა? ამ ცნობილ ლექსს/სიმღერას მცირეოდენი მოდელირებით შეუძლია მიუღებლობამდე უსასტიკესი მართლმხილება ამოთქვას, რომელიც, როგორც ლექსი, (თვით)ცნობიერების სიმძიმეს ატარებს, ხოლო როგორც სიმღერა ნერვული მოშლის მძიმე სიმჩატეს ინახავს:

„საგიჟე პანჩურეთია,
გიჟები ჩვენ ვართ ყველაო.
ერთი ჭკვიანიც რომ გაჩნდეს,
მაშინვე უნდა შველაო.“

„უსათაურო“
დურმიშხან ტაბატაძე

ამ ტექსტებს, რომლებიც აქ არიან და იმათაც, რომელთაც შეუძლიათ მათ გვერდით იყონ, არა აქვთ უფლება, არსებობდნენ როგორც ცალკეული, ურთიერთუკავშირო ესთეტიკური ფენომენები! (თუმცა, აქამდე სწორედ რომ ასე არსებობდნენ); ერთმანეთის გვერდით-

ვერდ ისინი ქმნიან პოეტურ ინსტალაციას, რომელიც გარეშემოიკრებს თითქოს ნაიფურ, არაფრის წინაშე მოვალე კოდებს, რომლებიც ძალუმად ამოძრავებს ჩვენს სინამდვილეს:

„ინდე, მთა-გორებს მოხვდა მზის სხივი,
სანყალმა კაცმაც შეწყვიტა გორვა,
გამოიღვიძა ბუნებამ სწრაფად
და ფრინველებმაც გააბეს სტვენა.
მეც უმალ ფიცხელ შევხტუნდი მყისვე,
ბორკილნი შვებით შემოვიმსხვრეი
და გაუფლიმე მზეს ყველა კბილით,
რომლებიც დღემდე შემომრჩენია.

*„ლოთიანი-დარდიანი“
დურმიშხან ტაბატაძე*

მე იმედი ვარ ჩემი ქვეყნისა, საქართველოსი!
მე იმედი ვარ მისი მთა-ბარისა!
მე ისე გიმღერ, ჩემო სამშობლოვ, როგორც მე
ეს შემიძლია ამ ჩემი ენით.
ქართველი დედა მეუბნებოდა ბავშვობაში,
გიყვარდესო სომხური ენა!
სომეხი მამა მეუბნებოდა ბავშვობაში,
გიყვარდესო ქართული ენა!

*„ბალადა ქართულ იმედებზე“
აშული ოგანეზა ახალციხელი*

ამ მგზნებარე განწყობილებათა კონსტატაციის მამულიშვილური სამუშაო პოეტმა, ამ საქმის გამო (და არა მხოლოდ), დიდმა პატრიოტმა დათო ბარბაქაძემ გასწია. დათო რუდუნებით ცდილობს, ჩვენი კულტურული ექსისტენციის მჩქეფარე წიაღიდან მარცხად არაფერი დაიკარგოს, არამედ შენახულ იქნას და დაცული, როგორც ჩვენი გადარჩენების უტყუარი ფორმები და ჯიუტი ფაქტები! ეს უმაღური საქმე მან ჯერ კიდევ ფსევდოაგიოგრაფიული ქრონიკის – „ტრფობა წამებულთა“ – შექმნით აიღო თავზე. ამჯერად, „მეტად დროული პოეტური ანთოლოგიით“, რომელიც სამი პოეტის – ფირუზ ჩხეიძის, აშულ ოგანეზა ახალციხელისა

და დურმიშხან ტაბატაძის (რომლის რამდენიმე ლექსი ბოლო ხანს „ახალმა საუნჯემ“ დაბეჭდა) შემოქმედებას აერთიანებს, მან სწორედ რომ მოზიდა დაფანტული კულტურული კოდები, რომელთა შენახვა ყოფის დაუდევარი მდინარის ახირებულ მეხსიერებას არამც და არამც არ უნდა მიენდოს!

„მეტად დროული პოეტური ანთოლოგია“ მნიშვნელოვანი მეტაფიქციური ჰიპერტექსტია. მასში ზედაპირზეა ამოტანილი ქართული სინამდვილის კულტურული და ექსისტენციური ტყუილ-მართალი, – არსებითი ნიშნულები, რომელთა დაქსაქსული და სტიქიური ბუნება პარადიულ ესთეტიკაში შემოიკრიბება და წიგნად, როგორც პერფომანსულ შესტად მოგვეწოდა. ეს არის დათოს კიდევ ერთი შემოქმედებითი ძალისხმევა, როგორც სინამდვილის სინამდვილითვე დანთქმის ორიგინალური ცდა, რომელიც პოეზიისა და სინამდვილის უხილავ ბრძოლის ველზე ხორციელდება და რომელშიც პოეზია თავის ძალაუფლებას დამარცხების, – უკიდურესი უკანდახვევის, საკუთარი თავის სრული გაძევების სტრატეგიით აფართოებს.

„მეტად დროული პოეტური ანთოლოგია„ უსახსრობის გამო ოთხ ეგზემპლარად გამოიცა გამომცემლობა „პოლილოგის“ მიერ 2010 წელს. სამი მათგანი პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება. კრებული, მართლაც, მნიშვნელოვანი კულტურული არტეფაქტია. აქ ნახავთ პოეტების სათუთ ფოტო მასალას, ვრცელ და გულით დამუშავებულ მათ ბიოგრაფიებს, ასევე კრიტიკოს ვაჟიკა უზნისელის შესავალ წერილს, რომლის სრულიად ნატიფი რიხი ჩემი წყვეტილი დისკურსის ეპიზოდურ ინსპირაციად კი იქცა.

.....

დაბოლოს:

პოეზია სიზუსტეა. და ის არ შეიძლება მოხდეს იქ, სადაც ნასესხებ/მოგონილი სიმართლეების მგზნებარე ქუხილებში ლოგიკის ხერხემალი მრავალფერად და ტოტალურად დამსხვრეულია, იქ, სადაც [და სანამ] ყველა პოეტი, ხოლო ყველა პოეტი – ორგზის პოეტი.

**ბათუმი
10–29. 04. 2015**

ერთი მეტატექსტის ისტორიისათვის

ლევან ბრეგვაძე

ქართულ პოეზიაში რამდენჯერმე იჩინა თავი კომენტარმა, რომელიც ამა თუ იმ კონკრეტული პოეტური ტექსტისთვის ურითმო სალექსო დისკურსის შერჩევას შეეხება: პოეტები ლექსშივე განმარტავენ, რატომ მიანიჭეს უპირატესობა ურითმობას, ანუ საქმე გვაქვს მეტატექსტთან, ერთგვარ ესეისტურ ინტერვენციასთან ლირიკულ ლექსში, რაც არცთუ მთლად ჩვეულებრივი მოვლენაა.

იოსებ გრიშაშვილის ლექსი, რომლის სათაურია „შენდამი“, ასე იწყება:

„წელთა დაღმართზე შეგხვდი ანაზდად
(აქ, ალბათ, მოვა რითმა „განაზდა“, –
მაგრამ რითმებში ვერ შევეკრავ გრძნობას
და თეთრი ლექსით მსურს გესაუბრო).
ყაზბეგის მთების ჯეირანი ხარ,
მოხვევისაგან განზე გამხტარი.
ტანი გაქვს, როგორც ზამბახის ღერო;
ჩემმა ბებერმა ძვლებმაც კი იგრძნო
ქიშმირის კაბის გაშრიალება“.
და ა. შ.

პოეტი მიიჩნევს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში რითმიანი დისკურსი მას რაღაცაში ხელს შეუშლის, გრძნობს, რომ იმ შინაარსს, იმ სათქმელს, რისი გამოხატვაც მას ამ ლექსით სურს, გარითმვა არ მოუხდება.

ლექსი 1950 წლითაა დათარიღებული.

ეს მეტატექსტი ი. გრიშაშვილს ბევრად ადრეც გამოუყენებია: 1929 წელს კოტე მაცაშვილის მოსაგონარ ლექსში იგი ასე მიმართავს ორი წლის წინ გარდაცვლილ უფროს მეგობარს:

„არ შემიდლიან... ლექსს ვერ დაგინერ...
რითმის ქამარში ვერ შევეკრავ გრძნობას...“

მაგრამ ეს მხოლოდ პირობითი შესტია (არცთუ ეფექტური!), ვინაიდან ამას პოეტი ექვსსტროფიანი ჯვარედინად გარითმული ლექსის ბოლოში აცხადებს და თვით ეს სტრიქონებიც გარითმულია. ამიტომ ეს მეტატექსტი აქ უადგილოა.

კიდევ ერთ ლექსში, იმავე 1929 წლით დათარიღებულში, რომლის სათაურია „40 წელი დღეს შემის-

რულდა“, ვკითხულობთ ამასვე: „მე ოთხ ათეულ წელს მივაღწიე, / თეთრი მერევა, სიბერე – არა / და თეთრი ლექსით მსურს ვისაუბრო“. აქ პოეტი არაფერს გვეუბნება ამ სალექსო ფორმის შერჩევის მოტივაციაზე შინაარსთან მიმართებით („თეთრი მერევა“, ცხადია, თეთრი ლექსისთვის უპირატესობის მისანიჭებელ სერიოზულ მოტივაციად ვერ ჩათვლება), მაგრამ ამჟღავნებს: აქაც, თავისი ორმოცი წლის იუბილესადმი მიძღვნილ ლექსშიც, რითმაზე იმიტომ ამბობს უარს, რომ არ უნდა „რითმებში შეკრას გრძნობა“, ანუ სურს, რაც შეიძლება ბუნებრივი და გულწრფელი იყოს (აქ უპირაინია, გავიხსენოთ სიმონ ჩიქოვანის აღიარება: „მე სრულიად სხვა მინდოდა მეტქვა / და სხვას მამლერებს წყეული რითმა“).

ამავე მეტატექსტს ვხვდებით კონსტანტინე ჭიჭინაძესთან 1949 წლით დათარიღებულ ლექსში, რომლის სათაურია „ყველაზე ახლობელს“ და დედის გარდაცვალების გამოა დაწერილი. პოეტი ასე მიმართავს მშობელს:

„რა გითხრა ლექსით შენ, რუსთველის და ხაიამის
ზეპირად მცოდნეს? მწუხარებამ ამ ლექსისათვის,
როგორც ბრჭყვიალა სამკაული ძაძაზე, ისე
ჩემი უბრალო რითმებიც კი ამაკრძალვინა“.

ლირიკულ ტექსტში მეტატექსტის შემოტანა – რომლის მეშვეობითაც ავტორი თავის შემოქმედებით ლაბორატორიაში გვახედებს, ტექსტშივე გვთავაზობს რეფლექსიას თვითონ ტექსტზე – მოულოდნელი ჩანს იმის გამო, რომ ლირიკული ნაწარმოების ბუნება თითქოს გამორიცხავს ასეთ ეპიკურ (ბრეხტისეზური გაგებით) რემარკებს. და თუ მაინც ვხვდებით ჩვენს ლირიკაში ამგვარ ესეისტურ ჩანართებს, რაც არღვევს ლირიკული ტექსტისთვის ესოდენ საჭირო უშუალობის ილუზიას, ეს უთუოდ ქართული სალექსო კულტურის (უფრო ზუსტად, სარითმო კულტურის – რაკილა ზემოთ ციტირებული მეტატექსტები პირნმინდად რითმას ან ურითმობას ეხება) ერთობ მაღალ დონეზე მეტყველებს. ეს ის დონეა, როდესაც აღარ დაჰკანკალებ მიღწეულს და მოთხოვნილება გიჩნდება, გაამხილო პროფესიულ საიდუმლოებათა ნაწილი.

ეს მეტატექსტი, გრიშაშვილთან სამგზის და ერთხელაც კონსტანტინე ჭიჭინაძის ლექსში რომ გვხვდება, ტიცინან ტაბიძესთან იღებს სათავეს.

აქვს ტიცინან ტაბიძეს 1925 წლის ივლისით დათა-

რილებული ლექსი სათაურით „თბილისიდან დედას“. ეს არის ზუსტად იმავე თემატიკისა და განწყობილების ლექსი, როგორც ერთი წლით ადრე, 1924 წელს გამოქვეყნებული სერგეი ესენინის „წერილი დედას“, და ორივე ამ პოეტზე ბევრად ადრე, 1917 წელს დანერგილი პაოლო იაშვილის ცნობილი ლექსი, რომელსაც ზუსტად ის სათაური უზის, რაც ესენინის შვიდი წლით უმცროს შედეგს – „წერილი დედას“.

ტიციანიც, პაოლოსა და ესენინის მსგავსად, ქალაქიდან სწერს წერილს სოფელში დარჩენილ დედას. ნავიკითხვით ამ მოზრდილი ლექსის ერთი ფრაგმენტი (ციტირებას ვახდენთ ტიციან ტაბიძის ერთტომეულიდან, რომელიც 1985 წელს გამოცა „მერანმა“):

.....
დედა, მე ვიცი, შენ აღარ გძინავს,
ელი, ჩამოვალ მაინც უეცრად.
როცა რიონი სუნთქვას გაკმინდავს,
მას შენი გული დაყვება ფიცრად;
ვიცი, ყოველდამ აცხობ საკურთხებს
დაღუპულ ქმარზე, დაკარგულ შვილზე,
ყველა დამორდა დანავსულ კუთხეს
და მარტო დარჩი გამოტირილზე.
**ჩემო ძვირფასო, ჩემო ძვირფასო,
არ ვიცი, რა ვქნა, რით განუგეშო.
სირცხვილი არის რითმა ვეძიო,
როცა შენ გხედავ ასე მწუხარეს.
დამპალ ყავარზე ჩამოდის წვიმა,
თვითონ რიონი მოდის ეზოში...**
ჩვენ დაღუპულ ბედს სტირის გომბეშო,
ისიც ჩვენსავით ცრემლს ღვრის მდულარეს.
.....

აღწეროთ ამ ლექსის გართმვის სისტემა: აქ გვხვდება როგორც ინტერვალური რითმა, როცა კენტი სტრიქონები გაურითმავია (ასეა ლექსის პირველ, მეცხრე და მეთერთმეტე სტროფებში), ასევე ჯვარედინი რითმით შესრულებული სტროფები (ესენი ყველაზე მეტია). სრულიად გაურითმავია ბოლოსწინა სტროფი:

ჩემთან იყავი, ჩემთან იყავი,
სიზმარში მაინც გამომეცხადე,
გახსოვს, შენ ასე ვის დასტიროდი,
მეც ეხლა ასე ვსტირი უბრალოდ...

ამის მომდევნო დასკვნითი სტროფი კი ჯვარედინად არის გართმული.

რაც შეეხება ზემოთ ციტირებულ ფრაგმენტს, სადაც პოეტი ამბობს „**სირცხვილი არის რითმა ვეძიო, როცა შენ გხედავ ასე მწუხარეს**“, თითქოსდა ამ სირცხვილის დასტურად, ზედიზედ ექვსი ერთმანეთთან გაურითმავი სტრიქონი მოდის (რომლებიც ზემოთ ჩვენ მუქად მოვნიშნეთ), თუმცა შემდეგ ორი მათგანი მაინც ირითმება, ოღონდ შორეულად: სანითმო სიტყვებს „განუგეშო“-სა და „გომბეშო“-ს შორის ოთხი სტრიქონია, ხოლო „მწუხარე“-სა და „მდულარე“-ს შორის – სამი.

ამგვარი გახლავთ ამ ლექსის **საუნდტრეკი**. ვფიქრობთ, აქ უპრიანია კინემატოგრაფისტთა ამ ტერმინის გამოყენება, და არა მარტო აქ – საზოგადოდ პოეზიაში, ვინაიდან ასე უფრო ნათელი გახდება, რომ, როგორც ფილმის რეჟისორი და კომპოზიტორი ცდილობენ ამა თუ იმ ეპიზოდს მისი შინაარსისა და განწყობის შესაფერისი მუსიკა მიუსადაგონ, ანდა სულაც უმუსიკოდ დატოვონ, ასევე უნდა შეუხამოს პოეტმა ლექსის სათქმელსა და განწყობილებას რიტმი და რითმათა ესა თუ ის სისტემა თუ სახეობა, ზოგჯერ კი სულაც ხელი აიღოს რითმაზე, თუკი თემას, მკითხველამდე სათქმელის მაქსიმალური ეფექტით მიტანას, ეს წაადგება.

მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ქართველი პოეტები ამგვარ მიმართებას სალექსო ფორმებსა და ლექსის შინაარსს შორის მარტო გუმანით კი არ გრძნობდნენ, საეხებით გაცნობიერებული ჰქონდათ ეს მოვლენა, რაზეც მკაფიოდ მეტყველებს ჩვენ მიერ განხილული მეტატექსტი, რომლის უადრეს ნიმუშს ტიციან ტაბიძესთან ვხვდებით.

ტიციან ტაბიძის ამ ლექსის თემა მოდერნულია (მშობლიური სოფლის მიტოვება და ქალაქში გადახვეწა), და მოდერნულია მისი „აჭრილი“ ფორმაც, ანუ ლექსის **საუნდტრეკი** შინაარსის შესატყვისია. ეს ახალი პოეტიკაა, ახალი ესთეტიკაა, რომელიც სათანადოდ ათვისებულ-გააზრებული არ არის არც პოეტურ პრაქტიკაში და არც თეორიაში.

სიცოცხლისა და გაღვიძების პრეცედენტები

ლელა კოდალაშვილი

„ნარსული ჩვენი მეშვეობით გამოთქვამს თავს. ჩვენს სიმნიფეს მხოლოდ მისი ყურისგდების უნარი განაპირობებს. თუ ამას ვერ ვახერხებთ, იგი კვლავ და კვლავ გვიბრუნდება ახალი და ახალი სახეებითა თუ სიტუაციებით და გვაიძულებს, კიდევ ერთხელ განველოთ ის გზა, რომელმაც წინა ჯერზე ვერაფერი გვასწავლა. ამიტომაც არის წარსულთან დიალოგის უნარი საზოგადოების სიცოცხლისა და ცხოველმყოფელობის აუცილებელი ნიშანი – არა პრეტერისტული უტოპიით ტკბობა არამედ სწორედ მხილება იმ დემონებისა, წარსულში რომ გაჩნდნენ და დღემდე ლამობენ ჩვენი არსებობის განსაზღვრას.“
ნერს ზაზა ფირალიშვილი თავისი ახალი კრებულის, „ქართული კალეიდოსკოპის“ შესავალში.

ეს წიგნი არ არის ისტორიული ექსკურსია ან ინტელექტუალური დერეფანი, სადაც ავტორი მკითხველის წინაშე დემიურგის როლს ასახიერებს და მიუძღვება მას ჭეშმარიტების არსის საძიებლად. ეს უფრო კაცობრიობის, ამ შემთხვევაში კი ქართველი კაცობრიობის ერთიანი ცნობიერების აღქმის მცდელობაა. ზაზა ფირალიშვილი ცდილობს, გამოიკვლიოს ის ფარული შრეები, რომელიც ჯერ კიდევ წარსულში მხედველობიდან გამოგვრჩა და ამან, შესაძლოა, დღევანდლობის არასწორი აღქმა მოგვცა ნაყოფად. ჩნდება შთაბეჭდილება, რომ ავტორის აზრით სინამდვილე – ეს დროში განფენილი ერთიანი სუბსტანციაა, რომელსაც დანახვა და შესწავლა სჭირდება. ყოველი ახალი მოვლენა, ყოველი მომდევნო წელიწადი, თვე და დღე, ისევე, როგორც ფერადი ხალიჩის ქსოვისას, დასაწყისში დაშვებული შეცდომების, არასაკმარისად დანახული სურათის დღეს მიღებული არასწორი ორნამენტია.

წიგნში სხვადასხვა პერიოდში გამოქვეყნებული წერილები და ნარკვევებია თავმოყრილი. ავტორი თითქოს ცდილობს, სხვადასხვა ისტორიულ პირებზე საუბრით და მათს ეპოქასა თუ შემოქმედებასთან შეხებით ერთგვარი პარალელი გაავლოს დღევანდელობასთან. მის წინა წიგნთან დაკავშირებით აღვნიშნავდი, რომ ის ფილოსოფიურ მიმართულებას სცდებოდა და საბოლოოდ მხატვრულ ნაწარმოებს გვაძლევს, ღრმა ფილოსოფიური დალით. ანუ იმ წიგნში ერთმანეთს ერკინებოდა ორი ავტორი – ფილოსოფოსი და მწერალი. „ქართულ კალეიდოსკოპში“ კი ფილოსოფოსის და პოლიტიკოსის ერთგვარი სინთეზური ჭრილიდანაა განხილული საკითხები. თითქოს უნდა, წარსული შეაფასოს მომავლის რაკურსიდან და მომავალს ერთგვარი ახსნა მისცეს წარსულის ფარული დინებების აღმოჩენით.

ავტორი თბრობას მეთხუტმეტე საუკუნის სულიერი კრიზისის აღწერიდან იწყებს და შორს დგას ისტორიკოსის მიდგომე-

ბისგან, აღწეროს ქვეყნის ძნელბედობის ის შტრიხები, რომელსაც ხშირად იყენებენ ხოლმე, როგორც მერე განვითარებული დეგრადაციული მოვლენების ერთგვარ გამართლებასა და ახსნას. ის განიხილავს ჩვენი ერის კულტურულ ცნობიერებას, რომელმაც დეკადანსი სრული დაღმასვლით დაავიკრიგვინა, შემდეგ ეს რამდენიმე საუკუნის მანძილზე გაგრძელდა და დღემდე გრძელდება. ჩნდება შთაბეჭდილება, რომ საქართველო ისტორიული კალაპოტიდან ამოვარდა, ბროუნის მოძრაობის პრინციპით დაიწყო მოძრაობა და უნებლიე ბრძოლა გამოუცხადა წარსულიდან გადმოყოლილ არქეტიპებს, როგორც ფანტომურ გზისამრევთ. ავტორი ვრცლად საუბრობს იმ პერიოდის ისტორიულ მოვლენებზე, მონარქებზე, რელიგიაზე, ომებზე და რელიგიურ ექსპანსიაზე, რაც, ვფიქრობ, მთავარ სათქმელს ცოტა არ იყოს, ზედმეტად ვრცლად ერთვის და თბრობა სხვა მიმართულებით – ისტორიული სახელმძღვანელოს ფუნქციით ვითარდება (საუბარია ესეზე „XVI-XVIII საუკუნეები და ქართული სულიერების ბედი“). ისტორიული ფაქტების თბრობით ავტორი სცდება კონტექსტს, გვიანდა უბრუნდება სათქმელს და ცოტა დროსადა უთმობს კულტურული კონტექსტის არსის ანალიზს, იდენტობის კრიზისის განხილვასა და ეგსისტენციალურ ჩიხზე საუბარს. თუმცა კი, მათთვის, ვისაც უახლოესი საუკუნეების ისტორია გადახედვას საჭიროებს, ნამდვილად საგულისხმო მსოფლიო პოლიტიკური პანორამის გადახედვა მოუწევს.

იმავე პათოსითაა დაწერილი ესე „საბა და ქართული კოსმოსი“, სადაც ავტორი მოვლენებს უფრო ლოკალურ ჭრილში განიხილავს და თბრობას სულხან-საბა ორბელიანის ქმედების არეალში აგრძელებს. საინტერესოა საბასა და ვახტანგ IV-ის, როგორც ფსიქოტიპთა დახასიათება მოცემულ ისტორიულ კონტექსტში. უფრო სწორად, ეს ორი პიროვნება განხილულია, როგორც იმ ისტორიული კონტექსტიდან ამოვარდნილი სახეები. გმირებისა და წმინდანების ძალისხმევა ხომ მუდამ უადგილოაო ამბობს ფირალიშვილი და წერს: „ისინი არსებობისაკენ მოგი-

წოდებენ მაშინ, როდესაც თავად არსებობა აბსურდია; ისინი იბრძვიან მაშინ, როდესაც არა მხოლოდ ბრძოლაა უსაზრისო, არამედ ისიც აღარ ჩანს, რის გამოც უნდა იბრძოლო. ესენია მარადი ყმანვილკაცები, რომლებსაც ბავშვურად სწამთ, რომ ბოროტება აუცილებლად დამარცხდება და საიმისოდ, რომ ეს აღსრულდეს, გალური ანდაზისა არ იყოს, სანამ ცოცხალი ხარ, არ უნდა გაბედო სიკვდილი და არ უნდა გახდე მომაკვდავი სხეულის აგონიური ბოდვის ნაწილი. უფრო მეტიც, ისინი და მათი თანამზრახველები ახერხებენ სიცოცხლე გააღვიძონ იქ, სადაც ყველაფერი ამგვარი მცდელობის წინააღმდეგ იყო მიმართული“.

იმავე რაკურსიდან საუბრობს ზაზა ფირალიშვილი ილიას შესახებ დანერგულ ესეში, მხოლოდ აქ ისტორიული ბატალიების მიმოხილვაზე აღარ ხარჯავს დროს და უღრმავდება რეალობის ღრმა შრეებს გადაგვარებული საზოგადოების ფსიქოლოგიის აღწერითა და მის წიაღში დაბადებული ადამიანის, კვლავ ისტორიული კონტექსტიდან ამოვარდნილი პიროვნების, ილიას ფენომენის ასხნით. განიხილავს მდგომარეობას, სადაც ნათვლად გვაჩვენებს, თუ რა შეუძლია ერთ ადამიანს და იმ სამსუხარო რეალობასაც გვანახებს, რომ ეს ერთი ადამიანი ვერასოდეს ვერ ახერხებს, შეცვალოს საზოგადოება. თუმცა, ილიამ შეძლო და სრულიად ახალი სამყარო წარმოუდგინა კაცობრიობას, და მე ვიტყვოდი, რომ სწორედ მან სცადა კონტექსტზე იმგვარი მანერების ჩატარება, რომ რიგი ძალისხმევები, როგორც ნაყოფი, დარჩენილიყო.

ადრე, ზაზა ფირალიშვილის წინა წიგნთან დაკავშირებით აღვნიშნე, რომ ის თავისი ტექსტებით ჩვენთან ერთად ჩვენივე სულიერი რესურსების ამოძრავებს ცდილობს, რათა ჩვენი გაქვავებული, გარქოვანებული ინტროვერტული ფსიქიკა როგორმე გააცოცხლოს, მის სოციალურ-ფსიქოლოგიურ შეხედულებებზე ნატიფი, ფილიგრანული სამუშაო ჩაატაროს და ახლებურად აღგვაქმევინოს საკუთარი შესაძლებლობები-მეთქი. „ქართულ კალიდოსკოპში“ წარმოდგენილ ტექსტებში კი ის ცდილობს, ახლებურად აღგვაქმევინოს ქვეყნის შესაძლებლობები. და ამ საკითხს ის კვლავ და კვლავ ადამიანის უნარებიდან გამომდინარე განიხილავს. ამჯერად მისი ობიექტივი ვაჟას აქცევს მხედველობის არეალში. განიხილავს მას, როგორც ნიმუშს იმისას, თუ თვითდადგენისათვის რამდენად ზედმეტია

სხვა ერების მიერ გაკვალული გზა, რადგან ჭეშმარიტება სიბრძნე, თავისუფლებისკენ სწორი გზით სვლის უნარი მხოლოდ საკუთარ თავში შეიძლება ვიპოვოთ. „ვაჟასთან ქრისტიანული იმპულსი იბადება ყოველწამიერად, იბადება ყოველთვის, როცა კი ალუდას ან ჯოყოლას მსგავსად, ადამიანი ახერხებს დამთრგუნველი და დამავალდებულებელი სოციალური ფორმებისაგან გათავისუფლებას, იბადება მაშინ, როდესაც ადამიანი ახერხებს, აზრის ტრადიციული ფორმების წიაღში თავად სულის ძახილს დაუგდოს ყური. უმკაცრეს სოცო-კულტურულ რეგლამენტაციებში ჩაკარგული სულის სიცოცხლე ვაჟასთან კვლავ და კვლავ იბადება...“

ზაზა ფირალიშვილი მუმიფიცირებული საზოგადოების არსებობის აუცილებლობაზე საუბრობს, როგორც თვითნაბად გარემოზე, სადაც რეფორმატორი უნდა იშვას თავისი ნაივური ხედვით და ამ ნაივურობის ძალით ახალი სამყაროს შემოქმედი გახდეს. თავისუფლებისათვის ბრძოლა სიმშვიდისა და განვითარების საშუალებაა. გზა კი მხოლოდ უღმობელ დაპირისპირებებზე გადის.

მიუხედავად კოსმოსური უკიდევანობისა, რომელსაც ზაზა ფირალიშვილის ტექსტებში ვგრძნობთ, არ შეიძლება, თვალში არ მოგხვდეთ ის, რომ ავტორი მკითხველის სააზროვნო სივრცის ერთგვარ რელიგიურ ჰერმეტიზებას ახდენს, რაც წიგნის კითხვისას თავისუფალი აზროვნების არეალს გვიმცირებს, თითქოს მისი ეს ძალისხმევა ჰგავს „მდგომარეობას თოქზე ტაატით მავალი კაცისა, რომელშიც ორი გრძნობა გადაჭდობილა ერთმანეთში: არყოფნის მოლოდინით მოგვრილი ძრწოლა და არსებობის სისავსით განცდილი ბედნიერება.“

ან იქნებ ჰერმეტიზება არაფერშუაშია და ავტორის მხრიდან მკითხველისთვის შეთავაზებული ეს მოულოდნელი „ხელბორკილი“ სხვა არაფერია, თუ არა, წმინდა ვეტეს ეგსისტენციალური როკვის ერთ-ერთი ილეთი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენ შეიძლება თავისუფლებას მიახლებულად ვთვლიდეთ თავს და საპყრობილეში ვიყოთ, ან, პირიქით, თავი ბორკილებდადებული გვეგონოს და სინამდვილეში უკიდევანო სამყაროში ყველაზე უფრო ცოცხალ მოძრაობას ვასრულებდეთ. შესაძლოა, თავი გაღვიძებული გვეგონის და სინამდვილეში, ძილს ვაგრძელებდეთ.


სწორედ ამ და სხვა მომენტებს შეეხება „სიზმრად გამოღვიძება“, ესე ოთარ ჭილაძის შესახებ, სადაც ავტორი ყველაზე მეტად უღრმავდება ე.წ. განცდის ფსიქოლოგიას, სადაც ცდილობს, შეაჯამოს მანამდე წარმოდგენილ ტექსტებში გაფანტული ფაქტებისა და მოვლენების კასკადი და ამ ბოლო ესეში ერთგვარ ცოდნის სოციოლოგიის სახელმძღვანელო შექმნას იმ წარჩენებისა და წარმონაქმნების ერთგვარი ალქიმიური სინთეზით. სწორედ ეს ალქიმიური აქტი ამ წიგნში, ახდენს კონფლიქტური თემების ნეიტრალიზაციას, კულტურასა და ისტორიზმის შორის დამოკიდებულების ინტეგრაციას. და საბოლოოდ მაინც იმედს ადამიანზე ამყარებს, რადგან ამ სამყაროს მისი სახით „სიცოცხლისა და გაღვიძების პრეცედენტები შეუძლია შექმნას.“

4 ახალი თარგმანები

ლექსები ნიგნიდან „წვიმის უწყებანი“

გაუნტერ აიხი

XX საუკუნის გერმანული პოეზიის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლის, გაუნტერ აიხის (1907-1972) „წვიმის უწყებანი“ (1955) დღემდე რჩება პოეტის ყველაზე უფრო ცნობილ ნიგნად. ეს ლექსები, როგორც მოდერნისტული ლირიკის ცენტრალური ტექსტები, თარგმნილია მრავალ ენაზე, ისინი შეაქვეთ გერმანული პოეზიის ანთოლოგიებსა და სასკოლო სახელმძღვანელოებში, აიხის შემოქმედებაზე კი წერდნენ და წერენ საუკეთესო ევროპელი ლიტერატორები. ამ ნიგნის ლომის წილია იმაშიც, რომ ავტორმა 1959 წელს გერმანული ლიტერატურის უმაღლესი ჯილდო – გეორგ ბიუხნერის პრემია – დაიმსახურა. აიხის მედიტაციური პოეზია იმ სიმშვიდისა და წონასწორობის მოხელტებას და პოეტურ ენაზე ამეტყველებას ცდილობს, რომელსაც ბუნება ასწავლის ადამიანს. ეს ლექსები სწორედ ბუნების ურთულესი შიფრების ამოცნობის ხელოვნებისა და ყოველდღიურ ყოფაში მათდამი ერთგულების გამოცხადების ნიმუშებია. მაგრამ მათ ვერ დავარქმევთ მკითხველის სიმშვიდის უზრუნველყოფელ ტექსტებს; პოეტი საგანგებოდ აზუსტებდა, რომ ნამდვილი პოეზია მკითხველს არ ტოვებს მშვიდს, იგი მას აფხიზლებს და აფორიაქებს. აიხის ლექსები იოლად საკითხავი, მაგრამ რთულად გასაგებია. ის ნიუანსების პოეტია, ფილიგრანული ფორმით, სოციალურ და ფილოსოფიურ კონტექსტებს შორის არაზედაპირული დიალოგის კულტურით, ენის შესაძლებლობათა ღრმა ცოდნით. მისი სახელგანთქმული საპროგრამო სიტყვები „იყავით მოუხერხებელნი, სამყაროს მექანიზმში იყავით ქვიშა და არა – ზეთი“ პოეტური არსებობის მიერ ნორმატული ცნობიერების, ნორმატული სოციალური წესრიგის, სოციალური უხეშობისა და ხელოვნებაზე ვულგარული შეტევების მრავალფეროვნების მიმართ დაუმორჩილებლობის პაროლია. აიხი აღნიშნავდა, რომ ძალაუფლება დარწმუნებულია ხელოვნების უწყინარობაში, იმაში, რომ ხელოვნება მას პრობლემებს ვერ შეუქმნის; არადა, ძალაუფლებისთვის უკვე პრობლემას ქმნის მის მიერ პოეტური ენის მართვის შეუძლებლობა, პოეტურ



საწყისზე ძალაუფლების მოპოვების შეუძლებლობა; შესაბამისად, სწორედ პოეტური ენა და პოეტური ცნობიერებაა ძალაუფლებისთვის ყველაზე არასასურველი რეალობა (ოღონდ აქ დიახაც პოეზია იგულისხმება და არა – მისი სიმულაციების მრავალფეროვნება!!!). აიხსვე ეკუთვნის მოხდენილი განსაზღვრება, რომ ძალაუფლება ის არის, რაც ეწინააღმდეგება ხარისხს. აიხი ბევრს არ წერდა (მისი პოეზია კი მისი მთლიანი შემოქმედების კიდევ უფრო მცირე ნაწილს შეადგენს), მაგრამ დიდხანს მუშაობდა თითოეულ ლექსზე. სწორედ ასეთი ინტენსიური კონცენტრაციის შედეგად იქმნებოდა ყოველმხრივ დახვეწილი მისი ლექსები. საქართველოში აიხის პოეზიის პირველი მთარგმნელები არიან ბესიკ ადეიშვილი, ნოდარ კაკაბაძე, კონსტანტინე ზ. გამსახურდია და ბადრი გუგუშვილი.

მთარგმნელი

ერთი ზაფხულის დასასრული

ვინ ისურვებდა სიცოცხლეს, ხეთა ნუგეშს მოკლებულს!

მათ რომ კვდომამი წილი უდევთ, რარიგ კარგია!
ატამი უკვე დაიკრიფა, ქლიავი კი ჯერაც ფერს იკრებს,
როცა შრიალით მილივლივებს დრო ხიდის თაღქვეშ.

სასონარკვეთას ფრინველების ქარავანს ვანდობ.
აუღელვებლად მიიზომავს ის თავის წილს მარადისიდან.
მისი ყოველი მონაკვეთი
ფოთლელულში გაცხადდება ბნელ იძულებად,
ფრთებისცემა ნაყოფებს ფერავს.

ეს მოთმინებით ყოფნას გულისხმობს.
მალე ფრინველთა დამწერლობა განიბეჭდება,
ხოლო ენის ქვეშ საგრძნობია პფენიგის გემო.

ღლეები ჩხიკვათან ერთად

ჩხიკვი არ მჩუქნის
თავის ლურჯ ნაკრტენს.

რკოები ჩხიკვის მოძახილთა –
ალიონზე ჭახჭახით რბიან.
მწარე ფქვილი, მთელი დღის
საზრდო.

წითელ ფოთლებში შემალული,
მტკიცე ნისკარტით,
მთელი დღე, ღამედ ანანევრებს
ტოტნარებს და ხეთა ნაყოფებს,
რიდედ, თავზე რომ გადამატარებს.

გულისცემას ჰგავს მისი ფრენა,
მაგრამ სად სძინავს
და მისი ძილი რას მივამსგავსო?
უხილავი ნაკრტენი ბნელში
ჩემი ფეხსაცმლის ჭვინტს მისწოლია.

ტყის ველოვი

აბლაბუდაგადაკრული ბალახ-ბულახი,
ველოსიპედი – ფიჭვის ხესთან,
მეტყვეის ხობიანი ზურგჩანთა –

ველოსიპედი იმ ნიშნისკენ აჩქარებულა,
ფრინველები გუნდ-გუნდად რომ წარიტანენ
ზამთრის სადგომში.

ორნითოლოგიური რგოლი.

მავანმა იგი
ასპუჭაკას უპოვა ფეხზე.
გაოცებული ჩაჰკირკიტებს ახლა უწყებას.

სწრაფი მატარებელი: მიუნხენი-ზრანკჟურტი

დონაუს ხიდი ინგოლშტადტში,
ალტმიულის ხეობა, ფიქალი ზოლნჰოფენთან,
ტროიხტლინგენში – გადასაჯდომი მატარებლები;

მათ შორის კი –
ის ტყეები, შემოდგომა რომლებშიც ინვის,
მწუხარებისკენ მიმავალი გზატკეცილები,
ლრუბლები, იმ ჩვენს საუბრებს რომ გამახსენებენ,
სწრაფი სოფლები, ნაშენები ჩემი სურვილით –
ვბერდებოდე შენი ხმის ახლოს.

ციფრებს შორის, გასვლის დროს რომ აღნიშნავენ,
განვრცობილან ჩვენი ტრფობის სამფლობელონი.
განუყოფელნი
რჩებიან მათში ადგილები ქვეყნიერების,
აუზომელი და მიუგნები.

ხოლო ამ დროს მატარებელი
ჩაუქროლებს
გუნცენჰაუზენს და ანსბახს და
მოგონების იმ მთვარიან პეიზაჟებს:
ზაფხულობით ორნჰაუში
ბაყაყები როცა იმღერდნენ.

ლიუზავს დიდი ტაა

წეროები, ფრინველების ქარავნები,
მე რომ ვიხსენებ,
ტრიგონომეტრიული წერტილის ჩარჩო.

თავს აქ დამაცხრა,
გორაკიანი გაღმა ნაპირის შავ კედლამდე,
სიმარტოვის დაწყებამდე,
ციმციმი, თვალი,
მეორედ რომლის დათმენასაც ვერავინ შეძლებს,
სავსე მსუბუქი საყვედურით, თვალი მტრედისა,
როცა ყელის ძარღვს დანა სერავდა,
სიმარტოვის დასაწყისი,
აქ, უნავებოდ და უხიდებოდ,
ლერწამი სასონარკვეთისა,
ტრიგონომეტრიული წერტილი,
გაზომვები არარაში,
როცა ფრინველთა ქარავნები არ იშლებიან,
ქარს მოკლებული სექტემბრის დღე,
ოქროვანი ნათლის ლაღობა, უკვალოდ რომ განქარდება
წეროს ფრთებიდან.

პერანობა

თქვენ, ყოველნო, მიმომფრენო შემოდგომაზე:
ფრინველქარო, ფრინველფოთლებო –
რთველი დასრულდა,
მთებს უკვე ათოვს.

ლუდვიგს არ სურდა, ის ჭამის დროს ვინმეს ენახა.
თბილ-მშრალი ქარი თვალთუხილავ დილეგებში შეიგრაგნება.
არადა, ამ დროს ეს ყოველი რა იოლად აიხსნებოდა
იფანს მომწყდარი ხმელი ფოთლის ბრუნვა-ფარფატიტ!

ტყიდან იწყება და მოდის წვიმა,
მეფის სუფრას რომელიც სტუმრობს,
ლერწმიდან – ველად მობალახე ძროხების გონგი,
რაც აიძულებს, ამოივსოს ყურები ცვილით.
მოახლეები იცინიან გასალებთა ბუდეებს მიღმა.

თქვენ, ყოველნო, მიმომფრენო შემოდგომაზე:
შავო ფოთლებო დილის ბინდბუნდში,
პირველ სარკმლებს
უიმედო სინათლე რომ ააცივებს,
და ჩემი ბავშვის სიცილის ხმა როცა ჩამესმის
და თვალებს უმაღ ხელებში ვმაღავ.

წვიმის უწყებანი

ცნობები, ჩემთვის განკუთვნილი,
გადაცემული ბრაგაბრუგით წვიმიდან წვიმას,
შიფერის სახურავიდან – კრამიტის სახურავს,
გავრცელებული, როგორც სენი,
კონტრაბანდა, შეტოვებული სწორედ იმას,
ვისაც ის არ სურს –

კედლის მიღმა ხმას იმაღლებს სარკმლის თუნუქი,
მორახრაზე ასოები მთლიანდებიან,
და წვიმა იწყებს მეტყველებას
იმ ენაზე, რომელიც, ვფიქრობ,
მარტო მე ვუწყობ –

თავზარდაცემულს ჩამესმიან
უნწყებანი სასონარკვეთის,
და – სილატაკის უწყებანი,
და – ბრალდების უწყებანი,
და გული მტკივა, მომართულნი რომ არიან ისინი ჩემკენ,
რაკილა ვიცი, არაფერში მიმიძღვის ბრალი.

ხმამალა ვამბობ,
რომ მე არც წვიმის და არც მისი ბრალდებების არ მეშინია,
არც იმას ვუფრთხი, ვინც ისინი გამომიგზავნა;
რომ მე მსურს, როცა სათანადო დრო დადგება,
გავიდე და პასუხი გაცეც.

გამონარიცი

იმ საუბართა ნაწყვეტები,
გამართული რომ არის წყალქვეშ,
პასუხები, სველ ქვიშაზე გამორიყული, –

არავითარი ნაკვალევი, მაგრამ ტალღის ქობებს
ასხმული

მედუზები, ნაკუნები წყალმცენარეთა,
ხის ნამტვრევები, ნიჟარა და ნაშთი ქარვისა,
და მერე – უკუქცეული ტალღა,
სისველის მიღმა
რათა ქვიშა ისევ განათდეს:
განთიადი დამდგარიყოს თითქოს ერთბაშად.

ბალახი, კითხვის მომლოდინე,
სილის ბორცვზე აღელვებულა.

მედუზებიანი სანაპირო

ვარსკვლავტალერი, ტალერი ზღვისა,
მოჭრილი წყალთა სამჭედლოში
უკვე აღარსათაყვანო ხელმწიფეთა
მბრძანებლობისას.

ვერცხლის ლორწო, გაყინული დეკემბრის სუსსში.
ბუნდოვანია
მონითალოდ გაცრეცილი ცხოველი გერბზე,
წარწერა – იეროგლიფური.

უჩინარია ის ბაზრები,
სადაც სიზმრების წყალმცენარეთა ტყეებს ყიდიან,
ნილებს წვიმისა, რომელიც ზღვაში ჩაედინება,
და – ჩაძირული ქალაქების მოქალაქედ ყოფნის
უფლებას.

სილარიზე ქედს არ იხრის,
ფიჭვი მიწაში ჩაბრუნებულა.
ქარის გარდა არვის ელიან.

ალყა

შენს ხატს ინახავს იმ ფრინველთა თვალის ბადურა,
დასანაყრებლად რომ გაკითხავენ.
მერე თან მიაქვთ იგი მგლებთან უსიერ ტყეში,
ზღვის უმძლავრესი შემოქცევის წამოსაწყებ
პოზიციებზე
და – იქაც, სადაც ზვიგენები თავს მოიყრიან.

დღეთა მინურულს
შენ სიმტკიცე უნდა შეგმატონ მზის ჩასვლებმა და
გულითადობამ,

რომელიც სარკმლებს ააელვარებს.
მაგრამ შენ იცი, თუ რომელი ქუთუთოები
განიხვენენ მწვანე სინათლეთა თავს.
დაცულია გასასვლელები.

ან წილი ჰყარე, რაკი ალყაშემორტყმული ხარ,
გამოითვალე შენს სარკმელთან მერწვე ტოტებზე,
ამოიკითხე ხაზებში შენი ხელისგულისა:
ის, ვინც თავდასხმის ბრძანებას გასცემს,
შენს ხსნაზეც ზრუნავს.

მგლები შენს კვალს ყოველ დილით თოვლში კარგავენ.

ნაკადული დეკამბერი

1
წყალმცენარეთა მწვანე ქოჩორი,
დინების მიერ
ქვის შუბლზე რომ გადავარცხნილა.
ყინულოვანი ხდება წყალი
ფიქრთა წყალობით.

2
ყინულის ნანიბურთა ხაზები მღელვარებას გამოსახავენ,
ლოკოკინების მიწისძვრას და ლელის ცხელებას.
მოელიან მათ დიაგრამებს.

3
თავქვე ნავივით ჩასრიალდა მაზუთის ლაქა,
დავინყებულა ანკესის ჩრდილი.
დინება, თევზთა გამჭრიახობა –

ზამთრის ერთ დილით

ვინ შემეძლო გამომეკითხა?
სახლის წინ სუნთქვას მოვკარი ყური.
მაგრამ უარით დამითხოვა ზეინკალმა,
არ გამიღო კარი ექიმმა.

თანაგრძნობის კუთვნილ ძალებს აღემატნენ
ტყეები და თავლა-ბოსლები.
რძის მანქანამ ჩვენი სენი გადაილოცა.
მხურვალეა მისი ფარები.

მივდევე ბორბალთა ნაკვალევს და
აღმოვჩნდები უსიერ ტევრში.
უკუქცეულ ფრინველთათვის
თოვლი ჯერაც ინახავს ნიშნებს.

მიტოვებული მთის საკოვარი

წვიმის წყალი –
ფურძროხათა ნაკვალევებში.
დაბნეული ბუზანკალი –
ნოემბრისპირზე.

ქარი უთუოდ დაამარცხებს ამ წითელ ლურსმანს.
მერე დარაბა ანჯამებსაც ააღრჭრიალებს,
აქეთ ჩარჩოს მიეხლება,
იქით კი – კედელს.

ყურს ვინ დაუგდებს?

დასავლეთის ძარი

ნაწინასწარმეტყველები ქარი,
ატლანტიკური ციკლონი,
თოვლს რომ მოიტანს
და ლუმელში ცეცხლს გააღვივებს.

ჟანგის ლაქა
დამჩნევია აღჭურვილობას,
ნარუხოცავი წვიმის წვეთი,
ჯვაროსანი რაკილა მოკვდა.

ძალის ბენვის სუნისცემა,
თმა – შეზეპილი.
რბილად აწვება მუშა-ხარის
განწვალული ჩლიქები მიწას.

კაპიუშონზე –
გამდნარი თოვლის მარგალიტები,
მენვრილმანის ვიტრინა რომ
ააციავებს.

ატლანტიკური ქარიშხალი.
ხვალ ნაძვის ხეებს
შერჩენილ ჩხიკვთა არჩევანი
ერთხმა იქნება.

განედის და გრძედის გრადუსი,
თემის ბეჭედი
დაადგენს ადგილს,
დაბადების მონუმობაზე –
წვიმის ნაწვეთი.

მარილი ქუშმარიტებისა,
ეკლესიის გორაკზე კი – მესაფლავენი.
უფრო ხშირად უნდა გითხრა:
მე შენ მიყვარხარ.

ლექსები

1
ქალაქი, რამდენ ბორცვზე ნაგები.
შევერცხლილი ყვითელი ფერი.
შენ იგი ზარის ხმოვანებას გატანს სახსოვრად,
პირადობის შესაცნობი შენი ფირფიტის
ჟღერაჟღერში რომელიც ისმის.

2
შიშებით დაუთვლელი თავდაღმართები.
ტრამვაის ბოლო გაჩერება
ფერგასული კარების წინ,
სარეველით დაბებკილ ველზე.

თეატრალი

ქარისგან დევნილმა ცარიელ ქუჩებში,
შორს გარიდებულმა ტრაქტორს და ფარდულებს,
თოვლმა დამიშაშრა ლოყა და ტუჩები,
კანი გამომიშრო და ფიქრსაც ართულებს.

ქვაზე, საპატრონოდ ნამქერს რომ რგებია:
ნიშნები, ფერფლისგან აქა-იქ შეჭმული.
ყურები ამენვა, ვინ ამდევენებია?
მენევა ვერც ზართა რეკვა და ვერც – გული.

მაგრამ იმედი აქვს ფიქრს ფლოქვის, ხმოვანის,
მარხილის კავები რანდავენ სავალ კვალს,
სახელოს ექო კი, ქარით ნაყროვანის,
გისოსს და საფეხურს ყინულის კბილს გაჰკრავს.

აჩრდილო, შენ იყავ, როს ფიქრი ფიქრობდა,
ვინც მაშინ ეჟენების ჟღარუნში ჰგებდა?
ვინც ჩამქირქილებდა, ჩურჩულით მიხმობდა?
ოჰ, თმა-წვერს და წარბებს ვინც ნაცრით მივსებდა?

ფრანკონულ-ტივატური ალუბლის გალი

შოშიების ყურს ლოცვა მსჭვალავს –
მონასტრის კედლებში ალვლენილი,
დაზნექილ ალუბლებს ეფინება
ფოთლები – ძარღვებით დაქსელილი,

დაგადაგ ბალახზე კვლავ წერია
ჟანგას და წვიმების ხშირ ნიშნებად
ის, რისი ნაკითხვაც ძენდ წიგნებში
მრისხანე ორქარმა მოინება,

შორეულ ღრუბელთა ჩრდილის მიერ
ალუბლის ხის ქერქზე დანაჭდვეი,
შრაშუნი, რომელსაც ლოკოკინას
სახლაკი გამოსცემს – გზას ნაჩვევი,

როგორც საჩაიე წყლის თუხთუხი,
ქვაბურის ფსკერიდან რაც დაძრულა,
მომლოცველთ კარვებზე გაშლილა და
თოვლის დროშასავით აღმართულა.

მღვდლის მზარეული ქალი

ტაფას შეუტევეს მღვდლის მზარეული, სრული
სულისკვეთებით, ცომის შიშხინიც ისმის.
აქეთ მინანქრის ჯამში ნალები იცდის,
იქით კი – პრასი, თევზი და კვერცხის გული.

დგას სურნელება სუნელების და ბოლის.
მღვდლის მზარეული ღვივის, იღვრება ოფლად.
ბალშიც საქმე აქვს არდასარჩენი ოხრად.
ნითელ კისელში ხილი ემხოზა ბოლოს.

ბუზი დააფრთხო დიაცის მარჯვე ხელმა,
ნაჩვევი თმას და თეთრად შეღებილ კედლებს.
დიდხანს არ გასტანს წვიმა, მზე მინას ეძებს.
რა სწრაფად განვლო უკანასკნელმა წელმა!

მნათე თოკს მისწვდა და აგუგუნდა ზარი,
აბლაბუდები ააცახცახა ექომ.
შესახსენებლად სანიღვრეებს ერგო
ქვიშის საათთა ქვიშა, ჩუმი და ჟღალი.

განვიგაგამე

მალე განვიმდება, მიხედე თეთრეულს!
თოკზე ცახცახებენ სამაგრთა თავები.
საავდრო ღრუბელი აბნელებს ქვაფენილს.
მძიმე საფიქრალით ხურს სახურავები.

შეკირულ საკვამურთ, ფიქრებად აკვამლულთ,
კრამიტის, შიფერის მოუსხამთ მანტია.
თვალით ვაყურადებ თავზარდამცემ სიტყვებს, –
ო, უხმო სიბრძნის ხმა, ბუჩქში რომ ანთია!

ქვითინი მერევა. გზადმყოფი ჩრდილები
მიზეზად ქცევიან ქვის იერს, შერეულს.
ქარი ჩაფრენია დააფრულ პერანგებს.
სულ მალე იწვიმებს, მიხედე თეთრეულს!

სხვადასხვა დღეს დანახული,
ლეოპოლდის ქუჩის ალგები,
მაგრამ ყოველთვის შემოდგომური,
ყოველთვის ნართნი ნისლიანი მზის
ან – წვიმის ბადის.


სად ხარ შენ მაშინ, ჩემთან ერთად როცა დადიხარ?

მიწყვიტე განლევად დროთა ნართნი,
ნამყოფი, მყოფადი:
ცხოვრება გამოქვაბულებში,
მარადი ტროგლოდიტური ერა,
მნარე გემო ჰელიოგაბალის სვეტთა წინ და –
წმინდა მორიცის სასტუმროთა წინ.
პირქუში გამოქვაბულები, ბარაკები,
ბედნიერება სადაც იწყება,
ეს პირქუში ბედნიერება.

ღონიერი შენი მკლავი, მე რომ მპასუხობს,
არქიპელაგი, კუნძულთა ჯაჭვი, ხოლო ბოლოს – ქვიშის ბორცვები,
მხოლოდ წინდანინ მისახვედრი ნარჩენები
ერთურთთან შერწყმის სიტკბოებისა.

(მაგრამ შენ ჩემი სისხლთაგანი ხარ,
ამ ქვათა ზედა და გვერდიგვერდ ბალის ბუჩქნართა,
სკვერში მერხებზე მოსვენებით მსხდომ ბერიკაცთა,
და – ტრამვაის ხაზის გვერდიგვერდ, ნომერი ექვსის,
ფრინტა, შენ ხარ თანამედროვე
ძალაუფლებით თვალის წყლისა
და ბაგეთა სინოტივისა –)

და მიწყვიტე ნართნი, ჩვენს ირგვლივ რომ დაირთვებიან,
ანწყვიტე შენყვეტა,
სიყვარული ვადაგასული,
სამხილი იმის, რომ ჩვენ მხოლოდ შემთხვევითი ვართ,
ფოთოლთ სიმწირე ალვის ხეებზე
და – ანგარიშში ჩაგდებული ქალაქის თვითმმართველობის მიერ,
შემოდგომა სანიაღვრე არხებში და –
უკვე პასუხგაცემული საკითხები ბედნიერების.



ქარის კლიერი ნამოქროლება

დგას ხორბლის ჯარი უძრავად, ვიდრე
ფერხულში ჩართავს ქარი ძლიერი.
დროშებს, დაძონძილს, ამფრიალებელ
ქარზე ხანგრძლივად ერთგულებს მტვერი.
ქარის ხსოვნაა და არა – ქროლვა,
რასაც ხმას უწყობს მღელვარე ველი,
ვიდრემდე მტვერი, ქარს რომ ივინყებს,
სულს დალევს, უხმო და ჟანგისფერი.



მცირე რემონტი

მცირე რემონტი: შედუღება კარბიდის ცეცხლით.
ამ საქმეს ერთი კაციც ეყოფა.
ამბობს, რომ ხიდის მოაჯირი გაბზარულია.

სწორედ ისეთი ნაკანრია, ლეიკოპლასტს რომ საჭიროებს.
ასე ამბობს ჩვენს შესაცდენად,
ვინაიდან სნეულებები მინისქვეშა სადენების სისტემაში მიმოიფანტნენ.
სატელეფონო ხაზები და მინისქვეშა კაბელები ხელს უწყობენ მათ გავრცელებას,
ათაშანგი, ჭლექი, სიმსივნე, ლოიკემია,
ლითონისთვის უჩვეულო სნეულებები.
გვიან შენიშნეს.

მაგრამ დროზეც რომ ამოეცნოთ, განა როგორ შეაკავებდნენ?
იქნებ, ერთ გეგმას ეფუძნება ეს ყველაფერი:
შეიძლება, ამოქმედდა რიგითობის ცვალებადობა.
უპირველესი, რაც უნდა გასცეს ადამიანმა,
არის მისი სნეულებები.
მხოლოდ მერე – სხვა დანარჩენი.

გერმანულიდან თარგმნა დათო ბარბაქაძემ

5 ზღაპარი

ჩემი თეთრი სხაპი

ამარენდრა ჩაკრაჰორტი

ერთი ცხენი მამადაა – თეთრი კვიცი. წვიმიანობის უამს, მდინარე მატლას დატბორილი თხრილიდან სულ მთლად განუშკული და ტალახში ამოგანგლული ამოვართრე. ექვსი თვისაც არ იქნებოდა მაშინ. ამ შემოდგომას, ორი წელი შეუსრულდება. ქათქათა თეთრია, შუბლზე ყავისფერი ნიშანი აქვს. პირუტყვია, თუმცა ყველაფერი ესმის. თავზე ხელს რომ გადავუსვამ, კისერს მომადებს ხოლმე და მეხახუნება. ვეებერთელა, ყავისფერი თვალე-ბით ყველაფერს მაგებინებს.

მე მას შადაპალი დავარქვი.

თავად ვიჯაი მქვია, რადგან ვიჯაია დასამის დღესასწაულზე ვარ დაბადებული. იმ წელს ჩემს მშობლებს ეზოში არეკის პალმა დაურგავთ. დედა მეუბნებოდა, რამდენი რგოლიცაა ამ პალმის ღეროზე, იმდენი წლისა ხარო. ხუთი რგოლი დაუთვლიათ იმ წელს, როცა დედამ მალალი სიცხით მიიძინა და აღარ გაულვი-ძია. მერე მოვიდნენ მეზობლები და დედაჩემი სადღაც წაიყვანეს. მამაჩემიც ზუსტად ასე სადღაც წაიყვანეს მეზობლებმა, როცა იგი მინდვრიდან გველნაკბენი დაბრუნდა, ტახტზე მიწვა და აღარ ამდგარა. მაშინ შვიდი რგოლი ყოფილა პალმის ღეროზე.

გავიდა ხანი. დაღამებამდე მალიკის ძროხებს ვმწყემსავდი. საღამოს საძოვრიდან შადაპალისთვის ერთი ფუთა ქორფა ბალახი მომქონდა.

შადაპალი ულამაზესი ცხენი დადგა. ბალახით სავსე ფუთის დანახვაზე და ჭამის დროს ნეტარებისგან უკანა ფეხს ჩქარ-ჩქარა აბაკუნებდა. რა ჯობდა ამის ცქერას?

ერთელ, როცა ძროხები სადგომში დავაბინავე და ის-ის იყო ბალახით ხელდამშვენიებულმა შადაპალისკენ გავსწიე, გზაზე მალიკის მსახური ბიშვამბარა გადამიდგა.

– რაჯა თავისთან გიხმობს, ახლავე უნდა წაგიყვანო! – თქვა მან.

რას ვიზამდი? არადა, შადაპალის ჭმევის დრო მოვიდა. ვიდრე რაჯას სასახლეს მივადგებოდი, ბიშვამბარმა მთელი ქალაქი მომატარა. მერე დარბაზისკენ გამიძღვა. რაჯა სავარძელში ნებივრობდა და ჩილიმს აბოლებდა. მისი ქალიშვილი ტუკტუკიც იქვე იყო. მე აივანზე ველოდებოდი. ხელები შევატყუპე და რაჯას

იატაკამდე დავუკარი თავი. ვითომ არც დავუნახივარ, ზედაც არ შემოუხედავს ჩემთვის, ხმა არ გაუცია, ჩილიმის მონევა განაგრძო. მე კი მხოლოდ ერთი რამე მიტრიალებდა თავში – საბრალო შადაპალი, მშვიერი დამრჩა, ალბათ როგორც ჩხივინებს და მელის?

– გავიგე, სახლში ერთი კვიცი გყოლია – როგორც იქნა ამოღერლა რაჯამ და მუშტუკი პირიდან გამოიღო – მართალია?

ელდა მეცა, ნეტავ რად მეკითხება-მეთქი, გავიფიქრე და თანხმობის ნიშნად თავი ძლივს დავხარე.

– რამდენად მომყიდი?

– არ იყიდება! – ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. მუხლი მომეკვთა.

– არ იყიდებო?! ამით რისი თქმა გინდა? ტუკტუკს, ჩემს ასულს, შენი კვიცისთვის თვალი მოუკრავს და მას მერე, ერთი სული აქვს, ზურგზე როდის შემოახტება.

ამ სოფელში რაჯას სიტყვას ვერავინ გადავა, ვერც ვერავინ შეეკამათება. არ ვიცი, რა ძალამ გამაბედინა, მაგრამ მოკრძალებით ასე მივეუგე:

– კი მაგრამ, ჩემი კვიცი ჯერ ხომ ორი წლისაც არაა, რაჯას ასულს ზურგზე როგორ შემოისვამს?

– ეგ რა შენი საქმეა! – თქვა რაჯამ, მუშტუკი მოქაჩა და კბილები მოუჭირა – ცხენი არ არის? გაიზრდება. ახლა გვიანია, სახლში წადი და ხვალ, საძოვარზე წასვლამდე, ცხენი აქ მომიყვანე. გზად ხაზინადარს უთხარი, ორმოცდაათი რუპია ჩაგიტვალოს. ცხენისთვის მშვენიერი ფასია!

რაჯა წამოდგა. ფეხით ჩავუვარდი.

– ნუ დამლუპავ, რაჯა! – შევევედრე – ცხენს ნუ წამართმევ! მე იმის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია!

– რატომ? შენი ცხენი ოქროს კვერცხებს ხომ არ დებს? მომწყდი თავიდან! – რაჯა გატრიალდა და გარეთ გავიდა.

ამ დროს დარბაზში ოჯახის დიასახლისი რანი შემოვიდა. ხელში რძით სავსე ჯამი ეკავა.

– რამ დაგალონა, ბიჯუ? – მკითხა მან.

ცრემლები წამსკდა. ზღუქუნ-ზღუქუნით ამოვილულულე, ხვალ რაჯას ჩემი ცხენი მიჰყავს-მეთქი.

რანიმ თვალები დააბრიალა და იმ წუთას ქალღმერთ ღურგას დაემსგავსა. თუ არ გინდა, ნუ მისცემ! – თქვა მან – რაჯას მე დაველაპარაკები.

– რომ არ მოგისმინოთ?

– რაჯა ცხენს ძალით ვერ წაგართმევს, ან როგორ უნდა იყიდოს, თუ ცხენი არ იყიდება?

რაჯას ასულმა რძიანი ჯამი, რომელიც დედამისმა მიანოდა, ძირს დადგა და გამოაცხადა:

– დიახ, დედა, მე ის კვიცი მინდა, ზურგზე უნდა შევაჯდე და გავაჭენო. შენ არ იცი, რა თეთრია! უღამაზესი!

– მაგრამ, შენ გაქვს სასახლეები, – ველარ მოვიტომინე და ტუკტუკს პირში მივახალე – დიდებული სასახლეები! ცხენებით სავსე უთვალავი თავლა! თვალუნვდენელი ბალები! უძვირფასესი ტანისამოსი! სამკაულები! ოდესმე მითხოვია შენთვის რამე? მაშ, შენ რალა გინდა ჩემი კვიცისგან? – ძალა აღარ მეყო და ღრმად ჩავისუნთქე – ჩემს კვიცს თავს თუ დაანებებ, საოცარ რალაცვებს მოგართმევ – ტბიდან ჩემი ცხენივით თეთრ ლოტოსის ყვავილს მოგიტან, ლურჯ ფრინველს დაგიჭერ ტყეში, კიდეც უამრავ სხვა რამეს...

ამ სიტყვებმა რაჯას ასული დააფიქრა.

გული საგულეში აღარ მეტეოდა: შადაპალი მშვიერი დარჩა, ვერც ბალახი მივუტანე და ვერ წყალი დავალევიინე. ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა. ყურში მისი სასონარკვეთილი ჭიხვინი ჩამესმოდა.

– თუ ასეა, კარგი! – თქვა ტუკტუკმა – ცოლად შემირთე და აღარ წაგართმევ მაგ კვიცს! მერე ხომ შემსვამ ზედ და ყოველდღე მაჯირითებ?

მართალია, თვალბზე ცრემლი მქონდა მომდგარი, მაგრამ ტუკტუკის სიტყვებმა სიამონებებისგან მაინც გული ამიფართხალა. განა, თავად შადაპალი უარს იტყოდა, ეს პატარა მზეთუნახავი ზურგზე თუ შეაჯდებოდა? ერთი წამით წარმოვიდგინე კიდეც, როგორ მიაჭენებდა ტუკტუკი თეთრ რაშს აბიბინებული მწვანე მდელოდან ლურჯი ცისკენ. მაგრამ, ეს ხომ არასოდეს მოხდება? ტუკტუკი რაჯას ქალიშვილია, სასახლეში ცხოვრობს, ის სამეფოს კარის თვალის ჩინია, მე ერთი უღირსი მენახირე ვარ, დღე და ღამე საქონელში ვასწორებ. რანიმ შეამჩნია,

როგორ ავფორიადი ტუკტუკის სიტყვებზე, ტკბილად გამიღიმა და დამიყვავა:

– ბიჯუ, ქორწინების ხსენებამ ხომ არ შეგამინა?! შენ ჯერ ყველაფერი წინა გაქვს, გაიზარდე, ღირსეული კაცი დადექ და შესაფერ საცოლეს ყოველთვის იპოვნი. შენთვის კი, ჩემო ძვირფასო! – ახლა თავის ქალიშვილს მიუბრუნდა – გათხოვებაზე ფიქრი ძალიან ადრეა, გიჯობს, გაკვეთილებს მიხედო, თორემ დაგვიანდა!

რანი წამოდგა, მე თავი დავეუკარი და კარისკენ გავემართე.

ამ დროს დარბაზში რაჯა შემობრუნდა,

– ამდენ ხანს სულ იმაზე ვფიქრობდი, ცხენს რა დავარქვა, – თქვა მან ჩემს გასაგონად და დააყოლა – იცოდე, ხვალ დილასვე აქ მომიყვანე!

როცა სოფელს ჯერ კიდევ ღრმად ეძინა, როცა ტყეში ფრინველები ძილს მისცემოდნენ და მხოლოდ ვარსკვლავები ფზიზობოდნენ ცის კაბადონზე, მე და შადაპალი სოფლიდან გავიპარეთ.

გამთენიისას ტბის ნაპირს მივადექით. ცა ვარდისფრად შეფაკლულიყო. ღამენათევი და დაქანცული შადაპალი წყალს დაეწაფა. სინათლე მკრთალად ანათებდა ტბის ზედაპირს. აქა-იქ ჩიტებმა შეიფრთხილეს. შადაპალი წყალს სვამდა, მე მის ანარეკლს დავყვებოდი. უეცრად უკნიდან უცნაური ხმაური შემომესმა. მოხედვაც ვერ მოვასწარი, რომ შუბებით შეიარაღებული რაჯას მცველები თავს წამოგვადგნენ.

– ჰეი, შე უტვინო მენახირე! არ იცი, რომ სიკვდილს უფრო ადვილად გაექცევი, იამასაც კი, ვიდრე მალიკპურის რაჯას?! – დამიღრიალა ერთ-ერთმა მცველმა, მომგარდა, მკლავები გადამიგრისა და ზურგს უკან შემიკრა. დანარჩენებმა შაპადალს ალყა შემოარტყეს და სქელი ბანრებით ისე გათოკეს, საბრალოს დაღურჯებული გვერდებიდან სისხლი წასკდა. მერე გაკოჭილები შუა მწკრივში ჩაგვაბეს და სოფლისაკენ გაგვრევეს.

ამასობაში კიდეც გათენდა, ჩიტებმა ყრიაშული ატეხეს, ფოთლებზე ცვარი შემრა, ტოტებიდან შემოჭრილ მზის სხივებს შუბის წვერები ისრებივით ირეკლავდნენ. მოულოდნელად ერთმა მცველმა თქვა:

– რაჯამ ცხენის მოყვანა არ გვიბრძანა? მაშ, ეს მენახირე ვის დაკარგვია, თან რომ მივათრევთ? გაუშვი, ნავიდეს! გესმის, შენ, მენახირე, გასწი აქედან!

ესა თქვა, კისერში ხელი დამავლო და ეკლიან ბუჩქებში მომისროლა. ტკივილმა და საშინელმა დამცირებამ ერთად იფეთქა ჩემს გულში, თავზარი დამეცა. თვალები სიმწრის ცრემლით ამევსო. ზეცას ავხედე და აღმომხდა: „მალლა ზეცავ! მოწმე იყავი! დაბლა ნიავო! შენც მოწმე იყავი, რომ რაჯამ უდანაშაულოდ შადაპალი მომტაცა. მან, მალიკპურის რაჯამ, ჩემი სიცოცხლის წყარო დააშთო, ჩემი სახლიდან ფეხი მომიკვეთა, დამამცირა, ფეხქვეშ გათელა ჩემი ღირსება, არც შადაპალი დაინდო! გესმის, შენ, მალლა ზეცავ და დაბლა ნიავო! მითხარით, როდესმე დამიშავებია რამე მეზობლისთვის? გული მიტკენინებია ჩემი მშობლებისათვის? გესმით ჩემი, ზეცავ და ნიავო? სოფლიდან რომ ვიპარებოდი, ჩვენი პალმის რტოზე თორმეტი რგოლი იყო გამოსახული. ვფიცავ, ვიდრე თექვსმეტი დაგროვდებოდეს, რაჯას ქუჩის მტკერში ვაგორავებ!“

ასე დავიფიცე ზეცისა და ნიავის წინაშე.

შორიდან გავცქეროდი, როგორ ლაპლაპებდნენ მზეზე შადაპალის ირგვლივ აღმართული შუბის წვერები. ბეჩავი ისე იყო

გაკოჭილი, ვერ ტრიალდებოდა. მაგრამ, ერთხელ მაინც შეძლო ჩემსკენ კისრის მობრუნება, და მაშინ, მის თვალებში უსაზღვრო სასონარკვეთილება დაეინახე.

როგორც იქნა, თოკი კბილებით გავვლიჯე. ფეხებიდან სისხლი მდიოდა და ძლივს მივეთრეოდი. ბოლოს, რომელიღაც სოფლის ერთ განაპირა, ცარიელ ქოხს მივადექი, აივანზე ავფოფხდი და მშვიდ-მწყურვალად იქვე მივეგდე. ვინეკი ჩემთვის და ვფიქრობდი დედაჩემზე, სოფელზე, შადაპალზე, ჩემს მომავალზე, ნეტავ, კიდევ რას უნდა მიმზადებდეს-მეთქი განგება?! ამ ფიქრებში ჩამეძინა.

შუალამეს შადაპალის ჭიხვინმა გამაღვიძა. ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედული, მაგრამ მაინც ბნელოდა. შადაპალის ჭიხვინი შორიდან მოისმოდა. მივაყურადე, მაგრამ ამ დროს ქარმა მიმართულება შეიცვალა და ველარაფერი გავიგონე. მალე ქარმა ისევ მოიტანა შორიდან შადაპალის ჭიხვინის ექო. მერე – ფლოქვების თქარათქური მომესმა. ფლოქვების თქარათქური და ჭიხვინი თანდათან უფრო ძლიერდებოდა და, აი, ჩემს წინ, სიბნელეში, გაქაფული შადაპალი აღიმართა. კისერზე შემოვეხვიე. ხელზე ძვირფასი ტყავის გაპრიანებული სალტეები და ლითონის ჯაჭვი მომეღო. ჩემი შადაპალი შეუკაზმავე!

– ყოჩაღ შადაპალ! – შევცახე და გავაზე მხნედ შემოვკარი – ვერ მოუთაფლიხარ რაჯას ძვირფასი აღვირით და სასუსნავით! მითხარი, ქორფა ბალახით და წყაროს წყლით თუ გიმასპინძლდებოდნენ?

შადაპალმა თავი ასწია და თვალებში ჩამხედა. ცაზე მთვარე ქოქოსის გულის ნატეხივით ეკიდა. შადაპალს დიდი გზა ჰქონდა გამოვლილი და დილიდან არაფერი ეჭამა. მზრუნველად გადავუსვი შუბლზე ხელი – ერთხელ, მეორედ. ადრე, შუბლზე ხელს რომ ვუსვამდი, გაიტრუნებოდა ხოლმე, ახლა – მოუსვენრად ფრუტუნებდა და სახეს მკერდზე მისვამდა.

– რა მოგივიდა შადაპალ? – ვკითხე მე.

პასუხის ნიშნად, შადაპალი კიდევ უფრო მომეკრა და მერე ისე გამკრა გვერდს, რომ აშკარად მთხოვდა, ჩქარა ზურგზე შემომხატო. შადაპალი გაუხედნავი მყავდა, მის ზურგზე შეჯდომა არასოდეს მიცდია, ეს პირველი შემთხვევა უნდა ყოფილიყო. ვფიქრობდი, ეგებ არა ღირს-მეთქი, მაგრამ შადაპალის თვალებში ამოვიკითხე, თუ არ იჩქარე, რაჯას მცველები წამოგვეწვიანო. ამიტომ, ბევრი აღარ მიფიქრია, შემოვხატე და მას მივენდე. შადაპალი ყალყზე შედგა, ერთი მხიარულად დაიჭიხვინა და შურდულივით გაფრინდა ლამის წყვდიადში.

აღმოსავლეთის ცის კიდეზე მზე ამონვერილიყო, როცა ერთ სოფელს მივადექით. სოფელი მდინარის სამ შენაკადზე იყო განლაგებული. ერთი-ერთის ნაპირას შევისვენეთ. ხელით ბალახი მოვვლიჯე, მდინარეში გავავლე და შადაპალს ვაჭამე. მერე პემვით წყალი მივუტანე და დავალევი. ცოტა გონზე რომ მოვედი, დავინახე, რომ ნაპირის გასწვრივ, ქალები და ბავშვები მუხლამდე წყალში იდგნენ და თევზაობდნენ. ასეთი გაძვალტყავებული ხალხი ცხოვრებაში არ მენახა. ერთი ჩია დედაბერი აცახცახებულნი შიშველი ხელით თევზს იჭერდა. ჩვენ რომ დავგინახა, წყლიდან ამოვიღა და მოგვიახლოვდა. დიდხანს გვიყურა ისე, რომ ხმა არ ამოუღია. მერე ცალი თვალი მოჭუტა და მკითხა:

- საიდან ხარ, შვილო?
- შორიდან! ჩემს სოფლამდე ფეხით სამი თვის სავალია.
- არა მგონია?!

ნეტავი, რას გულისხმობს-მეთქი ეს დედაბერი? – გავიფიქრე.

– მართალს არ ამბობ! ის ქვეყანა, საიდანაც შენ მოდიხარ, ღმერთის რჩეული მხარეა. სხვაგან სად ნახავ ასეთ ცასავით უძირო თვალებს, ასეთი ღვთიური სითეთრის რაშს? ამ ხნის ქალი ვარ და მსგავსი სილამაზის არსება ჯერ არ მინახავს!

დანარჩენი ქალები და ბავშვები გარს შემოგვევლენ. მერე ყველანი ერთად სოფელში წავედით. მასპინძლებმა ერთ ეზოში, პატარა ადგილზე მინა მორწყეს, მოხვეტეს, მოხვეტილად გილას ფარდაგი დააგეს და ზედ დასვეს. ორი გოგონა პალმის რტოს მინიავებდა, სხვები მწვანე ქოქოსს ამტვრევდნენ. მე და შადაპალმა ტკბილი რძე მივირთვით. ჭამას რომ მოვრჩით, დედაბერმა თქვა:

– ღმერთმა თქვენი თავი მხსნელებად მოგვევლინა, შენ გადაგვარჩენ! გვევდრებით, ისენი ჩვენი ბავშვები უბედურებისგან?!

– ასეთი მაინც რა დაგემართათ? – ვკითხე მე.

– შვილო! არ გეგონოს, რომ მთელი ცხოვრება ასეთი უბადრუკები ვიყავით! – თქვა დედაბერმა – სულ რანდენიმე წლის წინ ჩვენი საძოვრები წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლით იყო შეფენილი, ჩვენს მინდვრებს ჯანღონით საესე ყმანვილკაცები ხნავდნენ, უღელში ბულა ხარები ჰყავდათ შებმული და „ჰით! ჰით!“ ომახიანად გასძახოდნენ. მთელ სანაპიროზე ბრინჯის მინდვრები იყო გადაჭიმული.

ქალები ბრინჯს ფეკვავდნენ, ცრიდნენ და ნელ ცეცხლზე ბოლავდნენ. შემოდგომაზე, რთველის დროს, ნავანას დღესასწაულზე ბრინჯის ნამცხვარს აცხობდნენ. ჩვენი ბელლები ახალ-ახალი მარცვლეულით ივსებოდა. ყვაეებისგან და სხვა ფრინველისგან მოსვენება აღარ ექცნოდა. მაგრამ, ერთხელ, საქონელს რალაც უჩვეულო სენი შეეყარა, ნახირი დაეცა, სასწაულით გადარჩენილები ძლივს დალასლასებენ, მაგრამ ნელ-ნელა ისინიც იხოცებიან. სოფელში გაქრა რძე და, რაც მთავარია, შეწყდა მინის დამუშავება. იმ წელს ერთი მარცვალი ბრინჯიც ვერ მოვინიეთ. ჩვენს შეილებს ბრინჯის გემო საერთოდ დაავიწყდათ! რა უნდა აკეთოს კაცმა სოფელში, ხვანათესვა თუ მოიშალა? ახალგაზრდობამ ბედის საძიებლად უცხოეთს მიაშურა. ვინც აქ დარჩა, გაპარტახდა, მთლად ჩამოხმა და ჩამოდნა. რა ექნა, ამ ხნის ქალი დედაკაცებთან და ბავშვებთან ერთად ასე დილიდან სალამომდე ვთევზაობ. ღმერთმა უწყის, როდემდე გავძლებთ ცარიელ თევზზე, მწვანე ქოქოსის რძესა და ბალახულ-ლახეულზე? წყალში დგომისგან მუხლებში სითხე ჩავვიდგა და ფეხები დავგისვიდა. სოფლის ექიმებმა, ფაკირებმა და მკითხავეებმა რა არ იღონეს, წირვა-ლოცვა არ დავიკვლია, ყველა წესი აღვას-

რულეთ - მსხერპლშენირვაც. მაგრამ, ჩვენს გასაჭირს არაფერი ეშველა, ამ უბედურებას ბოლო არ უჩანს, ჩვენში აღარც ფური ინველება და ველარც მამრები დგებიან ფეხზე. ჩვენი ხსნა შენს თვალბში წერია, მე ვხედავ ამას!

- ჩემო ქალბატონო! თქვენმა ნაუბარმა გული მომიკლა. ოღონდ კი თქვენი დახმარება შემეძლოს, თავს არ დავზოგავდი, მაგრამ მართლა არ ვიცი, რით გიმველოთ? მე ის არა ვარ, ვისაც თქვენ ელით, არც თქვენი ხსნის წამალი მაქვს გამზადებული, მაგრამ, რადგან არ იშლით, ვცადოთ! მაჩვენეთ დაავადებული ხალხი და ცხოველები.

იმ დღიდან მე და დედაბერი კარდაკარ დავდიოდით. მე ჯერ ადამიანები მოვინახულე, შემდეგ საქონლის გასინჯვას შევუდექი. ვინ იცის, ბავშვობაში, რამდენჯერ განმიკურნავს ჩემი ძროხები სარეველა ბალახით, ფესვებითა და ტყის ნაყოფით?!

მე და შადაპალი მზის ჩასვლამდე ჯუნგლებში დავეხეტებოდი. სამკურნალო ბალახს ვაგროვებდი, მერე მდინარეში ვრეცხავდი, ვნაყავდი, ფაფას ვწურავდი და მიღებულ ნაყენს ძროხებს ვასმევდი. დილით ვაკვირდებოდი, როგორ იმოქმედა ცხოველებზე ჩემმა წამალმა. თუ შედეგი არ მომწონდა, ნაყენის შემადგენლობას ვცვლიდი.

ერთ დილას ძროხების ბლავილმა გამომალვიდა. ბლავილს ქუჩაში ქალების და ბავშვების ჟივილ-ხივილი მოჰყვა. მთელი სოფელი გარეთ გამოცვივდა, ყველა კუთხიდან მხიარული ყიჟინა ისმოდა. ის დღე იყო და, რქედამშრალ ძროხებს ჯიქნები გაევსოთ, დავარდნილი ხარები ფეხზე წამოდგნენ და მიხდრებებს მიაშურეს. მდინარის ნაპირი კვლავ ბრინჯის ყანებით აბიბინდა, ქალები თავიანთ საქმეს მიუბრუნდნენ და მონეული ბრინჯის დაბინავებას შეუდგნენ. ახალი მარცვლეულის სურნელმა იმ მხარეს ათასი ფრინველი მოჰგვარა, დადგა რთველის დროც და ნავანას დღესასწაულს მთელი სოფელი ბრინჯის წამცხვრით შეხვდა.

- ძმაო! - მომმართა სოფლის ერთმა ყველაზე წარმოსადგემა კაცმა - შენ ჩვენს სოფელს სიცოცხლე დაუბრუნე, შენი წყალობით ჩვენი მიხდვრები კვლავ მწვანედ ბიბინებენ, ჩვენს ხალხს შენი სიკეთე არასოდეს დაავიწყდება, შენა ხარ ჩვენი რაჯა, ყოველი ჩვენგანი მზადაა, შენთვის თავი განიროს!

- მაგრამ ამ საქმისთვის არ გამოვდგები! - მივუგე - მე თქვენი მეგობარი ვარ, ეს არის და ეს! ახლა, ჩემი ამბავიც მოისმინეთ! იქ, სადაც მე ვცხოვრობდი, რაჯამ საკუთარი სახლიდან გამომავდო, შადაპალი მომტაცა, შეურაცხყოფა მომაყენა, მაშინ მე დავიფიცე, რომ ოდესმე, რა-



ჯას ქუჩის მტკერში ვაგორავებდი. თუ ამ საქმეში დამეხმარებით, სიკეთეს არც მე დაგივინწყებთ.

- დაგეხმარებით! - ერთხმად იგუგუნა სოფელმა და ათასი შეკრული მუშტი უმალ ზეცისკენ აღიმართა - ჩვენ შენთანა ვართ! წამოდი, ნავიდეო!

- დამშვიდდით! მალიკპურის რაჯას კბილებამდე შეიარაღებული ჯარი ჰყავს, მას შიშველი ხელებით ვერ მოერევით! - მივმართე სოფელს.

- იარაღი გეჭირდება! - ისევ დაიგუგუნეს.

- დამშვიდდით! ჩვენ ახლა საღი გონება უფრო გეჭირდება, როგორმე იარაღი უნდა ვიშოვნოთ. ჩემსა და რაჯას შუღლს მაშინ დაესმება წერტილი, როცა იარაღი გვექნება! - დავასრულე მე.

თავად რომ ვერაფერი მოვიფიქრე, ჩემს მეგობრებს შევევედრე, ეგებ თქვენ მაინც ილონოთ-მეთქი რამე, მაგრამ ყველა ცდა ამოუ გამოდგა. ასე გადიოდა ხანი, დღეები მისდევდნენ დღეებს, ღამეები - ღამეებს. გავიდა ზამთარი. ჩრდილოეთის ცა გაზაფხულის ფერებით მოიხატა. ჩემს გულს მაინც არაფერი ეკარებოდა. მხოლოდ ერთი ფიქრი მიღრღნიდა ტვინს - საიდან მეშოვნა იარაღი. გაზაფხულმაც ვერ დაბინდა ეს აკვიატებული აზრი. აღმადალმა დავეხეტებოდი დაღონებული და ყოველ ღამე მესიზმრებოდა, როგორ ამტვრევდა თავლის კედლებს შადაპალი. იმედი დავკარგე, რომ დადებულ ფიცს ოდესმე აღვასრულებდი.

ერთ ბნელ ღამეს, გზაზე ხეტიალის დროს, ნაცნობი დედაბერი გადამეყარა.

- ვიცი რაც განუხებს - მითხრა მან - ისიც ვიცი, როგორ ვუმკურნალო შენს გულისტკივილს, მაგრამ ადრე არაფერს გეუბნებოდი, რადგან მეშინოდა, ცხელ გულზე ფეხი არ დაგეკრა და რაიმე ხიფათს არ გადაყროდი. რა ვქნა, ძალიან არ მინდა, ჩვენი სოფელი რომ დატოვო, მაგრამ არც შენი საცოდაობის ცქერა შემიძლია გულგრილად. მე ვიცი, სად არის იარაღი, წამო, გაჩვენებ, ოღონდ ფრთხილად, არავინ გააღვიძო!

დედაბერმა ფეხაკრეფით ჩამიყვანა მდინარესთან. ფრთხილად მოიხედა სოფლისკენ, მერე ჩირივით გამხმარი თითი მდინარის გაღმა ნაპირისკენ გაიშვირა და წაიჩურჩულა:

- აბა, კარგად მიაყურე, გესმის სალამურის ხმა?

გალმა ნაპირიდან მოღწეული ხმა ჯერ ქარის სტვენა მეგონა, მაგრამ უფრო ყურადღებით რომ მოვუსმინე, მივხვდი, ეს სალამურის ჰანგები იყო, ათასი სალამურისა ერთად.

- მთელი ღამე ასე უკრავენ, - ჩაჩურჩულა დედაბერმა - მათი ისრები სალამურის ჰანგებზე შორს ფრენენ. ერთხელ, სულ ბავშვი ვიყავი, როცა ერთი ისარი მდინარის კალაპოტს გადმოველო და აი აქ, ზუსტად ჩემს ფეხთან ჩაესო. ბაბუაჩემს შიშისაგან გული გაუსკდა. სოფლის უზუცესებმა დაასკვნეს, მდინარის გაღმა მცხოვრები ტომი რალაციით შევანუსხეთო და ერთთვის დიდი იაინა გამოაცხადეს. მთელ სოფელში მოგროვილი რძისგან ერბო მოდღვიბეს. იაინას რიტუალი ისეთ ადგილას გამართეს, გაღმა ნაპირიდან მისი დანახვა შესაძლებელი რომ ყოფილიყო. ერბოსა და კვამლის სუნი ქარს იქითა ნაპირისკენ მიჰქონდა. ერთი თვის განმავლობაში მთელს სოფელში არც ერთ ბავშვს პირში ერთი წვეთი რძე არ ჩასვლია. ბებიჩემისგან გამიგია, გაღმა სოფლებს მშვილდოსნობაში ბადალი არა ჰყავთო. მშვილდს თურმე ბებერი ლეღვის ხის დაკიდული ფესვებიდან თლიან, ლარს კი, გარეული ღორის მზეზე გამომშრალი ნაწლავებისგან ამზადებენ. ერთი ეგეთი მშვილდ-ისარი რომ გამოვინჩა, რაჯაზე შურს იძიებდი და მოისვენებდი კიდევ. ოღონდ, გახსოვდეს, იმ ტომის ხალხი თავის ქვეყანაში უცხოელს ფეხს არ ადგმევინებს. იქიდან ცოცხალი ჯერ არავინ დაბრუნებულა.

იმავე ღამეს ბამბუკის ტივი შევკარი და შადაპალთან ერთად მდინარეში შევცურე. შვიდი დღე და შვიდი ღამე მივცურავდით მეორე ნაპირამდე. ქვიშიან ნაპირზე გადმოვედით. ირგვლივ ადამიანის ჭაჭანება არ იყო, ცოცხალ არსებებს მხოლოდ კუს ზომის კიბორჩხალები წარმოადგენდნენ. სანაპიროს ხშირი ტყე ესაზღვრებოდა. გულმა იქით გამინია. შემოვაჯექი შადაპალს, ნაპირს ზურგი ვაქციეთ და ტყისკენ მიმავალ ბილიკს დავადექით. მაგრამ, სად იყო და სად არა, ჩვენსკენ ისრების კოკისპირული წვიმა წამოვიდა, ისრებმა გზა მოგვიჭრეს და ჩვენსა და ტყეს შორის ლობედ აღიმართნენ. შადაპალი უკან დავხიე, მოვატრიალე და მეორე ბილიკისკენ გავემართე, მაგრამ, წამში ზუსტად იგივე განმეორდა.

- მიდი, შადაპალ, გადაახტი! - ჩაჩურჩულე შადაპალს და სადავეები მოვქაჩე. შადაპალი ისრების ლობეს გადევლო და ტყისკენ გაიჭრა, მაგრამ უეცრად დაიფრუტუნა, მერე მწარედ დაიჭიხვინა, უკანა ფეხებზე შედგა და მოწყვეტით დაემხო მიწაზე. მთელი ტანით ცახცახებდა. ისარი კისერში ჰქონდა გაყრილი. ჭრილობიდან სისხლმა იფეთქა და მიწა წითლად მოირწყა. თვალიდან ცრემლი გადმოუგორდა. თავად არ ვიცოდი, რას ჩავდიოდი. კისრიდან ისარი ამოვადრე და ყელზე შემოვხვიე. ნუ დამტოვებ-მეთქი, ვევედრებოდი შადაპალს. მერე გამხმარი ფოთლების შრიალი და მწყობრი ნაბიჯის ხმა მომესმა. ავიხედე. ბრგე აღნაგობისა და მძვინვარე პირისახის ასობით მშვილდოსანი ჩემსკენ მოიწვედა. მომიახლოვდნენ თუ არა, მშვილდ-ისრები თაყვანისცემის ნიშნად ფეხთით დამიწყვეს. შემდეგ, ერთ-ერთმა მათგანმა სისხლიანი ისარი აიღო და წითლად შეღებილ მიწას მოავლო. მეორემ ნაპირზე ბალახ-ბულახი მოაგროვა, ხელით მოსრისა, წვენი გამოადინა და სითხე შადაპალს ჭრილობაზე წაუსვა. სისხლისდენა მაშინათვე შეწყდა. შადაპალს ტკივილი გაუყურდა. აღარ აკანკალებდა. როცა ჩვენი მასპინძლები დარწმუნდნენ, ცხენს საფრთხე აღარ ელისო, საჭმელი მოუტანეს მას და ფეხებთან

მოწინებთ დაუნყვეს. ამის მერე, მშვილდოსანთა რაზმს ერთი მეომარი გამოეყო. იგი დინჯად მიუახლოვდა შადაპალს და მის გვერდით დადგა. თავზე თეთრი ნიჟარის გვირგვინი ედგა, მკლავებზე ლოკოკინის ნიჟარების სამაჯურები, წელზე კიბორჩხალის ფალანდების ქამარი და კისერზე ფერადი ქვების მძივი ეკეთა. ეს ამ ტომის ბელადი იყო.

- ვინა ხარ! საიდან მოდიხარ? - მომმართა მან.

- ძალიან შორიდან, ერთი უბრალო მენახირე ვარ! - მივუგე მე და თავი დავუკარი.

- ყურადღებით მისმინე! - დასძინა ბელადმა - წინაპართა წესის თანახმად, ნებისმიერი უცხოელი, რომელიც ჩვენს მიწაზე ფეხს დადგამს, უნდა მოკვდეს. სიხარბისა და გაუმაძღრობის გამო ეტანებიან უცხოელები ჩვენს ქვეყანას, ქურდობის მეტი არაფერი აინტერესებთ. ამიტომ აქედან ცოცხალს აღარავის ვუშვებთ. შენც მოგკლავდით, მაგრამ ცხენმა გადაგარჩინა. თეთრი ცხენი ჩვენი ღვთაებაა. მასზე ვლოცულობთ. უბედურება დატრიალდება ყველგან, სადაც ჩვენი ისარი დაეცემა. ჩემმა მეომრებმა ორჯერ გადაგილობეს გზა. არ მოგკლეს, თუმცა შენც უცხოელი ხარ. ვიფიქრეთ, ცხენიდან რომ ჩამოვა, მერე ვესვრით-თქო, მაგრამ შენ ბედმა გაგილიმა და ლობეს ცხენზე შემჯდარი გადაახტი. შენმა ცხენმა შენთვის დამიზნებულ ისარს ისე ჭკვიანურად შეუშვარა კისერი, რომ თავად დაიჭრა, შენ კი სიკვდილს გადაგარჩინა. ეჭვი არ შეგეპაროს, კარგად დაგიმიზნეთ. ჩვენი ისრები მიზანს არ სცდება. ვისაც თეთრი ცხენი გადაარჩენს, ის არ შეიძლება მტერი იყოს. შენ ჩვენთან სიხარბე და ძარცვა-გლეჯის სურვილი არ მოგიყვანდა. ამიერიდან შენს მეგობრებად გვიგულე, გვითხარი, რას ეძებ, რით გინდა რომ დაგასაჩუქროთ? ჩვენ თეთრი ცხენის სისხლი დავღვარეთ, ვალდებულები ვართ, გამოვისყიდოთ!

- თქვენო ბრწყინვალეებავ! - ვთქვი მე და ბელადს თავი დავუკარი - ერთი მენახირე ბიჭი ვარ, შადაპალი ჩემი უახლოესი მეგობარია, მაგის მეტი, დედამინის ზურგზე არავინ გამაჩნია. ერთად ვმწყემსავთ სამეფო ნახირს და, ასე, ბედნიერად ვწვევით საერთო ჭაპანს. ჩემი სოფლის რაჯამ შადაპალს თვალი დაადგა და წართმევა მოინდომა. ჯერ ფული შემომთავაზა, რომ არ დავთანხმდი - მდევრები დამადევნა და სასტიკად დამსაჯა, არც შადაპალი დაინდო, იძულებული გავხდი, შადაპალთან ერთად ჩემს სოფელს გავცლოდი. მაშინ დავიფიცე, რაჯას დამცირებას არ შევარჩენ და ქუჩის მტვერში ვაგორავებ-მეთქი. თქვენ თუ მართლა გსურთ ჩემი დასაჩუქრება, რამდენიმე მშვილდ-ისარი მომეცით. მეტი მე არაფერი მინდა!

– ასი მშვილდ-ისარი იყოს! – თქვა ბელადმა – სხვა რამე მოხოვე, დღეიდან შენ ჩვენი გმირი ხარ.

– მაჰარაჯ! – მივმართე უდიდესი მონინებით – ვერასოდეს დავივინყებ შენს გულუხვობას, მაგრამ, მეტი მართლა არაფერი მინდა!

– შენთან დამეგობრება ჩვენთვის დიდი პატივია! წამომყვი სასახლეში და შესაფერის საჩუქარს თავად შეგიჩრევ!

რაჯა თავისი ამალით სასახლისკენ გამიძღვა. უკან მშვილდოსანთა რაზმი მოგვყვებოდა. იმათი სასახლის სილამაზემ შირიდანვე თვალი მომჭრა. ეს იყო ხის მოჩუქურთმებული შენობა, რომლის მსგავსი ცხოვრებაში არაფერი მენახა. თვალს არ სჯეროდა, რომ ადამიანის ხელს ხისგან ასეთი მშვენიერების შექმნა შეეძლო.

დარბაზში თაფლი ხის ფიალებით შემოჰქონდათ, კამეჩის არაყიანი ნიჟარის ჯამებით. ამასობაში სალამურის ჰანგებიც გაისმა. მთელი ღამე უკრავდნენ. საოცარი რამ არის იმათი სალამური – თან კენესის და თან ამა სოფლის სატიკივარსა და სიხარულს გიამბობს, ხალხის ოცნებებსა და ფიქრებზე გესაუბრება. ვუსმენდი და გული სიამით მევეებოდა.

მეორე დილას, რაჯა მდინარის ნაპირზე ჩამომყვა გასაცილებლად. მისმა მსახურებმა შადაპალი თეთრ ტივზე აიყვანეს და ფეხებთან ასი ისარი დაუწყვეს. მადლობის ნიშნად რაჯას თავი დაუჯუკარო.

– ძმაო ჩემო! – თქვა მან – მიიღე ჩვენგან სახსოვრად ეს სალამური! შეახებ თუ არა ბაგეს, შენს სანუკვარ ოცნებებსა და იმედზე, შენს დარდსა და სიხარულზე აკენესდება, მარად გამარჯვებული ივლი.

აღმოსავლეთის ცის გავარვარებულ კაბადონზე მზე უხვად აფრქვევდა კაშკაშა სხივებს და დიდხანს ანათებდა ნაპირს. მდინარე ლივლივებდა. ტივიდან ვხედავდი, როგორ კრთებოდა ნელ-ნელა თვალსაწიერიდან ქვიშიან ნაპირზე მდგარი ჩემი მეგობარი რაჯას სილუეტი და როგორ ერწყმოდა იგი ახალი დღის მკრთალ და ბუნდოვან კონტურებს.

დღე და ღამე ნიჩბებს არ ვასვენებდი. ბოლოს, როგორც იქნა პატარა დედაბრის სოფელს მივაღეიქი. ჩემს დანახვაზე ბრძენ მოხუცს სახე გაუნათდა, ხოლო ვაჟკაცებმა საომრად მზადება დაიწყეს. მდინარის თევზით, ახალი ბრინჯით, ქოქოსის წვენითა და შავი ფურის მსუყერძით ვიკვებებოდი, თან დღე და ღამე მშვილდოსნობაში ვვარჯიშობდი. კარგად რომ გავინაფეთ, ჩემი სოფლისკენ მიმავალ გზას დავადეიქი.

მშობლიური მინდვრების დანახვაზე, გული ამიფართხალდა. ნამეხარ და დანახშირებულ პალმასაც კი აღტაცებით შევეყურებდი. კოდალა კი იჯდა რომელიღაც ხეზე და გამალებით უკაკუნებდა მერქანს.

გზა აღმოსავლეთისკენ ავიღეთ. მალე, რაჯას სასახლეს მივადეიქით და კარიბჭესთან ცოცხალი კედელი აღვმართეთ. შადაპალზე ამხედრებული წინ გამოვიჭერი, ყელი მოვიღერე და ერთი ომანიანად შევძახე:

– მენახირე ბიჯუ დაბრუნებულა! რაჯა სად არის?! უსამართლობისა და ქედმაღლობისთვის პასუხი უნდა ვაგებინო! სად არის-მეთქი, რაჯა?! გარეთ გამოვიდეს!

სასახლის მცველებმა შუბები მოიმარჯვეს და საფრთხის აღსაკვეთად გარეთ გამოცვივდნენ, მაგრამ, ორიოდ ნაბიჯში ასობით მშვილდმომართული მეომარი რომ დაინახეს, შუბმოქნეული ხელი ჰაერში გაუშემდათ.

– ჰეი, არ გესმით?! მენახირე ბიჯუ დაბრუნდა-მეთქი! – ვყვიროდი მე – სად არის რაჯა? გამოვიდეს!

მალკორაჯა უშველებელი შუბით ჭიშკრიდან გამობრძანდა. ჩემმა ერთ-ერთმა მეომარმა ისარი შიგ გულში დაუმიზნა. რაჯა მაშინათვე მიწაზე განერთხა. შადაპალი მისკენ მივავლევე, და მტვერში ამოგანგლული ფეხზე ნამოვაყენე.

– რაჯა! მე ჩემი ფიცი აღვასრულე! – ვუთხარი – იმ დღეს, შენ რომ მდევარი დამადევენე და შადაპალი მომტაცე, ზეცისა და ნიავის წინაშე დავიფიცე, რომ ქუჩის მტვერში ამოგსვრიდი. დანაპირები უკვე აღვასრულე, შეუბრალებლობისთვის გთხოვ, მომიტყევი! დღეიდან ისევ შენი მორჩილი მენახირე ვარ!

– პატიებას შენ კი არა, მე უნდა გთხოვდე! – მიპასუხა რაჯამ და თავისკენ მიმიზიდა – ბრმა ვიყავი და შენმა საქციელმა თვალი ამიხილა!

მერე თავის ამაღას მიუბრუნდა და უთხრა:

– დაბლა დასწიეთ შუბები, გახსენით სამეფო დარბაზი და ყველას ამცნეთ, რომ ბიჯუ თავისი ძმებით სტუმრად გვეწვია. ამცნეთ ყველას, რომ ბიჯუ სახლში დაბრუნდა. მონველეთ ძროხები, ჩაყარეთ მდინარეში ბადეები, მოკრიფეთ ხილი და მოდით, ბიჯუს დაბრუნება ერთად ვიზეიმოთ!

როცა ჩემი მეგობრები სამეფო დარბაზში კარგად მოეწყვენენ, რაჯამ გვერდზე გამიხმო და სასახლის შიდა ოთახებისკენ გამიძღვა. ერთ-ერთ ოთახში შესვლაც ვერ მოვასწარი, რომ გონგის ხმა და ჩემი ხილვით აღტაცებული ქალების შეძახილი ერთად გაისმა. ქალბატონი რანი მომიახლოვდა და მითხრა:

– ბიჯუ, შვილო, ხედავ, უკვე კაცი გამხდარხარ. ღირსეული კაცი! ჩამიბარებია შენთვის ჩვენი თვალის ჩინი – ტუკტუკი! შემოისვი შენს თეთრ ცხენზე და აჯირითე რამდენიც უნდა!

ტუკტუკი იქვე იდგა. დედამისის სიტყვებზე სახე ვარდისფრად აელენა. თმაში ჩაბნეული მარგალიტი შუბლთან თეთრად უბზინავდა. თვალს ვერ გაუსწორებდი, ისეთი ღამაში იყო ბენარასის ნაზ სარში გამონყობილი ტუკტუკი.

– ბედნიერი ხარ, ტუკტუკი? – კითხა რანიმ.

თანხმობის ნიშნად, ტუკტუკმა თავი დახარა და შუბლზე მარგალიტი აუთამამდა.

ერთ მშვენიერ დღეს ქორწილიც გადავიხადეთ. სანაის ჰანგების თანხლებით, ჩემი ტუკტუკი შადაპალზე შემოვისვი და მთელი სოფელი შემოვატარე. ხანდახან, თავად არ ვიცი რატომ, მონყენილობის ყამს, შემოვახტები ხოლმე შადაპალს, სადმე უკაცრიელ ადგილას განემარტოვებდი და ღია ცის ქვეშ ჩემს სალამურს ვაკკენებდი.

6 არტი

კაპიტალისტური შრომის გმირი



დავით ანდრიაძე

იყო ასეთი მხატვარი – ისააკ ბროდსკი...

კიროვთან მეგობრობდა, თურმე; ლენინგრადის პირველ პირთან – სერგეი მირონოვიჩ კიროვთან.

მისი პორტრეტიც აქვს დახატული; სამუშაო მაგიდასთან...

საბჭოთა პერიკლედ ნოდებულ ვოროშილოვთანაც მშვენიერი ურთიერთობა ჰქონია – კლიმენტ ეფრემოვიჩის პორტრეტიც დაგვიტოვა; თხილამურებით...

ასე ვთქვათ, „გმირი უჰალსტუხოვ“!

ჰოდა, ამ ბროდსკიზე უთქვამს მის მასწავლებელს, რეპინს: „Писать о Бродском легко, нужно только быть в хорошем настроении“.

ზურაბ წერეთელზე წერაც ადვილია – მთავარია, კარგ ხასიათზე იყო.

სხვათა შორის, კარგ ხასიათზე მისი ბრავურული ფერწერა გაყენებს.

ყოველ შემთხვევაში, ასეთია პირველადი ემოციური მესიჯი, ანდა, ქართულად თუ ვიტყვოდი, გზავნილი, ამ ძირძველი ქართველის და „ახალი რუსის“ ოპუსები რომ აღძრავენ.

ზურაბ წერეთლის, როგორც „თავისუფალი შემოქმედის“ სტიქიას მისი, დიახაც, მსუყე, ქონიანი ფერწერა წარმოადგენს.

პასტოზი, თანაც როგორი, – ლამისაა ჰორელიეფური პასტოზია უმთავრესი კოდი, რომლითაც ეს სკანდალურად პოპულარული მხატვარი გიზიარებს თავის, ერთი შეხედვით, ინფანტილურ (თუ კვაზინფანტილურ) ემოციებს; ემოციებს, რომლებიც აბსოლუ-

ტურად არაა ვუაღრიებული გამოტანჯული კოლორისტული ინსტრუმენტებით; რისი ლისირება, რაის ფლევაცირება, სად სცალია ამისათვის?!

შიშველი მონასმების კასკადი გვევლინება წერეთლის აულ-აგმავი ენერგეტიკის სიმბოლოდ, სიმდიდრის გარეგნული ნიშნებით მხატვრის ხელგაშილილობაზეც რომ მეტყველებს და მის „ქონებრივ დეკლარადადაც“ იკითხება.

ამ ათიოდე წლის წინათ, დეკემბრის მიწურულს, მოსკოვში, პრეჩისტენკაზე, „წერეთლის გალერეის“ დარბაზებში დიდი სამზადისი იყო...

მეორე დღეს ქართველი „გერტრუდას“ უზარმაზარი რეტროსპექტივა იხსნებოდა.

დიდძალ სტუმრებს ელოდნენ...

იყო ერთი გნისაი, ჟურნალისტებისა და რეპორტიორების ცვენა...

წერეთლის ამალიდან შორს ეჭირა თავი მის პირველ მოადგილეს – აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, 60-იანი წლების პოსტსოცრეალიზმის კლასიკოსს ტაირ სალახოვს, უაღრესად ფრთხილ, გონიერ და დიპლომატ კაცს, საოცრად სიმპათიურ პიროვნებას...

მაშინ ჩავეკითხე სალახოვს აზრი წერეთლის ფერწერაზე...

„Знаешь, Давид, живопись Зураба - это как устная речь“ – მოხერხებულად მომიგო მაესტრომ.

წერეთლის ფერწერული დისკურსი, მართლაც ზეპირმეტყველებადასავითაა...

ესაა არა ტექსტი, როგორც ასეთი, ანუ მხატვრის ენობრივი კრეაციის „წერილობითი“ გაცხადება, თუნდაც, დინამიური ქმედების სტატიკური შედეგი, არამედ საკუთრივ დინამიური დისკურსი, „დაუჯდომლად“ რომ იხატება და დაუჯდომლადვე იკითხება...

თავად მხატვარი თავის ბლიც-ტილოებს, ამ ზეპირ ტექსტებს, უცებ, დაუფიქრებლად უშვებს... ექსპლუატაციაში.

ოლონდ, აუცილებლად ფუთავს ძვირფას ჩარჩოებში და კომპლექტით აწყობს; ოლონდ, არა ჭერში, არამედ თავის „სანყოფში“...

მე მინახავს ეს სანყოფი; შტაბელებად ჩალაგებული ურიცხვი სურათი – საქონელი, ვერვისგან ანაწონები...

წერეთლისეული ფერწერის არანაკლებ ნიშანდობლივი მხარე – ავტორის შესტია;

შესტია, რომელიც მხატვრის ვოლუნტარისტული, არტისტული ქცევის სიმბოლოდაც გვეძლევა.

„უანგარო“ ჩესტუს-ით წარმოდგენილი ფერწერული ჰორელიეფები წერეთლის სიმბოლური კაპიტალიცაა.

ამ კაპიტალს გამუდმებით „აბრუნებს“ კაპიტალისტური შრომის გამირი;

ერთი ოპუსიდან მეორეში გადააქვს, ერთიდან მეორეში აბანდებს...

ესაა დაუსრულებელი ტრანსფერი...

აღბათ, ამიტომაცაა, რომ წერეთლის არტისტული ნებელობა, წყალში გადაყრილ, ესთეტიკურად ნეიტრალური შესტების კომპლექსი კი არაა, პირიქით, არტისტულად გამართლებული ნორმაა, მისივე ცხოვრების წესს რომ არეგულირებს.



ამასთან, ეს – ეთიკურად შეფერილი ნორმაცაა.

აი, ეს ნორმა გამოსჭვივის წერეთლის, როგორც მონუმენტალისტის (შემო)ქმედება(შიც). წერეთლისეული მონუმენტებიც, მათი „ავტორის“ სტერეოსკოპულ ემოციებს უფრო ავლენს, ვიდრე, მონომენტალურ ჩაღრმავებას...

აი, რატომაც არაა წერეთელი მონომენტალისტი!

ის დიდი მოთამაშეა; ასპარეზიც დიდი აქვს – თითქმის უკიდევანო...

მისთვის მსოფლიო დიდი საჭადრაკო დაფაა; და ამ დაფაზე უზარტულად თამაშობს უზარმაზარი ფიგურებით...

ესაა დიდი პოლიტიკური არტიც და გნებავთ, პოლიტიკური სპორტიც;

თუნდაც, ფიზიკური კულტურა...

ფიზიკულტურელები არიან წერეთლისეული პუტინიცა და ლუჟკოვიც...

სხვათა შორის, ესეც – სოცრეალისტური, ანდა, უფრო ზუსტად, პოსტსოცრეალისტური დისკუსია!

წერეთელი პოსტმოდერნისტიცაა, უნებლიე, არარეფლექტირებადი პოსტმოდერნისტი, სიმულაკრებით რომ გვეთამაშება, გვითრევს ამ თამაშში... მერე, თავად გვერდზე გადაება და თავსატეხს გვიჩენს იმაზე მარჩილობით, თუ სად მთავრდება მასთან რეალობა და სად იწყება ვირტუალობა.

ასე ვირტუალურად იპყრობს მსოფლიოს ქართველი კოსმოპოლიტი, თანაც ისე, რომ არსად ლალატობს პოლიტორექტული შესტია.



წერეთელი ყბადაღებული სამოქალაქო საზოგადოების რეპრეზენტანტია.

ამგვარი სოციუმის უმთავრესი პრინციპი თვითშენახვაა. თვითშენახვა ეფუძნება ხრიკს, რომელსაც მიმართავს სამოქალაქო სუბიექტი.

წერეთლის არქეტიპი ოდისევსია, ანუ პირველი ბიურგერი. მოხერხებულობაც ხომ, ბიურგერული სოციუმის პრედიკატია?! ამგვარი სოციუმის ნიაღში ხდება მსხვერპლის ინტრავერსია, მერე კი, საერთოდ უქმდება ეს „მსხვერპლი საიდუმლოდ“ და მის ადგილს იკავებს ძღვენი.

ძღვენში მით უფრო იჩენს თავს ბიურგერული ელემენტი. ესაა დაგეგმილი „მსხვერპლშენიღვა“, ზებუნებრივ ძალთა მოტყუებაზე რომაა გათვლილი.

ასე დაიყოლიებს ადამიანი უზენაეს ძალას; დაიყოლიებს და სათავისოდ მოაქცევს.

აი, სადა აქვს წერეთელს, როგორც რაციონალურ პერსონას, თუნდაც პერსონაჟს, თანაც პოსტმოდერნული ინტენციებით განტოტვილს, ფესვები გადგმული...

მოკლედ, მისთვის „ქონა, თუ ყოფნა“, ეს ფრომისეული ალტერნატივა მოხსნილია;

ქონა წერეთლისთვის ყოფნას მოასწავებს, ყოფნა კი, ქონას. წელან ეთიკურად შეფერილი ნორმა ვახსენე და... სწორედ ასეთ ნორმაზე ლაპარაკობს მაქს ვებერი თავის კლასიკურ ნიგნში კაპიტალიზმის გონის შესახებ, როდესაც ამბობს: „მე გამოვიძუშავებ და ვამრავლებ ფულს; და სულერთია, რას იფიქრებენ ამის შესახებ სხვები“ განსხვავდება ნორმისგან: „ფულის გამოძუშავება – ჩემი ვალია; ამაშია ჩემი სათნოება, წყარო ჩემი სიამაყისა და თანამემამულეთა მიერ ჩემდამი აღვლენილი პატივისცემისა“.

ეს უკანასკნელი საკუთრივ კაპიტალისტურ ეთოსს, კერძოდ, სიმდიდრის დაგროვებას, როგორც მოვალეობას მოასწავებს.

კაპიტალისტური ეთოსი ეწინააღმდეგება ტრადიციონალიზმის ეთოსს.

ტრადიციონალისტურად, ადამიანი, თავისი ნატურით, საჭირო ფულის გამოძუშავებას მიეღობა, მიესწრაფვის, რათა უშუალოდ იცხოვროს;

იცხოვროს ყოველდღიური სადაგი ცხოვრებით... და გამოიმუშაოს იმდენი, რამდენიც სჭირდება ცხოვრების ამგვარი წესის შესანარჩუნებლად.

აი, რატომაა, რომ ტრადიციონალისტურ ეთოსში ვერ შეხვდებით, როგორც ეკონომისტები იტყვიან, წარმოების ინტენსიფიკაციის და, შესაბამისად, კაპიტალის გამრავლების მოტივებს.

ესაა გონივრული თვითკმარობის კულტურა! ტრადიციონალისტურად, ადამიანის პოზიცია ფულისადმი სავსებით გამოკვეთილი ეთიკური შეფერილობით გამოირჩევა.

დიდი ფულის ქონა სამარცხვინო ცხადია, არაა...

ოღონდ, მაინცადამაინც ღირსეულ და დასაქადნ საქციელად ფულისადმი განსაკუთრებული ყურადღება ვერ ჩაითვლება...

ანალოგიური სიტუაციაა ხელოვნებაშიც.

ტრადიციონალისტური ნორმატივებით გაუგებარია და წარმოუდგენელი ესთეტიკურად ინდიფერენტული მიდრეკილება ფერწერული სიმდიდრისადმი.

აი, „კაპიტალისტური ესთეტიკისათვის“ კი, სწორედ ეს, ესთეტიკური ინდიფერენტიზმით შეფერილი არტეფაქტული (და არტეფაქტურული) სიმდიდრეა მხატვრის თვითმიზანი.

ამ მხრივ, წერეთლისთვის აბსოლუტურად უცხოა ყოველგვარი არსტისტული პურიტანიზმი და ასკეტიზმი.

პარადოქსული ისაა, რომ ეს მხატვარი დიხსაც, თავისი მდიდრულად მოზიმიზიმე, ანტიასკეტიური ფერწერული კოლორიტით, თუ ძვირფას მასალაში – ოქროსა თუ მინანქარში განხორციელებული არტეფაქტებით, თავის რელიგიურ ინტენციებსაც გამოხატავს.

წერეთელი, გარკვეულწილად, პოსტბიზანტიური ხელოვნების რეპრეზენტანტიცაა;

პოსტბიზანტიურ სიმბოლოდ ფრიალებს თბილისის თავზე... არა, წითელი დროშა კი არა, რომლის აღმართვასაც ორჯონიკიძე 1921 წლის 25 თებერვალს უპატიკებდა ლენინსა და სტალინს თავის ცნობილ დეპეშაში, არამედ მოოქროვილი წმინდა გიორგი.

მონუმენტური ბიჟუტერიის შედეგრი!

იმპერატიული ემბლემატიკა, მთელი თავისი აქსესუარებით, კვლავაც დაცულია.

წმინდა გიორგის უკვე ველარავინ დაამბობს!



გულის სიღრმეში, ალბათ წერეთელსაც სჯერა, რომ მისი ყაიდის არტბიზნესმენი ზენაარსს იმიტომ „ანყობს“, რომ მდიდარია და ამდენადვე, შეუძლია იხაროს, როგორც მწიფე ნავა.

ოლონდ, მას შემდეგ, რაც მოითვლის მიწიერ მტევნებს.

ესეც პარადოქსია, მაგრამ წერეთელი – ეთიკურად პურიტანია, იმ გაგებით, რომ არასოდეს ისვენებს და ამდენადვე, სულაც არ (თუ ვერ) ტკბება თავისი კონვეიერული შრომის ნაყოფით. ასე რომ იყოს, მაშინ ისევე ტრადიციონალიზმთან გვექნებოდა საქმე, თავისი მორალური მაქსიმით: იმუშავე – დაისვენე!

მასონურ წინსაფარში გამოწყობილი კაპიტალისტური შრომის გმირი კი, ვერ ისვენებს...

დიახაც, დასვენების შეუძლებლობა და შრომითი მოვალეობის აღსრულების ინტენსიობა, თანაც, ჩვეულებრივ მიწიერ სიხარულთა წილ გვევლინება კაპიტალისტური მორალის დამახასიათებელ ნიშნად, ვებერი საერო ასკეტიზმს რომ უწოდებს.

წერეთლის ფუფუნებით აღვსილი ჟესტების მიღმა, ამგვარი ასკეტიზმიც შეიძლებოდა გვეგულისხმა.

თუმცა, არის კიდევ ერთი მომენტი:


ეკატერინა დიოგოტმა, დღევანდელი რუსეთის ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა კრიტიკოსმა, შილოვის „სახელმწიფოებრივ“ მხატვრობაში სავსებით მართებულად შენიშნა, ესთეტიკური თვალსაზრისით, ლუმპენური მომენტები.

ამგვარი ლუმპენური ესთეტიკა, მიუხედავად გარეგნული ბრწყინვალეობისა, წერეთლის


ხელოვნებაშიც შეიმჩნევა; როგორც „სახელმწიფო“, ისე პრივატულ ოპუსებში...

და მაინც, წერეთლის ნამუშევრები გამბიარულებს.

ალარ მახსოვს, ვის აქვს ნათქვამი: „Когда слушаешь Бетховена, грустно, но жить хочется. Когда слушаешь Кобзона, весело, но жить не хочется“.



გამომცემლობა „საუნჯე“ წარმოგიღებთ ახალ წიგნებს:



ქურნალი „ახალი საუნჯე“ 2015 წლის ბოლომდე
შეგიძლიათ გამოინეროთ ელვა.GE-ზე

თითო ნომრის ფასი - 2 ლარი

მის.: ქ.თბილისი, იოსებოძლის ქ.49

elva@elva.ge

ტელ.: (+995 55 32) 2-38-26-74; 2-38-26-73;

2-38-26-76; (+995 55 32) 38-08-774

11/72



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ
ՆԱԽԱՐԱՐՈՒԹՅԱՆ ԱՆՈՒՍՏԱՆ

ISSN 0134-9848



9 770134 984002



ՄԱՍԻՆ

Երևան

